

30 ტალი ქანეამა



ქსნის ქრისთავიანობი  
ქალები და ქადაგები



9 789941 072000

30 ტალი ქეცეპე

# ქსნის მრისოთავიანი ქალები

XIV-XIX სს.

ვიგხანი |

თბილისი  
2014

## წიგნის გამოსაცემად გაწეული ფინანსური დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდი შპს „გვრიტოს“

ბოლო დღის ჩვენს საზოგადოებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ქართველ თავადაზნაურთა გვარ-ტომობის, როგორც ისტორიის, ისე მათი წარმომადგელებისადმი.

„ქსნის ერისთავიანთ ქალების“ | წიგნი ეთმობა ქვენიფნეველთა შთამომავალ ქსნის ერისთავების XIV-XIX სს. ელიტური, განათლებული საზოგადოების ბანოვანთა ცნობილ სახეებს. საყურადღებოა მათი როლი ბატონყმურ და ნახევრად ბატონყმურ, იმპერიის წევნის ქვეშ მოქცეულ, ეროვნული ცნობიერებით გაღარიბებულ ქართველი ერის გაჯანსაღების პროცესში. ასევე ყურადსაღებია ზოგიერთი პიროვნების ცხოვრების დეტალის გაანალიზება, როგორც დამხმარე ლიტერატურა სკოლებში.

ერისთავის ასულებს და რძლებს, ქართულ პოეზიაში საპატიო ადგილი უკავიათ. მათი სილამაზისა და ინტელექტის შემფასებელთა ავანგარდში დგანან: ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, იოსებ გრიშაშვილი, ლადო ასათიანი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და სხვები.

ნიჭიერ პოეტთა მუზით გაბრწყინებული მარგალიტები ხალხს მოსწონთ, უყვართ და მლერიან კიდეც.

**რედაქტორი:** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**გურამ ყორანაშვილი**

**რეცენზირებები:** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**დავით ახლოური**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
**ნიკოლოზ ოთინაშვილი**

ISBN 978-9941-0-7199-7 (ყველა წიგნის)  
ISBN 978-9941-0-7200-0 (პირველი წიგნი)

© ვ. ქენქაძე

ლარზვისი. XVIII ს.

ქანის ერთსოფელის თავდაპირველი საძვალე



## **დედის – ეთერი გომრგის ასული ქენქაძის ხსოვნას ვუძღვნი ამ წიგნს**

---



ხსოვნის ფურცელი, სარკოფაგი სიყვარულისა,  
არჩამავალი „მკვდრის მზე“, ფეთქვა დედის გულისა.

## თინათქმა

კაცობრიობის ისტორიაში ქალის როლი და მნიშვნელობა უზომოდ დიდია, იმდენად დიდია, რომ მისი სრულფასოვანი შეფასება შეუძლებელია და თუ ოდესმე ვინმე მოისურვებს ამ საკითხის ამომწურავად შესწავლას, აუცილებლად დაეთანხმება აქ დასმული შეკითხვის ჩემეულ პასუხს.

ველურ ბუნებაში რატომ მოხდა სუსტი სქესის დაწინაურება და გაბატონება ფიზიკურად ძლიერ მამრზე?, რამ განაპირობა პირველყოფილი თემური წყობილების ადრეულ საფეხურზე ქალის ძალაუფლების – მატრიარქატის წარმოშობა და განმტკიცება?, რატომ ეკუთვნის მას ინიციატივა საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის დაწყებისა?!

ალბათობა დიდია, რომ რეალურად მივიჩნიოთ ველური ცხოვრების წიაღში უფრო მეტი ეფექტი და როლი მდედრის შინაგანი და გარეგანი ფენომენალური თვისებისა, უხეშ და ფიზიკურად ძლიერ მამრთან მიმართებაში, რომელსაც თავისი ქალური ჰორმონებით იოლად იმორჩილებდა და ათვინიერებდა.

სწორედ მდედრის ამ ფიზიოლოგიურ იარაღს ვთვლი მატრიარქალური წყობილების ფორმულად, რომლის მეშვეობითაც გახდა ქალი მთავარი წარმმართველი ძალა ოჯახისა.

ყველა ეს პროცესი მიმდინარეობდა ძალიან დიდი ხნის წინ, მას მერე მოხდა პლატფორმის შეცვლა ქალსა და მამაკაცს შორის. მიუხედავად ადგილმონაცვლეობისა არასოდეს დაუკარგავს ქალს თავისი დიდი როლი და მნიშვნელობა საზოგადოების განვითარების რთულ, გრძელ და საინტერესო გზაზე.

ამ გზის ერთი ერთი მონაკვეთია XIV-XIX საუკუნეები, რომელ ხანაშიც ცხოვრობდნენ წინამდებარე წიგნში განხილული ქსნის ერისთავიანთ ქალები. უდავოდ დიდია მათი როლი ამ ძირძელ ფეოდალთა ისტორიასა და გვარის გენოფონდის ცხოველმყოფელობაში.

კავკასიის გასაცნობად ჩამოსული უცხოელი სტუმრები მრავალი საქებარი და შაქარლამიანი სიტყვებით გამოხატავდნენ იმ დიდ აღტაცებასა და სიამოვნებას, რასაც საქართველოს მომაჯადოებელი ბუნება და ულამაზესი ქართველი ქალის ხილვა ანიჭებდათ.

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ემანუილ კანტი (1724-1804) თავის ჩანაწერებში აღნიშნავდა, რომ – „ყველა ევროპელი მოგზაური ვინც ერთხელ მაინც სტუმრობდა საქართველოს, განსაკუთრებით აღნიშნავდა ქართველი ქალის მომაჯადოებელ სილამაზეს და შარმს. ამ აზრს იზიარებდნენ ასევე თურქები, არაბები და ირანელები, რომლებიც ყოველთვის აღიარებდნენ, რომ მათი ერი ქართული სისხლით იყო გაჟღენთილი და სწორედ ამის წყალობით ყავდათ ლამაზი ქალები“.

უცხოელები ქართველ ქალთან ერთად ქართულ ღვინოსაც ეთაყვანებოდნენ. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ 1888 წელს საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებაზე ვერ დაფარა პეტერბურგში და კითხვაზე – „ყველაზე მეტად რა მოგეწონათ საქართველოში“ მოსწრებულად გასცა პასუხი „კახეთის ღვინო და წერეთლის ნინო“.

XIX საუკუნის ქართველი ქალების გალერეას, ქსნის ერისთავების ასულებთან ერთად ავსებენ და ამშვენებენ მათი რძლებიც, რომლებიც ქართველ და არაქართველ ელიტურ წრეს განეკუთვნებიან. ისინი თავიანთი სილამაზითა და ინდივიდუალური თვისებებით ერთიმეორებზე ცნობილ მანდილოსნებად ითვლებოდნენ. ამდენად დასანანია შემდგომ პერიოდში ახალი თაობების გულგრილი დამოკუდებულება მათდამი. დღეს კი ჩვენი საზოგადოება პატივისცემითა და მოკრძალებით არის განწყობილი, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძლვით ქართველ პოეტებს, ლექსებში დამსახურებულად მათი ქება-დიდებით.

საყურადღებოა ქსნის ერისთავებში „ყულარალასიანთ მუზის“ გენეალოგია. ასევე მათი კულტურა, განსწავლულობა და ზრდილობა. აი, როგორ აქებს „საქართველოს ბულბული“ – აკაკი წერეთელი გორთან ახლოს სოფელ ქვემში მცხოვრები თავადის იოვან (ივანე) ერისთავის ასულებს მარიამსა და ეკატერინეს: „დიდი ივანე ერისთავის ქალები მშვენივრად გამოზრდილი არიან, საღვთო-საეროში განათლები, და ზედმინევნით იციან პლატონის ფილოსოფია, რიტორება, არისტოტელეს კათეგორია და სხვანი და სხვანი...“ – მოდი და ნუ დავუჯერებთ ამ დიდებულ ქართველს.

ქსნისხეობელ თავადთა უმშვენიერესი ქალბატონია მანანა ორბელიანი, რომლის ერისთავის ასულობა შესაძლებელია ჩვენში ბევრმა არ იცოდეს. ვინაიდან ქორწინების შემდეგ მან ორბელიანის გვარი მიიღო და ფართო საზოგადოებამაც „ქართველი მადამ რეკამიე“ – მანანა ორბელიანად გაიცნო.

„სამი გრაცია“ – ასე უწოდა გრიგოლ ორბელიანმა მანანა მირმანოზის ასულს, ნინო და ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულებს. ტიტულებს, რეგალიებს, ლექსებს, და თვით სიცოცხლესაც კი არავინ არავის დაუმსახურებლად არ უძლვინის. ასეა გრიგოლსა და მანანას შორის, რომელიც „ჩემო ძალუავ მანანა“-თი მიმართავდა და მთელი სიცოცხლე პლატონური სიყვარულით ეტრფოდა.

ღვთიური სილამაზით შემკობილი, ლეგენდად ქცეული ერისთავების ასული ერთნაირად ხიბლავდა როგორც შინაურს ისე გარეულს. გაცნობისთანავე მანანას ჰარმონიულობის და პიროვნული მუხტის ზემოქმედებით გაოგნებული დავით ყორლანაშვილი თავის მეგობარს გრიგოლ ორბელიანს საამებლად ფრონტზე სწერდა: – „ნურავის ნუ ეტყვი, შენ მომიკვდე თუ ტყუილს გეუბნებოდე. მანანა გავიცანი, სულ შენზე ლაპარაკობს... ახ! მისი ლოყების და შავი კაბის ჭირიმე... რა გინდა, მე იმისი თმა გამოგიგზავნო დღეისწორამდე“.

მანანა ორბელიანის პიროვნულ ფენომენზე იმდენი საინტერესო დეტალის გაშუქება შეიძლება, რომ ვფიქრობ, ბევრის თქმით წინასიტყვაობის ტრადიციული წესი არ დაირღვეს.

დამოუკიდებლობა დაკარგულ XIX საუკუნის საქართველოში, ქსნის ერისთავიანთ ქალების ცენტრში მდგომი მანანა და მისი სალონური წრის წევრები

ჩაბნელებულ და დათრგუნულ ქვეყანაში მანათობელ ვარსკვლავებად ჩანან, რომლებსაც „ისპაპანიდან პეტერბურღამდე გაგიჟებული ჰყავდათ მნახველი“.

XIX საუკუნის საქართველოში იმდენ ლამაზ ქალს უცხოვრია, რომ სილამაზის კონკურსის იმ დროის უიურის წევრის ამპლუაში ბევრს ჩვენგანს გაგვიჭირდებოდა და რუსი მონარქისა არ იყოს, შესაძლებელია თავისდა უნებურად წამოგვცდენოდა – „მკრეხელობა იყო ასეთი ლამაზი“.

ერისთავიანთ ქალების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია ქსნის ერისთავების ძლიერი ფეოდალური სახლის შთამომავალთა ასულები და რძლები XIV-XIX საუკუნეებში. ხოლო შემდგომ, ნაშრომის მეორე ნაწილში განხილული იქნება XX საუკუნის მანდილოსნები. გულდასაწყვეტია, რომ სისხლის წვიმებით და გამძვინვარებული ეპიდემიებით დამძიმებულ, რთულ ხანაში – XVIII საუკუნემდე – ერისთავის ქალებზე არ მოგვეპოვება ხელომსაკიდი წერილობითი წყაროები, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა ხალხთან ახლოს მიგვეტანა უდავოდ საინტერესო ქალთა სახეები. ამ მხრივ საინტერესო იქნებოდა დიდი გმირის გიორგი სააკაძის ქალიშვილის – ისე ქსნის ერისთავის მეუღლის პიროვნება. ასევე ჩვენში არანაკლებ ინტერეს იწვევს საქართველოსთვის ნაწამები წმინდანების შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების თანამეცხედრეთა ვინაობა. იქნება და ამ წმინდანების ცხედრები იკორთის ტაძრის გუმბათქვეშ კენტად არ განისვენებენ და იქაც ლირსეულად უწევენ მეცხედრეობას თავიანთი სახელოვანი მანდილოსნები.

ჩვენი სამშობლოს ისტორიის მსგავსად, მართლაც ძალზე დიდია ერისთავიანთ ქალების ისტორიაც. გავკადნიერდები და ნაწილობრივ ვალმოხდილი ადამიანის პოზიციიდან ვიტყვი, რომ – „უფრო ძველ ამბავთა ზუსტი გამორკვევა არ მოხერხდა დროის სიშორისა გამო“. არადა გამოსარკვევი კიდევ ბევრია...

ერისთავების ძლიერებისა და მათი ქალების მზითვის სიმდიდრის უკეთ გასაცნობად მოვიტანთ ელენე დავითის ასული ქსნის ერისთავის 1713 წლით დათარიღებულ „მზითვის წიგნს“.

\* \* \*

ჯერცა ამა წელმწიფეთაგან მოყუსად წესებულმან, საქართველოს წარჩინებულმან თავადმან, ქვეყნისა მპყრობელის, ვიდრე შავ-ზღვამდი მჭირავის, დიდისა [კეისრის] იუსტინიანეს მეფისაგან დიდად გულმოდგინებით სიმაღლედ აღწევნილმან და გამდიდრებულ-გაძლიერებულმან, ვიდრე აქამამდე შემდგომთა წელმწიფეთაგან პატივ-საფარველ მოუკლებარმა, მისვე [ძლიერისა იუსტინიანე] მეფისაგან ერისთავთ-ერისთავად წმობილმან, მყოფმან და ყოფადმან ა[რა] წერილისა მისა მსგავსად ქვიშასა ზედან შენებულმან, არამედ კლდესა ზედან დამყარებულის სახლისა და სალაროს მქონებელმან, სახელისა და სიკეთის მძებნელმან, საქართველოს მეფეთა სიქადულმან და უნაკლულომ საღმრთო-სამხედრო ქცევითა, ე რ ი ს თ ა ვ მ ა ნ ბატონმან დავით, ძემან როსტომისა-მან, წებითა და ბრძანებითა ღ“თისათა, ვუქმენით მძახლობა, ზემო-ქართლის თავადს ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ს გ ი ო რ გ ი ს, დაგვესიდა და მივათხოვეთ ძისა

მათისა, ყოვლისა სავაუკაციოს ზნეობით აღსავსის და სიკეთით უნაკლულოს, პირმშოსა უ ზ ბა შ ი ს ქ ა ი ხ ი ს რ ი ს თ ვ ი ს ასული ჩვენი სასურველი, აღ-ზრდილი ქრისტეს სარწმუნოებაზედ, ყოვლის შვენიერებით აღსავსე, უნაკლო ბანოვანთა ქცევითა, მეორე მზე, მეორე მთოვარე, სინათლე თვალთა ჩვენთა, სიხარული გონებისა ჩვენისა, პატრონი ელენე.

ან ესე რა წინამძლრობითა მასვე ცხოველს-მყოფელისა ჯვარისათა, მზით-ვის უნინარეს მოგიმძლვანეთ პატიოსანი, ყოვლად განმაცხოველებელი ჯვარი, ბერძულად მოჭრილი მინაქრით; კიდევ ჯვარი ბერძულად მოჭრილი; პატარა [ტანი]ს ხატი, ძვალზედ თორმეტ საუფლოდ მოჭრილი; ხატი სამებისა, რუსულად მოჭედილი; ხატი ყოვლად წმინდისა დახატული; ხატი აღდგომისა დახატული, ხატი კიდევ ყოვლად წმინდისა დახატული, თავის ზარბაბის ბუდებითა და ზარბაბის ფარდითა.

ქრისტეს საფლავის სახე სადაფით ჩასხმული.

საღმთო წიგნებისაგან: სახარება, დავითით წელით ნაწერ(ი), ვერცხლის ბირკებითა; ჟამნი ერთი ხელით ნაწერი, პატარა ჟამნი; სტამბისა ჟამნი ერთი; ყოვლად წმინდის სავედრებელი ერთი; წმინდის მარინას ცხორება ერთი, სარწმუნოება ერთი.

იელქანი შავს ატლასზედ მძიმედ სირმით ნაკერი.

ჯილა პატიოსანი მურასად შემკული ერთის დიდის ლალით, გარეშემო ოთხის იაგუნდით, ორის ზურმუხტით, მეორე პირი ერთის დიდის ლურჯის იაგუნდით, ორის ლალით, ორის ზურმუხტით; ზეითი თელის ფეხი შვიდის იაგუნდით, ოთხის ზურმუხტით, გარეშემო აშია წვრილის იაგუნდით, მეორე პირი აშია წვრილის ნიშაბურის ფირუზით.

ოთხი ტოტი სამოცდა ორის ხოშორის მარგალიტით, ორის დიდის მარგალიტით, ორის ლალით, ოქროს თითრიმებებით, ორის მურას ჯინჯილით, ოთხის იაგუნდით, ოთხის ზურმუხტით, ორის კავით, მისის თომრით მარგალიტით, სინსილითა და ოქროს თითრიმებით.

საყური პატიოსნად შემკული ორის ბადახშანის, დიდროანის ლალით, ორის ობლის მარგალიტით, ოთხის მსხვილის მარგალიტით, ჯინჯილით მურასა, ორმოცდა ოთხის ნიშაბურის ფირუზით, სამოცდა თორმეტის მარგალიტით, ოთხის კავითა, გარეშემო წვრილისიაგუნდით, ორი ოლით.

ყელსაბამი ოთხმოცდა ექუსის დიდრონის მარგალიტით, ერთის დიდის ლურჯის იაგუნდით, ხუთის ლალით, ათის ზურმუხტით, ათის ფირუზით, ორმოცდა თხუთმეტის დახვრეტილი იაგუნდით, ას ექუსის ოქროს ბირკით, მურასას ბოლოებით.

სირიზა პატიოსანი ერთის დიდის ბადახშანის ლალით, ერთის კიდევ იაგუნდით, ოცდა ათის ზურმუხტით, ათის წვრილის იაგუნდით, ცამეტის ხოშორის მარგალიტით, მისის ოქროს სისილებით, ორის კავით.

თმის სატანები ხუთი სამ-სამ გოზგრიანი, სამის ათასის შადის მარგალიტით, ოცდა თექვსმეტის ოქროს მილით, სამოცდა თორმეტის იაგუნდით, სამოცდა თორმეტის ზურმუხტით, მისის ოქროს ქულიჩებით.

გულის პირის ჩამოსავლები ათას ხუთას მსხვილის მარგალიტით, თოთხმტის ზურმუხტით, ოცდა რვის იაგუნდით, სამის ფირუზით, მისის ოქროს ქული-

**ლიჩებით.**

პირის მარგალიტისა ორას ჯინჯილი, ოთხი კავი.

პერანგის ლილი მურასა ერთი.

ოქროს ჯაჭვი მურასას ამბარჩით, ხუთის დიდროვანის ზურმუხტით, რვის დიდროვანის იაგუნდით, თექვსმეტის წვრილის იაგუნდით, ორმოცდა ცამეტის ნიშაბურის ფირუზით, ერთის მსხვილის მარგალიტით.

ბეჭედი ნითლის იაგუნდისა ერთი; ლალისა ერთი; ყუითლის იაგუნდისა ერთი; ობლის მარგალიტისა ერთი; ზურმუხტისა ორი, მოჭრილი ფირუზე ერთი; ორი დიდროვანის ნიშაბურის ფირუზისა, იქნა თ.

საპირის-ფარეშოს იარაღისაგან: გოდორი ჭრელის ხავედით ერთი, პირ-სახოცი ერთი, სავარცხელი თევზის კბილისა დახატული ერთი, სავარცხელი მუშაბასად მოჭრილი ოთხი; სავ(ა)რცხელი რქისა ერთი.

აგრევე მიჭვრიტანა ვერცხლისა თეგით მოჭრილი ა; მიჭვრიტანა დიდი სადაფისა ერთი, მიჭვრიტანა დიდი დახატული ერთი; სადაფი ვერცხლისა თე-გით მოჭრილი თავის მოჭედილის თავსაბურავით; სალესავი ბროლისა ოქროთ მოჭედილი, ერთის მარგალიტით, მისის ზარბაბის ბოხჩით; სურმის ჩხირი ოქროთ მოჭედილი ერთის მსხვილის მარგალიტით, ორი ვე[რცხლის] ჩხირი, ერთი თმის საყოფი მათის ვერცხლის. . . ჩოფი ვერცხლისა, ჩქიფი ვერცხ-ლისა, სანე[რელი ვერცხლისა, პატარა თასი ინისა, მაკრატელი კავისა [ერთი], ნალბაქი ვერცხლისა, საბამბე ვერცხლისა; მოჭრილი [საქ]ინძისთავე ხალასათ ნაკერი ორის დიდროვანის [მა]რგალიტის ქინძისთავით, ხალასათ ნაკერი სა-სურმე, სა..ლფიალე ბროლისა ერთი; ზედ გარდასაფარებელი ხალასად ნაკერი თახჩა-ფუში; ყუთი დახ(ა)ტული ერთი, თვისის ზანდუკით, ზედ გარდასაფ(ა) რებელის ხალიჩით.

აგრეთვე თავსაკრავი ნაკერი სირმით სამი, დაცუდვილი მუყაიშით ერთი, საია სამი.

აგრევე ლეჩაქი თორმეტი მისის სახამებლის ტაფით.

აგრევე პერანგები ფერდ-ფერადი თორმეტი მისის იეზიდის დარაიბავთის ბოხჩითა.

აგრევე ახალუხი ნარინჯი დარისა ერთი, ნაკერი ხობის ყელი დარაისა ერთი, ნაკერი ყირმიზი დარაისა ნაკერი ერთი, ყალამქრისა ერთი, საგულე სამი, იქნა ჯუმალი შვიდი.

აგრევე კაბა თეთრი იეზდის ზარბაბისა მძიმე; კიდევ კაბა თეთრი იეზი-დის ჩიგნისა ერთი; შალ-ჩიგინი ზარლუ ა, ჩაქსულა ერთი; სოსნისფერი ჩაქანი ზარლუ ერთი; ისფერი ჩაქანი ზარლუ ერთი; ნითელი ჩაქანი ერთი; ყუითელი იეზდის ჩაქანი ერთი; ნარინჯი ჩაქანი ერთი; ზარლუ ფისტა დარიბავთი ერთი; ჩაქანი ისფერი ერთი; მწვანე ზარლუ დარიბავთი ერთი; თეთრი იეზდის დარია უთოქეში, ათის სირმის ქურთუბალით, კლიტით და მარგალიტით მორთული ა; თეთრი იანდაური ლაქური ზარლუ ერთი; ნარინჯი გილანის დარაია უთოქეში ერთი; თახთახი დარაია გილანისა ერთი; ჩინი დარაია ერთი, მისის ზარბაბის ბოხჩით, ჯუმალი იქნა თექვსმეტი.

აგრევე წელსარტყამი მისის ფირუზის არის დანითა; კრიალესონი მარ-ჯისა; კიდევ კრიალესონი დიდროვანი ქარვისა; კრიალესონი გიშრისა, დი-

დროვანი და დიდროვან ქარვა-ნარევი, ქარვის ჯვარით, სირმის ფოჩებითა; კიდევ კრიალესონი ქარვისა; გიშრის კრიალესონი; ერთი კიდევ ქარვისა; ერთი კიდევ თეთრი კრიალესონი, ერთი თავთავის სირმის ფოჩებით; კიევ მინისა ერთი, მარგალიტის გოზგრითა.

აგრევე წელსახოცი სირმით ნაკერი ერთი; კიდევ სირმით ნაკერი ერთი; ყალამქრისა ერთი; კიდევ ყალამქრისა ერთი; კიდევ ოქრომკერდით ნაკერი ერთი; კიდევ ნაკერი ერთი; იქნა ჯუმალი ექუსი.

აგრევე სარტყელი თეთრი დიბისა ერთი; მწვანე თირმა-შალი ჩიგინი ერთი; თეთრი თირმა-შალი ერთი; ჩიგინი წითელი ქირმანი შალი ერთი; ხორცის ფერი თირმა-შალი ერთი; შავი თირმა-შალი ერთი; ბასმა სარტყელი ერთი; იქნა ჯუ-მალი შვიდი მისის ზარბაბის ბოხჩით.

აგრევე ქათიბი მძიმე იეზდის დიბითა, სინჯაფის ბენვითა ძალარით; კიდევ იეზდის ნაქსოვის ქათიბა წეროს ფერი, მისის სინჯაფის ბენვით, მისის ზარბაბის ბოხჩით.

აგრევე ტყავი ისპანის ქარხნის, დიბა აშიადრად ქსოვილი, შავის სიასამურის ბენვით, ერთის ჯუფთის მარგალიტის ქურთუბალით, ორის დიდის მარგალიტით, შვიდასის მარცვლის მარგალიტით; კიდევ შავის მძიმეს იეზდის ნაქსოვის ტყავი მისის სიასამურის ბენვით, ერთის ჯუფთის მარგალიტის ქურთუბალით; ისპანის თეთრის დიბის ტყავ-კურდლლით, მისის ქურთუბალით; თეთრი მძიმე იეზდის ნაქსოვი კურდლლის ბენვით და ქურთუბალით, ფრანგულის ატლასისა, კურდლლის ბენვით და ქურთუბალით; ყუითელი იეზდის ნაქსოვისა, კიდევ მისის სინჯაფის ბენვით და ქურთუბალით, თავ-თავის ოქრომკერდის ზორნებით; კიდევ ხორცის ფერი იეზდის ნაქსოვისა, სინჯაფის ბენვით და ქურთუბალით, ერთის გილანურის დიდის ბოხჩით, იქნა ჯუმალი ტყავი შვიდი.

აგრევე ტოლამა იეზდის ნაქსოვისა ცისფერი მისის ქურთუბალებით, მისის ზარბაბის ბოხჩით.

აგრევე ჯორბები ხალასათ ნაკერი დიბისა და იეზდის ნაქსოვისა მისის წულებით, ჯუმალი ცხრა.

აგრევე მაშაიბი კემუხტისა ოთხი.

აგრევე აბანოს იარალისაგან: ქირმანული ხალიჩა, სეზანი ერთი, აბანოს პერანგი ერთი, დარის ფუთა ერთი, პირსახოცი ერთი, ქისა ორი, ყადიფა ყალამქრისა ერთი, თავსახვევი ორი, ხელსახვევი ზარბაბის ჯუფთი ერთი, ფეხსახვევი ჯუფთი ერთი, მათის დარის ბოხჩით, ჩოლრათო ერთი, ტაშტი ერთი, ფეხის ქვა მოჭედილი ერთი, ლეჩაქების ტაშტი ერთი, სარეცხის ტაშტი ერთი, საბანოე დიდი ტაშტი ერთი, ალთაფა ერთი, ქუაბი დიდი ერთი, თუნგი ერთი.

აგრევე საწოლის მოფენილობა: ორხოვა წყუილი ერთი, ჯეჯიმი წყუილი ერთი, თაქნაბადი წყუილი ერთი, ქუნთა ერთი, ქეჩა ერთი, სუზანი ერთი, დორი ნაკერი ოქრომკერით ერთი; ბუხრის იარალი: ფიცარი, ათაშქაში, მაშა.

დიდი ფარდა ერთი მძიმის იეზდის ზარბაბისა ქობით, ლაინის სარჩულით, თოკით, ოღებით.

აგრევე სკივრი ხათაბანდისა ერთი, ხავედით შემოსილი, ვერცხლით მოჭედილი დაფერილი ა; კიდევ ყუთი ჩინრისა მისის ბოხჩებით და წვრიმლით.

აგრევე გარეშეს წიგნისაგან: ვეფხის ტყაოსანი, ზილიხანიანი ერთი, ირ-

**დუხტიანი ერთი.**

განჯაფა ერთი, ნარდი ხათაბანდისა თევზის კბილის კაცებით, კამათლით. აგრევე საწერელი სადაფერისა ერთი, ვერცხლის თავით და განცყობილობით.

აგრევე ქუეშაგებისაგან: დოშავი, ქაშანის ჩიგინი შალყუთნის სარჩულით, კიდევ ბუმბული ისფირის ზარბაბისა, ერთის ყუთნის სარჩულით, ერთის ჯუფთის საქლემოს მაფრაშით, ქუემოურის გარდასაფარებელის ჯეჯიმითა, კიდევ დორი იეზდის ნაქსოვისა, ზენარი მისხლისა.

აგრევე ბალიში მწვანე იეზდის ნაქსოვისა ყუით, კიდევ ისფერი იეზდის დარიბავთის ბალიში ყუით, ყურის ბალიში იეზდის ნაქსოვისა ორი.

აგრევე საბანი ხორცის ფერი იეზდის დარაიბავთისა, კიდევ საბანი ყუით-ლის დიდის დარაიბავთისა, წითლისა და ჩინის იეზდის დარაიბავთის აშებით, კიდევ საბანი ფათანისა, კიდევ საბანი ფათანის ყუთნისა მათის გუილ-გლის სარჩულებით, მისის ქვეშ-საფერის წითლის ლანდრის ხალიჩა-ფუჩით, წყუილის მაფრაშით, ზედგადასაფარებელის ფარდაკებით.

აგრევე ვერცხლის იარალისაგან: სასანთლე ვერცხლისა ერთი, მისის მაყა-შით და ზირანდაზით, ლიტრა წყლის სასმელი ვერცხლისა ერთი, ტაშტი ვერ-ცხლისა ერთი, ავთაფა ვერცხლისა ერთი მისის იეზდის ნაქსოვის მუქლზე გარ-დასაფარებელით.

სურა ყელმაღალი ერთი ვერცხლისა, სურა ყურიანი ვერცხლისა ერთი, ოქროს თასი ერთი, ვერცხლის ფიალა ორი, ვერცხლის თასი ორი, სამარილე ვერცხლისა ერთი, საყინულე ვერცხლისა ერთი, კოვზი ვერცხლისა ერთი, თეფ-ში ვერცხლისა ერთი, სურა სპილენძისა ერთი, სამარილე სპილენძისა ერთი, იეზდის ჩაქანის ზირანდაზით, იქნა ყუელას ვერცხლის იარალის ჯუმალი ოქროს თასით ჩივიდმეტი.

აგრევე სუფრა ყუითლის იეზდის ზარლუ ჩაქანისა წითლის დარიბავთის აშიით, ქობით, სარჩულით; ბაბამითის ჩითის სუფრა დიდროანი წყუილი ერთი; ურდეურის ჩითის სუფრა წყუილი ერთი, მათის ლაინის სარჩულებით, ჯუმალი სუფრისა ხუთი, იახტანი ერთი.

აგრევე ქარხნის იარალისაგან: თუში ფიალა ცხრა, ნალბაქი ცხრა, ბოშლაბი ოთხი-ცხრა, აშის ჯამი კიდევ ცხრა, დიდი აშის ბადია ერთი მისის აშყაშულით, ყაბი ერთი, მისის ზარფუშითა, კიდევ ყაბი ერთი მისის სარფუშით, კიდევ ყაბი ერთი მისის ზარფუშით, სუფრაყაშულითა; დიდი საძროხე ქვაბი ორი, საცხვრე ქვაბი ორი, ქაფქირი ერთი, ავგარადანი ერთი, თუშფალანგი ერთი, შამფური ერთი, ზადადგარი ერთი.

აგრევე ფისოზი სპილენძისა ორი, მისის ზირანდაზებით, ფიდანი ერთი, კოვზი ერთი; ფანარი ერთი; მაშხალა ერთი, იქნა ჯუმალი ნაჭერი სამოცდა თორმეტი.

აგრევე საცხენოს იარალისაგან: ტყავ-კაბა შავს ატლასზედ მძიმედ სირმით ნაკერი, სავეს სიასამურის ბერვით, ქურთუბალებით და ზონრით.

ოქრომკერდით შეკერილი ჩიგინი, ყელსაგდები ჯუნაია.

თავსადები ჯუნია მისის მძიმის მუყაშის ფათითა, მისის დარაის ბოხჩითა.

აგრევ საწვიმარი სირმის აშიით მისის ბოხჩით.

ჩექმა ერთი, წელსაჭერი მარაო ერთი.

აგრევე ზანდუკი ქაშანისა წყუილი ერთი, თავთავის ზედ-გარდასაფარებელის ფარდაკებითა.

აგრევე და ცხენის იარაღი: უნარიგი ოზბეგური ვერცხლისა, მუდახილი, ოქროთ დაფერილი, ვერცხლის რახტით, მისის ზარნიშის ავუანდებით, თაქალთო საისა, ორთუკი წითლის საისა, მძიმეთ ნაკერი.

აგრევე გამოგუიტანებია გამდელი პატიოსანი, სამის პატიოსნის ხატითა, მანდილითა, მარგალიტის საყბეურით, ჯაჭვითა, ცხრის ოქროს ლილით, ოქროს ბეჭდებითა, ერთის იაზდის ნაქსოვის ტყავითა, შავის სიასამურის ბენვითა; კიდევ მეორის იეზდის ნაქსოვის ტყავით, ისპანის თეთრის დიბის ქათიბით, სინჯაფის ბენვით, კიდევ იეზდის ნაქსოვის ქათიბით, სინჯაფის ბენვით, იეზდის სუთის ტოლამით, კვერნის ბენვით, ცხრის ზარბაბის კაბებით, ორის დიბის სარტყლით, ერთი თირმა-შალით, ხუთის ქელის მოვებით და მერდინებით, ხუთის ლეჩაქებით; აგრევე ვერცხლის დიდის თასით, სპილენძის სურით.

აგრევე ქუშაგებისაგან ექუსის კაის საბნით, ერთის ბუმბულით, ერთის დორით, სამის კაის ბალიშითა, ორის ქაშანის ზანდუკითა, ოთხის მაფრაშითა, ხალიჩებითა, ჯეჯიმებით, ფარდაგებით, სპილენძის იარაღისაგან: ხუთის ქუაბით, ზედადგრით, თეფშებით, ჯამებით, ფისოსით, სასანთლით, ტაშტით, ავთაფით, თუნგით, ტაფით.

აგრევე მხლებლითა ბიჭითა, ოზბეგურის უნაგრით, ვარცხლის რახტითა, მისის იარაღით, იეზდის ნაქსოვის სიასამურის ბენვის სავსით, ტყავ-კაბით, ორის სანვიმრით.

აგრევე აზნაურიშვილის ფიცხელაურის ქალი პატიოსანი, ორის ხატით, ოთხის ქელის ტანისამოსით, იეზდის ნაქსოვის ქათიბიბით, სარტყლით, ლეჩაქებით, ლილით, ბეჭდით, მისის ქვეშაგებით, ჩექმით.

აგრევე პირის-ფარეში პატიოსანი მისის ორის ხატით, მძიმის იეზდის ნაქსოვის ტყავით, ტყავ-კაბით, ცხრის ოქროს ლილით, ზარბაბის ქათიბით, ექუსის ქელის კაბით, ლეჩ(ა)ქებით, დიბის სარტყლით, ქირმანის შალით, სანვიმრით, ორის საბნით, დოშაქით, ბალიშებით, ხალიჩითა, ჯეჯიმითა, ფარდაგითა, ზანდუკითა, მაფრაშითა, ჩექმითა, ჯამებითა, თეფშებითა, ცხენის იარაღით.

აგრევე მოლარე პატიოსანი ორის ხატითა, იეზდის ნაქსოვის ტყავითა, ტყავ-კაბითა, ქითიბითა, სანვიმრითა, ცხრის ოქროს ლილითა, ექუსის ქელის კაბითა, მისის ფერადების პერანგებით, დიბის სარტყლითა, ქირმანის სარტყლით, ლეჩაქებით, ზანდუკითა, მაფრაშითა, საბნით, ბალიშით, ლეებითა ჯეჯიმებითა, ფარდაგებითა, თეფშებითა, ჯამებითა, ცხენის იარაღითა, ჩექმითა და მაშითა.

აგრევე მედოშაკე პატიოსანი იეზდის ზარბაბის ტყავითა, ტყავ-კაბით, ქათიბითა, ცხრის ოქროს ლილითა, ექუსის ქელის კაბებითა, დიბის სარტყლით, თირმა-შალით, საბნებითა, ბალიშებითა, ლეებითა, ზანდუკითა, მაფრაშითა, ჯამითა და თეფშითა, ჯეჯიმებითა, ფარდაგითა, ცხენის იარაღითა, სანვიმრითა, ჩექმითა, მაშითა.


აგრევე კიდევ მხლებელი ტყავ-კაბითა, ქათიბითა, ხუთის ხელის კაბითა, პერანგებითა, მ[აფ]რაშითა, ქვეშაგებითა, ჩექმითა, მაშითა.

აგრევე გამოგვიტანებია მერიქიფეთ აზნაურიშვილი ფიცხელაური ზაზა მათის ოროლის ხელის კაბითა და ტანისამოსითა.

აგრევე კიდევ აზნაურიშვილი აბულაძე გიორგი.  
 აგრევე შათირი.  
 აგრევე გამოგვიტანებია ფარეში ჩიქლაძე შერმაზან, [კიდე]ვ ფარეში გოგი-  
 ლური თამაზა.  
 აგრევე მზარეული ლუგასაშვილი.  
 ხაბაზი.  
 აგრევე ცხენის ჯოგი ცხრა მისის მეჯოგით.  
 სამეხრეო გამართული მისის გუთნის-დედით.  
 სადიასახლისო ფური ცხრა მის დიასახლისით.  
 ცხვარი ასი მისის მეცხვარითა.  
 ლორი ოცდა ათი მისის მეღორითა.  
 ჩვენი მორჭმა, დიდება, ყოფა, სიცოცხლე [თქვენთ]  
 ვის მარადის უშურველია ამად, რომე [დაიმტკი]  
 ცა ჩვენ შორის მოყურობისა სიტკბო [სიყ]  
 უარულის ძეგლი, რომე დღეს ამას [შემდეგ თქვე]  
 ნ ხართ ჩვენი ზურგი შემწე. . .

იყურთხა გვირგვინი ლვთისა სი. . .

ამათისა თვესა სეკდენბერსა ხუთს, ქას უ ა.  
 (1713 წ.)



გრიგოლ ავგაროზის ძე ბანდაისძე.  
 ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერისთავთა“-ს ავტორი.  
 მხატვარი ნიკო ხერკელაძე

## მათობი – იოვანე ერისთავთარისთავის მეუღლე ქარჩობიდან

(დაახლოებით 135?-1378)

ქსნის ერისთავების ძველი სახლი ქვენიფნევში, როდესაც ჯერ კიდევ ქვენიფნევებს ერისთავობა თანამდებობად ჰქონდათ და არა გვარ-სახელად, – „იყო სახლი... სარწყო აღმომდინარედ კეთილთა და ულეველ, ვითარცა ზღვად“, ამბობს შუასაუკუნეების მემატიანე. მისივე თქმით, ცხრაზმისხევის საერისთავო რეზიდენციასთან არსებობდა – „ქვენიფნევს 55 სახლი უძლურთა და დავრდომილთა“, – რომელთაც უანგაროდ უყოფდა საზრდოს ქვენიფნეველთა სახლი.

ქსნის ერისთავების ამ ძველ სამოსახლოს ახსოვს ახოვანი, მხნე და სამართლიანი ერისთავი იოვანე, ძმა შალვა ქვენიფნეველ II-ისა, წინამძღოლი და პატრონი ცხრაზმისხევის საერისთავოსი.

თურქების წინააღმდეგ მებრძოლ მეფე გიორგი ალასტანელის გვერდით ქართველ დიდებულებთან ერთად, 1373 წლის 6 აგვისტოს დაიღუპა ერისთავი შალვა ქვენიფნეველი II, რომელიც ითვლებოდა მეფის ამილახორად. მის მხარდამხარ მებრძოლი შუათანა ძმა – იოვანე ქსანზე დაბრუნებისთანავე: „დაჯდა ერისთავად და ახოვანებასა სიმხნესა მისა ზედა შესძინა სამართალი...“

ცხრაზმისხევის საერისთავოს მემატიანე დადებითად ახასიათებს იოვანეს: „იგი იყო მამა ობოლთა, შემწე უღონოთა, საზარელი მტერთა, მოყვარე მღვდელთა, პატივისმცემელი მონაზონთა, შემამკობელი ხატთა...“

ბიძის – წითლოსანის თვალწინ დავაუკაცებული სამი ობოლი ძმიდან უფროსი შალვა ქვენიფნეველი უშვილძიროდ გადაეგო მტრებთან ბრძოლაში, უმცროს გიორგის უფროს ძმაზე წინ დაქორწინება არ შეეძლო, ასევე გაუთხოვარია მათი და ვისი – დედაბრობაში რიფსიმე. ამიტომაც მალევე დადგა დღისწესრიგში შუათანა ძმის – იოვანეს დაქორწინება, რათა მრავალ შტოდ გაგრძელებულიყო ქვენიფნეველთა დიდებული გვარტომობა.

გაერისთავებიდან იოვანე მალევე ქორწინდება. ის უნათესავდება თავისავე საერისთავოს დამორჩილებულ ქარჩობში მცხოვრებ დიდებულ აზნაურის – სავარაუდოდ ხევისთავის ძლიერ ოჯახს. შუა ქარჩოს მცხოვრები ხევისთავის ლამაზი ასული – მნათობი 1374 წელს ცოლად მოჰყავს იოვანე ვირშელ II-ის ძეს.

„მაშინ მოიყვანა მეუღლე პატივოსანი ქოვსოთ, კეთილი, ღმრთისმოყვარე და სრული ყოვლითურთ. ამან შეჰმატა ღმრთისმსახურებასა და კეთილის ყოფასა დაღონებულთასა“.

ახალშეუღლებული და მთელი მათი დიდი ოჯახი მალე პრობლემის წინაშე

დადგა. დრო გადიოდა და მნათობს შვილი არ უჩნდებოდა. „მაშინ ევედრე-ბოდნენ ღმერთსა ყოვლით ერითურთ მოცემად შვილისა“... და აი, თითქოს შეისმინა ღმერთმა მათი ვედრება. 1376 წელს ქარჩოხის ხევისთავის ასულმა – მნათობმა ქვენიფნევის სასახლეში შვა ვაჟი – ვირშელი, მომავალი გმირი, საერისთავოში შემოჭრილი თემურლენგის ჯარების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლებისა. „და განიხარეს დიდითა ყოვლისა ერისათა და მრავლისა ღა-მისთევითა, უამისწირვითა, გლახაკთა და მღვდელთა მიცემითა შეჰვედრეს ღმერთსა“.

უქველია „ყრმა-წულის“ შეძენა ქვენიფნეველთა მსგავსად სიხარულის მიზეზი გახდებოდა ქარჩოხზე ქოვსოითს მცხოვრები ხევისთავის სახლობისა. ახლად დამოყვრებული ოჯახები დიდად ხარობდნენ და შეთანხმებულნი ეპრ-ძოდნენ გარეშე და შინაურ მტერს.

ქსნის ერისთავების საგვარეულო მატეანის ავტორი ბანდაიძე მწირ ცნო-ბებს გვაწვდის მნათობთან იოვანეს ქორწინებაზე და მათი შვილის – ვირშელის ყრმობაზე. ძირითადი ცნობა ალსაზრდელ იოვანეზე შემდეგია: „... და რაჟამს სძესა განეყენა, სწავლად წმიდათა, წერილთა მისცეს იგი, და წარიყუანა მამი-დამან მისმან, სრულმან ყოვლითა მეცნიერებითა, სიბრძნითა და გონიერებითა, და ზრდიდა მას შემსგავსებულად სიბრძნისა თვისისა“.<sup>1</sup>

ღვიძლი და იოვანე ერისთავისა – ვისი, აღმზრდელი ძმისწულ ვირშელისა, როგორც საბუთებიდან ირკვევა გაუთხოვარი ყოფილა. მემატიანის თქმით, იგი მონაზონია ანუ დედაბერი, რომელიც საერისთავოს რომელიმე ტაძარში იქნე-ბოდა გამწესებული. ეჭვგარეშეა, რომ ეს ტაძარი კულტურისა და განათლების ძლიერი და სრულფასოვანი კერა იქნებოდა, სადაც ალსაზრდელ ვირშელთან ერთად მამიდამისი ვისი, მონაზონობაში რიფსიმე, მოღვაწეობდა.

ექვთიმე თაყაიშვილი თავის „ქრონიკების“<sup>2</sup> II წიგნში, სადაც შეტანილი აქვს გრიგოლ ბანდაისძის „ძეგლი ერისთავთა“, მე-12 გვერდის სქოლიოში მიუთითებს, რომ „მამიდა მისი იყო „ვისი“ დედაბერი (ალბათ ლარგვისის მონასტრისა). ეს სჩანს ეკლესიის მუზეუმის ეტრატის სახარების (№ 25) წარწერათაგან“.<sup>3</sup> ჩვენი აზრით, ვისი ლარგვისის მონასტრის მონაზონი არ უნდა ყოფილიყო, წინააღმ-დეგ შემთხვევაში მწერალი ბანდაისძე, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლარგვისის მონასტრში, იქ სადაც იმყოფებოდა დედაბერი – რიფსიმე ალსაზ-რდელ ვირშელზე არ დაწერდა „მისცეს იგი და წარიყუანა მამის დამან მისმან“, არამედ დაწერდა „მისცეს იგი და მოიყვანა მამის დამან მისმან“.

ვარაუდის გამოთქმა, თუ სად, ან რომელ მონასტერში უნდა აღეზარდა მამიდას ძმისშვილი ამჯერად გაგვიჭირდება.

ქოვსოითელი ასული – მნათობი მეორე შვილზე მშობიარობას გადაჰყვა. მემატიანე შემდეგნაირად გადმოგვცემს ამ უბედურებას: „და მუცლად იღო კვალად და შვა ქალი, და მიიცვალა მანიაკი<sup>3</sup> ყოველთა მანდილოსანთაც“. ჩვენთვის ძალზე საინტერესო იქნებოდა ბანდაისძისეული ცნობები ქვენიფ-

1 სიტყვა „სძესა“ ძეგლი ერისთავთას ზოგიერთ გამოცემებში წერია „ძესა“ ე. ი. „ს“ გარეშე. შესაძლებელია დედანში ენეროს „რძესა“ ან „სძესა“ რაც ძუძუდან მოშორებას უნდა ნიშნავდეს

2 აქ უზუსტობაა. უნდა იყოს № 26 წარწერათაგან

3 მანიაკი – თვლებით მოოჭვილი ყელსაბამი. მნათობი შედარებულია ლამაზ და ძვირფასი თვლე-ბით მოოჭვილ სამკაულს

ნევის სახლში მიცვალებულის გლოვისა და დაკრძალვის შესახებ. ასევე ჩვენთვის საინტერესო ცნობა, თუ სად, ან რომელ საძვალეში დაიკრძალა ერისთავების რძალი – უცნობია. სავარაუდოდ „მანიაკი ყოველთა მანდილოსანთა“<sup>1</sup> ლარგვისის მონასტრის ახლოს არსებულ ერისთავთა და დიდებულ აზნაურთა საძვალეში უნდა დაეკრძალათ, რისი არსებობაც სამწუხაროდ დღემდე მიკვლეული არ არის. საფიქრებელია, რომ ქვენიფნეველებს მინი საძვალე მონასტრის სამხრეთ ეზოში, მინისქვეშა დარანში მოეწყოთ. ძნელი სათქმელია XIV საუკუნეში ქვენიფნეველ ერისთავებთან მიმართებაში შესრულდებოდა თუ არა მშობიარობისას დალუპული დედის საერთო საძვალის ერთ რომელიმე ნაწილში ან სხვა სასაფლაოზე დაკრძალვის რიტუალი. საკითხი იმდენად საინტერესოა, რამდენადაც ის შეუფერხებლად სრულდებოდა წვრილ ერში და ცალკე დაკრძალვის აუცილებლობა დედასთან ერთად ვრცელდებოდა დალუპულ მოუნათლავ ჩვილზეც.

მნათობის გარდაცვალებიდან „რავდენთამე“ წლის შემდეგ ცხრაზმისხევის აღზევებულმა ერისთავმა იოვანემ ცოლად შეირთო „ასული ლმრთივგვირგვინოსნისა დავით მეფეთ-მეფისა“ – სახელად გულშარი. ამდენად, ქოვსოითელ აზნაურული ოჯახისათვისაც დიდი ლირსების ნიშანია ერისთავთერისთავის საქართველოს სამეფო კართან დანათესავება.

ხევისთავის ინსტიტუტი ქსნის ხეობაში ჯერ კიდევ ადრეანტიკურ ხანაში, ჩვ. ნ. აღ-მდე VI–IV საუკუნეებში არსებობდა. რისი თქმის საფუძველსაც იძლევა ის არასრული არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც მოძიებულია ქსნის ხეობის სოფლებში: თინიკანში, საძეგურში, ყანჩათში და იკოთში.

VI საუკუნეში ცხრაზმის ხეობაში გადმოსულ როსტომ ბიბილურს ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ „მიუბოძა შვიდნი ესე ხევნი, განსაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა, და უნოდა ერისთავ ცხრაზმისხევისა“.

ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ცხრაზმისხევზე საერისთავოს შექმნასა და გაძლიერებას უნდა მოჰყოლოდა ხევისთავების გაქრობა. ხევისთავის ინსტიტუტი ქსნის ხეობაზე ყოველთვის არსებობდა სხვადასხვა ფორმით, დატვირთვითა და სახელწოდებით. შეიძლება ითქვას, რომ იგი დღესაც არსებობს საკრებულოების სახით (ქარჩოხის საკრებულო, გდუს საკრებულო, ცხრაზმისხევის საკრებულო და სხვა).

ანტიკურ ხანაში ქსნის ხეობის ზემოწელზე, კერძოდ ქარჩოხში, სოფელ თინიკანის მიდამოებში უნდა არსებულიყო სახევისთავო. ამ მოსაზრების გამოთქმის საფუძველს იძლევა შემდეგი ფაქტორი. 1985 წლის ზაფხულში, საქართველოს რესპუბლიკის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ ძეგლთა პასპორტიზაციის ჩატარებისას, ქარჩოხში, სოფელ თინიკანის დასავლეთით, სათემო სალოცავის ტრაპეზზე მიკვლეული იქნა ბრინჯაოს ჩამოსხმული და ნაწილობრივ ნაჭედი ხევისთავის ინსიგნია – შტანდარტი, იგი მიჩნეულია არქეოლოგიურ ნივთად, რომელიც უნდა მიეტანა ეკლესიის მრევლის რომელიმე წევრს<sup>1</sup>.

1 ქარჩოხის ერისთავის ინსიგნიაზე იხ.: ვ. ღუნაშვილის ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან. თბ., 1997. გვ. 121.

პუნქტს, რომელიც შესაძლებელია მივიჩნიოთ ხევისთავის რეზიდენციად, აუცილებლად უნდა მოქმოვებოდეს: საცხოვრებელი, საკულტო-რელიგიური და თავდაცვითი – საფორტიფიკაციო ნაგებობანი, ამასთან ერთად საგვარეულო საძვალე. ჩვენს მიერ წარმოდგენილ მოსაზრებას, რომელიც გულისხმობს, თი-ნიკაანში სახევისთავოს არსებობის შემდგომ, XIV–XV საუკუნეებში ქოვსოითში ქაშვეთის პლატოზე – „გარძაბორში“ ქარჩოხის ხევისთავის რეზიდენციის არ-სებობას. ჩვენეულ მოსაზრებას ამყარებს იქ დღემდე შემორჩენილი:

1. პომპეზური, დიდი დარბაზული ფორმის მკვიდრი ნაგებობის ნანგრევები – **საგვარეულო სახლი.**

2. პლატოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში ადრე შუასაუკუნეების დრო-ინდელი, საშუალო ზომის ქაშვეთის **სამლოცველო** სამეუნეო დანიშნულების ნაგებობებით, საუკუნოვანი გიგანტური წიფლნარით.

3. საგვარეულო სახლიდან ჩრდილოეთით ძაბუეთის ხევში, „თანდილაანთ მიწებთან“ დღესაც ამაყად მდგარი ხუთ სართულიანი ზურგიანი **ციხე-კოშკი** კარის ეკლესიით, სამეურნეო ნაგებობებითა და გალავანით.

4. პლატოზე სასახლის ნანგრევებიდან, დასავლეთით 150 მეტრში, ფიქ-სირდება მდიდრული **საგვარეულო სამარხი.**

იმის შესახებ, რომ ქოვსოითი ქარჩოხშია ან თვითონ ქარჩოხია არაფერს ამბობს „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი. დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილს, ამ ძეგლის პირველ მკვლევარს, თავის გამოცემაში სიტყვა ქოვსოითი არ აქვს ნახსენები. ექვთიმე თაყაიშვილი კი თავის „ქრონიკების“ II წიგნის 1897 წლის გამოცემაში მე-12 გვერდის სქილით მიუთითებს „ეს სიტყვა არ არის მელვი-ნეთუხუცესიშვილის ვარიანტში. აქ არშიაზე სხვა ხელით ყოფილა წარწერა: „საცა ქარჩოხი ჰქვიან“.

ირკვევეა, რომ ბანდაისძის მიერ შედგენილ საგვარეულო მატიანეში კი წავი-კითხავდით: – იოვანემ ქავსოითიდან მოიყვანა „პატივოსანი, კეთილი“ მეუღლე, მაგრამ, რომ არა კეთილი ნება ლარგვისის მონასტრის უცნობი საეკლესიო პირისა, რომელმაც უფრო მეტი ცნობის მოსაწოდებლად პერგამენტზე სიტყვა ქოვსოითან გააკეთა სამ სიტყვიანი მინაწერი – „საცა ქარჩოხი ჰქვიან“, ჩვენ დღეს არ გვეცოდინებოდა, რომ აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტი ქარჩოხის ადმინისტრაციული ერთეულის ნაწილია. რომ არა XIII საუკუნის ოთხთავის<sup>1</sup> მინაწერები – სულთა მატიანეში არ გვეცოდინებოდა მნათობის სახელი, რო-მელიც ქარჩოხის ხევისთავის ოჯახის ასული უნდა იყოს. ასევე არ გვეცო-დინებოდა მნათობის მუღლის – ანუ ვირშელის მამიდის სახელი – ვისი, იგივე დედაბერი – რიფსიმე.<sup>2</sup>

ეჭვგარეშეა, რომ ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანის შემქმნელი გრიგოლ ბანდაისძე პირადად იცნობდა იოანე ერისთავთერისთავს, ასევე მის მემკვიდრე ვირშელს და ამჯერად ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მანდილო-

1 ჩვენ ვთვლით, რომ უპრიანი იქნებოდა ეს ოთხთავი ისტორიაში შესული ყოფილიყო ლარგვი-სის XIII საუკუნის ოთხთავის სახელით. მისი გადამწერია ნიკოლოზ კატარანისძე. დაზიანებული ტექსტის აღმდეგი, წინამდებარი გერმანე. ოთხთავის, იგივე სახარების ბოლოში, თავისუფალ გვერდებზე შეტანილია სულთა მოსახსენიებელი ქსნის ერისთავებისა, ასევე ბოძების და ნასყ-იდობის წიგნები. იხ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა A კოლექცია, ტ.1. თბ., 1973. გვ.88).

2 ურდანია თ. ქრონიკები. წიგნ. II. ტფ., 1897. გვ.27.

სანს – მნათობს, რომლის შობილმა ქსანზე თემურ-ლენგის შემოსევამდე – „მოიყვანა მეუღლე პატივოსანი ნათესავთაგან დიდტომთა და სამეუფოთა, რომელსა ერქვა თამარ, რომლისა სიტურფე, სიკეთე – უკლებობაა უნახავთა-გან სანატრელი იყო და ნანახთაგან სატრფიალო“.

ასევე ეჭვგარეშეა, რომ ბევრ საინტერესო ცნობებს დაგვიტოვებდა მნა-თობის ცხოვრებაზე „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი, რომ არა მშობიარობისას დატრიალებული ტრაგედია.

აქამდე საზოგადოებისათვის უცნობი გეოგრაფიული პუნქტი – ქოვსოითი (ქოვსოეთი), რომლისთვისაც ყურალდება დღემდე არავის მოუქცევია და უფრო მეტიც, მისი ხსენება ქსნის ერისთავებს საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერი-სთავთას“ გამოცემებში რატომღაც საჭიროდ არ მიიჩნიეს. (მაგალითად: ქარ-თული მწერლობა, ტ. 5. თბ., 1988. გვ. 114), არ არის გამორიცხული, რომ იგი იყოს დღევანდელი ქარჩოხის ძველი სახელწოდება. თუმც, ვფიქრობ, უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ ის იყოს ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი ქარ-ჩოხის ხეობისა.

თუ ჩვენი მოსაზრება რეალურია, რომ სოფელ მიდელაანის დასავლეთით „გარძაბოურში“, ქაშვეთის პლატოზე შემორჩენილი სამუბნიანი დასახლება ქოვ-სოეთია, მაშინ ამ სამიდან ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ნაგებობა უნდა ეკუთ-ვნოდეს ეკონომიკურად და სოციალურად დაწინაურებულ დიდებულ აზნაურს – ხევისთავს, მნათობის მამისეულ ოჯახს, რომლის სახლიდან იქვე, დასავლე-თით სულ პატარა ტყის კორომში შემთხვევით ნაპოვნი იქნა სამარხეული განძი.


ქაშვეთის პლატოს ალნიშნული განძი გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში აღმოაჩინა სამწყემსურში ყოფნისას სოფელ მიდელაანის მკვიდრმა, 1922 წელს დაბადებულმა ვლადიმერ ივანეს ძე მიდელაშვილმა. წვიმის დროს ტყის პატარა კორომს შეფარებულმა, მიწის ზედაპირზე ნახევრად გამოჩენილი თეთრი ფერის მძივების ჯოხით ჩიჩენისას იპოვა წყვილი საყურე და ვერცხლის ორი თევზი, სიგრძით დაახლოებით 8 სანტიმეტრის. არასრული არქეოლოგი-ური ნივთები ვლადიმერმა სახლში შეინახა. მათგან 1 თევზი მისმა ქალიშვილმა, 1952 წელს დაბადებულმა ელზა მიდელაშვილმა ბალაანის სკოლის დირექტორის ნასყიდ იასონის ძე ბერიანიძის თხოვნით სკოლაში მიიტანა, მხარეთმცოდ-ნეობის ოთახის მოსაწყობად. როგორც ცნობილია, ამგვარი ოთახი აღნიშნულ სკოლაში არასდროს არ მოწყობილა. საბოლოოდ, ყურადღება მოკლებული ძვირფასი არქეოლოგიური განძი, სკოლაში მიტანილიც და სახლში დატოვებუ-ლიც, უკვალოდ დაიკარგა. სამნუხაროდ განძის მპოვნელი ვ. მიდელაშვილი ამ შემთხვევიდან მალევე, 1964 წელს 42 წლის ასაკში გარდაიცვალა.

როგორც ბოლოს ვლადიმერის ვაჟმა ტარიელ მიდელაშვილმა (დაიბადა 1956 წ.) გვითხრა: მამის სიკვდილიდან კარგა ხნის შემდეგ, განძის პოვნის ადგილის მოსასინჯად წერაქვებით შეიარაღებული სოფლის ბიჭები წავედით, თუმცა ამა-ოდ. ვერც ადგილს მივაგენით და ვერც სხვა რამ ვიპოვეთო.

დავძენთ, რომ XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ქაშვეთის პლა-ტოზე ვ. მიდელაშვილის ნაპოვნი სამარხეული განძისა და ასევე არქეოლო-გიური კერის მეცნიერულად შესწავლის საფუძველზე დიდი ალბათობით და-დასტურდება ქარჩოხელი დიდებულ აზნაურის საგვარეულო სამარხისა და

საცხოვრისის არსებობა, რომელიც, როგორც უკვე ავღნიშნეთ შესაძლებელია მივიჩნიოთ ქოვსოეთელ ხევისთავის რეზიდენციად.

ასევე დასაშვებია ვერსია იმის თაობაზე, რომ, აღნიშნულ პლატოს მეზობლად სამხრეთით და ჩრდილოეთით, არსებულ სოფლის სახელები: ხოზოეთი, ქოვსოეთი და ძაბოეთი დაკავშირებული იყვნენ ერთ რომელიმე დროსთან და ისტორიულ მოვლენასთან. აღნიშნულ ვერსიას ამყარებს შემდეგი ფაქტები: I. ან ნასოფლარ ხოზოეთის ბოლოდროინდელი მოსახლეობა გვარად გაროზაშვილები და გამხიტაშვილები XXს. 50-60-იან წლებამდე დაიარებოდნენ, ჩრდილოეთით ორ კილომეტრში, მიღელაანთ ხევით გამოყოფილ პლატოზე არსებულ ქაშვეთის სამლოცველოსა და ხევისთავის საცხოვრისს შორის ტყისპირას მდებარე, პატარა ნიშ-სალოცავში. II. ასევე ან. ნასოფლარი ძაბუეთის კავშირი ქაშვეთის პლატოსთან ულინდება მის მეორე სახელიდან ჯერ კიდევ ხმარებად ტოპონიმ – „გარძაბოურიდან“.



## ქათევან ჩოლოყაშვილი – ივა ფულარალასის მეუღლე

(დაახლოებით 170?-1780)

XVIII საუკუნე საქართველოს დაძაბუნებითა და სახელმწიფოებრიობის დაცემით დამთავრდა. მიუხედავად ამ ავტედითი საუკუნის ყველაზე დიდი გმირის, პატარა კახად წოდებული ერეკლე მეორის აქტიური მეფობისა, მაინც ვერ გადაურჩა ჩვენი ქვეყანა ნგრევას, რომლის პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო. ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების დასასუსტებლად თავს არ ზოგავდნენ პატივმოყვარე ქართველი თავადები. მათ ავანგარდში იდგნენ ქსნისა და არაგვის ერისთავები. სწორედ მათ მტრობასა და ღვარძლს მსხვერპლად შენირულთა შორისაა ჩვენი გმირი – ქალბატონი ქეთევან ჩოლოყაშვილი.

საქართველოს ისტორიაში თავისი დაუმორჩილებლობით ცნობილი ერისთავის შანშე ქსნის ერისთავის ძმის – იესე ყულარალასის მეუღლე, ჩოლოყაშვილის ასული ქეთევანი გახლდათ ქართლის მეფის თემურაზ II-ის დის მაკრინეს ასული. მამიდაშვილი სახელოვანი მეფის ერეკლე მეორისა. ეს სათნო თავდის ასული იმდროინდელ ქართველ ფეოდალთა შორის ღვარძლისა და მტრობის წყალობით, ასევე მის მიერ ხანდაზმულობაში შექმნილი ხელოვნების ნიმუშის გამოისხით მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მან თავისი ქრისტიანული მრნამსით განასახიერა ღირსეული ქართველი ქალის სახე. ავტედითი 1739 წლის ტრაგიული შემთხვევის შემდეგ გაშორდა მეუღლეს და თავისი დარჩენილი სიცოცხლე ლოცვასა და ღმერთის სამსახურში გალია.

ქეთევან ჩოლოყაშვილი პატივისცემასა და ყურადღებას იმსახურებს თავისი უფროსი ვაჟის დავით ქსნის ერისთავთან ერთად აღმშენებლობითი საქმიანობით, რომელიც იყო ერეკლე მეფის უერთგულესი ნათესავი და დედის ძალისხმევით ამგები ლარგვისის წმ. თეოდორე ტირონის სახელობის გუმბათიანი ტაძრისაა.

ტრაგედია, რომელიც ბაზალეთთან მოხდა, შემდეგნაირად განვითარდა:

1736 წელს შანშე ქსნის ერისთავმა მეფისაგან წყალობად მიიღო არაგვის ერისთავთა კუთვნილი მინა-წყალი ნარეკვავის ხეობაში სათანადო სიგელით: „არაგვის ერისთავის ქვეყნისა და მამულის წიგნი და სიგელი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ყმააღმატებულის ხელმიწის მრავალგვარად ერთგულსა და წესისაებრ თავდადებით ნამსახურს, ქსნის ერისთავს შანშეს... გიბოძეთ არაგვის ერისთავის ქვეყანა და მამული“.

პროფესორი დავით გვრიფიშვილი იმ პერიოდისთვის ქსნისა და არგვის

საერისთაოთა შორის გადამტერების მიზეზად ზემოაღნიშნულ წყალობის სი-გელს ასახელებს. იგი აღნიშნავს: „ბუნებრივია, რომ ეს მდგომარეობა არაგვის ერისთავებში მტრობა-შულლს გამოიწვევდა. ასეც მოხდა. შანშე ნიადაგ ბრძო-ლას ანარმოებდა ყიზილბაშთა წინააღმდეგ. გაუჭირდა და ჯერ იმერეთს, ხოლო შემდეგ რუსეთს წავიდა. არაგვის ერისთავი ხელსაყრელ დროს უცდიდა და სამაგიეროს გადახდისათვის ემზადებოდა. მალე მას საამისო დროც დაუდგა“.<sup>1</sup>

მეამბოხე შანშეს რუსეთში წასვლის გამო, დროებით უპატრონოდ და-ტოვებულ ქსნის საერისთავოზე და კერძოდ ახალგორზე შინაური და გარეშე მტრების თავდასხმის საშიშროება დღითიდლე მატულობდა, რის გამოც ძმების შანშე და იესე ყულარალასის ოჯახებმა უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნით კახეთს მიაშურეს. გზა მტრულად განნყობილ საარაგოზე გადიოდა. ბაზა-ლეთის მიდამოებში იმ დროს სანადიროდ გამოსულიყვნება არაგვის ერისთავები სტუმარ ყიზილბაშებთან ერთად. დაინახეს რა კახეთს მიმავალი დაუცველი მგზავრები, ერისთავი უთრუთ მივარდნია და ჯერ თვითონ აუხდია ნამუსი ქეთევანისთვის, მერე სტუმრებისთვის დაუთმია.

სათავადოების წარმოშობისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ისტო-რიის მკვლევარი დავით გვრიტიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არაგვის ერისთავების კაცებმა ჯერ გათოკეს მგზავრები, შემდეგ კი მიჰვარეს უთრუთ ერისთავს, ამ უკანასკნელმა კი ყიზილბაშებს გადასცა.

ერთი შეხედვით ამ ამბის უფრორეალური ვითარების შთაბეჭდილებას ახდენს ქსნის ერისთავებზე განაწყენებული, ერეკლე II-ის შვილიშვილი, საინტერესო მო-გონებებისაგატორიალექსანდრევახტანგისძეორბელიანი—თეკლასუფროსივაჟი.<sup>2</sup> „შანშე ერისთავის ძმის იესეს ცოლი ახალგორიდან ქსანზედ არის. კახეთისკენ მიდიოდა თავის სამშობლოში. ამ დროს ერთი არაგვის ერისთავის შვილი უთრუთ თავის ტოლი ყმაწვილი კაცებითა ბაზალეთის ტბის მოახლოვოდ ნადი-რობდნენ და კარგი ყიზილბაშის ყმაწვილი კაცებიცა თანა ჰყუანდა სტუმრათ. ამ დროს სად იყო და სად არა, იმ თავხედებს წინ გამოუარა იმ უმანკომ და მშეუნიერმა ქალმა. იმ თავხედებმა და კარგადაც გადაკრულებმა ის მშეუნიერი ქალი რომ დაინახეს, თუთ არაგვის ერისთავის შვილი უთრუთ პირუელად მიე-სია. მტრობაც ჰქონდათ ერთმანეთში. არაგვ ქსნის ერისთავიანთა და ის ქალი ცხენიდგან გადასალებინა, ერთს მიფარებულ ადგილს და ჯერ თვითონ შეურაცხ-ათ გახადა და მასუკან ერთი კარგი მეგობარი ჰყუანდა ყიზილბაშის ყმაწვილი კაცი, იმას მისცა. თუმცა ამ შეურაცხმყოფობაში მტრობაც არის, ყმაწვილ კაცობის თავხედობაც და ლვინის მსმელობაც, მაგრამ მაინც დიდი სასჯელის ღირსი იყო ის მხეცად მხეცი, არაგვის ერისთავის შვილი კი არა, ის ვირის თავი.

უპატიოდ გამხდარა და გულმოკლული ქალი უკანვე მოვიდა სახლში და მწარეს მწუხარებაში ჩავარდა. კარგა ხანი გამოვიდა, შანშე ქსნის ერისთავი ისევ დაბრუნდა. ამისთვის დაბრუნდა, რომ ეს ამბავი იქ შეეტყო, ეს იმისთვის საშინელი, რალმაცა მაშინვე განიძრახა, ერთის დანაშაული მთელს სახლზედ

1 გვრიტიშვილი დ. ურთიერთობა ქსნისა და არაგვის ერისთავებს შორის. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბ., 1951 წ. ნაკვ. 19. გვ. 46-47.

2 იბ.: ალ ჯამბაკურ-ორბელიანი. მეფის ირაკლი მეორის ცოტცოტა ანბები, ანუ ზოგიერთი მაშინ-დელი პირი. კაკაბაძე ს. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. წ. 1. თბ., 1914. გვ. 46-47.

გადაიხადოს და გადიხადა კიდეც. მოიყუანა დიდ ლეკის ჯარი და ის ოჯახი დასცა ანანურში. იტყვიან, ნუ იქ ავსა და ნუ გეშინიან ავისა, იმ არაგვის ერი-სთავისშვილსა ისე მოუვიდა.“

ერეკლე მეფის შვილიშვილი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მოთავე ალექსანდრე ორბელიანი ბაზალეთის ტრაგედიის ჭორად გაგონილ ვარიანტსაც გვიმსელს, თუმც მის შესაძლო ჭეშმარიტებას თვითონვე გამორიცხავს.

„თუმცა ასეც უთქვამსთ, შანშე ქსნის ერისთავი რუსეთს რომ წასულა, მითამ არაგვის ერისთავებს შანშეს ძმის იესეს ცოლი მოეტაცნოთ და ყიზილ-ბაშებისთვის მიეცეთ. ეს სულ გადასხუაფერებულია, არაგვის ერისთავიანი ამა-სა ვერ გაბედავდნენ და თუ უნდა გაებედათ, ქსნის ერისთვანთ იმთენი დიდი ძალა ჰქონდათ და ძალიან მაგარი ადგილები, რომ არაგვის ერისთვანნი ვერა-ოდეს ვერ შეუვიდოდნენ, ამისთვის ზეგით ჩემი აღნერილი სხუებისაგან ხომ ასე გამიგონია, თუთ ზოგიერთის ქსნის ერისთვანდგანაც ასე ვიცი“.

ისტორიიდან ცნობილია დაუდგრომელი შანშე ქსნის ერისთავის სიფიცხე და თავმოყვარეობა, ოჯახის გაბახებით გამნარებულ ერისთავს სიმწრისაგან წვერები უგლევია და სილაქები ურტყია სახეში. მალე 12 ათასი დაქირავებული ლეკით საა-რაგვოზე ანანურს მისდგომია, სადაც გამაგრებული ყოფილა ერისთავი ბარძიმი ძმასთან ერთად. ანანურის მეციხოვნეებმა იმდენი ლეკი დახოცეს, რომ თვით ლე-კები დახოცილი თანამოძმებისაგან სანგრებს იკეთებდნენ. დამხვდურთა სიმტ-კიცე წყლისადენის გადაჭრის შემდეგ გაუტეხიათ ქსნელებს. ციხეში მყოფთ ძალზე გასჭირვებიათ და მტრისგან ფიცის მიცემის შემდეგ ბარძიმ ერისთავი დანებებია, უთრუთ ერისთავი კი ბრძოლის გასაგრძელებლად ყველაზე მაღალ „შეუპოვარ“ კოშკი გამაგრებულა, ამით განრიხებულ შანშეს ბარძიმი მოუკლავს, შეჭრილა ციხეში, აუკლია მონასტერი, დაუმტვრევია ხატები და უამრავი ტყვე ჩაუგდია ხელში. „შეუპოვარი“ კოშკისთვის გარშემო დიდძალი ხე-ტყე შემოუწყვია და შიგ გამოუხრჩვია უთრუთ ერისთავი თავისიანებთან ერთად.

„არაგველებზე ისე უმოქმედია ამ შემთხვევას, რომ უზარმაზარი შვიდსარ-თულიანი კოშკი ამოუქოლიათ და დამწვართა სამარხად უქცევიათ. მხოლოდ ორასი წლის შემდეგ, 1939 წელს გახსნეს იგი არქოლოგებმა. მათ საშინელი სურათი წარმოუდგათ თვალწინი: ნახარძალი სავსე იყო დიდებისა თუ ბავშვების დამწვარი ძვლებით, იარალითა და სხვადასხვა საოჯახო ნივთებით“.<sup>1</sup>

ქართული ნაქარგობის ისტორიაში გახმაურებული ადგილი უკავია ქსნის ერისთავის იესე ყულარალასის პირველი მეულლის ქეთევან ჩილოყაშვილის ხე-ლით ნაქარგ ძვირფას სამუზეუმო ექსპონატს – აღსავლის კარის ფარდას – იგივე კრეტსაბმელს.

ნაქარგობა შესრულებულია წითელ ატლასზე. ოქრომკერდით ამოქარგუ-ლია დატოტვილი იესეს ხე, სადაც სხვადასხვა ფერის მიხაკის ყვავილოვან გვირგვინებში წმინდანთა ფიგურებია მოთავსებული. ყველ მათგანს ხელში კვერთხი უჭირავს და თავი სამეფო გვირგვინით აქვს შემკული. წმინდანები სხვადასხვა ასაკისანი არიან. შიდა არე შევსებულია ოქრომკერდით ნაქარგი ვაზის ფოთლებით, ვაზის შუა ნაწილზე ფეხზე მდგომი მარიამ ღვთისმშობელია ყრმით ხელში. კომპოზიციას გარს უვლის განიერ, ცისფერ ატლასზე შესრულე-

1 ზაქარაია პ. საქართველოს ძელი ციხესიმაგრები. თბ., 1988. გვ. 92.

ბული ლოტოსის ყვავილების ოლე. ჰორიზონტალურ ჩარჩოებზე სხვადასხვა ხელით შესრულებული მხედრული წარწერებია<sup>1</sup>

ზემო წარწერა განსაკუთრებით ლამაზი და მარტივი ქეთევანს ეკუთვნის, ხოლო ქვემო – უცნობ ავტორს. წარწერა პირველად ე. თაყაიშვილმა წაიკითხა.

„შენ ძირით იესესით აღყვავებულსა მაგას ქალწულსა დედასა მხსნელისასა ტფილისს სიონთა ღვთისმშობლის მშობელს გიძღვნი ქვრივივთა მწულილსა დედა ქსნის ერისთავის დავითისა ქეთევან ფარდასა ამას საოხად სულისა მისისა და ძეთა მისთა აღსაზრდელად ავისტოს ი~ დ (14) წელსა 1773“.<sup>2</sup>

აღნიშნული აღსავლის ფარდის ირგვლივ ე. თაყაიშვილს თავის დროზე წერილი გამოუქვეყნებია პარიზის უურნაალ „გეორგიკაში“.

ზემოთ აღნიშნული ნაქარგობის ნიმუში რესტავრირებულია და დაცულია შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში.

როგორც ირკვევა ქეთევანი 1773 წ. კიდევ ცოცხალი ჩანს, როდესაც მან თავისი ხელით მოქარგა სიონის აღსავლის კარისთვის შესანიშნავი ფარდა, რომელიც თბილისის ერთ-ერთი ბანების არაქართველ დირექტორს საქართველო-დან გერმანიაში წაეღო. აღნიშნული კავკასიელის გარდაცვალების შემდეგ ფარდა მისი გერმანელი მეუღლისაგან უცხოეთში მცხოვრებმა თამარ და აკაკი პაპავებმა 25 ათას დოლარად შეიძინეს<sup>3</sup>

ნახვისთანავე ნაქარგობის სურათები და წარწერები პაპავებმა გამოსარკვევად და ისტორიული ფასეულობის დასადგენად საფრანგეთში მყოფ ე. თაყაიშვილს გაუგზავნეს. მოგვიანებით პარიზიდან გერმანიაში პასუხად შემდეგი შინაარსის წერილს დებულობენ: „.... თქვენ მიერ ნაპოვნი სიონის ტრაპეზის ნაქარგი გადასაფარებელი ფრიად და ფრიად საყურადღებოა და მისი ხელიდან გაშვება შეუძლებელია. სურათი, რომელიც მასზედ ნაქარგით გამოყვანილია, წარმოადგენს ეგრედ წოდებულს იესეს ნერგს, რომელთაგანაც მომდინარეობენ ძველი აღთქმის მეფეზი და წინასწარმეტყველნი და მათ შორის ღვთის მშობელიც. ჩვენი ბაგრატიონის ლეგენდა ხომ იესეს და დავით მეფეს უკავშირებს მათ შთამომავლობას, ამიტომ მათი ტიტული ასე ინყება იესიან-დავითიან ბაგრატოვანმან და სხვა. ეს სურათი ეკლესიის ფრესკებზე ზოგჯერ გვხვდება მაგრამ ნაქარგად მატერიაზე მე არსად არ შემხვედრია. თქვენი გადასაფარებელი ამ მხრივ პირველი მაგალითია. ამიტომაც ჩვენთვის ძვირფასია და ერთი საუკეთესო მე-18 საუკუნისათვის“.<sup>4</sup>

ექვთიმეს მითითებით პაპავებმა 1937 წელს, როგორც ზემოთ ავლიშნეთ, სიონის ტაძრის კუთვნილი ფარდა 25 ათას დოლარად შეიძინეს და მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე უსაფრთხოების მიზნით შეინახეს პამბურგის ცნობილ ბანებში. 1943 წ. პამბურგის დაბომბვისას ბანები მთლიანად დაინგრა და დაინვა. სასწაულებრივ გადარჩენილი სეიფიდან ამოღებული ფარდაგი პაპავებმა არგენტინაში გადასვლისას ჩარჩოში ჩასვეს და თან წაიღეს, საიდანაც 80-იან წლებში ცნობილმა ქართველმა მამულიშვილმა რეზო თაბუკაშვილმა საქართ-


1 იხ.: ქართული ნაქარგობა. თბ., 2011. გვ. 176.

2 უურნ. „კავკასიონი“, 1964. №9.

3 უურნ. „კავკასიონი“ (პარიზში გამომავალი). 1964. №9. გვ. 70.

4 უურნ. „კავკასიონი“ (პარიზში გამომავალი). 1964. №9. გვ. 70.

ველოში ჩამოიტანა და როგორც კინოდოკუმენტალისტმა მოკლემეტრაჟიანი ფილმიც კი გადაიღო აღნიშნული ფარდაგის, ანუ ქეთევანის კრეტსაბმელზე, რომელიც დღეს მთელი ქართველი ხალხის საკუთრებაა.



## სოფიო ერისთავი-ლიონიძისა

(დაახლოებით 176?-1797)

„სათნო სოფიო, სულისა ტოლი“  
ნ. ბარათაშვილი

როგორც მკვლევართათვის, ისე ნებისმიერ დაინტერესებულ პირთათვის თვალში საცემია ქსნის ერისთავიანთ ქალების მაღალი ინტელექტი, განათლება და გონიერება. თუმცა ზოგჯერ ასეთი მაღალი ფასეულობები ქალისთვის საკ-მარისი არ არის, რომ სრულად წარმოჩინდეს ფართო საზოგადოების თვალში და ისტორიაში დაიმკვიდროს შესაფერისი ადგილი, როგორც ცნობადმა სახემ. მიზეზი მისი ინდივიდუალურ თვისებათა სისუსტე და პასიურობა კი არ არის, არამედ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი პიროვნებების გვერდით დგომა და მეუღლეობა. ასეთი ვითარებაა ქსნის ერისთავის ასულ სოფიოს ირგვლივ, რო-მელიც გახლდათ სახელოვანი მეუღლე დიდი სახელმწიფო მოღვაწისა სოლო-მონ ლიონიძისა.

სრული ჭეშმარიტება იქნება თუ ვიტყვით, რომ ის ძუნნი ცნობებიც კი, რაც ზოგჯერ მოგვეპოვება ხოლმე ამათუმ ცნობილი პიროვნების ცხოვრე-ბაზე თითქმის არ გაგვაჩნა სოფიოზე. რაც პირდაპირ კავშირში უნდა იყოს იმ XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს ბობოქარ, კატაკლიზმებით გაჯერე-ბულ ისტორიასთან, რომელ პერიოდშიც მოუწია აწენილი ცხოვრება ქსნის ერისთავების ასულს და მის მეუღლეს, ვისაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის დროზე ძეგლი დაუდგა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში: (იხ. სურ. 6)

თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,  
ნიჭთა კეთილთა უხვად მორქმული,  
ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,  
მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელი!

გონიერებით აღვილი ქართველი ქალის – სოფიოს მამის სახელიც კი უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის. წინა მკვლევარების მსგავსად ქ-ნი ლია ანდლულაძე სოფიოს მამის სახელს მისივე შვილების სახელებში ეძებდა, იგი ფიქრობდა, რომ მშობლის პატივსაცემად სოფიო რომელიმე ვაჟს თავისი მამის სახელს დაარქმევდა, თუმცა კვლევის ამგვარმა მეთოდმა ვერ გამოილო სა-სურველი შედეგი.

ქსნის ერისთავების ისტორიის მკვლევართ „გორდიასის კვანძად“ გვეჩვენე-ბა სოფიოს მამის ვინაობის პრობლემა, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ კვლევა-ძიებით იქნას გადაჭრილი. აღნიშნული „კვანძის“ გახსნით გახდებო-

და ცნობილი სოფიოს გენეალოგია, რომელიც ჩემი მოსაზრებით სამშობლოს ზვარაკად შეწირულ, წმინდანებად შერაცხულ ქსნის ერისთავების შალვას და ელიზბარის სახელებთან მიგვიყვანდა.

ვფიქრობ, იმ პერიოდის მშეოთვარე ცხოვრებამ, დიდი, გავლენიანი ადა-მიანის ჩრდილში დგომამ და სოფიოს უდროო გარდაცვალებამ უარყოფითი გავლენა იქონია მის უკეთ გაცნობაში. სამაგიეროდ კარგად ვიცით, როგორც სოლომონის ბიოგრაფია და გვარის ისტორია, ისე მისი შვილების, შვილიშვილებისა და მათი შთამომავლების საგვარეულო ხე, რომელიც შეისწავლა და გამოაქვეყნა ლ. ანდლულაძე<sup>1</sup>. ლიონიძების ოჯახს გამოკვლევები მიუძღვნეს: გიორგი ლეონიძემ, ზაქარია ჭიჭინაძემ – ია მარუშიძის ფსევდონიმით, ნიკოლოზ კანდელაკმა და სხვებმა.

ქსნის ერისთავების სიძე – სოლომონი იყო შვილი თელავის კარის დეკანოზის ანდრია ლიონიძისა. გ. ლეონიძის დასკვნით სოლომონი დაბადებულა 1754 წელს, იგი იყო ერეკლე მეორის სამეფო კარის დიპლომატი და მრჩეველი. მას ეჭირა მსაჯულისა და მდივნის მაღალი თანამდებობები, სახელი გაითქა: ჭუით, ცოდნით, გმირობითა და მჭერმეტყველებით. სოლომონი იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის, მისი აქტიური ჩარევით, 1790 წელს დამუშავდა საკითხი საქართველოს დაქარისული სამეფო-სამთავროების შეერთებისა. ცნობილი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის თქმით სოლომონი იყო „მაღალი გონების კაცი, ერთგული ქვეყნისა, დიდი მრჩეველი და უცომელად შემმეცნებელი საქმისა... კაცი წინა მგრძნობელი, მომავლის ნათლად გამრკვევი და დამნახავი, მომავალ ცხოვრების რუკათა მხატვარი...“

დიდი გონებისა და ქონების წარჩინებული კარისკაცის წარმატებები მეფის ირგვლივ შემოკრებილ ფეოდალთა შურისა და მეფესთან დასმენების ობიექტი გახდა. ქართველი თავადი აბა რა ქართველი თავადი იქნებოდა, მეფისა და ქვეყნის საშეველად მოვლენილ, დაბალი ფენიდან აღზევებულ, „გლეხუჭას“ თუ არ გაანადგურებდა.

ს. ლიონიძე ენინაალმდეგებოდა ერეკლე II-ს საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხში. მასთან მხოლოდ მეგობრობისა და სამხედრო კავშირის მოსურნე იყო, რისთვისაც ის 1796 წლიდან დაუპირისპირდა მეფეს და მოხდა მათი გათიშვა. საქართველო მაშინაც ის საქართველი იყო – „სადაც ნიჭის გარდა ყველაფერს რომ გაპატიებდნენ“. სწორედ ეს გონებით სავსე, ქვეყნისათვის საჭირო კაცი გააქციეს ქართლ-კახეთიდან იმერეთში.

რომ არა ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, სავსებით შესაძლებელია საერთოდ არაფერი გვცოდნოდა სოფიო ერისთავიზე. – „ბარათაშვილის პოემალა ინარჩუნებს მისი წარმომავლობის მისაგნებ ცნობას“ – აღნიშნავს ლ. ანდლულაძე. XVIII ს-ის ბოლოს ამ ქართველი ქალისაგან გამოხატულ სამშობლოს სიყვარულს და ეროვნულ შეგნებას კარგად იცნობდა და სათანადოდ აფასებდა კიდეც მე-19 საუკუნის საქართველო. სწორედ სოფიოზე ხალხში შემონახული ზეპირი გადმოცემები გახდა საფუძველი იმისა, რომ ქსნის ერისთავებთან დამოყვრებულ ნიჭიერ პოეტს დაეწერა შესანიშნავი პოემა, სადაც რეალობიდან შემოსულმა პერსონაჟმა თავისი პატრიოტული გრძნობებით, იშ-

1 იხ: სულის ნათელით აღბეჭდილნი. თბ., 2009. გვ. 273.

ვიათი პიროვნული თვისებების წყალობით გამოქერზა და დაფნის გვირგვინით შემოსა ქართველი ქალის სახე. 6. ბარათაშვილს „ბედი ქართლისაში“ თვით-დინებადი ფანტაზიით არ განუვითარებია მოქმედებები. აკი პლატონ იოსე-ლიანიც მიგვანიშნებდა ამის შესახებ და აღნიშნავდა, რომ „ის რა ცნობებიც ბარათაშვილმა „ბედი ქართლისა“-ში განმარტა, ვიტყვით, რომ მართალი, ის-ტორიული გადმოცემა არის“

დაპირისპირებამდე მეფე ერეკლესა დ სოლომონს შორის სჯა-ბასი მთიუ-ლეთში, მდინარე არაგვის სიახლოვეს შედგა. მაშინდელი ადმინისტრაციული მოწყობით მთიულეთი მენესოდან იწყებოდა. თუ ეს იცოდა პოეტმა, მაშინ მეფეს და მსაჯულს მენესოს ზემოთ, ძველ ჩარდახიან სადგომში უთათბირიათ, საიდანაც შედარებით ახლოა ქსნის ხეობა.

მზე დამავალი მოჰყვენს სიამეს  
მთიულეთისა ხეობის არეს,  
და ამ მშვენიერს არაგვის პირებს  
ძველი ჩარდახი ზედ გადმოჰყურებს.  
მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი  
მოწყენის თვალით გადმომზირალი;

.....  
თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,  
ნიჭთა კეთილთა უხვად მორქმული.

მკითხველს შესაძლებელია ზედმეტად მოეჩვენოს ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ სად გაიმართა მსჯელობა მეფესა და მსაჯულს შორის. ვფიქრობ, რომ ამას აქვს მნიშვნელობა იმის გასარკვევად თუ სად ცხოვრობდა სოფიო – ქსნის საერისთავოში, თუ კონკრეტულად ქსნის ხეობაში. რომლის ლოკალიზება უფრო შესაძლებელია, ვიდრე ქართლის ველებზე გაფანტული ქსნის საერისთავოს საბატონო სოფლებისა, სადაც დიდებულ სასახლეებში ცხოვრობდნენ ერისთავები.

ჩვენი ლრმა რწმენით მეფისა და სოლომონის თათბირი ლრმა მთიულეთში, არახვეთიდან ზემოთ მლეთე-გუდაურში უნდა გამართულიყო. თათბირის შემდეგ მეფე კახეთის საქმეების მოგვარებას ეშურება და თავის ერთგულ მრჩეველს ასე მოძღვრავს:

ახლა კი დროა ჩვენს გაოხრებულს  
ქალაქს ჩავხედოთ; მაგრამ ჯერ ერთი  
მინდა ვიხილო კიდევ კახეთი,  
შევიტყო კახთა საჭიროება,  
ვსცნა ჰაზრთა მათთა ან ვითარება;  
შენ კი აქიდან ქალაქში ჩადი  
და დამახვედრე ჩემი სამზადი.

ალა მაჰმად-ხანის აოხრებული თბილისის დასახედად და იქიდან კახეთში მეფის გასამგზავრებელი სამზადისისთვის ლრმა მთიულეთიდან წამოსული სოლომონი მეზობელ ქსნის ხეობაში ლომისის მთის გადასასვლელით გადადის და დილაადრიან თავს დაადგება თავის ოჯახობას, რომელსაც მტრის თავდასხმების დროს ყოველთვის მოყვრებთან ხიზნავდა.

დილაზე ადრე მოვალს მსაჯული  
ქსნის ხეობაში, დაფიქრებული:  
ვისრემდის იყო შიშიანობა,  
მას აქ ესახლა თავის სახლობა.  
და მომავალმან ან ქალაქისკენ  
გამოიარა თავის სახლისკენ.

პოემაში პოეტი თითქოსდა შეუმჩნევლად შეფუთულ ბევრ საყურადღებო ინფორმაციას დებს, მაგრამ თუ მკითხველი ჩაუღრმავდება, შეუმჩნეველი ნამ-დვილად არაფერი რჩება.

ერისთავების სიძე – ლიონიძე, სავარაუდოდ, სარგებლობს ქსანზე იმ საუ-ლელტებილო გადასასვლელით რითაც „ძეგლის დების“ შემდეგ დარიალიდან უკან მობრუნებულმა გიორგი ბრწყინვალემ ისარგებლა: „დარიელით მობრუნ-ვებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარმონამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზ-მის ხევი და მოვიკვლივეთ მუნებური სასაქმო...“<sup>1</sup>

რომანტიკოსი პოეტი „ბედი ქართლისაში“ არ აკონკრეტებს სოლომონმა რომელი გადმოსასვლელით ისარგებლა. თეთრი არაგვიდან, კერძოდ ლრმა მთიულეთიდან ქსნის ხეობაში გადმოსასვლელად ყველაზე ეფექტური ლომისის ყელია, რომლის გადალახვისას 1625 წელს ირანელთა ოორმეტათასიანი ჯარი ჩახოცეს გ. სააკაძემ და იესე ერისთავმა გიორგი და დათუნა არაგვის ერი-სთავების დიდი მხარდაჭერით.

თბილისისკენ მიმავალი მსაჯული მეფესთან მძიმე თათბირის შემდეგ ფიქრებით დალლილი ქსანზე გახიზნულ საკუთარ ოჯახს ნახულობს<sup>2</sup>

იმ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს  
მოადგა თავის სახლისა არეს.  
წინ მოეგება მას თავის ცოლი,  
სათნო სოფიო, სულისა ტოლი;  
ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,  
შვენიერება, გულკეთილობა.  
რა დაინახა მან თავის ქმარი,  
სახე შეცვლილი, მონანყინარი,  
ამბავი ჰქითხა მყის ირაკლისა –  
ასე საყვარელ იყო ყოვლისა!

მეუღლეს პირდაპირ კი არ უმხელს, რომ მე რუსეთთან შეერთების წინაალ-მდეგი ვარ და შენ რას ფიქრობო. პირიქით, აინტერესებს სოფიოს აზრი და თან ცდილობს ნაკლებ მტკივნეულად იქნეს ალქმული თუ მათ შორის აზრთა სხვაობა გამოიკვეთა. რუსეთთან შეერთების შემდგომ ქართველთა ბედნიერ, უზრუნველ, ლამაზ ცხოვრებას უხატავს სოლომონი სოფიოს. მეფის მსაჯუ-ლი სასჯელივით ელოდება სოფიოს თანხმობას, მაგრამ ცეცხლის მაგიერ მის გულს მალამოსავით ესმევა მეუღლის სიტყვები:

უწინამც დღე კი დამელევა მე!  
უცხოობაში რაა სიამე.

1 ქართული მწერლობა, ტ. V. თბ., 1988. გვ. 90.

2 6. ბარათაშვილის ცნობით სოლომონ ლიონიძეს საკუთარი სახლი ჰქონია ქსნის ხეობაში.

ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება,  
თუ მოაკლდება თავისუფლება?

ამ სიტყვების გამგონე მსაჯულის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

და ან რა ნახა ცოლი ამ ჰაზრით,  
გადაეხვია მას მხურვალებით.

პოეტი ქებასთან ერთად თან მისტირის სოფიოსნაირ ქართველ ქალებს:

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო  
კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!  
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ  
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?  
ვინდა ჰყავს გულის შემატეკივარი  
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?

უდავოა, რომ სოფიომ თავისი პირადი აზრის გამოხატვით გაამჟღავნა მამისული ოჯახის ორიენტაცია და მსოფლმხედველობა სახელმწიფო ბრძოვი მნიშვნელობის საკითხზე.

რუსებმა ვერასგზით ვერ მოისყიდეს ერეკლე მეფის უპირველესი დიპლო-  
მატი და მსაჯული – ლიონიძე, რომელიც თავისი დიდი პატიოსნების, სამარ-  
თლიანობისა და ნებისყოფის გამო პ. იოსელიანმა ქრისტიანობამდელი მჭერმე-  
ტყველისა და ისტორიკოსის – ფაბრიცისა და მოუსყიდველი მხედართმთავრის,  
სახელმწიფო მოღვაწისა და ორატორის – კატონის<sup>1</sup> დიდებულებით შემოსა.

„ვუწოდებ მას პატიოსნების გამო მაღლისა დროთა მათ ფაბრიცად ქა-  
რთველთა, და ვითარცა მტკიცე და შეურყეველი, იქმნა ნამდვილ ქართველთა  
ერისა და ისტორიისა კატონად“.

მეუღლის მსგავსად სოფიო ერისთავიც დიდი ნებისყოფის და პრინციპის  
მქონე ქალბატონი ყოფილა. მათი სული ვერ გატეხა „ვერარა ძალამ“. სოფიო  
ისე წავიდა ამ ქვეყნიდან ორიენტაცია არ შეუცვლიაო. მთავარი უბედურება,  
ანუ სოლომონის თავზე „წისქვილის ბორბლის დატრიალება“ მაშინ დაიწყო,  
როდესაც გარდაიცვალა ჯერ „სათხო სოფიო“ და მერე მეფე ერეკლე II.

სოფიოს დაბადების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. ვიცით, რომ ის  
ახალგაზრდა გარდაიცვალა და დარჩა ორი ვაჟი იოანე და ალექსანდრე. რუ-  
სულენოვანი წიგნის ერთ-ერთ წერილში (AKTYI. T.4. c.220) იკვეთება აზრი, რომ  
სოლომონსა და სოფიოს ჰყოლიათ ქალიშვილიც, რომელიც გათხოვილა მელი-  
ქოვზე, იგივე მელიქიშვილზე. სხვა რაიმე ცნობა მასზე ჯერჯერობით არ არის

1 კატონი – ვისაც პ. იოსელიანმა ლიონიძე შეადარა იყო მარკუს პორციუს კატონი (უმცროსი) ძვ. წ. 95-46 წე. რომაელი მხადართმთავარი, სახელმწიფო მოღვაწე და ორატორი. სარგებლობდა საზოგადოების დიდი პატიოსცემით, როგორც უაღრესად ლირსეული და არაკორუმპირებული ადამიანი..


მოპოვებული.

უმცროსი ვაჟი – ალექსანდრე 22 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა ჯირითის დროს. სამწუხაროდ მას შთამომავლობა არ დარჩენია. უფროსი ვაჟი – იოანე, რომელიც მამას თან ახლდა ლტოლვილობაში, სოლომონის სიკვდილის შემდეგ, იმერეთში მამისეულ ადგილში სოფ. კაცხში დამკვიდრდა. ცოლად შეირთო ივანე აბაშიძის ქალი – თამარი და შეეძინათ ხუთი ვაჟი და ორი ქალი.

რაც შეეხება სოფიოს, იგი მეფე ერეკლე II-ის გარდაცვალებამდე, 1798 წლამდე უნდა დაღუპულიყო. სამწუხაროდ უცნობია მისი საფლავის ადგილსა-მყოფელი. მკვლევართა წრეში მუსირებს აზრი, რომ სოლომონ ლიონიძეს უნდა ჰყოლოდა მეორე ცოლიც, ვისთანაც მემკვიდრე არ დარჩენია. თვითონ სოლომონი 1811 წელს ჩანს გარდაცვლილი. დაკრძალულია ახალციხეში. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ცნობა, რომ დაბადებულია 1741-1754 წლებს შორის და გარდაიცვალა 1818 წ. სინამდვილეს არ შეესაბამება.

სოფიო ერისთავი-ლიონიძისა იყო ქსნის ხეობელი ქალი, და როგორც მამისეული ისე ქმრისეული სახლი ედგა ერისთავების ოთხ სამემკვიდრეო სოფლიდან (ოძისი, ახალგორი, კორინთა, ქვენიფნევი) ერთ-ერთში – კარგად მიგვანიშნებს პოემა „ბედი ქართლისა“.

სამეფო ოჯახის ჩამომავალი პოეტი ნ. ბარათაშვილი (ბებიამისი ხორეშანი ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო) ზედმინევნით იცნობდა ხალხში გავრცელებულ ზეპირგადმოცემებს ერეკლე II-ზე, სოლომონზე, სოფიოზე. ასევე კარგად ერევეოდა ქსნის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიაში. ნამყოფი და ღამენათევი ახალგორში და კორინთაში, ალევის ოქროსკარიან სამებაში.



## სოფიო ერისთავისა და სოლომონ ლიონიძის შთამომავლები


ანდრია ლიონიძე

თელავის კარის დეკანოზი. ერეკლე მეფესთან დაახლოებული კარისკაცი

სოლომონი (1754-1811)

გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. ერეკლე მეორის სამეფო კარის  
დიპლომატი, მსაჯული, მრჩეველი, სოლიდური ქონების პატრონი.

მეუღლე სოფიო ქსნის ერისთავის ასული



## ანასტასია ერეკლე მაფის ასული ერისთავისა

(1769-1838)

სანამ ვიტყოდეთ რამეს საქართველოს უკანასკნელი სახელოვანი მეფის ასულზე, მანამდე საჭიროდ მივიჩნევ მკითხველს შევახსენო ერეკლე II-ის სამი მეუღლე და 24 შვილი. I ცოლი – ქეთევან ორბელიანი (1738-1744 წლებში), ვისთანაც შეეძინა 3 შვილი: რუსუდანი, ვახტანგი და ერთიც ჩვენთვის უცნობი. II ცოლი – ანა აბაშიძე (1745-1749 წლებში), ვისთანაც შეეძინა ორი შვილი: უფროსი უცნობია, უმცროსი – თამარი. III ცოლი დარტვან დადიანი (1749 წლიდან), რომელთანაც შეეძინა 19 შვილი. სულ 24 შვილიდან იყო 10 ქალი და 14 ვაჟი. 8 ბავშვი პატარაობაშივე გარდაიცვალა: სალომე, სოფიო, არჩილი, სოსლან-დავითი და ოთხი სხვა, რომელთა სახელებიც უცნობია.

1856 წელს მარი ბროსე ფრანგულად გამოცემულ თავის ერთ წიგნში<sup>1</sup> აქვეყნებს ერეკლე მეფის 24 შვილის ჩამონათვალს, სადაც ჩვენდა გასაოცრად არ იხსენიება ქსნის ერისთავების რძალი ანასტასია ბატონიშვილი. ანასტასიას დაძმების სახელებია:

1. რუსუდანი, 2. ვახტანგი (I), 3. ? – გარდაიც. პატარა, 4. ? – გარდაიც. პატარა, 5. თამარი, 6. გიორგი, 7. ელენე, 8. მარიამი, 9. ლევანი, 10. სოფიო – გარდაიც. პატარა, 11. იულინი, 12. სალომე – გარდაიც. პატარა, 13. ვახტანგი (III), 14. თეიმურაზი, 15. სოსლან-დავითი – გარდაიც. პატარა, 16. ასლამაზ-ხანი, 17. ალექსანდრე, 18. არჩილი, 19. ? – გარდაიც. პატარა, 20. ქეთევანი, 21. ფარნაოზი, 22. თეკლა, 23. ლუარსაბი, 24. ? – გარდაიც. პატარა.

ბროსესაგან განსხვავებით გერმანელი მოგზაურსი ი. ა. გიულდენშტედტი, 1772 წელს საქართველოში მოგზაურობისას, მეფის უფლისწულების და პრინცესების აღნერისას იხსენიებს სამი წლის ანასტასია<sup>2</sup> რომელიც სარგის კაკაბაძის ერთი ცნობით ქსნის ერისთავის – რევაზის მეუღლეა.

გიულდენშტედტისეულ პრინცესების ჩამონათვალში 6 ქალიდან ყველაზე უმცროსი ანასტასია. იგი დაბადებული უნდა იყოს 1769 წელს.

ცნობილია, რომ ერეკლე მეფის დედინაცვალს თეიმურაზის ქვრივს ანახანუმი ერქვა. ის 1772 წლისთვის ცოცხალია. ასევე ანას სახელის მატარებელია ერეკლეს და, რომელიც არის ეშიკალაბაშის, კამერპერისა და თავადის დიმიტრი

1 ბროსე მ. საქართველოს ისტორია. ტ. II. პეტერბურგი, 1856 წ. დამატება IX. გვ. 635.

2 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. თბ., 1962. გვ. 203.

ორბელიშვილის მეუღლე (დაიბ. 1722 წ.) ძნელი სათქმელია თუ ვისი პატივისცემის გამოსახატავად დაარქვეს სამეფო კარზე ბავშვს ანასტასია. ერისთავიანთ საოჯახო ჩანანერები – „ამბობენ, რომ როცა ანასტასია დაინიშნა რევაზ ერისთავზე, მეფე ერეკლე ძალიან უარზე იყო, რადგან რევაზ ერისთავი მონაწილე იყო შეთქმულებისა და თავის ქალს ხელი ააღებინა დაინიშნულზე. როცა მეფე ერეკლე ჰკვდებოდა, უთხრა თავის ქალს, ანასტასიას: შენი ჯავრი მიმყვებაო, შვილო, რა გიყოვო“. „რევაზს აპატიე მამაჩემო, – მიუგო ანასტასიამ. მეფემ აპატია და ჯვარი დაინერეს, მაშინ რევაზი იდგა სოფ. ოძის . . .“<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, ქსნის ერისთავების საგვარეულოს ერთ-ერთი შტო დათუნადან (გიორგი XI-ის სიდე) მომდინარე გიორგი ყულარალასის შტოა, მისი უფროსი ვაჟია – რევაზი. გიორგი ყულარალასის ორგულობა მეფე ერეკლე-სადმი საქვეყნოდაა ცნობილი, რის გამოც მეფემ 1777 წელს გააუქმა ქსნის საერისთავო. აღნიშნული ქმედების შემდეგ დაუძინებელ მტრად მოეკიდნენ ერისთავები სამეფო კარს.

ჩვენთვის კარგად ცნობილი ალ. ორბელიანის სიტყვებით, რომ ვთქვათ: – „მეფეს ირაკლის მეორესა ასე გაუჭირეს ამ ერისთავიანთ, რომ მოთმინებისაგან გამოიყუანეს რომელმაც იმათ მამულები ჩამოართო . . . ნამეტნავად გიორგი იესეს ძე და ელიზბარ ყულარალაზის ძე ქსნის ერისთავის შვილები, თვინიერ რევაზისა. ის რევაზ დიდი კეთილი და მართალი და პატიოსანი კაცი იყო და მეორეც ამისი უნცროსი ძმა ლუარსაბიც არ ერია. იმათ გუარში თ-ა გიორგი იესეს ძე და თ-ა ელიზბარ გიორგი ყულარალაზის ძე ქსნის ერისთვები . . . ის ორნი უფრო მომატებულად უპირველესი იყვნენ და დაფარვით მოქმედნი პირნი მეფის ირაკლის დამხობისა. არც ხომ სხუები აკლებდნენ, მაგრამ ეს ორნი უფრო მომატებით. . . ეს ორნი ძალიან ენერგიის კაცები იყვნენ და ძალიან ხასიათიც ჰქონდათ მცდელობაში. მაგრამ შესაწუხებელი ეს არის, რომ მეფის ირაკლის დამხობასთან მეფე გიორგიც იმას ჩაჰუა და მთელი საქართველოც<sup>2</sup>.

მიუხედავად მეფისადმი ქსნის ერისთავების მძაფრი დაპირისპირებისა, ამ ორი საგვარეულოს ნარმომადგენლებს შორის მაინც ხდებოდა პოლიტიკურად ანგაუირებული ქორწინებები: 1798 წელს ანასტასიას და გიორგი ყულარალასის ვაჟის – რევაზის, 1808 წელს გიორგი იესეს ძისა და გიორგი XII-ის ქალიშვილის გაიანესი, ასევე საგულისხმოა 1795 წელს გ. ყულარალასის უმცროსი ასულის –ანას და ფარნაოზის – ერეკლე II-ის ვაჟის ქორწინება.

ანასტასია ბატონიშვილს და რევაზ ქსნის ერისთავს შეეძინათ 4 შვილი. I. შალვა (1797-1894) – მეუღლე ეკატერინე ორბელიანი, II. ბიძინა (1800-1876) – მეუღლე თამარ მელიქიშვილი, III. თამარი (მარიამი) (1805-1848) – შერმაზან აფხაზის მეუღლე, IV. გიორგი (ატამანი) (1812-1891) – მეუღლე ანა არღუთაშვილი.

ანასტასია 1814 წელს დაქვრივდა. მისი მეუღლის რევაზის საფლავის მარმარილოს ქვა, რომელიც მდებარეობს იკორთის ტაძრის თაღებქვეშ იუწყება:

„თ-ა რევაზ გიორგის ძე  
ქსნის ერისთავი მეუღლ –

1 საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, 13257-ბ.

2 კაკაბაძე ს. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. წ. I. თბ., 1914. გვ.53.

ლე, მეფის ირაკლის  
ასულის ანასტასიასი.  
გარდაიცვალა 1814-ს  
წელსა მარტში. 61-ის  
წლისა“.

სამი წლის დაქვრივებულმა ანასტასიამ აღძრა საქმე მისთვის მიუცემელი მზვითვის ნაცვლად ერთდროული ფულადი დახმარების აღმოჩენის შესახებ. 1818 წელს ალექსანდრე I-ის ბრძანებით ანასტასიას მისცეს 4250 მანეთი. საქართველოს „განგვირგვინების“ შემდეგ იმავე იმპერატორის დაუინებული მოთხოვნით დაიწყო საქართველოდან სამეფო ოჯახის წევრების რუსეთში გადასახლებისა და მათი პრორუსულად განწყობის პროცესი. ერეკლე მეფის ქალებს მამის ძლევამოსილების ამბები ჯერ კიდევ ახსოვდათ. ისინი ლირსეული მშობლების მაღალი ტრადიციების მატარებლები იყვნენ, მაგრამ მათი ასპარეზი პოლიტიკურ სარბიელზე თვითმშეყრობელურმა რუსეთმა მინიმუმამდე დაიყვანა. მდგომარეობა 1803 წლის შემდეგ, რაც დარეჯან დედოფალი რუსეთში გადაასახლეს, უფრო გართულდა. ქსინის ერისთავების რძალი ანასტასია ბატონიშვილი 1825 წელს პეტერბურგში მიემგზავრება და თან მიჰყავს სასწავლებლად უმცროსი ვაჟი, მეხუთე კლასის მონაფე – გიორგი. დედა-შვილი 3 სექტემბერს გაემგზავრნენ თბილისიდან, მათთან ერთად პეტერბურგს წავიდნენ დავით ჯორჯაძე და ესტატე თარხნიშვილი. ანასტასიამ გიორგი მიაბარა იუნკერთა სკოლაში, იგი დააყენეს ვახმისტრად. მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში, სადაც მიიღო კორნეტის ჩინი და მედლები. მონაწილეობდა 1832 წლის ქართველთა შეთქმულებაში. არ დაუპატიმრებიათ. „ამ შეთქმულების უფრო მაყურებელი იყო, ვიდრე მონაწილე“. 1852 წელს კავკასიის კაზაკთა ჯარის ატამანია. ამიტომ მას მეტსახელად ატამანი შეარქევს. 1881 წელს გიორგიმ მიიღო კავალერიის გენერლობა. მისმა შვილმა ზაქარიამ მამის სურვილის თანახმად საკუთარი მამულის ნაწილი შესწირა ოძისის სასოფლო-სამეურნეო სკოლას, რომლის დაარსების ინიციატორებიც თვითონ იყვნენ.

ანასტასიამ პეტერბურგში 13 წელი გაატარა. ის საქართველოში დატოვებულ შვილებს და შვილიშვილებს ყურადღებას არ აკლებდა, აქტიურად უგზავნიდა წერილებს და ოძისში მცხოვრებ შალვას და ბიძინას არიგებდა, რომ – „არ ჰქონდეთ გაყრის დროს უსიამოვნება, ასევე უფროს შვილიშვილს – ქეთევანს (ჰლიზბარ ერისთავის მომავალ მეულლეს) უგზავნის პოპლინისა და ბლონდის საკაბეს. მისივე გამოგზავნილი ღვთაების დიდი ხატი უკიდიათ კედელზე კარალეთის სასახლეში მის შვილებს.“

პეტერბურგში მკაცრი კლიმატის გამო ანასტასია ბატონიშვილს ავადმყოფობა გაურთულდა. 1837 წლის 19 იანვარს თავის დას თეკლას სწერს – „ერთი თვეებ ავათა ვარ სიცხით, მჭვდლით და პირიდამ ნახველის სისხლის დინებით. თქვენ რძალს მარიამს ვერ მოვწერე ფიქრში თქვენ დასთან არ წამოსცდეს მეთქი. ნურავისთან ბრძანებთ ბარბარეს მეტთან. ჩემმა თამარმა არ შეიტყოს. დაწვრილებით შემდგომში მოგახსენებთ“.<sup>1</sup>

1 საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ფ. შ-1631.

ქსნის ერისთავების რძალი – ანასტასია გარდაიცვალა 1838 წელს. დაკრძალულია პეტერბურგის ალექსანდრეს ლავრის ეკლესიაში. საფლავის ქვაზე გაკეთებული ნარჩერის მიხედვით ბატონიშვილი დაიბადა 3 ნოემბერს 1763 წელს, გარდაიცვალა 17 მაისს 1838 წელს.


ეპიტაფის მიხედვით გამოდის, რომ ანასტასია გათხოვილა 35 წლის, რაც ეწინააღმდეგება იმდროინდელი სამეფო კარის დაუწერელ კანონს. ცნობილია, რომ მეფის ასულების გათხოვებას არეგულირებდა სპეციალურად ამ საქმისთვის მიჩნილი ადამიანების ჯგუფი. მშობლების მითითების კვალდაკვალ. კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ეწინააღმდეგება ანასტასიას დაბადების თარიღად 1763 წლის მიჩნევას, გახლავთ გერმანელი მოგზაურის ცნობა ქართველ პრინც-ესებზე, კერძოდ ანასტასიაზე, რომელიც 1772 წელს 3 წლის ყოფილა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ანასტასია ერეკლე მეფის ასულის დაბადების წლად მიჩნეული უნდა იქნეს არა 1763 წელი, არამედ 1769 წელი.



როსტომ ბიბილური – ქვენიფნეველი. I ერისთავი

## ანასტასია ბატონიშვილისა და რევაზ ერისთავის გენეალოგია



## ნინო თორნიკეს ასული ერისთავი ჯამბაკურ-ორბელიანისა

(1814-1887)

ნინოს მშობლები – მამა თორნიკე (ალექსანდრე) იესეს ძე ერისთავი და დედა – ბარბარა ივანე მუხრანბატონის ასული (ერეკლე II-ის შვილიშვილი) ცხოვრობდნენ ქსნის ხეობის სოფელ ლამისყანაში. თორნიკეს პაპა იესე ყულარალაშვილი შალვა წამებულისა, ხოლო თორნიკეს ბებია ქეთევანი – სიონის ტაძრის აღსავლის კარის ფარდის შემქმნელი.

თორნიკესა და ბარბარეს ჰყავდათ ორი ქალიშვილი: ელენე – გათხოვილი რუს გენერალ პოპოვზე და მეორე ქალიშვილი ნინო – ივანე თამაზის ძე ჯამბაკურ-ორბელიანზე. თორნიკე ერისთავი ცნობილი სამხედრო პირი გარდაიცვალა 81 წლის ასაკში 1860 წელს მაიორის ჩინით. დაკრძალულია სამთავისის ტაძარში. დასაფლავებისას სიტყვა წარმოთქვა სამთავისის მღვდელმა ფილიმონ კარბელაშვილმა<sup>1</sup>.

ლამისყანა ქსნის ხეობის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია, შემკული ბალვენახებით, სახნავ-სათესით, სათიბ-საძოვრებითა და ჭალებით. იგი აღმოსავლეთი კიდევა შინდავაკისა.

ხეობის ჩამკეტ, ამ მოხერხებულ ადგილს ერისთავებმა გაპატონებისთანავე მიაქციეს ყურადღება. სტრატეგიულ გორაზე, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იყო დასახლებული XVIII საუკუნეში აგებენ დიდებულ ციხე-სასახლეს, აღნიშნულ ციტადელიდან კარგად ჩანს ქსნის ხეობის ბარის სივრცე, საიდანაც შესაძლებელია მისი გაკონტროლება ქსნის ციხიდან ახალგორამდე. სამი მხრიდან კონუსური ფორმის გორაზე მდებარე ლამისყანის ციხე-სასახლე შედგება: ორიარუსიანი გალავნის და მასში მოქცეული ოთხი მრგვალი კოშკის, გალავნის გარეთ, იქვე ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე წმ. გიორგის სახელობის კარის ეკლესის, მარნისა და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებისა და ორსართულიანი ქვითკირით ნაგები სასახლისაგან.

რადგან ვაჟი არ ჰყავდა თორნიკემ ლამისყანის სასახლე თავის უმცროს ქალიშვილს – ნინოს, 1845 წელს ივანე თამაზის ძე ჯამბაკურ-ორბელიანთან<sup>2</sup>

1 ქართული საეკლესიო გალობის ერთ-ერთი გადამრჩენი. ცნობილი სასულიერო მოღვაწეებისა და მგალობლების კარბელაშვილების თვალსაჩინო წარმომადგენელი. მოგვიანებით სამი ძმა კარბელაშვილი საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

2 ივანე იყო ძმა მამუკა (მაკარ) ჯამბაკურ-ორბელიანისა. ეს უკანასკნელი მეუღლეა გიორგი „სენატორის“ ქალიშვილის ქეთევანისა, რომელსაც ერთ ხანად ეკუთვნოდა იკოთის სასახლე.

ჯვრისწერის შემდეგ მზითვში გადაულოცა, ხოლო უფროსმა ქალიშვილმა – ელენემ, რომელიც ცოლად გაჰყვა ყირიმელ თავადს გენერალ-მაიორ პოპოვს, მშობლებისაგან მამულების ნაცვლად ფულადი თანხა მიიღო.

„თორნიკე ერისთავმა 1845 წელს ივნისში თავის უფროს ასულთან მაშინ უკვე ქვრივ ელენე პოპოვასთან ერთად შეადგინა ანდერძი, რომლითაც თავის მემკვიდრედ დაასახელა უმცროსი ასული ნინო და თავისი კუთვნილი ქონება, იესე იესეს ძე ერისთავისაგან ნილად ნარგები მას უბოძა“<sup>1</sup>

შეუღლებულ წყვილის მფლობელობაში მოექცა გორისა და დუშეთის მაზრების 26 სოფელში მოსახლე 790 სული გლეხი. გაგვიჭირდება სიმართლის დადგენა იმის თაობაზე, თუ ვისი აგებულია ჩვენამდე მოღწეული ლამისყანის სასახლე, შესაძლებელია სიძე-სიმამრის თორნიკესა და ივანეს ერთობლივი მოქმედების შედეგია. ჯამბაკურ-ორბელიანების ორი თაობა 80 წლის მანძილზე სარგებლობდა ერისთავების ციხე-სასახლით და ამიტომაც ისტორიაში შევიდა როგორც ორბელიანების სასახლე. საფერებელია ამ გარემოებას ხელი შეუწყო ჩვენმა დიდმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა და მის მიერ დამკვიდრებულმა ტერმინოლოგიამ.

ერისთავების ასულმა ნინომ ივანე ჯამბაკურ-ორბელიანს ორი ვაჟი ალექსანდრე და გიორგი გაუჩინა. სამწუხაროდ უმცროსი ვაჟი ექვსი წლის ასაკში გარდაეცვალათ და ეს უმდიდრესი ოჯახი ერთი ვაჟის – ალექსანდრეს იმედად დარჩა.

დედისერთა თავადიშვილმა ალექსანდრემ ჩინებული არის ტოკრატიული განათლება მიიღო. მშობლების ხელშეწყობით 25 წლის ასაკში ცოლად შეირთო თავისივე მოგვარე მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი. პატარძალს ჯვრის წერისას დედამთილმა ნინო ერისთავმა ატენის მამული აჩუქა, სადაც ედგათ კლდეში ნაკვეთი მშვენიერი სახლი, რომლის არქიტექტორიც თავის დროზე თორნიკე ქსნის ერისთავი ყოფილა. სასახლე ედგათ აგრეთვე თბილისში ნიკოლოზის ქუჩაზე (საბჭოთა პერიოდში კალინინის ქუჩა), ამჟამად ივ. ჯავახიშვილის ქუჩა № 66. ამ დროისთვის ალექსანდრეს უკვე დაემთავრებინა პაჟების კორპუსი და ჩრდილოეთ კავკასიაში თავად ლევან მელიქიშვილთან ადიუტანტად მსახურობდა. შემდეგ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა თავის სამსახურში აიყვანა. სამხედრო კარიერა გენერალ-მაიორის ჩინით დაასრულა. შემდგომ გახდა თბილისის თავად-აზნაურთა ხელმძღვანელი. გარდაიცვალა 1919 წელს, დაკრძალულია კუკაზე.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი უაღრესად განათლებული და დიდსულოვანი ადამიანი გახლდათ. მისი როლი ქართული საზოგადოების აღზრდა-განათლებაში და ერის კულტურულ წიაღსვლების გააქტიურებაში ძალზე დიდია. მამამისი ვახტანგ ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი გახლდათ ერეკლე II-ის შვილთაშვილი. მარიამის მამის ძმა ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანი გახლდათ საზოგადო მოღვაწე, მწერალი და 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორი ელიზბარ ერისთავთან და სოლომონ დოდაშვილთან ერთად.

ნინო ერისთავის რძალი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი აქტიური წევრი იყო

1 ცუცნაშვილი-ფავლენიშვილი ს. „ორბელიანები ლამისყანაში“. გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1997 წ. 24-31 ოქტომბერი.

საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. ის სამ ათ-ეულ წელზე მეტი ხელმძღვანელობდა სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტს. 1906 წ. მისი მცდელობით და მოგროვილი თანხით გაიხსნა მშობლიურ ენაზე პირველი ქალთა სკოლა. აგრეთვე დიდი დახმარება გაუნია ილია წინამძღვრიშვილს საგურამოში სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნაში. მარიამმა სოფელ ატენში დედამთილისაგან ნაჩუქარ მამულში გაახსნევინა სამეურნეო სასწავლებელი. მას ჰყავდა სტეპენდიანტები ქართულ ვაჟთა სკოლაში და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში, იყო სამუსიკო სასწავლებლის კომიტეტის წევრი. 1876 წ. მოაწყო ლამისიყანის პირველი დაწყებითი სკოლა, რომლის ერთადერთი მასწავლებელი თავად იყო. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი თავგამოდებით გვერდში ედგა ივანე ჯავახიშვილს ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. სწორედ მომავალი უნივერსიტეტის შენობის გეგმა შვედეთიდან მარიამმა ჩამოიტანა.

სამწუხაროდ ალექსანდრეს და მარიამს მემკვიდრე არ გაუჩნდათ, მაგრამ მათ სახლს არ აკლდა არც ბავშვების შრიამული და არც ნათესავ-ახლობელთა და მოწინავე ინტელიგენტთა სტუმრობები. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ცნობილი იყო ორბელიანთა სასახლის სალონი სადაც თავს იყრიდნენ ცნობილი მოღვაწენი. ორბელიანებთან დაიარებოდნენ და დროდადრო ცხოვრობდნენ ვახტანგ ორბელიანი, ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც ცოლად ჰყავდა მარიამის ძმისშილი ანასტასია ნიკოლოზის ასული ორბელიანი, ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე – ივანე ჯავახიშვილის ქვისლი და სხვა. ამ სახლში იყო ორბელიანების მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც 1913 წ. მათმა სიძემ ივ. ჯავახიშვილმა მიაკვლია „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის უძველესს, რომელიც გადაწერილია ალექსანდრე კახთა მეფის მეუღლის დედოფალ ანას ბრძანებით XV ს. II ნახევარში. იგი ცნობილია „ანასეული ქართლის ცხოვრებით.“

ნინო თორნიკეს ასულ ერისთავის მიერ დაკვალიანებულ და ცხოვრების გზაზე დაყენებულ უშვილო, მაგრამ წინაპართა ტრადიციების გამგრძელებელმა ალექსანდრე და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიამებმა ერისთავებისეული სასახლე სიკეთის, სამშობლოზე ზრუნვისა და კულტურულ-საგანმანათლებლო კერად აქციეს. ორბელიანები გამოდიოდნენ დევიზით: „სოფლის გლეხობა მემამულემ კი არ უნდა შეავინროვოს, არამედ უნდა იცავდეს და მათზე ზრუნავდეს.“ რუსეთის კოლონიად ქცეულ საქართველოში არ ყოფილა რაიმე საჭირობო ეროვნული, მამულის გასახრისი საკითხი, რომლის გადაჭრაში მარიამს მეუღლის ხელშეწყობით არ მიეღოს მონაწილეობა. ამიტომაც ითქვა და დაიწერა მასზე: „ეროვნული საქმის კეთება მისი ცხოვრების წესი იყონ.“

თბილისის ბინაში მათთან დიდი სანათესაო ცხოვრობდა (ორბელიანები ზაფხულს ლამისიყანაში ატარებდნენ, ზამთარს – თბილისში). მარიამის ძმისშვილები თავისი ოჯახებით და თავისი შვილიშვილებითაც კი. ჯამბაკურ-ორბელიანებთან ცხოვრობდა მიხეილ რჩეულიშვილი. სწორედ მათ სახლში დაიბადა ყველასათვის საყვარელი მწერალი გურამ რჩეულიშვილი. იგი იყო მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ძმისშვილის მულის შვილიშვილი. აქედან გამომდინარე, გამორჩეულად ხაზგასასმელია სიკეთე ორბელიანებისა, რომელიც ასე შორს

გასულ შტოებსაც სწვდებოდა.

მიუხედავად ასეთი დამსახურებისა 89 წლის მოხუცის თხოვნას პერსონალური პენსია მიეცათ უარი უთხრეს. ასევე უარი უთხრეს მას უკანასკნელ თხოვნაზე – დაეკრძალათ სიონის ტაძარში, თავისი მამისა და ქმრის ოჯახის აკლდამაში. ნინო ერისთავის საყვარელი რძალი, ჩამომავალი შალვა და ელიზბარისა და ბაგრატიონებისა, გარდაიცვალა 1941 წ. 23 აგვისტოს, დაკრძალულია კუკიაზე, დაუფასებელი და პატივმიუგებელი ქართველობისაგან.

ორბელიანების სასახლეში მისი ბოლო მფლობელი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი ცხოვრობდა 1924 წლამდე. მისი იქ ბოლო ორი წლის ყოფნის პარალელურად მათ სასახლეში მოთავსებული იყო სახალხო კომუნა, შემდეგ სოფლის აღმასრულებელი კომიტეტი, კოლმეურნეობის გამგეობა და სხვადასხვა საბჭოური სამსახურები. გასული საუკუნის 80-იან წლებიდან სასახლეში მოხწყო ჯამბაკურ-ორბელიანების სახლ-მუზეუმი, სწორედ მუზეუმის და მისი ხელმძღვანელობის სოფიკო ცუცნაშვილი-ფავლენიშვილის დამსახურებაა ციხე-სასახლისა და მისი ისტორიის შენახვა-შენარჩუნება მომავალი საქართველოსთვის.

ნინო თორნიკეს ასულ ერისთავზე შემონახულ მწირ მასალას ავსებს უცნობი ქართველი მხატვრის მიერ შესრულებული პორტრეტი, რომელიც ინახება საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში (იხ. გარეკანის პირველ გვერდზე).

XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისური ფერწერული სკოლის ადრეული ეტაპის ნაწარმოებთა შორის მეტად ყურადსალები ჩანს ერისთავიანთ ასულის პორტრეტი. ცნობილია მისი შესრულების თარიღი – 1829 წელი. უჩვეულოა ფერწერის თავისებური მხატვრული ხედვა, სურათის კომპოზიციური გადაწყვეტა, ფიგურისა და ფონის ურთიერთ დაკავშირება.

სრულიად ახალგაზრდა 15 წლის ქალი, მდიდრულად მორთული სამოსით, მთელი ტანით, შორეული პეიზაჟის ფონზე გამოსახული. ზურგს უკან გადაგდებული ორი ნაწავი, წითელი კაბა, წელზე შემოჭერილი ქამარი სურათში გარკვეულ რიტმს ქმნის. მარჯვენა ხელით დოინჯშემოყრილი, შეპრუნებული მტევნით თეძოზე დადგებული, ხოლო მარცხენა ხელი მცირე ზომის წინ გაწვდილი ყვავილით. მაღალი, მომრგვალებული ფორმის ქუდი აგვირგვინებს ქალის სახეს.


პორტრეტის მთლიან გადაწყვეტაში არსებითი ფუნქცია ეკისრება ქალის სამოსის ორნამენტულ მორთულობას. მდიდრულადა მორთული ქალის გულმკერდი. შიდა თეთრი კაბის გულისპირი მთლიანად დაფარულია ძვირფასი თვლებით. მოჭედილი ფოთოლთა რიგით. წითელი ფერის კაბის კალთებს მიუყვება ოქროსფერი ფოთლოვანი არშია. გარდა ამისა ქალი შემკულია უამრავი სხვა სამკაულითა და მოსართავით.

პორტრეტის კოლორიტი ნათელი და საზეიმოა. ამგვარად ნინოს სახე, ირანული – ყაჯართა მხატვრობის გარკვეული გარეგნული ზემოქმედების მიუხედავად, მკვეთრად ინდივიდუალური და განუმეორებელიც კია.

პორტრეტის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება გამოითქვას მოსაზრება თვით მხატვრის პიროვნებაზე. იგი აუცილებლად პროფესიონალი, მაღალი მხატვრული გემოვნების მქონე, თბილისური მხატვრული სკოლის ერთ-ერთი უც-

ნობი ქართველი შემოქმედი უნდა ყოფილიყო. თვითონ ნინო თორნიკე ქსნის ერისთავის ასულის პორტრეტი სხვადასხვა ნაკადების შედუღებით, ტიპიურ ეროვნულ, ქართულ ნიადაგზე წარმოშობილ მოვლენად გვესახება.<sup>1</sup>

### ნინო თორნიკეს ასული ქსნის ერისთავის გენეალოგია



<sup>1</sup> ნინო ქსნის ერისთავის პორტრეტის ანალიზისთვის გამოყენებულია მააა ციციშვილის ნარკვევი. იხ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა – ქართული ხელოვნება, სერია B 9. გთბ., 1991. გვ.5-18.

## მარიამ და ეკატერინე ივანე ქსნის ერისთავის ასულები

ბახტრიონის აჯანყების გმირების, წმინდანებად შერაცხულ შალვა და ელიზბარ ერისთავთა შთამომავალ, იესე ყულარალასიანთ გენეტიკური მუზის მატარებელთა სამფლობელოა სოფელი ქვეში. ქართლის ამ შუაგულ სოფელში (გორიდან 15 კმ-ში) მცხოვრები ივანე (იოანე, ნინია) ელიზბარის (1741-1826)<sup>1</sup> ძე ქსნის ერისთავისა (1786-1851) და კონია (ნათლობის სახელი თინათინი) გიორგის ასულ ამილახვრის (1801-1873) მრავალშვილიან ოჯახში აღიზარდნენ პოეტი ქალები – დები მარიამ და ეკატერინე ერისთავები. შვილებს წინაპრებიდან გამოყოლილი ნიჭის გამოვლენაში დიდად დაეხმარა სწავლა-აღზრდის ოჯახური პრინციპები და ტრადიციები, მშობლების უმაღლესი არისტოკრატიული განათლება და მათი ინტერესი მწიგნობრობისადმი.

„დიდი ივანეს“ პოეტების ოჯახი ქვეში გადმოსული ჩანს პატარა ლიახვის ხეობის სოფ. ბელოთიდან, რომელიც დევს მალრან-დვალეთის გზაზე. ქსნელ ფეოდალთა ეს ოდინდელი სამკვიდროს ერთი ნაწილი საერისთავოს გაუქმების შემდეგ, 1777 წლიდან, გადავიდა იულონ ბატონიშვილის (1760-1816) მფლობელობაში, თუმცა ქსნის ერისთავების უმცროსი შტო და მათთან ერთად ორბელიანებიც ბელოთის თემში ინარჩუნებენ უმა-მამულებს.

ბელოთი ადრინდანვე იყო ცნობილი როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო კერა. მე-18 საუკუნის 70-იან წლებში აქ მოღვაწეობდნენ თბილისელი მწიგნობრები იესე ბარათაშვილი (1728-1786) და სოლომონ მესხიშვილი (1742-1807), ხოლო იმავე საუკუნის დამლევს იოვანე ქართველიშვილი.<sup>2</sup> ამ ცნობილ მწიგნობართა გარემოცვაში ბელოთში პერიოდულად ცხოვრობდა გიორგი ყულარალასის შვილი ელიზბარი – „მელექს“.

პოეტი ქალების პაპამ ელიზბარმა ერეკლე მეფესთან პოლიტიკური და-პირისპირების გამო მიაწოვა ბელოთი და იმერეთს შეაფარა თავი. იგი გახდა სიძე მეფე სოლომონ I-ისა. სოლომონ II-ის გამეფებისთანავე იმერეთს ტოვებს და ბრუნდება ბელოთში. მეფის კარზე აღზრდილი 17 წლის „პატარა“ ივანე მამამ „მიართვა თელავს ფარნაოზ ბატონიშვილს“. ამ უკანასკნელს ცოლად ჰყავდა ელიზბარის და. ივანე ერისთავი მამიდის ქმართან 1798-1801 წლებში

1 მარი ბროსეს (ცნობით, ელიზბარი გარდაიცვალა 75 წლის ასაკში 1813 წელს და აქედან გამომდინარე ის აცხადებს, რომ იგი დაბადებული ყოფილა 1738 წ. რაც ჩვენი აზრით არასწორია. ი, მეგრელიძე მიიჩნევს, რომ ელიზბარი გარდაიცვალა 75 წლისა 1826 წლის 13 აგვისტოს. (იხ.: ი. მეგრელიძის პუბლიკაცია ეპიტაფიისა. „მოამბე“ 1963 წ. № 3. გვ. 176-177).

2 მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერძები. წ. I. თბ., 1962. გვ. 265.

დარჩა. იგი თავიდანვე დაინტერესებული ყოფილა ფილოსოფიური ლიტერატურით, ამიტომაც მას ვიცნობთ „ფილოსოფოსის“ და „სწავლულის“ სახელით. ივანე ფლობდა მდიდარ ბიბლოთეკას ძვირფას, ძველ ხელნაწერებთან ერთად. მისი მაღალგანსწავლულობის გამომხატველია პირად ბიბლიოთეკაში არსებული იოანე ბატონიშვილის ნათარგმნი ადამ ფერგიუსონის „მოძღვრება ზნეობითი ფილოსოფიისა“, (H-214), რომელსაც ამშვენებს თვით იოანეს მინაწერი: „ბრწყინვალე თავადო, ერისთავო იოანე ელიზბარის ძევ. მესმა სურვილი და გულსმოდგინება ბრწყინვალებისა თქვენისა აზნაურებითთა ხელოვნებისა ჰსნავლათა და ამან მაიძულა ამა ნაშრომისა ჩემისა მორთმად თქვენდა, ვინაიდგან გისწავიესთ თქუენ წერილი ფილოსოფიურნი. . .“ აღნიშნული წიგნი წარწერით ივანე ერისთავს გორში მიუღია იოანე ბატონიშვილის გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ – 1830 წელს.

ქართულ მჭერმეტყველებაში ყველესათვის ნაცნობ „დიდ ივანეს“, (აკაკი წერეთელი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ამ სახელით მიმართავდა). იგი ცნობილი ბიბლიოფილი და თავისი დროისათვის დიდად განსწავლული პიროვნება ყოფილა. აგრეთვე იყო მონაწილე იმ ეროვნული შეთქმულებისა რომელიც, 1832 წელს, მიზნად ისახავდა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაპრუნებას.

სოფ. ქვეშში ივანეს ოჯახთან მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ იმდროინდელი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: გიორგი ერისთავი, სვიმონ მაჩაბელი, ალ. ჭავჭავაძე, ირაკლი შანშიაშვილი, გიორგი იესეს ძე და ზაქარია ერისთავები, ისაკ თუმანიშვილი და სხვები.

მეუღლე ივანე ერისთავისა თინათინი (კონია) გიორგი ამილახვრის ასული „დიდი მოყვარული და დამფასებელი იყო ქართული მწერლობისა. ეს უკანასკნელი ცნობილია როგორც გადამწერი და უკვე მხცოვანიც გატაცებული იყო მწიგნობრობით“.

ნახევარ საუკუნეს გადაცილებული ქალბატონი კვლავ დაუზარელად მოღვაწეობდა სოფ. ქვეშში. ზოგიერთი თავადის ქალივით მხოლოდ ბალ-მასკარადებზე არ დადიოდა და არც ნათესავებში მომაპეზრებელი წვეულებების გამო „ლაფი-ტოპიაობდა“, როგორც აკაკი წერეთელი ამბობდა ზოგიერთ უსაქმურად მოარულ თავადებზე. კონია ერისთავს 1875 წელს გადაუწერია 477 გვერდიანი წიგნი, კრებული „წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა მაქსიმეს ცხოვრება და მოქალაქეობა“. წიგნს ბოლოში ერთვის ანდერი: „სრულ იქმნა შეწევნითა ღვთისათა წიგნი ესე წელსა ჩყნე-სა კნეინა კონია ერისთავისაგან, რომელიც ვიყავ ამ წიგნის წერაში ხნისა ორმოცდამეთხუთმეტეში და მყვანდა სამნი ძენი და ექვსი ასული და ერთიც შვილიშვილი<sup>1</sup>“

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივში დაცულია თეიმურაზ ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“ შემდეგი მინაწერით: „აღნერილ არს წიგნი ესე ქართლის ცხოვრება ხელითა კნეინა კონია ერისთავისაგან, ამილახვრის ასულისაგან. ქართლის ცხოვრება ესე ვინც წაიკითხოთ, შენდობა უბრძანეთ და, თუ რაიმე შეცდომა ნახოთ, ნუ მწყევთ, ამისთვის რომ ვიყავ წლისა სამოცდა მესამისა და თვალთაც მაკლდა და ამისთვის მომიტევეთ. წელსა ჩყანაში და ექვსი ასული და ერთიც შვილიშვილი“

1 საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გ-208.

სა ოკუდომბრის კლ-სა დღესა ქვეშისა სოფელსა.“<sup>1</sup>

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ერთი წერილი ნათელს ფენს ივანე „ფილოსოფოსის“ შვილების აღზრდა-განათლებას. მის მრავალ შვილთაგან ერთი ანა გათხოვილი იყო კიაზო არაგვის ერისთავზე და ცხოვრობდა სოფ. ქისტაურში. სწორედ ანას ოჯახის სტუმრობას საეკლესიო მუზეუმში, იუნიება გაზეთი:<sup>2</sup> „გუშინ 8 დეკემბერს საეკლესიო მუზეუმი დაათვალიერა არაგვის ერისთავის სახლობამ დიდად პატივცემულ კნეინა ანნას, ქსნის ერისთავის იოანნეს ასულის, მოთავეობით. კნეინა ანამ გასინჯა მუზეუმის ძველი და წმინდა ნივთები, სასოებით ემთხვია წმინდა ნაწილებიანს ხატებს, წიგნებს დავით დიდის კურაპალატის (1001 წ.) ჯვარს, წაიკითხა ზოგიერთი ძველისძველის, მე-IX-X სს. გადაწერილი წიგნები და მუზეუმს შემოსწირა ორი ხელნაწერი – დავითიანი მე-XIV საუკუნის და ტყავზე ნაწერი სვინაქსარი. დამსწრენი გააკვირვა კნეინა ანნას მრავალგვარმა ცოდნამ. პატივცემული თავადის იოანნეს ასულს ანნას ზედმინევნით სცოდნია ქართული ძველი ქსოვა-კერვის ხელოვნება, ყოველგვარი ხუცურის კითხვა, ქორონიკონ-კინკლოსის გამოთვლა, ქართული ძველი მწერლობა. კნეინა ანნას ქონია ბევრი ძველი ხელნაწერები“.

პოეტების ოჯახის უფროსი ივანე ერისთავი გარდაიცვალა 1851 წლის 15 დეკემბერს. დაკრძალულია საგვარეულო სასაფლაოზე – იკორთაში. მის საფლავის ქვას ამშვენებს მეგობრის სვიმონ მაჩაბლისეული (ივანე მაჩაბლის პაპა) ეპიტაფია: იყო მანათობელი კერძოისა ამისა ქართველთა მემამულეთა შორის უპირველესი ბრძენი და განმარტებელ საღმრთოისა წერილისა და ფილოსოფურთა საგანთა, მტკიცედი მცველსა საღმრთოთა მცნებათა და მოყვარულ მოყვასთა თავისთა უკანასკნელ უამამდე მყუდროდ გამატარებელ დროისა სახლსა შინა თავისსა ნუგეში და სასოება საყვარელს მეუღლისა, სამთა ძეთა და შეკიდთა ასულთ, რომელთაცა ქრისტიანებრივის სწავლით აღზრდიდა და უტევა ესენი დაულევნელსა ვაებასა შინა.“<sup>3</sup>

ივანე და კონია ერისთავების ცამეტ შვილთაგან სამი მცირეწლოვანი გარდაიცვალა, დარჩენილი ათი შვილიდან ორმა ქალიშვილმა როგორც ზემოთ ავლნიშნეთ პოეტობას მიჰყო ხელი. სწორედ ივანეს ქალიშვილებზე მარიამზე და ეკატერინეზე წერდა აკაკი წერეთელი:<sup>4</sup> „ამ ორმოცდაათი წლის წინათ გავრცელდა ხმა საქართველოში, რომ დიდი ივანე ერისთავის ქალები მშვენივრად გამოზრდილნი არიან, საღვთო-საეროში განაფულნი და ზედმინევნით იციან პლატონის ფილოსოფია, რიტორება, არისტოტელეს კათეგორია და სხვანი და სხვანი.“<sup>5</sup>

## მარიამი (1834-1859)

მიუხედავად თავადური წარმოშობისა, ნიჭისა, სიმდიდრისა და სილამაზისა „დიდი ივანეს“ პოეტი ქალები უილბლონი აღმოჩნდნენ, მარიამი სრულიად

1 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი. კოლექცია 144. ხ. № 33.

2 გაზ. „ივერია“, 1902 წ. № 264.

3 ქართული პოეზია, ტ. 10. თბ., 1978 წ. გვ. 477.

4 ურნ. „ევალი“, 1891 წ. № 14.

5 ქართული პოეზია, ტ. 10. თბ., 1978 წ. გვ. 176.

ახალგაზრდა, გაუთხოვარი გარდაიცვალა“. მისი აღსასრულის ტრაგედიამდე ორი წელი სრულიად უსინათლოდ ცხოვრობდა. საქართველოს სახელმწიფო ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცულია მისი ლექსის ხელნაწერი, იგი ერთადერთია, რომელიც პოეტის სიცოცხლეში დაიბეჭდა უურნალ „ცისკრის“ 1857 წლის № 9-ში. ლექსის სათაურია: „კნიაუნა მარიამ იოანე ერისთავის ასულმა დაუწერა ეს ქება როდესაც ორის წლის დაბრმავებული მოარჩინა გორიჩ ტერყალაქაროვმა“<sup>1</sup> ნაწყვეტი აღნიშნული ლექსიდან:

„უვერცხლოდ ნებით ნიჭი ეგე გაქვს მკურნალობის,  
რომლით გამსგავსე წმინდას კოსმას სულით განბრძნობილს,  
ან წამის ყოფის მეც კურნება ორი წლის ბრმობილს  
მომფინე ძალი სოფლის ხილვის ვით ახლად შობილს“.

ახალგაზრდა პოეტი ქალის შემოქმედებიდან გამორჩეულად თვალშისაცემია პათეტიკურობით აღსავსე ლექსი „იკორთა“<sup>2</sup>

ცნობილია სოფელი იკორთა და იქ არსებული მე-12 საუკუნის ხუროთმოძღვრების უმშვენიერესი ძეგლი – ქსნის ერისთავების საგვარეულო საძვალე, სადაც განისვენებენ ბახტრიონის აჯანყების გმირები, წამებული წმინდანები შალვა, ელიზბარ ქსნის ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი. თამარ მეფის ქალიშვილობისდროინდელი დიდებული ძეგლით მოხიბლული ახალგაზრდა პოეტი ქალი ტაძარს ასე მიმართავს:

„ტაძარო! შენში ჩაწყობილნიც გვითხრობენ ქვანი,  
რომ იყვნენ ჩვენნი წინაპარნი მტკიცე მოსავნი.  
და შენთა ამა იატაკცა თვალით მნახავნი,  
ჰუცნობენ აქ ბრწყინვენ მონამენი ქსნის ერისთავნი,  
ვით ორნი მზენი ცის სამყაროს სხივ მთებარენი,  
ეგრეთა კრთიან და ანთიან აქ მდებარენი,  
შალვა, ელიზბარ, მისთვის ერთად მოელვარენი,  
განჰვინონ მადლი, განანათლონ ივერთ მხარენი“.

პოეტი ქალი მოხიბლულია დიდებული ტაძრის კედლებით და ეთაყვანება იქ დაკრძალულ „ცის სამყაროს ორ მზეს“ ორ წმინდანს, მამულისათვის შეწირულ ერისთავებს და ახმოვანებს მათ თავდადებას:

„მათ ხმლით დაეცვათ წმინდა სჯული და თვის მამულნი  
აქ მდინარებენ მათის სისხლის ის ნაკადულნი,  
მათგან მორწყულნი მათნი მტვერნი ანცა ჰყვავიან,  
საყნოსად თვისთა შთამომავალთ სუნელთა ფშვიან“.

მარიამ ერისთავის შემოქმედებითი პროდუქტია „მარიამ გოლგოთაზე თხზულება ჯიუსტინიანისა პროზად და გალექსილი იოანე ერისთავის ასულის კნიაუნა მარიამისაგან“, რომელიც დაიბეჭდა უურნალ „ცისკარში“ 1871 წლის თებერვლის ნომერში არა როგორც მარიამის, არამედ რატომდაც მისი დის ეკატერინეს ხელმოწერით.

მარიამის პოეტური ნიჭის დიდი დამფასებლები იყვნენ გიორგი ერისთავი, გრიგოლ დადიანი – „კოლხიდელი“, გრიგოლ ორბელიანი და სხვა ცნობილი

1 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ბ-7980.

2 უურნ. „ცისკარი“ 1861. № 9.

მოღვაწენი. მარიამ ერისთავის ლექსით მოხიბლული გრ. ორბელიანი პოეტის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე დათარიღებულ წერილში დიმიტრი ჯორჯაძეს სწერდა: „აბა ახლა ნაიკითხე უკანასკნელს ცისკარში ლექსი კნეინა მარიამ ერისთავისა, ნახე როგორ მოგეწონოს. ვისი ქალი არის?“<sup>1</sup>

მოგვიანებით ერისთავის პოეტი ქალი – მარიამი პეტრე უმიკაშვილის უურადღების არიალში ექცევა. 1889 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№ 63) დაბეჭდილ წერილში ის დგას ქართველი პოეტი ქალების გვერდით. მოგვიანებით კი გაზეთმა „ბახტრიონმა“ მარიამ და თეკლა ბატონიშვილების ლექსების გვერდით მოათავსა ნაწყვეტები მარიამ ერისთავის ლექსიდან „იკორთა“.<sup>2</sup>

„იმდროინდელმა ქართველმა პოეტებმა შეძლებისდაგვარად აღნიშნეს პოეზის ცაზე ახალი ვარსკვლავის გამოჩენა“ – სწერს მკვლევარი ლეილა ნანიტაშვილი 1967 წელს გამოცემულ თავის ცნობილ წიგნში – „უურნალ ცისკრის პოეტები“.

მარიამ ერისთავს დაუბეჭდავი დარჩა შესხმანი მიტროპოლიტ ისიდორეზე, არქიმანდრიტ გრიგოლ დადიანის რძალზე, თამარ მიხეილ შარვაშიძის ქალზე, ასევე ეპიტაფია გიორგი ერისთავის – „სენატორის“ ვაჟზე ზაქარია ერისთავზე.

„შესხმა დაწერილი მიტროპოლიტის ისიდორეს რუსეთს წასვლის დროს ბორჯომს“ – განსაკუთრებულად საყურადღებოა იმ მხრივ, რომ იგი წარმოადგენს ქართული მჭერმეტყველების ნიმუშს.

ერისთავების პოეტი ქალი თვალის ჩინის დაკარგვით და სხვა ავადმყოფობით შეწუხებული სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა 1859 წელს, (1861 წლის ივნისის თვის 9. „ცისკარი“ აქვეყნებს ცნობას, რომ მარიამი დაიღუპა 1858 წელს, რაც არასწორია) დაკრძალულია მამის გვერდით, საგვარეულო საძვალე იკორთაში საკურთხეველთან ახლოს. ვაზის ლერწით და ფოთლებით შემკულ მარმარილოს დაფაზე იკითხება შემდეგი ეპიტაფია:

- 1) „მოიხსენე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა აქა მდებარე
- 2) თავადის იოანე ერისთავის ასული მარიამი, რომელი სურმის-
- 3) გან ჭეშმარიტისა სიბრძნის მოყვარებითა თავისითა შეგეტყბო შენ
- 4) ნაგევად შემრაცხუმლი საწუთოისა ამის ცხოვრებისა და შენთა მო-
- 5) ისწრაფა მტკიცითა (sic) სასოებათა მინიჭებასა ზედა მისდა შენ ტკბ
- 6) ლსა იესოსგან უობჭნოვა ცხოვრებისა, თუმცა მოკლემან მისმან
- 7) მოსწყლა მწუხარებითა მშობელი ამისი, გარდაიცვალა შობით-
- 8) გან კე-ს წლისა ჩყნთ-სა წელსა სეკტემბრის იბ-სა დღესა“.

მარიამის საფლავის ქაზე იგივე ტექსტი მეორდება რუსულად.

ერისთავების ახალგაზრდა პოეტის მარიამ ერისთავის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოსთქვა ქსნის ერისთავთა კარის ეკლესიის მაშინდელმა მოძღვარმა სოლომონ ხახანაშვილმა. იკორთის თაღებვეშ მოძღვრის წარმოთქმული სიტყვა შესანიშნავი ნიმუშია მჭერმეტყველებისა, რომელიც ნიკოლოზ კანდელაკს მოცემული აქვს, როგორც ქართული სამგლოვიარო მჭერმეტყველების ნიმუში. „ნეტარად ხსენებული იყო აღსავსე ყოვლის კეთილგონიერებითა და სიმართლითა, რაოდენსაცა დაიტევს ბუნება მდედრისა. ესე იგი უყუარდა მას ღმერთი,

1 გრ. ორბელიანი. წერილები, ტ. II. თბ., 1937. გვ. 213.

2 გაზ. „ბახტრიონი“, 1922 წ. № 13.

ვითარცა დაპსწერს, მახარებელი: ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა, ამასთანავე უყუარდა ძმანი და მოყვასნი, ვითარცა თავი თვისი, მაშასადამე ამით აღასრულა მან მცნებანი ღვთისანი. კვალად ვიტყვი; ესე იყო ფრიად კეთილი, გონიერი, მომთმინო, უზაკველი, უბინებისა დამცუელი, იყო წმინდა გულითა.

ესე მცირე წლოვანებითგანვე განსწავლულ და წვრთილ იყო მამისა მიერ თვისისა, სიბრძნის მოყვარის თავადის იოანე ერისთავისა მიერ ყოვლის კეთილის სწავლითა.

განუშორებელ იყო ხელთაგან მისთა კითხუა ფსალმუნთა, სულისა დამატ-კბობელთა. დღე და ღამე იწვრთიდა და შესძინებდა ახალ-ახალთა ჰსწავლათა საღმრთოთა წიგნთაგან.“

ქსნის ერისთავების საგვარეულო პანთეონი იკორთა, რომელიც გორიდან 25 კილომეტრში მდებარეობს, (ამჟამად ოკუპირებულია) ინახავდა საინტერესო და ძვირფას ნაქარგობას.<sup>1</sup> ამ სამონასტრო ცენტრიდან ჩვენამდე მოღწეულ ქარგვის ხელოვნების ნიმუშებიდან ძირითადად დაფარნები – ამ შემთხვევაში როგორც „საფლავის საბჭდავები“, ანუ საფლავის ქვის გადასაფარებელია წარმოდგენილი, რომელთაგან ნაწილი 1910 წელს ე. თაყაიშვილმა თბილისში ჩამოიტანა და საეკლესიო მუზეუმს გადასცა. აღნიშნულ ნაქარგობათა შორის არის მარია ივანეს ასული ერისთავის საფლავის ქვის გადასაფარებელი დაფარნა, რომელიც ქარგვაში ქსნის ერისთავების ქალების დიდად ხელგანაფულობის თქმის უფლებას იძლევა.

**დაფარნა:** ხავერდის საფარზე ამოქარგულია თეთრი ტანისამოსით შემოსილი, ევროპული ვარცხნილობის გვირგვინოსანი ქალი. ზემოთ აქეთ-იქით ფრთოსანი ანგელოზებია ამოქარგული. აშია ვაზის ტოტებით, ფოთლებითა და მტევნებითა შემკული. ქვემოთ რუსული წარწერაა, რომლის ჩვენეულ თარგმანს ქვემოთ გთავაზობთ: „არაადამიანურმა სიკვდილმა გაფურჩქვნის ხანაში, სიყვარულის კავშირი გაწყვიტა, დააშორა თავად ივანე ერისთავის ქალიშვილი მარიამი მოსიგვარულე მშობლებს, დებს და ძმებს, მათი მუდმივი მწუხარებისთვის რომელიც გარდაიცვალა რა 12 სექტემბერს 1859 წელს გადავიდა ამ ქვეყნიდან თავის უმწიკვლო დასთან დარიასთან და ძვირფას აღმზრდელთან მამასთან, რომლის მგვანობა მთელი მაღლით სრულად შეითვისა. ღვთის სიყვარულით და კეთილშობილებით შემკულმა მარიამმა რომელიც სთხოვს წამკითხველს ცრემლიან თანაგრძობას წმინდანებთან შესაერთებლად.“

რადგან საფლავი არის ძეგლი მიცვალებულის ხსოვნისა და გულის საოხი ცოცხლად მყოფთათვის ამიტომაც დიდი რუდუნებით ქარგავდნენ და ქმნიდნენ ქართველი მანდილოსნები ხელოვნების ასეთ ულამაზეს ნიმუშებს. სწორედ ამიტომაა, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ნაქარგობა თავისი ცხოველხატულობით უმაღლეს წერტილს აღწევს.

## ეკატერინე (1818-1870)

ივანე და კონია ერისთავების კიდევ ერთი ასული პოეტი ეკატერინე ცნობი-

1 იკორთის ნაქარგობაზე იხ.: ქერქაძე ვ. ქსნის ერისთავები, თბ., 2014. გვ. 420.

ლი გახდა თავისი ერთი ლექსის „ზამთარი ჩაგრულნის“ დაწერისთანავე. ლექსი ფართოდ გავრცელდა ხალხში და სიმღერად იქცა. „თუმცა ხალხი სიამოვნებით იმღერიდა ამ ლექსს, მაგრამ როგორც ქალს, ქების ტაშს მაინც არავინ უკრავდა“ – წერდა აკაკი წერეთელი.

ეკატერინეს პოეტური ნიჭით დიდად იყო მოხიბლული მამა – ივანე „ფილო-სოფოსი“. იგი შვილისადმი მიძღვნილ იამბოკში (საქებარ ლექსში) წერდა:

„ეკატერინევ, ჩემო სატრფო ასულო  
სიბრძნის მწვერვალთა ზარისამებრ ასულო  
უმანკო, ტრედო, უბინო წმინდა სულო,  
სათნოების მზევ, კრძალვის ცის აღმოსულო.  
მე ესრეთ გიცნობ, გიყვარს ლექსთა თქმულება  
გრძნობის სიმკვეთრე, გამოხატვის თხზულება,  
ხოლო მეორე – პოეზის დაცულება.“<sup>1</sup>

არც ეკატერინეს პირადი ცხოვრება წარიმართა სახარბიელოდ. ის ცოლად გაჰყვა ცნობილი ბიბლიოფილის, იმერეთის თავადის, გრიგოლ წერეთლის ვაჟს ალექსანდრეს. პოეტის მამამთილი გრიგოლ წერეთელი – „იყო ფრიად მეცნიერ და ყოვლითურთ სიკეთითა განშვენებულ, ჭაბუკ ახოან გუამითა, ხოლო აბრამიან (ტკბილი. ვ. ქ.) ქცევითა.“ მეუღლე ალექსანდრე კი, მოკლედ რომ ვთქვათ – უხასიათო. მას არაფრად ეჭამნიკებოდა მეუღლის პოეზობა, „თურმე წერეთლები მოელოდნენ დედოფლურად გამოზრდილს ოჯახის ასულს, ყოველს შემთხვევაში, თავდაჭერილს, მაგრამ წარმოიდგინეთ მათი გაკვირვება, როდესაც ხელში დარჩათ პოეტური გრძნობით ალვისილი ახალგაზრდა ცქრიალა ქალი, რომელიც თავს არ იჭერდა, ყველაფერს შეფრქვევით მიეხავითებოდა, ცუდს ზიზღით ზურგს უჩვენებდა და შორდებოდა. ამგვარი პირდაპირობა, თავდაუჭერელობა და ზედ დართული მოლექსეობაც არ ესიამოვნა ქმარს და ცოლ-ქმარს შუა ცხოვრება გამნარდა.“<sup>2</sup>

აუტანელი ხასიათების მქონე ალექსანდრემ ერისთავების ასული ცალკე სადგომში დაამწყვდია და დააპატიმრა. პოეტი ქალის უზომო მწუხარებასა და უსასოებას გვიხატავს ლიტერატურის მუზეუმში დაცული ეკატერინეს უცნობი ლექსი შემდეგი მინაწერით: „ეკატერინე რომ დაატუსალა თავისმა ქმარმა ალექსანდრე გრიგოლის ქემ წერეთელმა.“

„ვაი ვეღარა ვიხილავ, განქრა ჩემთვის გაზაფხული,  
საუკუნოდ მომიმზადეს სამყოფი ბერელი, დახშული,  
ნაცვლად ლხენის, მქონან ცრემლნი და ჭმუნვით მაქვს სავსე გული  
ვეღარ ვსუნთქამ ტკბილს ჰაერსა, შვებას სრულად მოკლებული.....  
ვითარდა ძალმიძს ვითმინო ესდენი ჭირი და სულთქმა,  
ვის მონად ვიქმენ, საბრალო, ვის მივეც გული და აღთქმა,  
მსხვერპლად ვის უქმენ სიცოცხლე, მრცხვენის ან მისი გამოთქმა  
ნაცვლად ამ შენიროლების განმეწერა გლოვა მოთქმა.<sup>3</sup>“  
ცნობილი მწერალი და დრამატურგი გიორგი ერისთავი ახალგაზრდობა-

1 ნანიტაშვილი ლ. დასახ. ნაშრ. გვ. 58

2 წერეთელი ა. თხზულებები, ტ. XIII. გვ. 56

3 იქვე.

ში მოხიბლული ყოფილა ეკატერინეთი, რისი დამადასტურებელიცაა მისდამი დიდი გრძნობით მიძღვნილი ლექსები. იმერეთის თავადის ტყვეობაში მყოფ ერისთავიანთ ასულს გლუხარიჩი თანაგრძნობის სიტყვებით ეხმაურება:

„იქნებ, შენს მაღალს გონებასა სამშობლო მხარე  
უკვე მოსწყინდა და ამისთვის შორს განიგარე?  
მართლად მუნ ნახავ უცხო ადგილთ ბუნებას ტურფას,  
მაგრამ მუნ კაცი ვერა ჰცნობენ გონების შენ ფასს,  
შენსა შვენებას, შენს სინაზეს და შენ ზრდილობას  
აწყენს ქაჯური მათი ქცევა ვარდის შლილობას.  
არ ვგონებ, ტრფობა უცხო მხარის გიდევ გინვევდეს,  
შენსა მაღალსა სულსა ჯაჭვი ტრფობას ვერ დასდევს  
შენ მუნებური სიყვარული გულს ვერ აღვიგზნებს,  
მათი გრძეული ალერსობა ვერ გაცხოველებს  
მაგ ზეციურსა იდეურსა და წმინდა გრძნობას  
მოსნამლავს მათი ენა ლიქნი შენს ჭაბუკობას“.<sup>1</sup>

წრფელი გულით გამულავნებულ თანაგრძნობას გლუხარიჩისაგან ეკატერინე ნამდვილად იმსახურებდა. თავის მხრივ პოეტი ქალიც ღრმა პატივისცემითაა გამსჭვალული საკმაოდ ცნობილ მწერლისა და დრამატურგის მიმართ. იგი აფასებს გ. ერისთავის ნიჭსა და განათლებას:

„მაღალ საგანთა გამოხატვა და ენერგია,  
ნამდვილ შენ შორის განგებასა შთაუნერგია

.....  
დიდ ღენიანი შენის ჭვრეტით განკვირდებიან,  
და ვით უხმონი შენს წინაშე დადუმდებიან,  
გიხილვენ იშვითს ფენომენსა სულს ორატორსა,  
ამ საუკუნეს ვერ ჰპოებენ შენს თანასწორსა“.

ეკატერინე ერისთავის შემოქმედებიდან საინტერესოა ქართველ „ქალთა მარაქად“ ალიარებულ მანანა ორბელიანისადმი მიძღვნილი ლექსი. რუსი მხატვრის გაგარინის მიერ ტილოზე დახატული ორბელიანების რძლის ხილვით მოხიბლული ეკატერინე თხზავს ლექსს „კნეინა მანანა ორბელიანის ფორტრეტსა“.

ეკატერინე ერისთავი მიეკუთვნება პრორუსულად განწყობილი ქართველების იმ ჯგუფს, რომლებიც ნიკოლოზ ბარათაშვილის მსგავსად მხარს უჭერდნენ და დადებითად აფასებდნენ ერეკლე II-ის სწრაფვას რუსეთისაკენ. ქსნის ერისთავიანთ ასულმა სრულიად გაითავისა გენიალური პოეტის – ბარათაშვილის ხედვა: „აპა აღსრულდა ხელმწიფური ან აზრი შენი, და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა ან შენი ძენი“.

პოეტური ოჯახის ეს ნიჭიერი ნარმომადგენელი ქართველების იმ პოლიტიკურ უმცირესობაშია ვინც ერთმორნმუნე რუსეთის დახმარებით და მასთან დგომით მოელის დიდების დღეების განმეორებას. ხოტბის შესხმასთან ერთად დიდ იმედებს ამყარებს რუს მეფეზე. ასევე დიდი მხარდამჭერი და თაყვანისმცემელია 1844-1855 წლებში ამიერკავკასიაში მოღვაწე მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვისა, რომელსაც მოღვაწეობის დასრულებიდან

1 გ. ერისთავი, თხზულებანი. 1936 წ., გვ. 45

10 წლის თავზე ქართველმა თავადაზნაურობაშ საკუთარი სახსრებით ძეგლი დაუდგა. ასეთ ვითარებაში ემოციებით დამუხტული ეკატერინე ლექსს უძღვნის ინგლისში აღზრდილსა და საფრანგეთში დაღვინებულ რუს დიპლომატს, მას „ვინც სასარგებლოდ ჩვენის ქვეყნის იყო მშრომელი და იგი კმაყოფილია, რომ ქართველმა ხალხმა დააფასა ვორონცოვის ღვაწლი და აღუმართა აქ სახსოვარი –

„კაცსა ჩინებულს თვისებითა სწორუპოვარსა,  
მშვიდსა, მდაბალსა, მართლმსაჯულსა, უხვსა-ლმობიერსა,  
დაჩაგრულთ მფარველს, მოწყალესა და სახიერსა. . .“

„ბუნებრივია ეკ. ერისთავს იმ დროს არც შეეძლო სხვაგვარად დაენახა და  
შეეფასებინა ვორონცოვის პოლიტიკა“ – წერს მკვლევარი ლეილა ნანიტაშვილი  
წიგნში „უურნალ „ცისკრის“ პოეტები“ (თბ., 1967. გვ. 67).

ასევე ქების და მომავლის დიდი იმედით ეხმიანება ეკატერინე ივანე მაჩა-  
ბელს იმ ლექსის პასუხში, რომელი ლექსიც პატარა ივანეს ეკატერინესთვის  
უძღვნია.

„თეთრო, სპეტაკო, ლამაზო, საქებო ზომაზედ მეტო,  
მადლობას გიძლვინ ლექსისთვის, ჩემო პატარა პოეტო,  
ჯერ ამის მეტი არა სჯობს, მოგწერო ან ვთქვა ენითა,  
რა გვარის ნიჭით შობილხარ, ან რას ვიმედობ შენითა?“

გარდა ივანესი ეკატერინემ ლექსი უძღვნა თავისივე ბიძაშვილს რევაზ შალ-  
ვას ძე ერისთავს, რომელიც დაიბეჭდა ორჯერ სხვადასხვა სათაურით: პირვე-  
ლად უურნალ „ცისკრის“ 1859 წლის იანვრის ნომერში სათაურით „ჩემს ძმას გ.  
. . . – ს“, მეორედ და 1871 წლის აპრილის ნომერში სათაურით „ჩემს მცნობს“.  
(ხელნაწერი დაცულია საქართველოს სახელმწ. ლიტ. მუზეუმში. № 7968).

ეკატერინე ერისთავს ეკუთვნის სხვა გამოქვეყნებული და გამოუქვეყ-  
ნებელი ლექსებიც. ისინი იმდროინდელ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით  
სარგებლობდნენ. როგორც ცნობილია უურნალი „ცისკარი“ ეკატერინე ერი-  
სთავს ცნობილი პოეტი ქალების: ბარბარე ჯორჯაძისა და ნინო ორბელიანის  
გვერდით აყენებდა.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები პოეტმა მშობლიურ სოფელ ქვეშში გაატა-  
რა. გარდაიცვალა 1870 წელს. დაკრძალულია იკორთაში, მამისა და დის გვერ-  
დით.

ეკატერინე ერისთავის საფლავის ქვას ამშვენებს შვილის სიკვდილით გულ-  
დათუთეული დედის გაკეთებული ეპიტაფია:

„ამა ლოდასა ზედა ნარვწერ გლოვის ხმასა,  
ეპიტაფიებს ცრემლ სადენ საწუხ ხმასა,  
თუმცა ვერ შევამზადებ ლირს შენდა ქების თქმასა,  
ვით დებს მატებდი მარადლე დიდებასა,  
დედა ვგოდებ ასულის მოკლებასა.“

Под сим камнем покончился дшерь князя Ивана Еристова Екатерина княгиня Церетели, скончавшаяся 1870 г. декабря 4 дня.

ვით დავითმინო მწუხარებანი,  
ეკატერინას მოშორებანი

მათმან დედამან მოგონებანი  
და ვაებისა დამონებანი.“

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ ივანეს 13 შვილიდან სრულწლოვანებას ათმა მიაღწია. მათგან სამი ვაჟია.


1. გიორგი იგივე მამამზე – იყო ლეიტგვარდის კაზაკთა პოლკის პოლკოვნიკი. მას ცოლად ჰყავდა ივლიტა აბაშიძე (1820-1882), რომელმაც გაუჩინა 16 შვილი, 8 ვაჟი და 8 ქალი. მამამზე, როგორც მას ეძახდნენ, გარდაიცვალა ქ. გორში 1882 წელს.

2. გრიგოლი, რომლის მეულლეც გახლდათ გიორგი იესეს ძე ერისთავის ასული მარიამი (1818-1882). უძეოდ დარჩენილმა „სენატორმა“ ატენის მამული მზითვში მარიამს უბოძა.

3. მესამე ვაჟი გახლდათ ნიკოლოზი, იგივე დედამზე. მას „ალხიმიკოს-საც“ ეძახდნენ. ცოლად ჰყავდა ნატალია ნაკაშიძე (1841-1910). ნიკოლოზს და ნატალიას შეეძინათ ერთი ვაჟი ვლადიმერი (ლადო) და 3 ქალი: ეკატერინე – მამიდის მოსახელე და მასავით მწიგნობარი; ბარბარე – წიგნის დიდი მოყვარული; ანიკო – ქართული ენის კარგი სპეციალისტი.

ნიკოლოზ ერისთავი 1905 წელს საეჭვო წარსულის მოქონე რევოლუციონერებმა მოკლეს სამოცდაცხრა წლის ასაკში.

### მარიამ და ეკატერინე ერისთავების გენეალოგია



## **ყულარალასიანთ მუზის გენეალოგია იესე ყულარალასი**

ბოლიტიკური მოღვაწე, ძმა მეგამბოხე შანშე ერისთავისა, სიძე ქართლის მეფის ერეკლე I-ისა (1688-1703), „კარგი შაირთა შემთხველი“. ავტორი ჰიმნოგრაფიისა „შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისა და ბიძინა ჩილოყაშვილისა“, ასევე აკროსტიხული შესხმისა ისე წილებისა. გამლექსავი საბას ლექსიკონის თავსართი ასოებისა. დავით გარეჯის ლიტ. სკოლის მიმდევარი. იესეს დაკვეთით გამოიცა გრიგოლ ლვისმ-ეტყველის თხზულებათა შემცველი დიდი ხელნაწერი, ასევე მისი და მისი ძმის დიდი ხელშეწყობით ახალგორში ლიტ. საქმიანობას ეწეოდა გარეჯელი მწიგნობარი ექვთიმე ბარათაშვილი. იესე 1745 წ. მაშათის ციხიდან განთავისუფლებული გზაში გარდაიცვალა.

### **ელიზბარ გიორგის (ყულარალასი) ძე (მელექსე) 1738-1813**

(იესე ყულარალასის ძმის შვილიშვილი)

სიძე იმერეთის მეფის სოლომონ I-ისა, მეფის შვილად ხმობილი, მოურავი ქუთაისისა და ბოქაულთუხუცესი ძლიერი მეფის დავითისა. ბესიკის პოეტური სკოლის წარმომადგენელი. მისი ლექსები გარკვეულ პერიოდში მიჩნეული იყო ბესიკის ლექსებად და ბესიკისავე სახელით იძეჭდებოდა. ამჟამად მისი ხელნაწერი ლექსები დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ელიზბარი იყო შვილიშვილი ქართლის მეფის გიორგი XI-ის ქალიშვილის მარიამისა.

### **ივანე ელიზბარის ძე (ფილოსოფოსი) 1781-1851**

სწერდა ლექსებს. იამბოკებს უძღვნიდა გამოჩენილ ადამიანებს. ცნობილია მისი კუთვნილი ხელნაწერები დაცული ეროვნულ ცენტრში. იგი დაახლოვებული იყო დავით ბატონიშვილთან. ფილოსოფოსაში ღრმა განსწავლულობის გამო ნათესავ-მეგობრები „ფილოსოფოსად“ მოიხსენიებდნენ. აკაკი წერეთელი კი „დიდ ივანე ერისთავად“. იყო ღრმად განსწავლული მდიდარი ბიბლიოფილი. შვილიშვილი იმერეთის მეფის სოლომონ I-ისა. „იყო ქართველ მემშულეთა შორის უპირველესი ბრძენი და განმმარტებელი საღმრთიოსა წერილისა და ფილოსოფურთა საგანთა“.

### **ეკატერინე 1818-1870**

პოეტების „ლირსეული ოჯახის წარმომადგენელი. ხალხში კარგად ცნობილი პოეტი. მას უურნალი „ცისკარი“ აყენებდა პოეტი ქალების ბარბარე ჯორჯაძისა და ნინო ორბელიანის გვერდით.

### **მარიამი 1834-1859**

პოეტი, მწერალი „აღსავსე ყოვლის კეთილგონიერებითა და სიმართლითა, რაოდენსაც დაიტევს ბუნება მდედრისა“. ავტორი გახმაურებული ლექსისა „იკორთა“. გარდა იცვალა უშთამომავლოდ. დაკრძალულია იკორთაში.

მოგვიანებით ა. წერეთელი აღნიშნავდა: „დიდი ივანე ერისთავის ქალები მშვენივრად გამოზრდილნი არიან, საღვთო-საეროში განაფულნი და ზედმიწევნითაც იციან პლატონის ფილოსოფია, რიტორება, არისტოტელეს კათეგორია და სხვანი და სხვანი“.

## ქათევან შალვას ასული ერისთავი


(1819-1907)

დაშლილი ფეოდალიზმის ნანგრევებზე მდგომი XIX საუკუნის საქართველოს არისტოკრატია სიმდიდრის შესანარჩუნებლად და მამულის დანაწილების თავიდან ასაცილებლად ძალიან ხშირად მიმართავდა ქართული მენატლიტეტისათვის მიუღებელ, სისხლის დაბერების ტენდენციად ქცეულ მავნე ჩვეულებას, გვარში, არც თუ შორეული წინაპრის შთამომავალთა შორის ქორწინებას, მაშინ როდესაც „წვრილ ერში“ არამც თუ ერთი გვარისა და ერთი წინაპრის შთამომავლებში, არამედ მთლიანად სოფლის და ზოგჯერ თემის წევრთა შორისაც კი სასტიკად იკრძალებოდა ჯვრისწერა. მაგალითისთვის გამოგვადგება ქსნის ხეობის ზემო წელის ცხავატის თემის ეგზოგამის დაუწერელი კანონები.

ქართველი არისტოკრატიისათვის დამახასიათებელი აღნიშნული ჩვეულებიდან გამომდინარე ერისთავის ასულები რჩებოდნენ თავიანთ საგვარეულოს „კარჩეკეტილი“ გენეტიკის საზღვრებში, რითაც ისინი ხელს უწყობდნენ სისხლის დაბერების პროცესს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა გვაქვს ქეთევან შალვას ასულთან, რის გამოც საინტერესო ხდება მისი გენეალოგიის ანალიზი.


ქეთევანის დიდი პაპა გიორგი ყულარალასი და მისი თანამეცხედრის ელიზბარ შანშეს ძე ერისთავის დიდი პაპა – იასე ყულარალასი ბიძა-ძმისშილები იყვნენ. ხაზგასასმელია ასევე ის, რომ ქეთევანი არის ერეკლე II-ის ქალიშვილის – ანასტასიას შვილიშვილი, ხოლო ელიზბარი ერეკლეს მეხუთე შვილის – თამარის შვილთაშვილი.

### ბაგრატიონობით ერთობა



## ერისთავობით ერთობა

დავითი (დათუნა) ერისთავი ქსნის



სოფელი კარალეთი და მისი სანახები მე-18 საუკუნის დასაწყისში დავით (დათუნა) ქსნის ერისთავის ვაჟებს რევაზს და იესეს გაყრის შემდეგ წილში ერგოთ. სწორედ მათი შვილებიდან გიორგი ყულარალასიდან და იასე ალაბაბადან იღებს სათავეს ერისთავების ცნობილი შტოები:


ქეთევანი ეკუთვნის გიორგი ყულარალასის შტოს, მისი მამა – რევაზი, იგივე რომანოზ გიორგის ძე ერისთავის ვაჟი – შალვა. ის კარალეთში ალაბაბას შტოს წარმომადგენლების გვერდით ცხოვრობდა. მისი უმცროსი ძმებიდან ბიძინა ბინადრობდა ოძისში, ილტოზაში, შემდეგ კი რეხაში. გიორგი (სენატორი) კი იკოთის გარდა საცხოვრებელ სახლებს ფლობდა: კარალეთში, თბილისში, გორსა და ატენში.

ქეთევანის მამა შალვა (1798-1849 წწ.) როგორც ზევით ავლნიშნეთ, იყო რევაზისა და ანასტასია ერეკლე II-ის ასული ბატონიშვილის უფროსი ვაჟი.

ტიტულარული მრჩეველი, ის 1850 წელს რუსეთის იმპერიის მიერ აღიარებულ თავადთა სიაშია. მის მფლობელობაშია კარალეთის გარდა ერისთავების თავდაპირველი რეზიდენცია, მთებში მომწყვდეული ძველი ქვენიფნევი, რომელიც შემდგომ მემკვიდრეობით გადადის მის შვილიშვილზე შალვა რევაზის ძე ერისთავზე („მთარგმნელის“ ვაჟზე).

ქეთევანის დედა ეკატერინე ასლანის ასული ორბელიანი (1802-1877 წწ.)<sup>1</sup> და ელიზბარის დედა ელენე ივანეს ასული ორბელიანი იყვნენ ახლო ბიძაშვილები.

### ორბელიანობით ერთობა



შალვა ერისთავს და ეკატერინე ორბელიანს ეყოლათ ხუთი შვილი. ერთი ვაჟი – რევაზი, პოეტი და მთარგმნელი და 4 ქალიშვილი, ერთიმეორეზე ლამაზები. ქეთევანი, ცოლი ჩვენი ეროვნული გმირისა ელიზბარ შანშეს ძე ერი-

1 ორბელიანების ერთ-ერთ საგვარეულო შტოს ისტორიაში ყაფლანიშვილებადაც მოიხენიებენ, რადგანაც მეფე თეიმურაზ I-ის დროიდან ერთი ნინაპრიდან მოდიან. ასლან ნიკოლოზის ძე ორბელიანი (1767-1835 წწ.) მეფე გიორგი XII-ის ეშველასაბაში, შემდგომში პოდპოლკოვნიკი. „უცპლიას“ თქმით ივანე სარდლის ბიძაშვილს, პოეტ გრიგოლ ორბელიანის მამის ძმას ასლანს – „უნდოდა მითამ დავით სარდლის როლი ეთამაშა საქართველოში, იმისთანა გულფიცხი კაცი იყო, მაგრამ არც ტან ჰქონდა იმისი, არც სახე, არც იმისი გონება და არც იმისი მოხერხება. ის იყო გამზდარი, არც მაღალი ტანისა და გული კი რწყელი ჰქონდა“.).

სთავისა და შვილიშვილი ანასტასია ბატონიშვილისა. ძალიან ჰყვარებია ბებიას – ერეკლე მეფის ქალიშვილს, რომელიც გადასახლებაში ყოფნის დროსაც, როგორც თავის წებიერას და უფროს შვილიშვილს არ აკლებდა ყურადღებასა და საჩუქრებს. პეტერბურგიდან უგზავნიდა პოპლინის და ბლონდის საკაბეებს.

ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავი, დედის ნაამბობიდან შედგენილ მოგონებებში<sup>1</sup> გვიხატავს ქეთევანის ბავშვობისდროინდელ ამბებს, ოძისში თავის ბიძაშვილებთან მხიარულად გატარებულ დღეებზე. „ოძისი. ქსნის ხეობა. ზამთარია. მშვენიერი მთები თოვლით არის მოსილი. მზე უხვათ აფრქვევს თავის ბრწყინვალე სხივებს დათოვლილ მთებს. გაისმის მხიარული ხმა ბავშვებისა, რომლებიც თამამობენ და ტაშტები ციგათ გაუხდიათ. შიგ სხდებიან და მთიდან სრიალებენ. ზოგი გუნდებს ესვრიან ერთმანეთს და სიცილით ცვივიან თოვლში. აქეთ ერთი სიცილი და მხიარულება. ზემოთ სასახლიდამ გამოდის დიდი გამდლის სალომე ინაურისა მოახლე იასამანა. ეძახის ბავშვებს, დიდმა გამდელმა, ამოდით ისაუზმეთო! მარამ ბავშვებს არ ესმით. იმასაც ითრევენ თავი თამაშობაში. ეს ბავშვები არიან შალვა და ბიძინა ქსნის ერისთავების შვილები. მერე გამოვიდა დიდი გამდელი „ლამაზისეული“ მრისხანეთ ეძახის: გეყოფათ, გაათავეთ მაქთენი გიუობა, ტაშტები გაცვდა მაქთენი სრიალით, სულ დაიმტვრა! ქეთევან, შე გასახარელო, რა არის ეგ შენი ტანისამოსი, აბა ნახე შენი პალტო, თოვლისაგან თლათ სველი. ხომ ავათ გახდი, შე გასახარელო, გასათხოვარი ქალი ხარ და რაღა დროა შენი ეგრე ანცობა“.

საბედნიეროდ არსებობს რამდენიმე საინტერესო მოგონება ქეთევანზე და მის მეულეებზე – ელიზბარზე, მათივე ქალიშვილების ელისაბედისა და ნინო ქობულაშვილის ხელით დაწერილი, რაც მეტ-ნაკლებად ავსებს ერისთავების ამ მეტად საინტერესო ოჯახის ბიოგრაფიას.

როგორც ნინო ქობულაშვილისა იგონებს „დედას არ ნდომებია მამა ჩვენის, ელიზბარ ერისთავის შერთვა, მაგრამ მდიდარი კაცი ყოფილა და მშობლებს ძალად გაუტანებიათ. გიორგი ერისთავსაც უნდოდა დედა ჩემის შერთვა, მაგრამ როგორც ნათესავს ჩამოცილებია. გიორგი ერისთავმა, სხვათაშორის, ლექსი მიუძღვნა ქეთევანის დას სოფიოს.“<sup>2</sup>

ქეთევან შალვას ასული ლამაზი ქალი ყოფილა. იგი ჩვენი სათაყვანო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გატაცება გამხდარა. გრძნობამორეული ნიკოლოზი თავის პირველ სიყვარულს უძღვნის ლექსს „ქეთევან“.

„ზვირთები მოდუდუნებენ,  
ჭალები ბუჩქნარობენ,  
ხშირნი ლამაზთა კიდეთა  
მჩქეფრად მდინარის ქსნისათა.

### მიმქრალებული მთოვარე მოწყენით ჰნათობს მუნ ქალსა

1 საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება. 13208-ბ. ასევე იხ.: მ. ცერცვაძე, ელისაბედ ერისთავის ერთი ხელნაწერი., ჟ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 2009. № 10.

2 აბზანიძე გ. ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი. წიგნიდან ელიზბარ ერისთავი, კრებული. თბ., 1997. გვ.210.

მდინარის პირზედ ზის იგი, ხელთა ჩონგურის მპყრობელი;  
გიშრისა თმანი ნაშალნი ჰშვენიან სპეტაკს საცმელსა  
და დამლერს იგი საკვდავად, ცხარეთა ცრემლთა მდენელი.

ავ-ენანო, ოდეს დასცხრეთ,  
მოასვენოთ ეზდენ სული?  
რა გარგოთ, რომ შეიშურეთ  
უბიწოო სიყვარული?

გულის-სწორო, ერთის ცილით  
აგრე როგორ შეიცვალე,  
რომე ტრფობა ჩვენიო ამ ხნით  
მას აგრე მსწრაფლ ანაცვალე?

თუ ვერ მცნობდი, რად მეტყოდი:  
მე შენი ვარ საუკუნოდ?  
სიყმაწვილეს რად მილხენდი,  
თუ მოჰკლავდი ასე უდროდ?

რად შემიპყარ მე გლახაკ-გული,  
უმანჯო და უზრუნველი?  
რად დამიჭკნე მე ყვავილი  
ყმაწვილობის, ჯერ უშლელი?

ეს ნუგეშს მცემს, საყვარელო,  
რომე არის სხვა სოფელი;  
ოდეს სცნა, რომ ვარ უბრალო,  
მოვედ, მოვედ, მუნ მოგელი!

სდუმდა და მეცა ვიცანი  
ქეთევან ჰაეროვანი,  
ქეთევან ნაქები გულით,  
ნაქები მშვენიერებით.

ნეტა რა ქარმან დააზრო მისი სიცოცხლის ყვავილი?  
მეც ამატირა მის მხვედრმან, მაგრამ ვერ ვეცი ნუგეში;  
ქეთევან შუა ქსანშია მარად შეერთო ღელვილი;  
მხოლოდ ისმოდა სახელი ამილბარისა ზვირთები!“<sup>1</sup>

1835 წ. [1843]

ელისაბედი იგონებს „დედა ჩემი ხშირად ჩამოდიოდა ტფილისში თავის ბი-  
ძასთან, ყაფლანთან, ეგრეთწოდებულ ორბელიანთა აულში. აქ იყო ხოლმე ქარ-

1 6. ბარათაშვილი, ტ. I. თბ., 2012. გვ. 99.

თული შექცევა და დრიოს ტარება... დედა დიდი მეგობარი იყო ნიკოლოზ ბარა-  
თაშვილისა, იგი მოიგონებდა ხოლმე: <<ტატო ძალიან მხიარული იყოვო>>...  
როგორც სჩანს 6. ბარათაშვილი გატაცებული იყო დედაჩემით. დედა გვიკითხ-  
ავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს და გვეტყოდა, რომ ლექსი „ქეთევან“  
მე მომიძღვნაო.“<sup>1</sup>

ლექსი დაწერილია 1835 წელს, ხოლო დამუშავებულია 1842-1843 წლებში.  
6. ბარათაშვილს რომ უყვარდა ქეთევანი არ სჯერა ცნობილ ლიტერატორს  
პროფ. ივანე ლოლაშვილს, - იგი დასტენს: „ეს დაუჯერებელია, რადგან ისინი  
ნათესავები იყვნენ (ქეთევანი არის ყაფლან ორბელიანის დისნული) ის კი ფაქ-  
ტია, რომ მათ ძლიერ ახლო მეგობრობა ჰქონიათ.

ზედმეტად თავდაჯერებულად მისაჩნევია ყველა ის მკვლევარი, ვინც ირ-  
ნმუნებს ან პირიქით უარყოფს ნიკოლოზ ბარათაშვილის სიყვარულს და რო-  
მანტიკულ ლტოლვას ქეთევან ერისთავისადმი. არავინ უნყის უყვარდა თუ არა  
პოეტს თავისი ახლო ნათესავი. ადვილად შესაძლებელია ასეთი გრძნობის არ-  
სებობა, თუ კი იყო ის ტატოს არსებაში, თვით ქეთევანისთვისაც შეუცნობადი  
დარჩენილიყო.

ნინო ქობულაშვილისაგან განსხვავებით მისი და ელისაბედი თავის მო-  
გონებებში აკეთებს საგულისხმო მინიშნებას ქეთევანისა და ნიკოლოზ ბარა-  
თაშვილის ურთიერთობასთან დაკავშირებულ ჭორების არსებობაზე საზოგა-  
დოებაში. ერთი კი ცხადია, მაგანთაგან გავრცელებული ჭორების არსებობა  
ორივემ კარგად იცოდა.

ელისაბედი თავის მოგონებაში იხსენიებს ქეთევანის მამის ე. ი. თავისი  
პაპის შალვა რევაზის ძე ერისთავის სტუმრობას თბილისში მცხოვრებ მოყვა-  
რესთან – ყაფლან ორბელიანთან. აქვე იკვეთება სპეციალური დანიშნულების  
მოსამსახურე, ამბის მიმტან-მომტანი და მოპატიუე – „მოკითხვის კაცი“-ს ინ-  
სტიტუტის არსებობა. თავადის ქალიშვილი მუქ ფერებში გვიხატავს გაზუ-  
ლუქებული ბატონების სტუმრობას, დედაქალაქში მსუყე სანოვაგით დატვირ-  
თული ურმების ნინნაძლოლით:

„შემოდგომაა. შალვას ოჯახობა ემგზავრება თბილისში და დიდი მზადება  
აქვთ: საქონელსა ჰკლამენ, ლორებს აკეთებენ, ლორის ვიჩინებს. ურმებს ტვირ-  
თამენ სხვადასხვა სურსათით. ღვინოები ტიკებით. ყველი და ერბო ბოჩქე-  
ბით, იასჩიკებით ხილი და ბადაგი, აგრეთვე ფქვილი ურმებით. უკვე რამდენიმე  
დღეა გასტუმრებულია და თოთონაც ეტლით მიეშურებიან. ყაფლან ორბელი-  
ანი მოუთმენლად მიელის თავის საყვარელ და ძვირფას დასა და დისნულ-  
ებს . . . უფროსი ქალი ქეთევან და უნცროსი სოფიო და ერთი ძმა რევაზ. შუათანა და თბილისშია, იქ სწავლობს ინსტიტუტში. მეორე ეტლში მოსამსახ-  
ურენი მისდევენ. დიდი ამბავია მთელ ორბელიანთ აულში. ყაფლანთან შალ-  
ვას სახლობა ჩამოსულაო. ყველა ნათესავებთან ჩვეულებრივ მოკითხვის კაცმა  
ჩამოურბინა. ბევრი სიამოვნებისა და ნახვის შემდეგ დაიწყეს ვიზიტები და  
მახლობლების პატიუი. ერთ საღამოს ყაფლანიანთსა დიდი ლოტოობა არის.  
სასადილო ოთახში გაჭიმულია სტოლი და მთელი აულის დარბაისელი ქალები  
სხედან და ლოტოობაა გაჩაღებულა. ყმაწვილი ქალები დიდ გასტინაში ხალი-

1 იქვე.

ჩამოფენილში თამაშობენ და მხიარულობენ. ფანჯარა ლია არის. მშვენიერი მთვარიანი ლამეა. ქალები ძირს ხალიჩაზე სხედან. უცფათ ვიღაცა გადმოაგდებს ჯერ ქუდს, მერე ფერჩატკებს და ცხვირისახოცს და მერე, რაც მოხდება: ყველანი წამოცვივდებიან და მხიარულად მიეგებებიან ფანჯრიდამ გადმამხტარს ყმაწვილს, „ტატო მოვიდა, ტატო მოვიდა“: ეს ჩვენი მარად ახალგაზრდა წიკოლოზ ბარათაშვილი.

ქალები დაირას უკრამენ და ლეკურს თამაშობენ. ქეთევან ჩააცივდებიან და ძალით გამოათრევენ სათამაშოთ. ლეკურის შემდეგ ტატო მიუახლოვდება ქეთევან და უუბნება: „ქეთევან სწორეთ რომ აეროვნი ხარ, რა მშვენიერათ თამაშობს!“ მაიცა ტატო, აქ დაჯექი, მხოლოთ არვი გაიგონოს ჩვენი ეს ლაპარაკი. ავმა ენებმა ჩვენი წმინდა მეგობრობა და ნათესაობა ჩაგვიშალეს. დედაჩემმა მიბრძანა, რომ ძალიან იყო გამწყრალი ჭორაობაზე და მითხრა, ეხლა უნდა გაგათხოვოვო ელიზბარ ერისთავზეო. ძალიან კარგი ყმაწვილიაო, შეძლებაც კარგი აქვსო, ჩვენივე არისო და ბედნიერი იქნებიო. ბარემ ჯერ არ მინდოდა გათხოვება, მარა, ტატო რა გაეწყობა“. მე ეგ სუყველა შენზე წინათ ვიცოდი ძალუა ელისაბედისაგან და აი, ლექსები გიძლვენ. წაიღე, შეინახე, მერე წაიკითხამ. აგრეთვე „ვეფხისტყაოსანი“ მშვენიერათ გადამიწერეს და ფერდებით შეამკეს. იმას ხვალ შემოგიტან“.<sup>1</sup>

რევაზ შალვას ძე ერისთავის ქალიშვილი ანასტასია დიმიტრი ამილახვრის მეუღლე, თავის დატოვებულ მოგონებებში მამიდისადმი წიკოლოზ ბარათაშვილის ნაჩუქარ „ვეფხისტყაოსანზე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის იყო პოეტ ბარათაშვილის ხელით გადაწერილი, რაც ეწინააღმდეგება ნინო ქობულაშვილის მოგონებებიდან ზემოთ ციტირებულ მასალას. „... აგრეთვე „ვეფხისტყაოსანი“ მშვენიერათ გადამიწერეს და ფერადებით შეამკეს. იმას ხვალ შემოგიტან.. .“ აქ ურთიერთგამომრიცხავი ინთორმაციაა. მაგრამ რა ბედნაა, ვისი ხელით იყო დაწერილი. ფაქტია რომ წიგნი მეცხრამეტე საუკუნეშივე გაანადგურა ხანძარმა. ყველაფერი კი ასე მოხდა:

„... აღდგომა ღამეს ჩვენ ვიყავით ბიძაჩვენ რევაზ ერისთავთან გორში და რომ დავპირუნდით, მაშინ დედაჩემის მოახლეო უთხრა უმცროს გოგოს, რომ მანამ მე მოვემსახურები კნეინას და ქალებს, შენ ჩვენი ქვეშაგები გამალეო. გოგომ აიღო ანთებული სანთელი და ქვეშაგების ასაღებად გააღო შკაფი, სადაც ეკიდა მოსამსახურების ტანისამოსა. რასაკვირველია იმ ტანისამოსს მოეკიდა სანთელი, გოგომ ვერ გაიგო და მიხურა შკაფი. თვითონ დაწვა. შკაფიდან შუშაბანდს მოედო ცეცხლი. მერე ყავარს ეცა. ჩვენ როცა გამოვთხიზლდით, მთელი სახლი ალში იყო მოდებული. ძლიერ მოვასწარით შიშვლები გამოსვლასა. ესე ჩვენი დამკვიდრებული ოჯახი დაინგრა, დაიღუპა ბევრი რამ ძვირფასი: ხელით ნაწერი სახარება, ტყავზე დაწერილი მშვენიერი, „ვეფხისტყაოსანი“. ტატო ბარათაშვილის გადაწერილი, ვარაყით და ფერადით დახატული ...<sup>2</sup>

სავარაუდოდ ხანძარს ქეთევანისთვის ნაჩუქარი „ვეფხისტყაოსანი“ 1877-78 წლებში უნდა გაენადგურებინა ელისაბედ ელიზბარის ასულ ერისთავის

1 ცერცვაძე მ. ელისაბედ ერისთავის ერთი ხელნაწერი. ქ. „ხელოვნება“. 2009. № 10.

2 ცერცვაძე მ. ქანზე ვინ ჩამოიარა. „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“. 2013., № 5-6. გვ.43.

ბებიის, ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიანის გარდაცვალებიდან მალევე, რადგანაც ე. ერისთავი შენიშნავს: „ბებიაჩვენი მალე გარდაიცვალა და ჩვენც სახლი დაგვეწვა“. ეკატერინე გარდაიცვალა 1877 წელს.

ანასტასია რევაზის ასული ამილახვრისა ტატოსგან ქეთევანისთვის ნაჩუქარ „ვეფხისტყაოსანს“ შემდეგნაირად იხსენებს:

„. . . ნიკოლოზ ბარათაშვილმა მიართვა თავის ნათესავს და მეგობარს, მამიდა ჩემ ქეთევანს ჯვარი რომ დაიწერა ელიზბარ ერისთავზე, თავისი ხელით გადაწერილი მთელი „ვეფხისტყაოსანი“, ბავშვობისას მახსოვს მე ის დიდი წიგნი მათ ოჯახში, სადაც დედა ჩემმა მიმაბარა ფრანგული ენის სასწავლებლად მათ მასწავლებელთან. მე ვიყავი 9 წლის და ჩემი მამიდაშვილი ლიზა შვიდისა. იმავ დღიდან დიდი მეგობრობა გვქონდა ბოლომდინ, გვიყვარდა იმ ძვირფასი წიგნის გადაფურცვლა და გულმოდგინეთ ვშინჯავდით ყობელ ფურცელს. წიგნი იქნებოდა სიგრძით ორ ტკაველზედ მეტი მაინც, ძალიან სქელი, თეთრ სქელ ქალალდზედ გადაწერილი პოეტის მშვენიერი ხელით და პატარა სურათებით მისგანვე ნახატით. პირველი ფურცელი წიგნისა იყო კალმით ოთხუთხივ მოხაზული ლამაზი შავი არშით ქართულ გემოვნებაზე. ასო პირველდაწყებითი ლექსისა წითელი მელნით იყო ყველგან დაწყებული და ბოლოში ლექსის თავის დასრულებისას, პატარ-პატარა ნახატი ყვავილისა, ანუ ფრინველისა და რაიმე მოხაზულობისა ფერადით. კვირაობით, როცა სწავლა არ გვქონდა, გამოაცუხუცუხებდა თავის დედის ოთახიდან ლიზა იმ უშველებელ წიგნს, დავსხდებოდით მზიან შუშაბანდში, მრავალ მცენარეებით მორთულში და ბოლომდინ გადაფურცლავდით, არ გვწყინდებოდა მისი ყურება, მაგრამ ამ ძვირფას წიგნსაც ეწვია ის დღეც, რაც კაცთა უმეცრებამ მოუვლინა შოთას წინანდელ თხზულებებს, გადაბუგა ცეცხლში. . .“<sup>1</sup>

ოძისში დაბადებული და გაზრდილი ქეთევან შალვას ასული ერისთავი ლამაზი ქალი ყოფილა. მასზე შეყვარებული ყოფილა გიორგი დავითის ძე ერისთავი. დედასთან დაკავშირებით ეს სასიყვარულო ამბავი გაგებული ჰქონია ელისაბედ ელიზბარის ასულს:

„. . . დედაჩემი, ამბობენ, ძალიან ლამაზი და ეშხიანი ქალი იყო, გამიგონია, რომ გიორგი ერისთავი იყო შეყვარებული, მაგრამ მამაჩემმა უთხრა: „შენ ჩამომეცალეო, გიორგი!“ და როგორც უფროსს, დაუთმო გიორგი ერისთავმა“<sup>2</sup>

ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ როდესაც გ. ერისთავი გარდაიცვალა მისი ერთადერთ მცირეწლოვან ვაჟს დავითს აპეკუნად – მზრუნველად დაუნიშნეს ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი. ჩანს, რომ ქეთევანის დათმობით ბიძაშვილებს გიორგისა და ელიზბარს შორის ურთიერთობა კი არ დაძაბულა პირიქით, უფრო მეტი სიახლოვე და პატივისცემა სუფევდა.

საჭიროა მკითხველმა იცოდეს თუ ვინ არის ქსნის ერისთავების ის თავდი ელიზბარი, ვისაც ძალდატანებით დაუკავშირა თავისი ცხოვრება სილამაზით ცნობილმა ქეთევანმა და ვის გამოც „უარი უთხრა“ ასევე ქსნელ თავადს,

1 საქართველოს გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი. ელისაბედ ელიზბარის ას ერისთავის მემუარები № 13257-ბ. აგრ. ის.: ნანიტაშვილი ლ. ნ. ბარათაშვილის გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1966. № 6. გვ.2.

2 იქვე. ხელნაწერი № 13257-ბ.

„დიდი როსტომის“ შვილიშვილს – გიორგის.

ელიზბარი დაბადა 1810 წ. შვიდი წლის განმავლობაში (1823-1830 წლებში) პეტერბურგში სწავლობდა. ჯერ კერძო პანსიონში, ხოლო უკანასკნელი 5 წელი საარტილერიო სკოლაში. რუსეთის თვითმშეყრობელობის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში 20-23 წლის ჭაბუკი იყო.

შანშეს შვილებიდან გაყრის შემდეგ როგორც ელისაბედი იგონებს, „მამაჩემს (ელიზბარს) ერგო გორში სახლები, ღვარები, დიდ და პატარა ლიახვზე, კარალეთში, ტყვიავში, ვარიანში ბალები ერთი სიტყვით 10.000 დესეტინა.“<sup>1</sup> (1 დესეტინა = 10, 092 კვ. მეტრს. ე. ი. 10.000 = 100, 920 კვად. მეტრს. ასევე 1 დ. = 2 დღიურ სახნავ მინას.)

1830 წლიდან ელიზბარი საქართველოშია და ხდება ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი შეთქმულებისა. რაც უფრო ახლოვდებოდა მოქმედების დრო, მით უფრო აქტიურ ლიდერად გვევლინებოდა ალ. ორბელიანთან და ს. დოდაშვილთან ერთად. სამწუხაროდ შეთქმულები გასცეს. ელიზბარი 1834 წლის თებერვალში გაასამართლეს. ის ავლაბრის ყაზარმაში გამოამწყვდიეს, შემდეგ კი ეტაპით ჯერ კრონშტადტში, მერე ჰელსინკში გაამწესეს. ათწლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული ელიზბარი 1845 წლის 18 მაისს ჯვარს იწერს ქეთევან შალვას ასულ ერისთავზე (1819-1907 წწ.) რომლის ძმა რევაზი არის კოზლოვის „შეშლილის“ მთარგმნელი.

ელიზბარ და ქეთევან ერისთავებს შეეძინათ ხუთი შვილი:

1. ივანე (პოსრედნიკი) ანუ შუამავალი, მომრიგებელი. 1846-1919 წწ. იგი იყო გულითადი მეგობარი დავით გიორგის ძე ერისთავისა, რომელმაც შექმნა პიესა „სამშობლო.“ ივანეს ცოლად ჰყავდა ოლღა ბუსლავსკაია. როგორც თვითონ ისე მისი მეუღლე გახლდათ ლიტერატურული და თეატრალური ინტერესების მატარებელნი. ივანე მსახურობდა მომრიგებელ-მოსამართლედ. დაკრძალულია კუკის სასაფლაოზე.

2. ზაქარია (შაქრო) 1862-1914 წწ., ეძახდნენ მარშალსაც. მისი მეგობარი იყო წარმოშობით ლევი – კაზანალიპოვი. ეს უკანასკნელი გვერდიდან მოუშორებელი თანაშემწე იყო მეფისნაცვალ ვორონცოვისა. ერისთავი სწორედ ამ ლევის საშუალებით ხშირად აცვლევინებდა მეფისნაცვალს მკაცრ და ქართველებისთვის დამთრგუნავ კანონებსა თუ სხვადასხვა გადაწყვეტილებებს. როგორც კავკასიელი – კაზანალიპოვი უთანაგრძნობდა ქართველებს და ჩრ. კავკასიელთა გათავისუფლება უქართველოდ ვერ წარმოედგინა.

3. მარია, შინაურობაში მაიკო ცოლად გაჰყვა სიგიზმუნდ ზოლოტნიცკის. მათ შეეძინათ ქალიშვილი, რომელიც გახდა თავად გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლე. ელენე ზოლოტნიცკაიას ბაგრატიონ-მუხრანელთან შეეძინა ლეონიდა ბაგრატიონი. რომელსაც ესპანეთში დიდ მთავარ ვლადიმერ რომანოვთან ქორწინებით გაუჩნდა რუსეთის ტახტის მემკვიდრე მარია რომანოვა. დღეს ეს ტიტული ეკუთვნის მარიას ვაჟიშვილს, გიორგი რომანოვს – ბაგრატიონთა და ელიზბარ ერისთავის შთამომავალს.

4. ნინო. გენო ქობულაშვილის ცოლი, რომლის ქალიშვილი დარია გახლდათ მეუღლე იკოთის ბოლო მფლობელ მიხეილ ალექსანდრეს ძე ბაგრატიონისა.

1 თ.გვ.15. გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი. ფონდი 13260-ბ.

5. ელისაბედი რომელიც არ გათხოვილა. ელისაბედმა და ნინომ დაგვიტოვეს მეტად საინტერესო მოგონებები როგორც თავიანთ მშობლებზე და წინაპრებზე, ისე სხვა ცნობილ პიროვნებებზე. ეს მოგონებები ამჟამად ინახება გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში.

დაუზუსტებელი ვერსიით ელიზბარს და ქეთევანს ზემოთ მოხსენიებული შვილების გარდა კიდევ ჰყოლიათ სამი ქალიშვილი: ანა, ნინო და ანასტასია. ანას როგორც ჩანს უცხოვრია 1898 წლამდე, დაღუპულა 52 წლისა.

1842 წლიდან ელიზბარ ერისთავი თავის ძმა დიმიტრისთან ერთად სოფ. ლვარებში იწყებს შუშის ქარხნის მშენებლობას. მას შუშის ქარხნის მაგივრად ჯერ იარაღის ქარხანა ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ რუსეთის იმპერიალისტური გეგმები მის გეგმებს არ ემთხვეოდა. კავკასიის რეგიონში იარაღის ქარხნის შექმნას რუსები თავიანთ ინტერესებისა და მდგომარეობის საწინააღმდეგოდ აღიქვამდნენ და ამიტომაც ეთქვა უარი ამ საქმეზე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს.

1844 წლიდან ელიზბარ ერისთავს ხელისუფლებამ მიანიჭა თბილისის სა-თადარიგო აფთიაქის მინის ჭურჭლით მომარაგების პრივილეგია (აფთიაქს მანამდე მოსკოვიდან ამარაგებდნენ.) იმავე წელს მან მთავრობისგან მიიღო 3 000 მანეთი კრედიტი, რითაც ქარხანა მოდერნიზებულ იქნა. ქარხნის წარმოებაში პერიოდულად ხდებოდა ჩავარდნები. 1853-1856 წლებში ე. ერისთავი ყირიმის ომში გაიწვიეს, რამაც იგი მოსწყვიტა საყვარელ საქმეს. 1855 წელს, გაურკვეველი მიზეზით ლვარების მინის ქარხანა დაიწვა. ხანძარმა ქარხანას-თან ერთად გაანადგურა 3000 მანეთის ლირებულების მზა ნაწარმი. მიუხედავად ამ სიძნელებისა, ომიდან დაბრუნებულმა ერისთავმა ხელი მოჰკიდა და კვლავ აღადგინა მინის ქარხანა.

1865 წლის თებერვალში მას მისცეს 25.000 მან. სესხი 18 წლით. ელიზბარ ერისთავმა დიდი ენერგიით მოჰკიდა ხელი საქმეს, დაიწყო ახალი ნაგებობების მშენებლობა, ოსტატების გამოწერა და საერთოდ, საწარმოს გაფართოება.

ელიზბარმა სახელმწიფო სამსახური გორის მაზრის უფროსობით დაასრულა – პოლკოვნიკის ჩინით. სამსახურიდან გასულს გენერალ-მაიორის ჩინი ებოძა. 1871 წელს ელიზბარ ერისთავი გარდაიცვალა. დაკრძალუს გორის საკრებულოს ტაძრის – „სობოროს“ გალავანში<sup>1</sup>. მისმა მემკვიდრეებმა ვეღარ შეძლეს მამის დაწყებული საქმის გაგრძელება და იმავე წელს ლვარების მინის ქარხანა იჯარით გადასცეს უცხოელ მენარმე ეპშტეინს.


„ისტორიის პარადოქსები: რას წარმოიდგენდა შანშე იესეს ძე ერისთავი, როდესაც აჯანყებულ მთიულებს ფინდის უშენდა და რუსის ჩექმას სამხრეთით გზას უკვალავდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გაუჩნდებოდა ვაჟი, რომელიც ფარულ ორგანიზაციას შექმნიდა და მოამზადებდა აჯანყებას რუსი დამპურობლების წინააღმდეგ.

შემდგომ ისტორიის ბორბალი უფრო გასაოცრად დატრიალდა: რას წარმოიდგენდა თვითმპურობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ელიზბარ ერისთავი და ქეთევან შალვას ასული, რომ ერთი საუკუნის შემდეგ გაჩნდებოდა მისი შთა-

1 აღნიშნული ტაძარი კომუნისტებმა XX საუკუნის 30-იან წლებში დაანგრიეს, რის შემდეგაც დაიკარგა ეროვნული გმირის საფლავი.

მომავალი, რომელიც რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრე იქნებოდა“.<sup>1</sup>

**ელიზბარ შანშეს ძე ერისთავისა და ქეთევან შალვას ას ერისთავის  
შთამომავლების გენეალოგია**



1 ხომერიკი მ. ისტორიის პარადოქსები. წიგნიდან ელიზბარ ერისთავი. გვ. 178-79.

## მანანა მირმანოზის ასული ერისთავი – ორბლიანისა

(1808-1870)

„ერისთვის ქალო, ფიქალო,  
ადრე დამჭენარო ვარდო.“  
ლ.ასათიანი

1808 წელს შუა ქართლის სოფელ მეჯვრისხევში დაიბადა ქსნის ერისთავების ულამაზესი ბანოვანი მანანა მირმანოზის ასული. ამ სოფელში ოდითგანვე ერისთავების ძლიერი საგვარეულო ცხოვრობდა. სწორედ მათი წყალობით მეჯვრისხევი ქართლის საუკეთესო, ცნობილ და კულტურულ სოფლად გადაიქცა. XIX საუკუნეში მას „პატარა პარიზსაც“ უწოდებდნენ.

მანანა ორბელიანი იყო ქართული ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელი. მისი წინაპრები საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ეროვნული გმირები და წმინდანები შალვა და ელიზბარ ერისთავები არიან.

მანანას მამა იყო უმცროსი, მერვე ვაჟი დავით იესეს ძე ყულარალასის ძისა. სამხედრო წოდებით „პოდპოლკოვნიკი“. დედა – თამარ დავითის ასული აპაშიშვილი (აპაშიძე). თამარის დედა სალომე – მანანას ბებია – გახლდათ სვიმონ მუხრანბატონის ასული. მამის მხრიდან პაპა – დავით იესეს ძე იყო ერეკლე II-ის ნათესავი და სახლთუშუცესი. ქსნის ხეობაში ლარგვისის მშვენიერი გუმბათიანი ტაძრის ამგები.

მირმანოზ დავითის ძეს, პირველ ქორწინებაში, იმერეთის თავადის ქალთან – თამართან შეეძინა ერთადერთი ქალიშვილი მანანა, რომელიც ერთი წლის ასაკში დედით დაობლდა. მალე მირმანოზმა მეორე ცოლი შეირთო ნინო სოლომონის ასული ანდრონიკაშვილი. მასთან შეეძინა ორი ვაჟი და სამი ასული. ვაჟებიდან კონა (იაკობი) ცნობილი იყო როგორც კარგი ცხენოსანი და მოჯირითე (მხატვარ მარი ეტლინგერის მამამთილი). ესტატე კი ის ყმანვილია, რომელიც გიორგი ერისთავთან ერთად ვარლამმა მიიწვია მოსკოვში სასწავლებლად. ქალებიდან უფროსი ელენე ივ. აპაშიძეს გაჰყვა ცოლად, ხოლო ქეთევანი და სოფიო ამილახვრებს.

მანანა თხუთმეტი წლის ასაკში მიათხოვეს დავით იოანეს ძე ორბელიანს, რომლის პაპა – დავით სარდალი სახელგანთქმული მეომარი იყო. მანანამ ქმრის გვარი მიიღო, რის მერეც საზოგადოებამ ორბელიანად გაიცნო და ისტორიაშიც მანანა ორბელიანად შევიდა. შეეძინა ექვსი შვილი. მათგან სრულ ასაკამდე მიაღწია: ივანემ, ანასტასიამ და ალექსანდრემ.

მანანა ორბელიანს გამორჩეული ადგილი უკავია XIX საუკუნის ქართველ ქალთა გალერეაში, იყო იყო დიდი შესაძლებლობების, მაღალი ინტელექტის მქონე ულამაზესი და უჭკვიანესი ქალი. მას არ ჰქონდა მიღებული რაიმე განსაკუთრებული განათლება, არ იყო საზღვარგარეთ ნამყოფი, არ იცოდა უცხო ენები, არ ითვლებოდა ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწედ. მიუხედავად ამისა ის თავისი გონიერივი განვითარებითა და მაღალი, დახვეწილი გემოვნებით ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა. თანამედროვენი ხშირად წერდნენ მის გონიერებასა და გამჭრიახობაზე. მან დაამსხვრია ეპოქის სტერეოტიპი ქართველი ქალის შესაძლებლობაზე: თამაშობდა სცენაზე<sup>1</sup> მონაწილეობდა შეთქმულებაში, შეკერა მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს დროშა – „მასზე ჭორაობდნენ ავსაც და კარგსაც. ის იყო ვაჟკაცური ბუნებისა და მშიშარა თუ გულჩვილი... ერთი სიტყვით ქალი, რომელმაც სამოცდაორი წლის ასაკში იმდენი სათქმელი დატოვა, რამდენსაც სხვა ვერავინ მოახერხებდა. მისი ლიტერატურული სალონი იმ დროის გამორჩეული კულტურის ცენტრი იყო, საიდანაც ვრცელდებოდა ყველა ახალი ინფორმაცია ლიტერატურის, ხელოვნების, საზოგადოებრივი ყოფის სფეროდან“.<sup>2</sup> მანანა ორბელიანზე იხილეთ სურათები: 16-დან 27-ის ჩათვლით.

მანანას სალონი სხვა დანარჩენი სალონებისაგან გამოირჩეოდა უაღრესად მაღალი გემოვნებითა და დახვეწილობით, რასაც ზედ ერთვოდა მისი ინდივიდუალური ეშხი და მომხიბვლელობა. ლამაზებით სავსე იყო მისი დროის თბილისი. ლამაზი ქალი გასაკვირი და იშვიათობა არ იყო იმ დროებაზე, მაგრამ მანანა სულ სხვა, განუმეორებელი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მისით მოხიბლულმა ქართველმა მკვლევარმა იონა მეუნარგიამ გადაუჭარბებლად თქვა: „მანანა იყო მეფედ ქართული ზნებისა და გემოვნებისა XIX ს. 30-იან – 60-იან წლებში“. ერისთავის ასულს იონამ „ჩვენებური, მადამ რეკამიე“ უწოდა.

მანანა ორბელიანის მშვენიერებას აღნერენ ქართველი და უცხოელი მოღვაწები. თვითმხილველთა თქმით, „მანანას მიბნედილი ულალი თვალები სულ ანათებდნენ აუმღვრეველი სიმშვიდის დამათრობელი სხივებით“. მანანათი მოხიბლული დიდი ფრანგი მწერალი ალ. დიუმა წერდა: „მე არასოდეს არ მინახავს არისტოკრატი ქალი ასეთი მბრძანებელი გარეგნობით, როცა ის ქუჩაზე ფეხით მოდის, თქვენდაუნებურად უნდა მოიხადოთ ქუდი“.

მანანა ორბელიანის უამრავ დადებით და საქებარ ცხოვრებისეულ მოვლენებთან ერთად არსებობს გადმოცემა მის ქარაფშუტულ ხასიათზე, გაუწონას-წორებელ ქცევებზე, რაც ჩვენი აზრით მის მოშურნეთა და ბოროტ ადამიანთა მიერ ხელოვნურად შექმნილი შავი ლაქებია. ზოგიერთი თანამედროვეს გადმოცემით ის იმდენად არასერიოზული იყო, რომ ბალზე შეკრებილი საზოგადოებისთვის ახლად გაგებული ამბავი სიძის – ქალიშვილის ქმრის მკვლელობაზე ერთი უბრალო ჭორივით გაუცელებია: „ქა გაიგეთ, ქუთასის გენერალ-გუბერნატორი მოუკლავთ“ – ი. მანანას ცხოვრებიდან ცნობილია კურიოზი, რომელიც მის ქარაფშუტობას კი არა პირიქით მოხერხებულობას და გონიერებას

1 1850 წლის დასაწყისში გ. ერისთავის აღდგენილი თეატრის სცენაზე კომედია „გაყრაში“ მანანამ ითამშა მოსამსახურე ქალის – ყარდშვერდის როლი.

2 ქუმბურიძე დ. ისტორიული პორტრეტები, წერილები. თბ. 2012.

ადასტურებს.

„ერთ დღეს მანანამ და ტასომ დროშვით გამოიარეს ღუბერსკის უპრავ-ლენიასთან, აյ ერთი პაჟარნი პისეცი იდგა კარებზედ ვიღაც ბებუროვი. იმას თურმე კახპები ეგონა, გადახტა და დროშვაში წინ თურმე დაუდგა, დაუწყო ამ ქალებს კოცნა.“

თქვენ წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში იქნებოდნენ ეს ქალები, მაგრამ მანანამ თურმე არ შეიმჩნია და ისე თურმე აჩვენა თავის თავი, რომ ვითომ მართლა იმისთანა ხალხი იყვნენ.

ამ ამბავში გამოჰკითხა ამ კაცს თავისი გვარი და სახელი, იმასაც წვრილად ეამბნა: მეორე დღეს ერთი ვაი ვაგლახი მომხდარიყო, ის პისეცი სამსახურიდან გამოაგდეს“<sup>1</sup>.

მანანას იშვიათი სილამაზით და საქვეყნო საქმეებში მისი მონაწილეობით გაბოროტებული ხალხის არსებობას მიანიშნებს რევაზ შალვას ძე ერისთავის დღიურებში დაცული კიდევ ერთი ამბავი:

გრიგოლ ორბელიანის ძმის ილიას საცოლედ ითვლებოდა ილია ბატონიშვილის ქალიშვილი. ვიღაც მავანს ანონიმური წერილი მიუწერია სასიმამროსთვის: „ილოს, ხუმრობა არ არის ქალი არ მისცეთ, იგი არის საკვირველი კარტოფიკი, გაუნათლებელი, ცუდი მქცევი, ბევრი საყვარლები ჰყავს. თუ თქვენი ქალი ილიას მიეცით მანანა მოსწამლავს და მოჰკლავსო. ... ეს ჭორი მანანას საცინლად არ ეყო. ბოლოს ილიამ შეირთო ცოლად ბატონიშვილი ბარბარე, რომელთანაც შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა მანანას.“<sup>2</sup>

1830 წელს, 23 წლის მანანა დაქვრივდა. კუმისის სამების მონასტერში სამუდამო განსასვენებელში ჩაშვების წინ 29 წლის მეუღლეს საჯაროდ მისცა ფიცი, რომ ალარ გათხოვდებოდა. მიუხედავად თაყვანისმცემელთა სიმრავლისა მანანამ ფიცი აღასრულა.

წიგნიერებით სახელგანთქმული თავადის ივანეს ქალიშვილს, პოეტ ეკატერინე ერისთავს, მეტეხის ყოფილ ხელოვნების მუზეუმში უნახავს „გულისპირამოქრილ ქართულ კაბაში გამოწყობილი ლეჩადახურული“ მანანას პორტრეტი<sup>3</sup>. ნანახით შთაგონებულმა ლექსი მიუძღვნა თავის ულამაზეს ნათესავს:

„სატრიფოს ფორტრეტსა  
ვჭვრეტ ვითა მზესა,  
ქმუნვარეს გულის განმანათლებლად.  
მხატრობა ესე  
მშვენებით სავსე  
მსგავსი თუ ოდენ ყოფილარს ძველად.  
ოდესცა ვნახე  
მის ტურფა სახე,  
მყის განკვირვებით ვიქმენ მუცული.

1 გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი. 1180-4.

2 საქართველოს გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ქართული ლიტერატურის მუზეუმი. ხელნაწერთა განყ-ბა. რევაზ შალვას ძე ერისთავის დღიურები: 1. 17. 476-232. 2. 17. 477-232.

3 სავარაუდოდ მეტეხის მუზეუმში პოეტს უნდა ენახა გრიგოლ გაგარინის მიერ შესრულებული მანანას „პორტრეტი“..).

და ვით შვენიერს  
 პლანეტსა ციურს  
 ვსჭვრეტდი, შევიქმენ აღტაცებული!  
 იზიდავს გულსა,  
 მსხვერპლად გძლვნი სულსა  
 ნუ თუ მაღნიტი გქონან თვალებში.  
 და მისთვის მარად  
 მყავს მონად მყარად  
 მაღალ გონებით მჯობმა ქალებში.  
 უმანკო გული,  
 კეთილით სრული,  
 ალატრფობს ყოველთ შენდა საქებრად,  
 გაქვს შესაფერი  
 ეგ ნაზი ფერი,  
 მოგნიჭებიეს განსაშვენებლად.  
 ხარ სრული გრნობით,  
 განსჯით და ცნობით,  
 სამაგაითოდ წარმოდგენილი,  
 ქცევა ქებული  
 გაქუს დიდებული  
 გშვენის, ქალთ მეფად გყონ დადგენილი!“

ჟ. „ცისკარი“ 1871 წ. № 1.

ლექსი, რომელიც მანანა ორბელიანის დასამახსოვრებელ სახეს ქმნის დაიბეჭდა მაშინ როდესაც აღარც ავტორი იყო ცოცხალი და აღარც ადრესატი. ეკატერინე ლექსში დამსახურებულად აქებს მირმანოზის ასულს და „ქალთა მეფედ“ აღიარებს ქართველ „ქალთა მარაქას“.

თანამედროვე პოეტთა გარდა მანანას შთამაგონებელი სახე ხდება მუზა იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის და სხვა პოეტებისა. ძველ თბილისზე მგლოვიარე და მომღერალი იოსებ გრიშაშვილი ლექსში „აბანოს ცრემლები“ იხსენებს გოგირდის აბანოებს, ძველ გავლილ დროს და თაობებს, მათ შორის ტფილისის ლამაზებს: ერისთავების ასულ – მანანას და ერისთავების რძალს – მარიამ (მართა) სოლოლაშვილს.

„ . . . . .  
 რა კარგი იყო, რა საამური  
 ქალთა მარაქა ამოხმიანი,  
 მათრობდა ტანი – სიასამური,  
 ლიმილის პენი თათახიანი.

ველარ ვიხილავ იმ დროს, იმ ხანსა,  
 გული მიკვნესის, გული ვალალებს,  
 ვერ ვჭვრეტ მანანას გაწკეპილ ტანსა,

სოლოდაშვილის გაშლილ დალალებს.“<sup>1</sup>

მანანას სიფაქიზით, სილამაზით, გამჭრიახობითა და მამულისადმი თავ-დადებით აღფრთოვანებული ლადო ასათიანი, რომელიც ძირითადად ისტო-როული თემატიკით იყო გატაცებული 1941 წელს ქმნის პოეზიის შესანიშნავ ნიმუშს „მანანა ორბელიანის სურათზე“.

„შენ, შაოსანო, შავთვალა, შავ სამარეში გძინავს,  
ჯერ კარგად არც კი გამთბარა ჩემი პატარა ცირა.  
შენი სახელი დავარქვი, მინდა შენ გგავდეს მარტო,  
ერისთვის ქალო, ფიქალო, ადრე დამჭვნარო ვარდო!  
მინდა, რომ შენებრ ელავდეს და იყოს შენისთანა,  
სამშობლოსათვის ღელავდეს, სანამ ჰედავდეს-მანამ,  
მინდა, რომ შენებრ კერავდეს ის საქართველოს ალამს.  
პირმოქარგული ბალიშით, ძვლის ყაისნალით ხელში...  
შენი მარილი გამოჰყევს, შენი წარბების ეშხი,  
შენსავით გაიშრიალოს, ხმელეთი გადალახოს,  
ქალობა დაიმკვეხაროს, ცამ და ქვეყანამ ნახოს.  
მე კი, თუნდ მინა მეყაროს სადმე, თბილისის ახლოს...  
შენ, შაოსანო, შავთვალავ, შავი სამარე გფუარავს,  
ჩემი მანანა აკვანში ხან გაიცინებს, ხან არა,  
ია და ვარდი ეტრფიან, ეტყვიან იავნანას.“<sup>2</sup>

მანანა ორბელიანს სილამაზე და ეშხი შუა ხნის ასაკშიც შეუნარჩუნებია. ორმოცდათი წლის მშვენიერი ქვრივი მანდილოსანი თავისივე დაქვრივებულ ქალიშვილ ანასტასიასთან ერთად რამდენჯერმე უნახავს თბილისში ჩამოსულ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს და მისი სილამაზის ტყვე გამხდარა.

მარიამ ორბელიანი იგონებს: „სეიმური იშოვიდა თუ არა ხელსაყრელ დროს, უხსნიდა მას სიყვარულს ინგლისურ ენაზე, რომელიც მანანას არ ესმოდა, მა-გრამ ატყობდა რომ ეს სიყვარულის ახსნა იყო და რომელიც მისი აზრით, მისი ქალიშვილისადმი იყო მიძღვნილი. ბოლოს ერთი მეტისმეტად მხურვალე სიყვარულის განცხადების შემდეგ, მანანამ უთხრა ვიღაცას, რომ აეხსნათ სეიმურისათვის, რასაც ის მას სთხოვს, სრულებით არ არის მისგან დამოკიდებული და, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი ქალის, ტასოს საქმეა. მანანას აუხსნეს, რომ სეიმურისაგან გრძნობის გამოხატვა ეკუთვნის არა მის ქალს, არამედ თვითონ მას, რაზედაც მანანამ ბევრი იცინა“.<sup>3</sup>

ნათქვამია, რაც ანათებს, არ ქრებაო. მანანას ისტორია ორას წელს გა-დაევლო და ამ მე-19 საუკუნის ქართველი ქალების მარაქას არ აკლდება არც ნათება და არც აპლოდისმენტები მოჯადოებული ერისაგან.

1 გრიშაშვილი ი. 100 ლექსი. თბ., 2009. გვ.109-110.

2 ლადო ასათიანი. ერთტომეული, თბ., 1979. გვ.172.

3 ქალის კალენდარი. 1954 წ. გვ.64.

## მანანა ორბელიანი და 1832 წლის შეთქმულება

საქართველო მე-19 საუკუნის დადგომას თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვით შეხვდა. ეროვნულ ნიადაგზე ქვეყნის განვითარებას ბორკილი დაედო. ტრაგედიის ათი წლის თავზე ჩვენმა მართლმადიდებელურმა ეკლესიამაც დაკარგა დამოუკიდებლობა. დაიხურა 800 მონასტერი, დაპატიმრებით, ფიზიკური მოსპობითა და გადასახლებებით დედა ეკლესიას შემოეცალა ეროვნული ცნობიერებით მდიდარი და ამაღლებული სამღვდელონი. პირველი და ერთადერთი ქართველი ეგზარქოსის ვარლაამის (ერისთავი) შემდეგ რუსი ეგზარქოსები საქართველოს ეკლესია-მონასტრების სიწმინდეთა და საგანძურთა აღმწერნი, დამფასოებელნი და გამსაღებლები გახდნენ. დიდად ფასობდა უცხო ქვეყნის კოლექციონერებში ქართული განძეულობა. საერო და სასულიერო ასპარეზიდან იძულებით გაყვანილ ეროვნულ ელიტას რჩებოდა პატრიოტულად მოტივირებული ახალი განათლებული თაობა, მათ სწავლა-განათლება უცხოეთში ჰქონდათ მიღებული. სწორედ მათ გაახმოვანეს ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეა, რომელიც მისი დაკარგვისთანავე გაჩნდა ქართულ საზოგადოებაში. ამიტომაცაა, რომ XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში თავისუფლების მაძიებელთა საფლავ-სამანებად მოჩანს 1801 წლის შეთქმულება, 1802 წლის ამბოხი, 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1812 წლის ქართლკახეთის აჯანყება, 1819-20 წლების აჯანყება დასავლეთ საქართველოში და მანანა ორბელიანის ხელით შეკერილი თავისუფლების ბაირალიანი 1832 წლის შეთქმულება.

მანანა ორბელიანის პირვენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზემოაღნიშნულ შეთქმულებასთან კაშირით. ქართველი ბატონიშვილები და ეროვნულად მოაზროვნე თავადაზნაურობა ფარული შეთქმულების მოწყობით მიზნად ისახავა ქვეყნის გამოყვანას რუსეთის კაბალიდან და სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ავტოკეფალიის აღდგენას. უდავოა, რომ შეთქმულება იყო პროგრესული მოვლენა საღად მოაზროვნე პატრიოტთა ჯგუფისა, სადაც ილია ჭავჭავაძის თქმით: „მონაწილეობას იღებდნენ უკეთესნი კაცნი, სამშობლოს სიყვარულით თვალახილებულნი, ბრწყინვალე წრე გონებაგახსნილი ყმანვილებისა“.

ორბელიანთა რძალი უპირველესი იყო იმ ქალთა შორის, ვინც თავისუფლების ბაირალებს კერავდა 1832 წელს და ვინც დაიფიცა კაცურად ჩავიცვამთ და უკანასკნელ სისხლს დავლვრით მამულისთვისო. მაშინ მანანა 24 წლის ახალგაზრდა ქვრივი ქალი იყო.

ცნობილია, რომ მანანა ორბელიანი ითვლებოდა ქარგვის სახელგანთქმულ ოსტატად. ალექსანდრე ორბელიანი თავის მოგონებებში წერდა: „ზოგიერთმა ყმანვილმა დედაკაცმა ბაირალებს კერვაც დაუწყეს და აღრეულობის ნიშნად მოამზადეს“. არაერთი გულისპირი, სარტყელი, თავსაკრავი, შეიდიში, ლეჩაქი, ქოში, ქისა, წინდა გამოსულა მისი ხელიდან. მირმანოზის ასულის მოქარგული ქისები საამაყოდ ჰქონდათ გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს.

როდესაც მანანას მეგობრებთან რაიმე სათხოვარი ჰქონდა და მათთან გალში დარჩენა არ უნდოდა საჩუქრის სახით ჰპირდებოდა „ამას და ამას მო-

გიქსოვთო“. მაგალითისთვის გამოგვადგება მისი მინაწერი გრიგოლ ორბელიანისადმი: „მე მოგიქსოვ ქისას კარგს, თუ შენ პორტრეტს გამომიგზავნი“. ასევე სამეგრელოს დედოფალს, თავის მულის შვილს ეკატერინე ჭავჭავაძეს ბარათით ატყობინებდა:

„უსაყვარლესო დაო ეკატერინე, იმდღეს მოგახსენეთ თქვენი ქალისთვის ორი სარტყელი და ერთი თავსაკრავი მომირთმევია, თუმცა არ არის მაგსი შესაბამი ლამაზები, მაგრამ გიყვარვართ და ჩემგან სიამოვნებით მიიღებთ და არ შემრისხავთ. ყმაწვილი ქალია და გაეპედება მცირე რამ ჩემგან“.<sup>1</sup>

პირველი ვინც თავს იდო მანანას ჩართულობა ალნიშნულ ფარულ მოძრაობაში იყო ამ შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ელიზბარი და მისი ძმა დიმიტრი. ამ მხრივ საინტერესოა დიმიტრის მიცემული ჩევნება საგამოძიებო კომისიისადმი, რომელსაც სპეციალურად რუსეთიდან გამოგზავნილი გენერალ-მაიორი ჩევკინი ხელმძღვანელობდა.

„1832 წლის ნოემბრის მგონი უკანასკნელ რიცხვებში,<sup>2</sup> მე და ჩემმა ძმამ ელიზბარმა გაუმჯღავნეთ ჩვენი განზრახულება მანანა ორბელიანს.

ნოემბრის პირველ რიცხვებში მანანა ორბელიანი იყო მელანიასთან, მელიკოვის ცოლთან, სადაც მე და ჩემმა ძმამ დავუწყეთ სხვადასხვა ამბების მოყოლა ისტორიიდან და პოლონეთის უკანასკნელ მოძრაობიდან, რომ დედაკაცები სასწაულწბს ახდენდნენ, და ესენი სულაც არ ჰგვანანა იმ ქალებს.

შემდეგ შევეკითხეთ, აქაც რომ რაიმე მოხდეს, თქვენ რას იზამთო, მან გვიპასუხა: „როგორც სხვა ქალები, მეც ისე მოვიქცევიო“. ამის მერე გამოვუცხადეთ მას ჩვენი განზრახულება. ის შეაკრთო ამ ჩვენმა წამოწყებამ: „რას ამბობთ, ჭკუაზე შეიშალეთ, თუ დამცინით როგორც გაუნათლებელ ქალს, განაეს საქმე მოსახერხებელიაო. თქვენვე ლაპარაკობთ პოლონეთის აჯანყებაზეო, მაგრამ რა გააკეთეს იმათაო და მით უმეტეს ჩვენ ხომ თითქმის არარა ვართ რუსეთის ძლიერებასთანაო“.

თუმცა საწინააღმდეგოს ამბობდა, მაგრამ ისე იყო ალმოდებული ჩვენი სიტყვებით, რომ დაიჯერა თითქოს, ჩვენ მართლა რისამე გაკეთება შეგვეძლებოდა, რამდენიმე დღის შემდეგ ლუარსაბ ორბელიანთან ვიყავით, სადაც მანანა ორბელიანმა მითხრა: „ლვთის გულისათვის განაგდე შენი თავიდან ეს სისულელე“.

იგივე გაანდო მანანა ორბელიანს გუსარმა გიორგი ერისთავმა (გლუხარიშმა. ვ. ქ.).

მანანა მის წინადადებასაც უარით შეხვდა. **მაგრამ განვლო სულ მცირე ხანმა და მანანა ორბელიანიც ქალთაგან ერთი უაქტიურესი წევრი შეიქმნა ფარული საზოგადოებისა.**

შემდგომ, შეთქმულებამდე დარჩენილ მცირე დროში, მანანას თავკაცები-საგან საკმაოდ დიდი დავალება ჰქონდა მიღებული. რის გამოც იესე ფალავანდიშვილმა საგამომძიებლო კომისიას განუცხადა ლუარსაბ ორბელიანის

1 მაღრაძე ე. გრიგოლ ორბელიანი. თბ., 1967. გვ. 226.

2 მიუხედავად გამომძიებისათვის შეგნებულად არასწორი ჩევნების მიცემისა დგინდება, რომ მანანა ორბელიანი შეთქმულებაში ბევრად ადრე ყოფილა ჩაბმული ვიდრე ამას გამოძიების მასალებიდან ვიგებთ.

ნათქვამი ელიზბარისთვის, რაც ამ უკანასკნელს იასესათვის უთქვამს:

„როდესაც თავადები შეიკრიბებიან თბილისში სათავადაზნაურო არჩევ-ნებზე მაშინ თავადის ქალი მანანა ორბელიანი ზოგიერთ საპატიო ქართლელს თავადებს გაუმხელს შეთქმულების განზრახვას“.

შეთქმულების გამცემი იასე ფალავანდიშვილი მანანა ორბელიანზე აწვდის მნიშვნელოვან და დამამძიმებელ ინფორმაციას: „წვეულებაზე უნდა მოწვეულნი ყოფილიყვნენ კორპუსის უფროსი და ყველა სამხედრო და სამოქალაქო რუსი მოხელენი. აქვე უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე მოწვეულნი ჩვენი თანაგამზრახ-ველთაგან ყველაზე უფრო გაბედულნი, როგორც თავადები, ისე აზნაურნი, ისინი ჩატმული იქნებოდნენ ეროვნულ ტანისამოსში და თან უნდა ჰქონოდათ ხმალი და ჯიბეში ორ-ორი გადატენილი დამბაჩა.“

წვეულება ორბელიანის სახლში უნდა მომხდარიყო, რადგან იგი ფართეა და მოედანზე დგას, როგორც კი ღამის პირველ საათზე შესაკრებ ადგილიდან რაკეტებით ნიშანს მისცემდნენ, მაშინათვე უნდა დაეწყოთ ხოცვა და იქიდან არც ერთი რუსი არ გამოეშვათ. ხოლო თუ ვინმე ქართველთაგანი გაბედავდა წინააღმდეგობის განევას, ისიც რუსებთან ერთად მოეკელათ“.

თბილისის გუბერნატორ ნიკო ფალავანდიშვილის მიერ ძმის იასესადმი კატეგორიული მოთხოვნის შედეგად 12 დეკემბერს გაცემული იქნა ფარული შეთქმულება. რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში ყველა ეჭვმიტანილი დააპატიმრა, მაშინ მანანა ორბელიანმა სხვა შეთქმულთა მსგავსად „ყოვე-ლივე აღიარა“ და ჩვენება ერთგვარი შებრალების იერით დაგეზა, რომელიც თარიღდება: „1833 წლის 25 თებერვალი – როზენისადმი:

თქვენო მაღალაღმატებულებავ  
ბარონ გრიგორი ვლადიმიროვიჩ

მე ვარ ყმანვილი ქვრივი დედაკაცი, და წვრილი ობლების პატრონი, რძა-ლი ნამსახურის და ერთგულის სახლისა და კმაყოფილი ჩემის ცხოვრებისა და მთავრობისაგანა, მაშ რა მიზანი მექნებოდა რომ გამებედნა და შევსული-ყავი მთავრობის წინააღმდეგ საქმის მოქმედებაში, მაგრამ თუმცა ზოგიერთი მთავრობის წინააღმდეგი ჰაზრი ჩემის ნათესავებისაგანა შეტყობილი მქონდა და ვითარცა კანონის უცოდინარმა დედაკაცმა შიშითა და სირცხვილით და ნათესაობის მიზეზით ვერ გავბედე რომ პირველადვე მოენეშეგქმნილიყვი. ახლა რადგანაც თითონ იმათაც უღიარებიათ ამისათვის მე ამას ვბედავ ჩემის ერთგულებითა და წრფელის სვინდისით და დაუფარავი მინდობით თქვენის მაღალაღმატებულობისა ვითარცა მამა მზრუნველი უბედურთა ვალიარებ რაც გამიგონია და მათ ეთქვათ ჩემთვისა.....“<sup>1</sup>

1833 წლის 2 მარტს როზენი სწერდა სამხედრო მინისტრს – ჩერნიშოვს: „დღეისთვის ცნობილი გახდა, რომ შეთქმულების ამბავი იცოდა დავით ორბელი-ანის ქვრივმა მანანამ. როცა ბატონიშვილი თამარ იულონის ასული დავაპატიმ-რეთ მანანა ორბელიანი თავად მოვიდა ჩემთან და გადმომცა წერილობითი ჩვენება შეთქმის შესახებ. რაკი მან ეს თავისი ნებით აღიარა არ დავაპატიმრებ მაგრამ მისგან ჩამორთმეული იქნება დამატებითი ახსნა-განმარტებანი“<sup>2</sup>

1 გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბ., 1970. გვ. 342.

2 იქვე. –გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბ., 1970. გვ. 342.

საგამოძიებო კომისიამ მანანა ჩათვალა VII კატეგორიის დამნაშავედ<sup>1</sup> ანუ ისეთ პირად, ვინც იცოდა შეთქმულების ამბავი, მაგრამ არ ეთანხმებოდა მას და როგორც ასეთი დამნაშავე დატოვეს თბილისში სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ.

სამწუხაროდ მოღალატე ქართველ თავადაზნაურთა ერთი ნაწილი ნებით თუ უნებლიერ ეხმარებოდა რუსებს კავკასიაში დაპყრობითი ომების წარმოებაში ვინააღმდეგ „რუსებთან შედარებით ქართველებს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდათ მთაში ომების წარმოებისა, რაც ვერაგულად გამოიყენა იმპერიამ შამილის წინააღმდეგ ომში. როდესაც ქართველები რუსული იარაღით მთიელთა სოფლებს მინასთან ასწორებდნენ, თავს იმით იმართლებდნენ, ვითომც ამას ლეკების წინააღმდეგ ქართველთა სისხლის საზღაურად შვრებოდნენ“<sup>2</sup>

ისეთებიც იყვნენ რუს მოხელეებზე მეტ ერთგულებას რომ იჩენდნენ ქართველი ერის განადგურებაში. მაგალითად ცნობილი გიორგი მუხრანსკი, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ „ჭკუითა და გულით მოცვეთილი“ უწოდა. ზაქარია ჭიჭინაძის დახასიათებით იგი არა მარტო გარუსებული იყო, არამედ იყო ქვემდრომი და რუსეთის მთავრობის დიდი მომხრე. მუხრანსკი ქართველთა გარუსების აუცილებლობას „მეცნიერულად“ ასაბუთებდა: „საქართველო რომ მოისპობა, ამაში ეჭვი არ უნდა, ამისი მსგავსი ბუნებაშიც ბევრია, დიდი თევზი პატარას ჭამს, დიდი მხეცი პატარას და ა. შ. ამიტომ ჩვენ მომავალი არა გვაქვს და უმჯობესია ჩვენი გადაგვარება და გარუსება...“<sup>3</sup>

მიუხედავად ასეთი „ჭკუით და გულით მოცვეთილი“ ზოგიერთი თავადაზნაურის არსებობისა საქართველო მაინც ცოცხლობდა და ვითარდებოდა. 1832 წლის შეთქმულთა სულისკვეთებით იზრდებოდნენ თაობები რომელთაც აღაფრთოვანებდათ და მამულის გადასარჩენად აღძრავდათ ძველი თაობის თავგანწირვა. აი თუნდაც მათი ერთი შეძახილი უგუნურთა და მძინარეთა გამოსაფხილებლად:

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისი სჯული, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა, და თვისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა ან არს მამული ეს ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუნდა და აღავსებდა მსოფლიოსა.

მტერი მარადის მოწყლული იყო და დამხობილი მათგან, ხოლო ან ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისას. ჰგრძნობთ შეინროებას ყოვლისა კაცისასა.

რაისთვის არს ესე ესრეთ.

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი,

ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარი მამულისა ჩვენისა.

1 საგამოძიებო კომისიამ შეთქმულების მონაწილე დამნაშავენი სულ დაყო XV კატეგორიად. საიდანაც I კატეგორიის დამნაშავეებს მიესავათ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, რაც შემდგომ მეფის „გულმოწყალებით“ შეეცვალათ გადასახლებით.

2 დიდი რუსიანობა საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში. წიგნ. I.თბ., 2011წ.გვ. 188-189.

3 ჭიჭინაძე ზ. სოლომონ ლიონიძე, მსაჯული ანუ ვიცე კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმერთ მეფისა. ტფ., 1919.

ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესე ოდენი, რაოდენის ჩვენს მა-  
მათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა,

მაში რაისათვის ვცოცხალვართ!...“<sup>1</sup>

ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია რა მაშტაბის ხოცვა-ულეტა და სისხ-  
ლის კალო უნდა დატრიალებულიყო მანანა და ლუარსაბ ორბელიანების კარზე,  
ქალაქის ცენტრში. იმ ერთ საღამოს რამდენი რუსი ჩინოვნიერი და რამდენი  
რუსეთუმე ქართველი უნდა დახოცილიყო ტყვიით და ხმალ-ხაჯულით, რო-  
გორი საშინელი საყურებელი და მოსასმენი იქნებოდა ათასობით კაცის ყიუინა,  
ქალების განწირული წივილ-კივილი, სისხლის ნაკადულები. აი ამ ყველაფრის  
ხელის შემწყობი და აქტიური მონაწილე გახლდათ 25 წლის ქვრივი, „აღმოსავ-  
ლეთის ძვირფასი თვალი“, ერისთავების ასული. მანანას ეს „ტრაგედია“ მთელი  
თავისი სიგრძე-სიგანით გაცნობიერებული ჰქონდა. იცოდა, რომ თავის თავზე  
იღებდა სისხლისლვრის პასუხისმგებლობას, მაგრამ ყოველივეს სამშობლოს გა-  
დასარჩენად აკეთებდა.

შეთქმულების გამუდავნებისა და სისხლის არდალვრის მიუხედავად მანანა  
პასუხისგებაში იქნა მიცემული და რომ არა მისი გონიერება, გამჭრიახობა და  
სწორი, დროული მოქმედება, უდავოდ უცხო მხარეში გადასახლება არ ასცდე-  
ბოდა.

ქვეყნის გამოხსნისთვის ემზადებოდა მთელი საქართველო და მათ შორის  
ქალებიც. მათი პატრიოტიზმი და საბრძოლო განწყობილება მხატვრულად წარ-  
მოაჩინა ალექსანდრე ორბელიანმა პიესაში – „დავით აღმაშენებელი“. ასევე  
დიდი ოსტატობით დაგვიხატა შეთქმულების ორგანიზატორები ქართველმა  
მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა ისტორიულ პოემაში „არსენა მარაბდელი“,  
საიდანაც საბჭოთა ხელისუფლებამ ამოქრა ყველაზე საყურადღებო, ეროვნუ-  
ლი ხასიათის სიუჟეტები და ასე დაჩიხილ-დამახინჯებულს ასწავლიდა ზოგად-  
საგანმანათლებლო სკოლებში.

## მანანა ორბელიანის სალონი და ურთიერთობა

### მეფისნაცვალ ვორონცოვთან

1832 წლის შეთქმულების გამუდავნების შემდეგ ქვეყნის კულტურული მა-  
ჯისცემა გაჩერდდა, პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია რუსეთისა და  
მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების განაპირო პროვინციებში იქნა გადასახლებ-  
ულნი. მიუხედავად რეპრესიებისა და პოლიციის გამუდმებული თვალთვალისა  
მანანა ორბელიანი დამარცხებულთა და დევნილთა მანუგეშებელი გახდა.

მანანას თბილისში თავისი ლიტერატურული-საოჯახო სალონისთვის ოფი-  
ციალური სახე დაახლოებით 30-იანი წლების შუა ხანებისთვის უნდა მიეცა.

მანამდე კი როგორც სხვა ქართველი და არაქართველი შეძლებული, გა-  
ნათლებული და ევროპული ცხოვრების მიმბაძველი ოჯახები, დროის მცირე  
ინტერვალით აწყობდნენ საღამოებს, სადაც იწვევდნენ ნათესავ-მეგობრებს,  
ქალაქის გავლენიან პირებს. ყოველივე ეს მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო, მეტი

1 ელიზარ ერისთავი. –კრებული.თბ., 1997.-გვ.202.

სიახლე, სიხალისე და ევროპული ელემენტები რომ შეეტანათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ლოტოს, ნარდის, კარტის თამაშთან ერთად ზოგიერთ ოჯახში იმართებოდა სჯა-ბასი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებზე, ამასთან მწერლობაზე, ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე და სხვ.

მაშინ როდესაც საქართველოში არ იყო თეატრი, უმაღლესი სასწავლებელი და კლუბები, არ გამოდიოდა ქართული უურნალ-გაზეთები დიდი როლი ენიჭებოდა ლიტერატურულ სალონებს. კონსტანტინე მამაცაშვილის თქმით – „იმ დროის თბილისში არაფერი საზოგადო გასართობი ადგილი არ გვქონდა... ჩვენი დროის გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად სალამოზე ყრილობა...“

პირველი სალონი თბილისში, რომელიც შემდეგ მისაბაძი გახდა ქართველებისათვის დააფუძნა 1816-1827 წლებში კავკასიის მთავარმართებელმა პ. ა. ერმოლოვმა, რომელშიც იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია მონაწილეობდა. მანამდე კი სალონების წინამორბედად შესაძლებელია მივიჩნიოთ ჯერ კიდევ 1799 წელს პეტერბურგიდან თბილისში სამეფო კარზე „მმართველად“ ჩამოსულ პეტრე ივანეს ძე კოვალენსკის „თეატრალური წარმოდგენები“, რაც სამეფო კარისა და მათთან დაახლოებულ პირთათვის 1803 წლამდე იმართებოდა. როგორც შემდეგ გაირკვა რუსეთის იმპერატორისაგან პირადად ჰქონდა დავალებული კოვალენსკის ენარმობინა ფარული თვალთვალი და მიყურადება სამეფო კარზე, რის აღსრულების საუკეთესო საშუალებადაც გაიხადა ასეთი სალამოების მოწყობა.

„მმართველ“ კოვალენსკის შემდეგ კავკასიის მთავარმართებელმა – ერმოლოვმა დახვეწნა და განავითარა სალონური სალამოები თბილისში.

აღსანიშნავია რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტთა მიერ გამართული სალამოები. ასევე რუსი სამხედრო პირის გაზმანოვის ორგანიზებით თბილისში რომან ივანეს ძე ბაგრატიონის ბინაზე გამართული თეატრალური, მუსიკალური და ლიტერატურული სალამოები.

რომან ბაგრატიონის თანადროულად თბილისში საოჯახო ლიტერატურული სალონი და წრე დაარსებული ჰქონდათ სოლომონ დოდაშვილს, ვახტანგ ორბელიანს. აგრეთვე ელიზბარ ერისთავის მიბაძვით ლიტერატურულ სადილებს აწყობდა რიგი ქართველი თავადაზნაურობისა.

თბილისში ცნობილი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი, აგრეთვე მაიკო ორბელიანის, ელისაბედ როზენის, მაია თუმანიშვილის, რომლის ქმარი დიდი ქომაგი იყო ლიტერატურისა და ანთოლოგიებს ადგენდა. სალონი ჰქონდათ თბილისში ახვერდოვასა და მეფისნაცვლის ცოლს ელისაბედ ბრანიცვაია-ვორონცოვას. ჩამოთვლილ სალონებსა და წრეებს შორის ყველაზე მიმზიდველი და დახვეწილი იყო მანანა ორბელიანისა და ჭავჭავაძეების სალონი. ამ უკანასკნელთა სალონს სამი მზეთუნახავი: ნინო, ეკატერინე და სოფიო ჰელენდა ნათელს.

თბილიში, ქაშვეთთან ახლოს, დღევანდელი ლადო გუდიაშვილის ქუჩის კუთხეში, მდებარეობდა მანანა ორბელიანის სახელგანთქმული სალონი, რომელმაც XIX საუკუნის 70-იან წლებამდე იარსება და იმდროინდელი საქართველოს კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა. ამ სალონში იკრიბებოდა თბილისის წარჩინებული საზოგადოება – მწერლობა-

ში, ხელოვნებაში და მმართველობაში. მანანას სალონი გადაიქცა ნავსაყუდლად უცხოელი სტუმრებისთვისაც. თემირხანშურაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი 1846 წლის 18 თებერვლით დათარიღებულ თავის ერთ წერილში სინაზულით წერდა მანანას:

„ჩემო საყვარელო ძალუავ მანანავ!

ამ სოფელში არა არის რა განსაკვირველი, არცა იგი, რომელ ასე მნარეთ დამივიწყეთ მე. შორით მიხარის თქვენი მშვიდობიანობა, თქვენი განცხრომითი ცხოვრება. დიდათ მხიარულებით მაშასადამე ბედნიერებითაც. თქვენი გაბრძყინებული სალონი სავსეა ინგლისელებით, ფრანგულებით, პინდოელებით. ჭეშმარიტად მშურს მათი ბედნიერება და ვამბობ, ნეტავი მათ რიცხვში მეც ვიყო“<sup>1</sup>

მანანას არ ჰქონდა განსაკუთრებული განათლება, მაგრამ საოცრად ინტერესიანი და ლიტერატურის მოყვარული ადამიანი იყო. განათლების სიმწირის გამო ძალიან წუხდა და მუდამ იმეორებდა – გაუნათლებელი ვარო. მის გარშემო ყოველთვის იკრიბებოდნენ მცოდნე და მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანები.

„აქ თავადურ სახლებში იყო სალონური შეხვედრები, საუბრები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, საზოგადოებრივ თემებზე, იმ ამბებზე, რაც ხდებოდა საქართველოსა თუ მსოფლიოში. ბევრმა ქართველმა იცოდა უცხო ენა და დედანში ეცნობოდა კლასიკურ მწერლობას, მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ქართველ არისტოკრატიას არ სურდა ჩამორჩენოდა სხვა განათლებულ ერებს თუ ქვეყნებს“.<sup>2</sup> სალონების ისტორიას თვალს თუ გადავავლებთ დავრწმუნდებით, რომ მას საფრანგეთში მივყავართ, სადაც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში არსებობდა პოლუს, ბურდონეს, სკიუდერის და სხვათა ცნობილი სალონები. საფრანგეთის მიბაძვით ლიტერატურული სალონები ჯერ გერმანიაში, შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებში გაჩნდნენ. ჩვენში კი რუსეთიდან დამკვიდრდა. ფრანგული და ქართული სალონების შემცვედრი მიზანდასახულობისა და მსგავსი რეალობიდან გამომდინარე მანანა ორბელიანს დაერქვა „ჩვენებური მადამ რეკამიე“<sup>3</sup> როგორც ავლიშნეთ მისი „ნათლია“ გახლდათ ქართულ ლიტერატურათმცოდნებაში ე. წ. ბიოგრაფიული უანრის დამკვიდრებელი, პუბლიცისტი იონა მეუნარგია.

ეპისტორალური ნაწერებიდან ჩანს, რომ მანანა ორბელიანთან ყველას განსაკუთრებული სიახლოვე, შინაურული ურთიერთობა ჰქონდა, ყველას სურდა მისი ყურადღების დამსახურება. მანანა ძალიან ლალი, უბოროტო და ბუნებით კეთილი ქველმოქმედი ადამიანი იყო. ერთ დღეობაში მან თავის ნათლულს ნინო ანდრეევსკაიას „ერთი პატარა“ სოფელი აჩუქა.

მუდამ ოპტიმისტი მანანა ორბელიანის სალონში იკითხებოდა ლექსები, თარგმანები, ახალი წიგნები. აქ წაიკითხა გიორგი ერისთავმა პირველად თავისი შესანიშნავი პიესა „გაყრა“. მისი სალონის წყალობით საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ სალიტერატურო უურნალ „ცისკრის“ გამოცემას და ქართუ-

1 გრ. ორბელიანი., წერილები. ტ. I. თბ., 1936. გვ. 119.

2 ჭუბერიძე დ. ისტორიული პორტრეტები, წერილები. თბ., 2012. გვ. 236.

3 უიულ რეკამიე (1777-1849) პარიზელი ბანკირის კოლი, მისი სალონი იყო პარიზის პოლიტიკური და ლიტერატურული ცენტრი. ოპტიმისტი გამოცემას და ქართულად.

ლი თეატრის დაარსებას. ცარიზმით უკმაყოფილო რუსი ინტელიგენცია: პო-ეტები, მოგზაურები, ხელოვანები სწორედ ამ სალონში პოულობდნენ სულიერ სიმშვიდეს. ცნობილია, რომ ლერმონტოვმა აქ გაიცნო მაიკო ორბელიანი.

XX საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში შეიქმნა პორტრეტული შტრიხები, რომლითაც მყითხველს თვალშინი წარმოუდგებოდა ნიკოლოზ მელი-ტონის ძე ბარათაშვილი.

„გასული საუკუნის ორმოციან წლებში მანანა ორბელიანის სალონში მუდ-მივად დადიოდა საშუალო სიმაღლის და მოთეთრო პირსხმული სახის, ერთ-მანეთთან გადალიბილი წარბებით, მიმზიდველი შავთვალებიანი, ყოველთვის წვერულვაშმოპარსული, ევროპულად ჩატარებული „ექსპედიცია სუდა ი რასპრა-ვას“, კოჭლი „სტოლნაჩალნიკი“ შინაურები ტატოს რომ ეძახდნენ. აი ამ ტატოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სალონის მფლობელ დიასახლისთან – ორბელი-ანების რძალთან.

როგორც ცნობილია, მირმანოზ ერისთავის ულამაზესი ასული „მადამ რეკა-მიე“ ახალგორში არ დაბადებულა, მაგრამ ის დიდ მონიჩებას, ყურადღებას და სიყვარულს მაინც გამოხატავდა ქსნის ხეობისადმი. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების წყალობით ცნობილი ხდება, რომ მანანა ორბელიანი 1844 წელს ახ-ალგორში ორჯერ ყოფილა. ერთხელ ნიკოლოზ ბარათაშვილის დის ეკატერინეს ქორწილში 29 ივნისს და მეორედ 15 აგვისტოს ლომის-ალევის მთაზე გამარ-თულ დღესასწაულ „სამებობაზე“.

„... იქიდან ახალგორს წავედით. ჩვენთან იყვნენ მანანა თავის ქალით, მაი-კო, ყაფლან, ალექსანდრე სუმბათოვი – მეჯვარე. რა დაბინდდა მივედით ახ-ალგორს... სასახლე ჭრაქებით იყო გაჩახჩახებული....

მერე მე და მამუკა გორს გადავედით, იქ დაგვხვდნენ ელენე, მანანა, რო-მელიც ორის დღის წინ ჩვენზედ წავიდა მელანია და ბევრნი სხვანი.

.....  
მე და მამა ალევობას, რომ ამ თვის თხუთმეტს იყო, ვენვივენით კატოს. მანანა და ელენეც გარდოვიდნენ სალოცავად. საუცხოო ჯვარობა იყო. ახალ-გორიდგან თორმეტი ვერსტია, მაღალს მთაზედ. ქალები ცხენებით, საწვიმრე-ბით, ქოლგებით, დიდის ამალით, ოსურის სიმღერით ავედით სალოცავად. ის ღამეც და მეორე დღეც იყო მშვენიერი. ძალიან მხიარულობა იყო. ცოტა წა-მოსვლის დროს მანანა ავად გახდა და იმან ცოტა დაგვიშალა მხიარულება...“<sup>1</sup>

მანანა ორბელიანი სალონის შეკვეთები მსოფლიო ლიტერატურის სა-თარგმნელად სალონური საქმიანობის წარმატების მაჩვენებელია. XIX ს. 30-იან წლებში საქართველოში ცნობილი ყოფილა ფრანგი მწერლის ანრი რენე ლესაჟის რომანი „კოჭლი ქაჯი“. ეს რომანი მანანას დავალებით თარგმნა და-ვით ყორლანაშვილმა, რაზეც მანანა გრიგოლს 1836 წლის 12 აპრილს სწერდა: „მარტოვა ხან წიგნებს ვკითხულობ. ღმერთმა უშველოს ყორლანოვს, ის გვა-ტარებინებს დროს, თავის ნათარგმნი წიგნებით. ეხლა მოველით და სთარგმნის „კოჭლ ქაჯს“, თუ წაგიკითხავს, აქებენ ძალიან“.<sup>2</sup>

მანანა ორბელიანის პირადი შეკვეთით დიმიტრი ყიფიანმა ქართულად გად-

1 6. ბარათაშვილი, თხზულებანი. თბ., 1972. გვ. 130.

2 ბალახაშვილი ი. მანანა ორბელიანი. თბ., 1941. გვ. 22.

მოგვითარგმნა შექსპირის ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“, პიესის თავფურცელზე მიწერილია შემდეგი სიტყვები: „ენენინა მანანა ორბელიანისათვის ქართულ ენაზე გადმოღებული ყიფიანის მიერ“.

დღიმიტრი ყიფიანს თავისი თარგმანი პირველად მანანას სალონში წაუკითხავს და დიდი მოწონებაც დაუმსახურებია. მანანას სალონს ნიკოლოზ ბარათაშვილთან სიახლოვის წყალობით შემორჩი ხელნაწერი ე. წ. „ალმანახი“ და რამდენიმე ავტოგრაფიული ლექსი და ასევე პოემა „ბედი ქართლისა“. ეს ხელნაწერები შემდეგში მანანას ქალიშვილს გამოართვა პოეტის ბიძამ ილია ორბელიანმა.

1835 წლის თებერვალში მანანა ორბელიანი თავის მულიშვილებს სწვევია წინანდალში და მთელი ორი თვე წიგნების კითხვაში გაუტარებიათ. ერთად მყოფ სამ ულამაზეს ასულს გრიგოლ ორბელიანმა „სამი გრაცია“ უწოდა. სწორედ ამ სიტყვებმა დააწერინა იაკობ ბალახაშვილს – „მეცხრამეტე საუკუნეს სამი მნათობი ჰყავდა: მანანა ორბელიანი, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები“, რაც დიდი უპატივცემულობაა იმ დაანარჩენი ქართველი ქალებისა ვინც თავის სილამაზითა და გონიერებით სახელი გაუთქვა ქართველი ქალის ლირსებას.

თბილისის სალონთა შორის მანანას უპირველესი სალონის უცხოელ სტუმართა გვერდით ნატრობს თავის თავს გრიგოლ ორბელიანი თუმცა წერილში სადაც აქებს მანანას სალონს იქვე შეგონების, უფრო მეტად კი საყვედურისა და გაფრთხილების ტონით ეხმიანება ორბელიანთა და ჭავჭავაძეთა სალონის დიასახლისებს.

ჩანს ისინი თბილისში მეფისნაცვალის ჩამოსვლის შემდეგ შეიცვალნენ და ვეღარ იცავდნენ დისტანციას ლამაზ ქალებთან მოსუნსულე ვორონცოვთან. ჩვენი აზრით ქალებისადმი პოეტის საყვედურნარევი, დამრიგებლური ტონის მიზეზი სწორედ ეს არის.

„... რომ ამბობენ მითომ ყოველს შვიდ წელინადში კაცი ერთხელ იცვლება სახით, ჩვეულებით, ფიქრით, გულით; მაშასადამე, თქვენცა და ნინაც (ნინო ჭავჭავაძე. ვ. ქ.) ჩემის ანგარიშით, შეცვლილი ხართ ჯერ ექვსჯერ, და ამა მიხედვით, თქვენ ახლა ის აღარ უნდა იყოთ, რაც იყავით პირველს პერიოდებში თქვენის სიცოცხლისა, რასაკვირველია, მეც აღარ მექნება თქვენთან ის ადგილი, რომელიც ახლა შეუბურიათ უცხოქვეყნელთა. მაგრამ ეს არ მაწუხებს ისე, როგორც ფიქრი, რომ თქვენ და ნინო შთაფლულხართ ამ სოფლის წარმავალს სიამოვნებაში და არა ჰავიქრობთ სულისათვის, საუკუნო ცხოვრებისათვის, რომელიცა მიგველის ჩვენ და რომელიც ესრე მწარედ დაგივიწყებიათ, დროა, დროა, გეყოფათ!

..... დღეს დადგა დიდმარხვა, ვაი თქვენდა, შეუნანელთა, ვაი ნინოს და მანანას, რომელთა გამოფხიზება ამაო ცხოვრებისაგან იქნების საზარელი, რომელთა არღარას უშველოს არცა კბილთა ღრჯენა, არცა სასოწარკვეთილება! თუ დამიჯერებთ, მოიქეცით შენ და ნინო გზასაზედა ჭეშმარიტებისასა, დაუტევეთ ეშმაკი, რომელიცა წინაგიძლვისთ თქვენ სულისა თქვენისა წარსაწყმედელად<sup>1</sup>“

დიდად საყურადღებო, მრავლისმთქმელი და მრავლისმამხილებელი წერ-

1 გრ. ორბელიანი. წერილები. წიგნ. I. თბ., 1936.

ილია ქალებისადმი „ძველი თაობის პაპისაგან“. იგი გაფრთხილებაც არის, მოწოდებაც, დარიგებაც და ყველაზე მეტი საყვედური. რამ განაპირობა ასეთი მკაცრი დამრიგებლური ტონი?! რა იყო მიუღებელი სანათესაოზე გადაგებულ პოეტ-გენერლისთვის ჭეშმარიტების გზას აცდენილ ქალების ყოფა-ქცევაში?! მთელ რიგ საკითხებს და მათ ირგვლივ გაჩენილ ეჭვებს მივყავართ თბილიში მეფისნაცვლის სავარძელში მოკალათებულ მიხეილ ვორონცოვთან. სანამ შევიხედავდეთ ამ უნიჭიერეს, მოქნილ, ლიბერალ, მეფის ეშმაკუნა მოხელის კაბინეტში, მანამდე საქმეში უკეთ გასარკვევად შევიხედოთ ჭავჭავაძეებისა და ბრანიცკაია-ვორონცოვას სალონებში.

თბილისში მანანა ორბელიანის სალონის გვერდით მოქმედებდა ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მისი ქალიშვილების (ეკატერინე, ნინო, სოფიო) სალონი. სილამაზით ცნობილი ქალები მანანას მულიშვილები იყენებ. საკამაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ რძალ-მულსა და მის შვილებს ერთმანეთთან. ჭავჭავაძეების სალონი მუდამ იზიდავდა საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებს. მალე დები ქართველ და უცხოელ პოეტთა მუზა შეიქმნა. ალექსანდრე გრიბოედოვი ისე მოხიბლა სალონის ერთ-ერთმა დიასახლისმა – ნინომ, რომ 16 წლის ულამაზესი ასული ცოლად შეირთო. უილბლო აღმოჩნდა ქორწინება, 17 წლის ნინოს თეირანში მოკლულ მეუღლეზე დარდით ექვსი თვის მუცლადმყოფი ბავშვიც დაეღუპა. პოეტისა და გენერლის ალ. ჭავჭავაძის უფროს ქალიშვილს, ლამაზებს შორის ულამაზეს ეკატერინეს თანამედროვეებმა „ნინიანდლის ვარდი“ და „ალაზნის ველის ყვავილი“ შეარქვეს. ზამთარში თბილისი, ზაფხულში კი ნინანდალი მასპინძლობდა ჭავჭავაძიანთ სალონურ ცხოვრებას. ქუდბედნიერი აღმოჩნდა სამეგრელოს მთავრისთვის მათ სალონში სტუმრობა. იგი მოიხიბლა ეკატერინე ჭავჭავაძის სილამაზით. უსიყვარულოდ გათხოვილმა ეკატერინემ 1839 წელს ქაშუეთის ტაძარში ჯვარი დადიანზე და სამეგრელოს დედოფალი გახდა. იგი თავიდანვე განკუთვნილი იყო სადედოფლოდ. ალ. ჭავჭავაძემ შვილის სახელი ეკატერინე, დაუკავშირა თავის ნათლიას, რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ეს. ხოლო იმპერატრიცას შვილი ალექსანდრე გახდა ეკატერინე ჭავჭავაძის ნათლია.

„ნინანდლის ვარდი“ მთელი გრძნობით უყვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილს და საუკეთესო ლექსებიც უძლვნა. არც ეკატერინე იყო ნიკოლოზის მიმართ გულგრილი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ როდესაც ნიკოლოზს შეუყვარდა ჭავჭავაძის ქალიშვილი იგი უკვე დანიშნული იყო სამეგრელოს მთავარზე. 1853 წელს დავით დადიანი გარდაიცვალა, მათი ვაჟის სრულნლოვანებამდე სამეგრელოს მმართველად ეკატერინე დაინიშნა. 1860 წელს ეკატერინე მოსკოვში „გადავიდა“ საცხოვრებლად. 1882 წლის 13 აგვისტოს გორდის საზაფხულო რეზიდენციაში გარდაიცვალა მე-19 საუკუნის „სალონების მადონა<sup>1</sup>

კავკასიის მაფისნაცვლის მიხეილ ვორონონცოვისა და მისი მეუღლის, პუშკინის მუზის, ელისაბედ ქავერის ასული ბრანიცკაიას<sup>2</sup> სალონი ნინგადადგმული

1 ჭავჭავაძიანთ სალონზე იხილეთ ჟურნ. „ხელოვნება“ 2010 წ. № 1.გვ.22; ბორიზდინი კ. სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861. თბ., 2004; ბარათაშვილი ლ. სინამდვილე და მირაჟი. ჟურნ. „ხელური“. 2010. № 1. გვ.23.

2 ელისაბედი გახლდათ რუსეთის არისტოკრატიულ წევებში კარგად ცნობილი ქალბატონი. თვით იმპერატორ ნიკოლოზ I-ისა და ალ. პუშკინის ტრფობის საგანი. რუსი კრიტიკოსების მტკიცებით

ნაბიჯი იყო ქართულ სინამდვილეში. მათი სალონის კარი ღია იყო თბილისელი არისტოკრატებისათვის. აյ ხშირად სტუმრობდნენ ულამაზესი ქართველი ქალ-ბატონები, რომელთა შესამოსელად ბრანიცეკაიამ სპეციალურად საფრანგეთი-დან ჩამოიყვანა მკერავები, მან თავისი ინიციატივით და დაფინანსებით გახსნა თბილისში წმ. ნინოს სახელობის კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი, რომლის მონაფეებთან გიორგი ერისთავს აბარებს: „გადაცით წმ. ნინოს გიმნაზიის ქალებს, რომ კარგად ისწავლონ ქართული ენა“-ო!!!

ეს მაშინ როდესაც დედაქალაქის საზოგადოებას დაქვეითებული აქვს უნარი ეროვნული აზროვნებისა. იმის გასარკვევად თუ როგორი და რა ფორმით გამოიხატებოდა თბილისელი ქართველების დეგრადაცია მოვუსმინოთ ქსნისხეობელ მოძღვარს ივანე სუხიშვილს:

„მაშინ ტფილისში ჩასვლა ქართველი ხალხისთვის იმას ნიშნავდა როგორც რუსეთში წასვლას, ტფილისში თითქმის ქართული არ არსებობდა; ყველა ქართველს დასცინოდა: რუსი, სომეხი, თათარი თუ ოსი. ასე გასინჯეთ თვით ქართველებიც. დიდ არისტოკრატიულ ოჯახებში ქართულად თითქმის ცოტალა ლაპარაკობდა იმასაც ზიზღით. ქართულ გაზეთს თუ ვინმე ღებულობდა ისიც ფორმისთვის ან რაიმეს შესახვევად.... ასე გასინჯეთ ეკლესიაში სიონის ტაძარში, შესასვლელ კარებთან სალდათი იყო დამდგარი, თუ ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილს ქალს ნახავდა არ უშვებდა – „ნეტ კეკელა მესტა“.<sup>1</sup>

თბილისში ბრანიცეკაია-ვორონცოვას სალონში ხშირად იმართებოდა „ვორონცოვის სადილები“. სალონის დამფინანსებელმა მეფისნაცვალმა 1846 წლის 28 ივლისს ელისაბედის სალონის წევრებისათვის და უპირველესად ქართველი მანდილოსნების პატივსაცემად სპეციალური გემით ყირიმში, თავის მამულ „ალუბკაში“ მოაწყო გასეირნება.

დაფასებულ ქალთა შორის იყო ულამაზესი მანანა ორბელიანი. მთელი 9 წლის მანძილზე ელისაბედ ვორონცოვამ თავისი ქველმოქმედებით და კეთილი გულით თბილისის მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. თუმცა ერთ-ერთი მკვლევარი ფხიზელი თვალით დანახულს შემდეგნაირად აფასებს:

„ბალ-მასკარადები, შინაური კონცერტები, იტალიელების თბილისური საოპერო სპექტაკლები, რუს ოფიცრობასთან ქართველ ქალთა ქორწინებები და ვორონცოვის შექცევა-ნადიმომები, რუსი და ევროპელი ლიტერატორები და ხელოვნების მსახურნი თბილისში, – ყველაფერი ეს ფარავდა იმ ეროვნულ ტკივილებსა და სულისკვეთებას, აძინებდა და ადუნებდა ეროვნულ ენერგიას, რომლის გამოღვიძების დიდი მისია შემდეგში თერგდალეულებმა იკისრეს“.<sup>2</sup>

ვორონცოვების სალონმა 1855 წელს შეწყვიტა მოქმედება. დარჩა მხოლოდ ტკბილი მოგონებები და ის ინტელექტუალური სიმდიდრე რაც თბილისის იმდროინდელმა საზოგადოებამ მიიღო სალონური ცხოვრებით.

მკვლევარები სწერენ, რომ მანანა ორბელიანის სალონში დაიბადა აზრი ქართული თეატრის დაარსებისა, შემდეგ კი უურნალ „ცისკრის“ გამოცემისა.

„ევგენი ონეგინში“ ტატიანას სახე სწორედ ელისაბედ ბრანიცეკაია-ვორონცოვათია შთაგონებული 1 გ. ლეონიძის სახ. საქ. სახელმწ. ლიტერატურის მუზეუმი 19799-300.

2 ჭუმბურიძე დ. ისტორიული პორტრეტები, თბ., 2012. გვ. 226.

ჩვენგან ეს აზრი შემდეგნაირად ლაგდება:

– ვერავინ ვერ იტყვის როდის გაჩნდა აზრი, ქართულ მოწინავე საზოგა-დოებაში, თეატრისა და უურნალის დაარსებისა, ისე როგორც ვერავინ იტყვის როდის დაიბადა აზრი საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისა.

ორბელიანის სალონში მოხდა იმ კვირტის დაყვავილება რომელიც მისივე დიდი მცდელობით დაიმტვერა და განაყოფიერდა მიხეილ ვორონცოვის ხე-ლით, რომლის ნაყოფის გემო და სურნელი დღემდე არ დავიწყებია ქართული თეატრის ისტორიას და სალიტერატურო-საგამომცემლო საქმიანობას. ნაყოფის უშუალო შემოქმედი კი გახლდათ გიორგი დავითის ძე ერისთავი.

რომ არა მანანა და მისი სალონი, მისი სილამაზე, ნიჭი, გონიერება, სი-ლალე და მაღალი ინტელექტი, რაც ერთობლიობაში ქმნიდა ქსნის ერისთავის ულამაზესი ასულის „პორტრეტს“ და ამასთან რომ არა ქართველების მოწყალე „მამინაცვალი“ – ვორონცოვი შესაძლებელია ვერ აღმოცენებულიყო ის კულ-ტურულ-ეროვნული ნათესი რასაც ემუქრებოდა იმპერიალისტური სუსხი და საქართველოს ცაზე ჩამონილი ანტიქართული შავი ღრუბელი.

მანანა ორბელიანის სალონი მართლა სავანე იყო იმდროინდელი თბილისელებისთვის, სადაც არაფერი გასართობი არ იყო, უმაღლეს სასწავ-ლებელზე ფიქრიც კი ვერავის ნარმოედგინა. „თბილისში თეატრზე არავინ ფიქრობდა გარდა მანანას სალონში შეკრებილ ინტელიგენტ-თავადაზნაურობისა, რომელთაც სათეატრო სახსარი არ გააჩნდათ, იმ დროის ვაჭრობა არაქართველების ხელში იყო და მათ ქართული კულტურის ბედი არ აღელვებდათ და კაპიკს ვერავინ ვერ გააგდებინებდა „მანჭვა-გრეხვაში. წერდა უურნალი „თეატრი და ცხოვრება“ (2007 წ. № 3-4. გვ.21).

მანანა ორბელიანის ყოფა-ცხოვრებით დაინტერესებულ როგორც მკვლ-ევარებს ისე საზოგადოების გარკვეულ ნაწილს უჩნდებათ პასუხაუცემელი კითხვები მანანას და მეფისნაცვალ მიხეილ სიმინის ძე ვორონცოვის ურთიერ-თობების დეტალებზე. აზრი ორად იყოფა – ერთი თვლიან, რომ მათ ერთმა-ნეთში ახლო ფიზიკური ურთიერთობა ჰქონდათ, რომ მანანა იყო საყვარელი ვორონცოვისა, მეორენი კი მათ შორის მხოლოდ ფლირტს ხედავენ და სხვა ამორალურ ინტიმურ კავშირს გამორიცხავენ.

მათ ირგვლივ გაჩენილი პასუხაუცემელი კითხვები და ეჭვები არამც თუ დღეს ჩვენთვის არის დაუზუსტებელი და ბურუსით მოცული, არამედ მათი საახლობლოსა და მაშინდელი თბილისის მოქალაქეებისთვისაც გაურკვეველი და გაუხსნელი იქნებოდა.

29 წლის გარდაცვლილ მეუღლეს საფლავის კართან 23 წლის ქვრივი ეფიცე-ბა ერთგულებას და დებს აღთქმას, რომ არასოდეს გათხოვდება, მიუხედავად თაყვანისმცემელთა მთელი არმიისა. მანანა ასრულებს ამ პირობას.

ახალგაზრდა ქვრივის ცხოვრების დეტალებში გარკვეული ჩანს მისი თანამედროვე იონა მეუნარგია. ეს მრავალმხრივ მოღვანე ადამიანი დაჯერებული რომ არ ყოფილიყო ორბელიანების რძლის პატიოსნებაში აღბათ გაუჭირდებოდა დაენერა მეტად საპასუხისმგებლო, ღირსებით სავსე სიტყვები: „მანანა იყო მეფედ ქართული ზნეობისა და გემოვნებისა 1840 წლებში“. ეს ფრაზა დაძალებულ ნათქვამს არ ჰგავს და ვერც ვინმე აიძულებდა დაეწერა. მანვე მა-

ნანა შეადარა ფრანგი ბანკირის ცოლს, პატიოსნებით და სილამაზით ცნობილ რეკამიეს, რომელიც მანანასნაირად იმპერატორს ოპოზიციაში ედგა. ყოველივე ამის შემდეგ „ჩვენებურ მადამ რეკამიეს“ ცხოვრების სტილი, მისი სინშინდე და პატიოსნება ხალხში მაინც ეჭვს აღძრავს. დღემდე პასუხაუცემელია იყო თუ არა დავით ორბელიანი მისი პირველი და უკანასკნელი მამაკაცი.

რა ბადებს ამორალურობის ეჭვს მანანასა და მეფისნაცვალის ურთიერთობაში. ალბათ პირველ რიგში გადაჭარბებული სიახლოვე, მმართველობისადმი ვორონცოვის ახლებური მიდგომა და ლიბერალური პოლიტიკა, რაც წითელი ხაზივით გასდევს მის მოღვაწეობას კავკასიაში და რასაც ზოგიერთნი მანანასთან მისი ინტიმური კავშირით ხსნიდნენ და ხსნიან დღესაც.

მე-19 საუკუნის შუახანების საქართველოში მანანა ორბელიანისა და მიხელ ვორონცოვის ფიგურებია წინა პლანზე წამოწეული. მათი ყოველდღიური თუ ყოველკვირეული შეხვედრები, მანანას წინაშე უმდაბლესად თავდახრილი მეფისნაცვალი, ხელზე მკოცნელი, ხელით ხელში და ხელკავით მოსეირნენი, ვორონცოვის ხელით აწეული, კიბეებზე მიმავალი მანანას გრძელი ქართული კაბის ბოლოები, მკერდზე, ევროპული კაბების ფურფუშელებისა და ლენტების გამსწორებელი, ბალებზე, ბანკეტებსა და სადილებზე ერთად – გვერდიგვერდ ყოფნა, ხშირად შეხსენება „ხომ არაფერს მთხოვთ მადამ?!“, მომეტებული ზრდილობა და ყურადღება, საჩუქრები, ყვავილები და კომპლიმენტები, რაც ძალზე კარგად გამოსდიოდა ლონდონის არისტოკრატულ წრეში გაზრდილ რაფინირებულ ინტელიგენტს. ყოველივე ეს ბადებდა საზოგადოებაში ეჭვს და იძლეოდა ჭორების აგორების საბაბს და ეს ყველაფერი უფრო მცირე მასშტაბით ვიდრე ელენე ორბელიანთან!!!

ეჭვებს აჩენდა მეფისნაცვლის გულმონტალება მანანასა და მის გარშემო მყოფდამი. კავკასიის მმართველმა აღასრულა დიდი ხნის სურვილი ქართველებისა, 1850 წელს საფუძველი ჩაეყარა ქართულ თეატრს, რომელიც იყო გიორგი ერისთავის დიდი შრომისა და მცდელობის შედეგი. 1852 წელს გამოვიდა პირველი ქართული სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი“. მანამდე კი შეიქმნა კავკასიის მუზეუმი. 1846 წელს შეიქმნა საჯარო ბიბლიოთეკა და ქართველთა არქეოლოგიური საზოგადოება, 1845 წელს თბილისში დაარსდა რუსული თეატრი, 1851 წელს შეიქმნა იტალიური ოპერის სახელით ცნობილი თეატრი, ბოტანიკური ბაღი და სხვა.

ვორონცოვმა უკუაგდო მოთხოვნა ქართული პიესების რუსეთში ცენზორისთვის გაგზავნაზე. ერთხელ თვალი მოჰკურა თეატრის მსახიობებს, თუ როგორ მიდიოდნენ ატალახებულ ქუჩაზე ლაფში ამოსვრილები, რისთვისაც ვორონცოვმა თავისთან დაიბარა გ. ერისთავი და ჰკითხა თუ რატომ არ დადიოდნენ მსახიობები თეატრში ეტლით. გაიგო, რომ მიზეზი უსახსრობა და მცირე ხელფასი იყო, 1000 მანეთი დამატებით გამოუყო მიმოსვლისთვის მსახიობებს. თვითონ გ. ერისთავი, რომელიც 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იყო და სახელმწიფო სამსახურში არსად არ იღებდნენ პირდაპირ განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ დანიშნა და ეროვნული ტანსაცმელით სიარულის ნება დართო.

უდავოა, რომ ეს ყველაფერი განპირობებული იყო ვორონცოვისა და მანანას

ძალზე ახლო ურთიერთობით. გორში დაბადებული უურნალისტი და რეუისორი რევაზ შატაკიშვილი ძალზე ადეკვატურად აფასებს მანანას როლს ქართული თეატრის დაარსებაში, – „ქართული წინადადებებიდან ზმნის ამოგდება წინა-დადებას „ჩიქორთულად“ აქცევს. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ქართული თეატრის დაარსების საკითხზე ვსაუბრობთ მანანა ორბელიანის გარეშე მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ქართული თეატრის დაარსების იდეა მანანა ორბელიანის სალონში დაიბადა, გარკვეულად აკნინებს მის როლს.... ქალბატონს რომელსაც აღმოსავლეთის თვალად მიიჩნევდნენ რა გასაკვირია, თვით მეფისნაცვალი ვორონცოვი მოეხიბლა....

მანანას არც ტაქტი აკლდა, არც სიფაქიზე, არც თავდაჭერა, ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, გაცემულ შეთქმულებაგამოვლილი ქალი იყო, მეტად გამოცდილი და მას ნამდვილად არ გაუჭირდებოდა დიდი ქალური გავლენის მოპოვება ვორონცოვზე.... ფაქტია, რომ მანანას გავლენა მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ქვეყნისთვის, ამდენს ფავორიტები მეფისნაცვლებს კი არა, თვით დედოფლებიც ვერ აკეთებინებდნენ მეფებს ამ საწყალ საქართველოში.<sup>1</sup>

ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის – თეატრისა და უურნალის დაარსების ღვაწლი ერთპიროვნულობამდე რომ დავიყვანოთ და მივმართოდ მხოლოდ მანანასადმი – სალონის დიასახლისისადმი ან მხოლოდ გიორგი ერი-სთავისადმი – დრამატურგისადმი და ან კიდევ ვორონცოვისადმი – ხელდამსხმელისა და დამფინანსებლისადმი უსამართლობა იქნება.

ამ ორი, ღრმად სახსოვარი მოვლენის ღირსება და ღვაწლი თანაბრად ეკუთვნის გიორგი ერისთავს, როგორც ინიციატორს და რეალურ შემსრულებელს, მანანა ორბელიანს – შუამავალს და ზეგავლენის მომხდენს და ვორონცოვს – კვერთხის დამკვრელს.

რევაზ შატაკიშვილი უურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ წერილში აფიქსირებს იმდროინდელი თბილისის რეალურ სურათს და ხაზს უსვამს ვორონცოვისადმი გამოჩენილ „ტიპურ ქართულ უმადურობას“. რ. შატაკიშვილი მიხ. ვორონცოვისა და მანანა ორბელიანის ურთიერთობებზე მსჯელობისას ეწინააღმდეგება არჩილ ჯორჯაძის პოზიციას, მხარს უჭერს ვასილ კიკინაძისეულ ლოგიკურ მსჯელობას და შალვა ამირეჯიბის განსჯილ რეალობებზე არეკლილ საღ აზროვნებას. მაგრამ მიუხედავად ქრონიკების, მოგონებების, ეპისტოლარული მასალების, ისტორიული დოკუმენტების შეჯერებისა და ანალიზისა მაინც გონიერისთვალისთვის უხილავ ბურუსში ვეხვევით და კონკრეტულ კითხვას ვერ გაეცა პასუხი. მანანას თანამედროვეთაგან და არც მის შემდგომ არავის არ დაურღვევია „სიჩუმე“ მეფისნაცვალთან ინტიმურ კავშირზე, რა თქმა უნდა, თუ ეს სინამდვილე იყო. ჩვენთვის ყველაზე ხელჩასაჭიდი კომპრომატი მათზე გახლავთ გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები მანანასა და მაიკოსადმი. პირველ მათგანს ჩვენ უკვე გავეცანით, მეორის ციტირებას კი აქ მოვახდეთ. აი რას წერს ნახჭევანიდან თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს:

„ერთი შემატყობინე, რატო ეგ შენი ქაჩალი ძმა წიგნს არ მწერს, ივანეს

1 შატაკიშვილი რ. მანანა ორბელიანისა და მეფისნაცვალ ვორონცოვის როლი ქართული თეატრის დაარსებაში. უურნ. „თეატრი და ცხოვრება“ 2007.. № 3-4.

კიდევ არ დავემდურები, ამიტომ, რაც ტვინი ჰქონდა ისიც ყაბახზე დაპნია, მაგრამ ეს მაკვირვებს, არ ვიცი რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც აღარ მკითხულობს? მაგრამ ერთის მხრივ, არც კი უნდა დავემდურო, ახლა ჩვენ ვინდას მოვაგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდა ნახეჩვანში, ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში 80 წლის კაცები არიან...“

1845 წლით დათარიღებული წერილის დაწერისას მანანა 37 წლისაა, „ოთხ-მოცი წლის კაცი“ ვორონცოვი კი 63 წლისა. ექნებოდა კი ამ ასაკში პოტენციის აქტივობა მიხეილ სიმონის ძეს, რომელიც მისივე დივიზიის ექიმის ერასტი სტეფანეს ძე ანდრეევსკის<sup>1</sup> თქმით ახალგაზრდობაშიც კი არ ყოფილა მექალ-თანე, არამც თუ ხანში შესული. 6. ბარათაშვილის წერილის ფონზე რ. შატაკიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რადგან მას არ შეუძლია ერთ, ყველაზე მთავარ და ინტრიგანულ კითხვას გასცეს პირდაპირი პასუხი, – ისე როგორც ჩვენ ყველას არ შეგვიძლია ვუპასუხოთ სანამ, სადმე, რომელიმე საცავში არ აღმოვაჩენთ საკმარის მამხილებელ მასალებს მიხეილისა და მანანას ურთიერთობათა დეტალებზე, ან აღმოვაჩენთ კი?! ასევე საეჭვოა რაიმე კომპრომატის აღმოჩენა ელენე ორბელიანზე ვორონცოვთან მიმართებაში.

„ძნელია იმსჯელო, რა ხდება ორ ადამიანს შორის, მით უფრო ძნელია, როცა მათგან საუკუნენახევარზე მეტი გაშორებს, მაგრამ ეს ყველაფერი ერთ დიდსა და მგზნებარე რომანს წააგავს“.<sup>2</sup> – დასძენს რ. შატაკიშვილი.

როგორც ავლიშენეთ ვორონცოვის მეუღლემ ელისაბედ ქსავერის ასულმა თბილისის არისტოკრატიისთვის სალონი გახსნა, სადაც ყოველ ორშაბათობით იმართებოდა „ვორონცოვისეული სადილები“, სადაც რჩეულთა შორის განსაკუთრებით ბრწყინვადნენ რძალ-მაზლის შვილი მანანა და ელენე ორბელიანები. ისინი ყოველთვის მეფისნაცვალთან ახლოს დაგოგმანობდნენ.

ყირიმში გემით გამგზავრებულ ქალთა შორის იყვნენ მანანა და ელენე ორბელიანები. რატომლაც განსაკუთრებით ზემოთხსენებული ორი ქალის მიმართ იკვეთება ვორონცოვის სურვილი მათთან სიახლოვისა, – „რუსეთის გაქნილი და გაიძვერა მთავარმართებელი მ. ს. ვორონცოვი ცდილობდა რაც შეიძლება ღრმად ჩაეთრია ქართველი ქალები ევროპული ცხოვრების წესში<sup>3</sup> – აღნიშნავს მანანა ორბელიანის ცხოვრების მკვლევარი ი. ბალახაშვილი, რომელიც ნეგატიურად ასახავს მეფისნაცვლის მოღვაწეობას კავკასიაში და კერძოდ საქართველოში.

ვორონცოვის ფიგურის მნიშვნელობა განსაკუთრებით მაშინ გამოჩნდა როდესაც ის საქართველოდან წავიდა. 1855 წლის 2 მარტს გარდაიცვალა იმპერატორი ნიკოლოზ I, თეატრის მტრებმა და მათ შორის გენერალმა მურავიოვმა ყველაფერი გააკეთეს ქართული თეატრის მოსაკლავად. მიზეზად იმპერატორის სიკვდილი გაიხადეს. საყოველთაო გლოვის ნიშნად ექვსი თვე ყველა თეატრი დაიკეტა. მოგვიანებით მურავიოვმა თბილისში მხოლოდ რუსული თეატრი აღადგინა. 1854-55 წლების სეზონზე გიორგი ერისთავი იძულებული

1 ვორონცოვისა და მისი დროის თბილისზე ანდრეევსკის გარდა საინტერესო მოგონებებს გვაწვდიან რუსი მოხელეები მ. ი. ოლშევსკი და ა. ხარიტონოვი.

2 რ. შატაკიშვილი, მანანა ორბელიანისა და მეფისნაცვალ ვორონცოვის როლი ქართული თეატრის დაარსებაში. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ 2007. № 30-4. გვ. 19.

3 ი. ბალახაშვილი, მანანა ორბელიანი. თბ. 1941 წ. გვ. 39.

გახადეს თეატრიდან წასულიყო. მომდევნო ხელმძღვანელმა – ანტონოვმა მხოლოდ 6 თვე შეანია, ბოლოს კი თეატრი ერისთავისადმი ანტაგონისტურად განწყობილმა ივ. კერესელიძემ ჩაიბარა და სულ მალე უბინაობის გამო საბოლოოდ დაიხურა.

მანანას ცხოვრებით დაინტერესებულ მკვლევართა შორის ყველაზე გაბედულ და მოურუდებელ კითხვებს სვამენ შალვა ამირეჯიბი და ვასილ კიკუნაძე, ისინი ცდილობენ გადაჭრით სწორი პასუხის მიღებას.

ვ. კიკუნაძე სვამს კითხვას და ხაზგასმით მოითხოვს: „სისტემატურად ფიქ-სირდება ფაქტობრივი მდგომარეობა. ნაკლებად ხდება მისის ყოველმხრივი გააზრება და გაშიფრვა. უნდა გაირკვეს, კონკრეტულად რაში გამოიხატება ვორონცოვის როლი ქართული კულტურის ისტორიაში, რატო ეხმარებოდა თეატრს და რამდენად გულწრფელი იყო დახმარება“.<sup>1</sup> ვ. კიკუნაძის გამოწვევის საპასუხოდ შალვა ამირეჯიბი მიუთითებს, რომ ის ხედავს მიზეზობრივ კავშირს მანანა ორბელიანის ვორონცოვზე გავლენასა და ამ უკანასკნელის მიერ ქართული თეატრისა და ჟურნალის დაარსებას შორის. ამ მიზეზიბრივ კავშირს უსვას ხაზს და დიდ დატვირთვას აძლევს რ. შატაკიშვილი: „სწორედ ეს პირდაპირი, მიზეზობრივი კავშირია საგულისხმო, თორემ მანანა ორბელიანს რომ მეფისნაცვალ ვორონცოვზე უდიდესი გავლენა ჰქონდა, ეს მხოლოდ ისტორიაში კი არა, კლასიკურ რუსულ ლიტერატურაშია უკვდავყოფილი“.<sup>2</sup>

ამ მხრივ არაფერს ამბობს მკვლევარი ბადრი რაზმაძე, როდესაც ეხება მანანა ორბელიანის პიროვნებას და მისი მშობლიური სოფლის – მეჯვრისხევის წარსულს<sup>3</sup>

ამჯერად ამ ერთობ საჩითირო თემაზე, როდესაც მკვლევარებს დღემდე რაიმე დამადასტურებელი წყარო არ მოგვეპოვება მათ საეჭვო ფიზიკურ ურთიერთობაზე, შეუძლებელია თქვას ვინმემ თუნდაც ლაკონურად: იყო თუ არ იყო მანანა ორბელიანი საყვარელი მიხეილ ვორონცოვისა. ერთის მხრივ ხაზგასასმელია რომ ალბათობა ყოფნისა უფრო მეტია ვიდრე არ ყოფნისა. შეიძლება ითქვას, რომ ვორონცოვი, რუსეთის იმპერიის ეს ძალზე მოქნილი, ლიბერალი მოხელე ქართველი ქალების, კერძოდ მანანა და ელენე ორბელიანების ექსმა და ინტელექტმა ჯერ გააუვნებელყო და შემდეგ გააკეთილშობილა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, რომ პატარა და თავისუფლებადაკარგული ქვეყნის სუსტი სქესის წარმომადგენლებს ათი წლის მანძილზე „ტყვეობაში“ ჰყავდათ იმპერატორის პირველი პირი კავკასიაში.

### მანანა ორბელიანისა და გრიგოლ ორბელიანის ურთიერთობა

ჩვენი პატივსაცემი პოეტისა და მანანას ურთიერთობას შესაძლებელია წმინდა, სულიერი ანუ პლატონური ურთიერთობა ვუწოდოთ. მკვლევარი ი. ბალახაშვილი წერს: „მიუხედავას იმისა, რომ ცხოვრების თითქმის მთელს

1 შალვა ამირეჯიბი. წიგნ. II. თბ., 1998

2 რ. შატაკიშვილი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 2007. №3-4. გვ. 22. მ. ორბელიანისა და მ. ვორონცოვის ურთიერთობები მხატვრულად ასახა რუსული ლიტერატურის კლასიკოსმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ „ჰაჯი მურატ“-ში.

3 რაზმაძე ბ. სოფელი მეჯვრისხევი, თბ., 2001, გვ. 65.

მანძილზე გრ. ორბელიანი ეტრფოდა ნინო ჭავჭავაძეს, იგი საქმაოდ კარგა ხანს განიცდიდა სიყვარულს მანანა ორბელიანისადმი“. შესაძლოა გრიგოლის დაუოჯახებლობას და უშვილძიროდ გადაგებას რაიმე კავშირი ჰქონდეს ნინო ჭავჭავაძისა და მანანა ორბელიანისადმი გაუნელებელ და გაუმუღლავნებელ ტრფიალს. აღნიშნულ საკითხში უკეთ გასარკვევად კარგი იქნება თვალი გავადევნოთ გრ. ორბელიანის რომანტიკას.

ჩემი სასიქადულო პოეტი გენეტიკურ ერთობას პოულობს სულხან-საბა ორბელიანის პაპა – ყაფლან ორბელიშვილთან. პოეტის დედა ხორეშანი გახლდათ ერეკლე მეორის ობოლი შვილიშვილი. გრიგოლზე ფეხშიმიბობისას, ერევანთან ბრძოლაში დაატყვევეს მისი მეუღლე ზურაბ ორბელიანი, სასონარკვეთილმა ხორეშანმა აღთქმა დადო: თუ ზურაბი ცოცხალი დაბრუნდა და ვაჟი მეყოლა, ჩემს შვილს ბერად მივცემო. მართლაც ზურაბი ტყვეობიდან უვნებელი დაბრუნდა და ვაჟიც – გრიგოლი დაიბადა. დედის აღთქმა ნაწილობრივ შესრულდა, იგი არ დაქორწინებულა და მემკვიდრეც არ დაუტოვებია. სიყვარულით კი რამდენიმე ქალი უყვარდა, მათ შორის ნინო ჭავჭავაძე, სოფიო ორბელიანი, გრაფ ოპერმანის მეუღლე და დაუზუსტებელი „მ“. მანდილოსან „მ“-ს, რომელიც გრიგოლს უყვარდა ლექსებიც კი მიუძღვნა. მის ერთ-ერთ პროზაულ ესკიზშიც ნახსენებია „ნ, ე, მ“. ეს ინიციალები ასე იშიფრება: ნ – ნინო ჭავჭავაძე, ე – ეკატერინე ჭავჭავაძე და მ – მანანა ორბელიანი. თუმცა ამ მ-ს შესახებ კრიტიკოსებს ორი განსხვავებული აზრი აქვთ. სოლომონ ხუციშვილი აღნიშნავს, რომ ეს მ – არის მაიკო ორბელიანი, რადგან ამ დროს მანანა გათხოვილი იყო. აკაკი განერელია უარყოფს ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ მაიკო ორბელიანი ალ ჭავჭავაძის ქალებთან არ მეგობრობდა. ნინოსთან და ეკატერინესთან მეგობრობდა მანანა ორბელიანი ამ დროს უკვე 23 წლის იყო თანაც დაქვრივებული. ამ დროისთვის ნინო ჭავჭავაძეც დაქვრივებულია, თუ შესაძლებელია დაქვრივებულ ნინოს მიუძღვნას მეგობრული ესკიზი, რატომ არ შეიძლება დაქვრივებულ მანანასაც მიუძრვნას, – აღნიშნავს აკაკი განერელია<sup>1</sup> და მართებულადაც.

ზემო აღნიშნული ქალებიდან პოეტს ფიზიკური კავშირი უნდა ჰქონოდა მხოლოდ გორში მცხოვრებ გრაფ ოპერმანის მეუღლესთან. გრიგოლი, რომელსაც ტანმორჩილობის გამო შინაურები „კურკას“ ეძახდნენ 14 წლისა დანიშნული ყოფილა სამი წლის სოფიო ორბელიანზე, რომელიც შემდგომ მშობლებმა მიათხოვეს რუს მოხელეს. დიდად კეთილმოსურნე მანანა ადრევე ცდილობდა ჯვარი დაეწერათ გრიგოლს და სოფიოს. ამის თაობაზე „საყვარელი ძალუა“ წერს „კურკას“ (ეს სახელი გრიგოლს ყაფლანმა შეარქვა)

„სასიამოვნო შენი სოფიო აქ არის და ვნახე, დაველაპარაკეთ მე და ეკატერინე შენზედ. ის უარს არ ამბობს, კიდეც შევირთავო, ოლონდ ვნახოო. აბა, სადა ხარ, ჩემო სიცოცხლევ, რომ ერთ საათს ჯვარს დაგწერდით და იქნებოდით ბედნიერი? აბა, ეხლა, ჩემო კურკავ, ეცადე, რომ მოხვიდე მალე, თორემ რვა თვეზედ წამოვლენ ჰეტერბურგში და დარჩები ცალიერი....“

სამწუხაროდ ვერ მოხერხდა გრიგოლისა და სოფიოს შეხვედრა, რუსეთში წასული ქალი მისთხოვდა კავკასიის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრს

1 უურნ. „გუმბათი“, 2010. №23.გვ.26.

ნიკოლოზ პავლეს ძე ბეზაკს.

როგორც ზემოთ ითქვა გრიგოლს მთელი ცხოვრება უყვარდა ნინო ჭავჭავაძე. მათ შორის სასიყვარულო ურთიერთობის გაღვივებას ხელს უწყობდა მანანაც. 1836 წელს ნინანდალში ჭავჭავაძეების სახლში სტუმრად ჩასული წერილს სწერს გრ. ორბელიანს:

„მე ახლა ვარ ნინანადალს, ამ წიგნს იქიდამ ვწერ.... ნინოს ვეხვენე გრიგოლს წიგნი მისწერეთქმ, მაგრამ ჯერ შენგან მოელიან წიგნს და მასუკან რასაკვირველია პასუხს მოგწერენ.“

ნინო ქისას გიქსოვს, მახარობელი ვარ, მე არც ქისას მოგიქსოვ და არც წინდებს, ამდენს გეხვეწები და ერთი წიგნი არ მითარგმნე-რა“<sup>1</sup>

მანანასადმი გრიგოლ ორბელიანის არანათესაური სიყვარულისა და ლტოლვის საუკეთესო სამხილად შეიძლება მივიჩნიოთ დავით ყორლანაშვილის მიერ გაგზავნილი წერილი გრიგოლისადმი. იგი დათარიღებულია 1831 წლის 25 ივნისით.

„ნურავის ნუ ეტყვი, შენ მომიკვდე, თუ ტყუილს გეუბნებოდე. მანანა გავიცან, სულ შენზე ლაპარაკობს. გუშინნინ ქართლში წავიდა, ანუ წასვენდა. ახ! მისი ლოყებისა და შავი კაბის ჭირიმე, გაცნობა როგორ იყო, იმას აღარ მოგწერ, ვაი თუ აქ ვისმეს მოსწერო და თავი მომჭრა, რა გინდა, მე იმისი თმა გამოგიგზავნო დღეისწორამდე....“<sup>2</sup>

იმავე წლის ნოემბრის თვეში იგივე მეგობარი გრიგოლს ატყობინებდა:

– შენი მანანა სოფელშია, აგერ ჩამოვა და მივალ ნარდის სათამაშოდ“.

როგორც ირკვევა გრ. ორბელიანის პლატონური სიყვარული მანანასადმი სამეგობრო წრეში კარგად იყო ცნობილი, მაგრამ ქალბატონისგან რაიმე ხელშესახები კომპრომატი ამგვარი სიყვარულის ეჭვიანობისთვის არ მოგვეპოვება.

ცნობისმოყვარე დავით ყორლანაშვილისთვის სულაც არ იყო მიუღებელი ის უმსგავსობა, რაც მან გრიგოლისადმი მანანას მიწერილი წერილების ფარულად წაკითხვით გამოავლინა. ეს სისაძაგლე თვით დავითს მანანასათვის ნინო ჭავჭავაძესთან ყოფნისას გაუმხელია: „მეც უთხარი, რომ თქვენს წიგნებს მე ვსინჯავდი, გრიგოლი რომ შეშაზე წავიდოდა მეთქი, მაშინ ვიპარავდი და ვეითხულობდი“. ყოველთვის მშვიდ და განწონასწორებულ მანანას დინჯად უპასუხია – „მე იმისთანა საიდუმლო არ მიმიწერია რაო“. მსგავსად ყორლანაშვილისა, სხვისი წერილების წაკითხვის მანით შეპყრობილი გრიგოლის ძმის – ზაქარია ორბელიანის მიზეზით მანანასი და გრიგოლის ურთიერთობა ადრეც ჩიხში შესულა, მაგრამ ერისთავის ასული თავისი გონიერებისა და ინტელექტის წყალობით ყოველთვის ინარჩუნებდა კარგ ურთიერთობას ამბიციურ და კონფლიქტურ პიროვნებებთან.

მანანას და გრიგოლის ურთიერთობაში არსებობს დისონანსის შემომტანი ერთი ასეთი ფაქტი, თავადის ახალგაზრდა ქვრივი ქალი დიდი სევდით და თავმოწონებით ატარებდა ვერცხლის სამგლოვიარო ბეჭედს წარწერით:

„უდროოდ მზის დასვლით მიბნელა სოფელმან ანაზდეულად“.

1 გრ. ორბელიანი. ორტომეული, ტ. II. თბ., 1937. გვ. 37.

2 გრ. ორბელიანი., იქვე. გვ. 261.

რაც მარტო დაქვრივებაზე ჩივილი არ უნდა იყოს. ამ ბეჭედმა და მანანას მომაჯადოებელმა ეშხმა ბევრს აუძგერა გული, მათ შორის გრიგოლ ორბელიანსაც. დალესტნის მთებში მეომარი პოეტი გამუდმებით სთხოვდა სამარადისო სახსოვრად ძვირფას რელიკვიას, მაგრამ მანანა ყოველთვის უარს ეუბნებოდა. ბოლოს მანც გაჩუქდა ბეჭედი მამაკაცზე, რომლის მფლობელიც გახდა მანანას უფროსი ვაჟის, თხუთმეტი წლის ივანეს მასწავლებელი. ეს ამბავი ყაფლან ორბელიანმა<sup>1</sup> სასწავლოდ შეატყობინა გრიგოლს. სანამდე მისგან სამდურავ წერილს მიიღებდა დაასწრო მანანამ და „წიგნი“ აფრინა.

„.... არა შენს გაზრდას, ყაფლანის ლაპარაკს როგორ იჯერებ, ყაფლანმა, რომ ალდგომას ქრისტე აღსდგა მითხრას, ისიც ტყუილი მეგონება. ჩემი ბეჭედი ივანეს ოსტატს მივეცი. ნუ დამემდურები შენმა გაზრდამ შენ უფრო კარგს ბეჭედს გამოგიგზავნი თუ მალე არ მოხვალ აქ. ნეტავი შენი ნახვა მელირსოს თორემ ბეჭედისა ადვილია, საძაგელი ყაფლან, ვიცი როგორ მოგწერდა“.

სახელოვან პოეტს – გრიგოლ ორბელიანს მეტწილად სამშობლოს გარეთ უნევდა ყოფნა. იმ დროებაზე მეგობარ-ნათესავებთან ინფორმაციისა და ურთიერთმოკითხვის საშუალებას მხოლოდ წერილი წარმოადგენდა. ამ მხრივ აქ-ტიურობდნენ მანანაც და გრიგოლიც, თუმც, ერთურთს გამუდმებით საყვედურობდნენ და სთხოვდნენ წიგნის მიწერას. შემონახულია გრ. ორბელიანის წერილები მანანა ორბელიანისადმი, რაც მათ შორის არსებულ ურთიერთობათა გააზრებისათვის საუკეთესო დოკუმენტური მასალაა.

ვილნოში გადასახლებული გრიგოლი 1834 წელს მანანასადმი მიწერილ წერილში ბევრ გულისტკივილთან ერთად აღნიშნავს თუ როდის ექნებათ თანამედროვე, ევროპული ცხოვრება ქართველებს, რაც იქ პოლონელებს დიდიხანია აქვთ!

„უსაყვარლესო ძალუავ მანანავ!

აპა გავიდა უკვე ერთი წელიწადი, რა დაგშორდით. ვითარ სწრაფად გაირბინა ამ წელიწადმა ცხოვრებისათვის, და ვითარ წელად, წელადვიდოდა იგი გულისათვის. წავიდეს და ალარ მოვიდეს ესრეთი წელიწადი არცა ჩემსთვის და არცა თქვენთვის.....

როდის იქნება ჩვენც ასე ვიცხოვროთ კაცურად, განა ზოგიერთს ჩვენში შეძლება არა აქვს, მაგრამ ჯერ უშვოლონი და უბიძლიოტეკონი ვართ.

მანანავ! მამა გიცხონდა, შენს ქალს კარგი ზრდილობა მიეცი. ვიცი ბევრნი დაგძრახვენ, რომ შენმა ქალმა სიმღერა ისწავლოს, მაგრამ ნურას დასდევ. წავიდა ის დრო როცა ჩუმათ ყოფნა და კნავილით ლაპარაკი დიდ ზრდილობად მიაჩნდათ.... 1834 წელი“.

ზრუნვის და ფიქრის გარდა მანანასადმი დიდი გრძნობა გამოსჭვივის მაზლის – ლუარსაბ ორბელიანის გადაცვალების გამო სამძიმრის სათქმელად გაგზავნილ წერილში. პოეტი წერს:

„ჩემო საყვარელო და უბედურო ძალუავ მანანავ! შუალამიდან ორი საათია გასული და მე მწუხარება არ მაძინებს. რამდენიმე საათია ვცდილობ შენდა მოწერას და ვერა მომიგონია სათქმელად, – ვერც შენდა ნუგეშის, ვერც ჩემის მწუხარების.... შენ იგრძნობ ჩემს მწუხარებას, იგრძნობ როდესაც მოიგონებ,

1 ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი (1813-1878) ცნობილი მემამულე. გრ. ორბელიანის ბიძაშვილი და მეგობარი. პოდპორუჩიქი.

რომ უბედნიერესნი ჩემნი დღენი წარვიდნენ თქვენს ოჯახში საყვარელს და-ვითთან და ლუარსაბთან, რომელთა სიკვდილით დამემნარა სრულებით სი-ცოცხლე და გამოცხადდა ჩვენს გვარზე რისხვა ლვთისა.

მანანავ! ვინძლო უბედურებამან არ გძლიოს შენ, არა დაეცე სულითა, გარ-დამეტებული მწუხარება არის წინააღმდეგ ხეთისა. მიჰედე შენს წვრილშვი-ლებს, რომელთაცა მფარველად დარჩი მხოლოდ შენ ამ სოფელში. მათვის უნდა იცოცხლო, მათთვის უნდა მოითმინო ყოველგვარი უსიამოვნება და ტან-ჯვა; თვითეული უამი, თვითეული დღე შენი სიცოცხლისა უნდა უმსხვერპლო მათ. ეს არის დიდი ვალი შენი, ვალი დედისა. ამა მიზეზთა ამო გამხნევლი სულითა, შეძლებისამებრ განაგდე ყოველი მწუხარება და მედგრად შეუდექ და აღასრულე ვალი შენი.

ძალუავ გეხვეწები დაწვრილებით მომწერე ყოველი გარემოება, ნურას და-მიმალავ, ხომ იცი ჩემი სიყვარული და ერთგულება თქვენის ოჯახისა, ამისთ-ვის მინდა ყოველივე ვიცოდე....“.

ქართველ ქალთა მარაქამ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ ექვსი შვი-ლიდან ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი დამარხა, შემდეგ 23 წლისამ საყვა-რელი ქმარი. ხუთი წლის თავზე მაზლი – ლუარსაბი. მართალია ობლების შესანახად მანანა სახელმწიფოსგან იღებდა ფულად დახმარებას და თვითონაც შემოსავლიანი მამულების მფლობელი გახლდათ, მაგრამ წვრილშვილ ოჯახს მაინც სჭირდებოდა მზრუნველი და მფარველი, რასაც უანგაროდ, მამობრივ-ნათესაური გრძნობით აკეთებდა გრიგოლ ორბელიანი. სრული სიმართლე იქნება თუ ვიტყვით, რომ მიუხედავად მდიდარი, თავადური და განათლებუ-ლი ოჯახისშვილობისა მანანას ვაჟები ვერ ჩამოყალიბდნენ მისაბაძ, გერგილ-იან ქართველებად, როგორც ამას მათი არისტოკრატიული ხაზი მოითხოვდა. პირიქით, მათი ულაზათო და უპერსპექტივო ცხოვრება გულს უღონებდა და უბერებდა გრიგოლს. ის სულ კრიტიკულად უყურებდა შინაურობაში „მანან-იჩებად“ მონათლულ ივანეს და ალექსანდრეს.

გრიგოლის დიდი მცდელობის შემდეგ 1877 წლიდან მანანას უფროსი ვაჟი – ივანე დალესტანში მსახურობს ბიძასთან. ცხადია გრიგოლისნაირ საქმიან და დაუღალავ ადამიანს არ მოენონებოდა უნიათო ახალგაზრდა და აი, კიდევაც წერს ამის შესახებ ფრონტიდან ძმას: „მოვიდა გუშინნინ კნიაზი ბეჭუთოვი თა-ვისი ძმისნულით გრიგოლის შვილითა, რომელიცა ძალიან მომენონა, არა ჰერა-მანანას უჯიშო შვილებსა“.

1847 წლით დათარილებულ, ძმის – ილიასადმი გაგზავნილ წერილში პოეტი ურჩევს მამულის მისახედად საგვარეულო სოფელში გაგზავნოს ვინმე და თან დაჯერებით ირწმუნებოდა – „ზაქარია ერისთავი არ წავა სოფელში, თუგინდ ერთიანად წაიღონ მამული სახელმწიფოდ,.... არც მანანას შვილი (ალექსანდრე ვ. ქ.) წავა, ვაი, ნეტავ ერთი მაგას ცხვირი დავუნაყო“.

დალესტნის ფრონტიდან მოწერილ წერილებში აშკარად ჩანს მანანას ოჯახ-ისადმი ზრუნვა. მიუხედავად ამისა დაქვრივებულ დედას ძალიან უჭირდა შფო-თიან დალესტნის მთებში ფრონტის წინა ხაზზე წასულ შვილზე დარდის ატანა. სხვა რომ არაფერი, ტყვიას რომ გადარჩენოდა, უამრავი ჯარისკაცი ხოლერას და ფილტვების ანთებას ენირებოდა. მაინც ანგარიშმიუცემლად პოეტი-გენერ-

ალი მანანას უფროს შვილსაც – ალექსანდრეს ომში იწვევდა, დედას კი ივანეს ჩამოყვანაც სურდა ფრონტიდან. ამ საკითხზე გრიგოლი თავის ერთ წერილში, 1850 წლის იანვარში, სწერდა ძმას – ილიას. „ერთი დაელაპარაკე ძალუა მანანას თავისი შვილის ალექსანდრესათვის, რად ინახავს შინ აგრე მწნილად, რატომ არ აძლევს სამსახურში და რათ უკარგავს სწორეს გზასა.“

1850 წლის ბოლოს მანანამ ივანე ფრონტიდან შინ ჩამოყვანა. ამ ამბავს ზაქათალაში მყოფი გრიგოლი ძმას წერილით ატყობინებს: „..... ქაჩალი ივანე, ჩამომავლობით ღონენა, წამოვიდა დედის გასახარებლად. ვნახოთ რა დიდი ბედნერება მიუცემა მაგის ნახვითა“.

უცხო მხარეში მყოფ უწილერძოდ, უშთამომავლოდ დარჩენილი პოეტის გული დიდ დარდსა და ბოლმას იტევდა, როგორც სამშობლოს უბედობაზე ისე მეგობარ-ნათესავებზე ფიქრით გაჩენილს. ჯერ კიდევ შუახანს გადაცილებული გრიგოლი მანანასადმი გაგზავნილ ერთ წერილში უჩივის უნაყოფოდ და უსარგებლოდ გატარებულ წლებს: „..... აბა მომხედეთ მე, წინ მიძევს დავითნი და ყოველ დილით თითო კანონს ვკითხულობ ცრემლითა და შენანებითა, რომ ესოდენნი წელიწადნი ჩემნი წასულან ამაოდ, უფიქროდ, უსარგებლოდ სულისათვის ჩემისა და არცა მოყვასთა ჩემთა საკეთილოდ....“.

წლები შეუცნობლად მიქროდნენ ომებით დალლილ პოეტ-გენერლისთვის, ნათესავ-მეგობრები თანდათან შემოეცალნენ. ალარც ნინო ჭავჭავაძე იყო ამქვეყნად ცოცხალი, ტასოს დიდი დანანებით უმხელდა თავის გულის ტკივილს, „ეს ჩემო ტასო თანდათან ბნელდება საქართველო“-ვო. მანანას გულიც დიდ მწუხარებას და ტკივილს იტევდა, თუმც გარეგნულად არ იმჩნევდა და ყველგან და ყველას უდარდელ, ბედნიერ ქალად ეჩვენებოდა. ქსნის ერისთავების უჭკვიანესი, თავმომწონე და ეშინანი ქალი საბოლოოდ შვილის – ალექსანდრეს სიკვდილმა გატეხა წელში. მუდამ მოსიყვარულე დედამ შვილის სიკვდილს სიკვდილითვე უპასუხა.

გრიგოლმა მანანა ორბელიანის ავადმყოფობა გაიგო, სანახავად წავიდა. დიდი ხნის მეგობარს სასთუმალთან დაუჯდა და გასამხნევებლად ბაასი დაუწყო, მაგრამ მალევე მიხვდა რომ ავადმყოფსაც და მის სასთუმალსაც „მკვდრის მზე“ – დანათოდა.

მანანამ თვალები გაახილა და სკვენებ-სკვენებით დაიწყო:

„გახსოვს, გრიგოლ რანაირი იყო ჩვენი მეგობრობა. შენ მაინც სულ სხვა იყავი ჩემთვის, ხშირად ვეჭვიანობდი კიდეც, კარგად გახსოვს, ჩემო გრიგოლ, ქმრის საფლავზე ფიცი დავდე არავის გავყოლოდი, არ გავთხოვილიყავი და შევასრულე კიდეც ეს სიტყვა. შავი კაბა დღემდე არ გამიხდია, ნიშნად ქმრისა, ოჯახისა და შვილების პატივისცემისა, თუმცა მთხოვნელები და თაყვანისმცემელები როდი მაკლდნენ.

ახლა ვკვდები გრიგოლ და სიკვდილის წინ ალსარებას გაძლევ:

– გრიგოლის თვალებიდან ცრემლის ნაკადმა იფეთქა. ეს ცრემლები მანანას შეუმჩნეველი არ დარჩენია.

– რა, გრიგოლ მართლა ვკვდები თუ, ნუ მაჩვენებ შენს ცრემლებს, ხომ იცი, ამის ატანა აღარ შემიძლია. განა მართლა ვკვდები!!!

მანანას უცბად ისევ ხველა აუვარდა, ცუდად გახდა. ექიმს მოუხმეს, ექიმ-

მაც ვერ მოუსწორო. გულშეღონებული ბალიშებზე მისვენებული სულს ლევდა. გრიგოლმა ვეღარ გაუძლო ამ სურათს და გულშეწუხებული, აქვითინებული გარეთ გამოვარდა“<sup>1</sup>.

1870 წლის 1 ივნისს დახუჭა თვალები XIX საუკუნის საქართველოს ზეალ-მატებულმა სილამაზის დედოფალმა – ერისთავების ასულმა და ორბელიანების რძალმა, ბახტრიონის გმირების შთამომავალმა.

კიდევ უფრო დაბნელდა გრიგოლისთვის საქართველო და არამარტო მისთვის. 3 ივნისს გარდაბნის რაიონის სოფ. კუმისის სამების ეკლესიაში, ორბელი-ანების საგვარეულო საძვალეში მიწას მიაპარეს 62 წლის მნათობი. გულმოკლული გრიგოლ ორბელიანი ეკატერინე ჭავჭავაძეს სამეგრელოში ატყობინებდა: „მწუხარება, მწუხარებაზე დაგვერთო. გარდაიცვალა ალექსანდრე და ორი დღის შემდეგ იქვე, სამებაში მივასვენეთ ჩვენი სასიქადულო მანანა. „მისი საფლავის ქვას ამშვენებს ეპიტაფია:

„თავადის დავით ჯამბაკურ-ორბელიანის მეუღლე მირმანოზ ერისთავის ასული კნეინა მანანა დაიბადა ივ-სა აგვისტოს, ჩყზ-სა წელსა, გარდაიცვალა ივნისის ა-სა ჩყო-სა წელსა. ეს არს განსასუენებელ ჩემი უკუნისი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე“.

მანანას სიკვდილით დაბნელებულ საქართველოში, გულგატეხილი პოეტი-გენერალი დიდიხნით ვეღარ ჩერდებოდა თბილისში, იგი მეტწილად ფრონტზე ატარებდა დროს, ვინ იცის, უცხო მხარეში მყოფ გრიგოლ ორბელიანს რამდენი ღამე გაუთენებია თეთრად ნათესავ-მეგობრებზე თუ დავრდომილ სამშობლოზე ფიქრში. ახსენდებოდა უდარდელად გატარებული ახალგაზრდობის წლები, მეგობრები და უნაყოფოდ ჩავლილი ცხოვრება.

1877 წელს გრიგოლი თავის ერთ წერილში ნალვლიანი სტრიქონებით ეხმიანება ეკატერინე ჭავჭავაძეს: – „მაგონდება თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილ-ქალობა და ამავე დროს სხვანიცა მრავალნი, დახატული სილამაზითა, მიმზიდველი მაღალი ზრდილობითა, გულისა სიწმინდით. მართლაც მეტად კარგი დრო იყო, სავსე მხიარულებითა, უზრუნველობითა და, ამასთან, საითაც შეჰქედავდით, უთუოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდი ძველებურს სავანთავას ლექსსა – „ნეტავ რომელს ვენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს!“. ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო, მეტად ღამაზი დრო, ჩემის ან დაბერებულის გულის გასამხიარულებლად, გასაყმანვილებლად. ღმერთმან გიშველოთ, მეტად კარგები იყავით და ეხლაც ჩემი თავი მიმაჩნია ბედნიერად, რომ მეც თქვენს საზოგადოებაში ვექცეოდი და მას ვეკუთვნოდი, თქვენ გამომიყვანეთ მე კაცად, პოეტად და ახლაც თქვენვე ხართ ჩემი ნუგეშის მცემელი“<sup>2</sup>.

1983 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ მანანა ორბელიანს გადაუხადა დაბადებიდან 175 წლის იუბილე. ამასთან დაკავშრებით აღდეგნილი იქნა გარდაბნის რაიონის სოფელ კუმისის უძველესი სამების ტაძარი. სადაც მდებარეობს ორბელიანების საგვარეულო საძვალე, აგრეთვე მოწესრიგდა მანანას ოჯახის წევრთა საფლავები. აქვე გამართულ სახალხო დღესასწაულზე ფიციც დაიდო,

1 მაჭავარიანი ე., სიყვარულით განათებული გზა. თბ., 1989. გვ.14.

2 მაჭავარიანი ე., სიყვარულით განათებული გზა. თბ., 1989. გვ.14.

რომ ყოველი წლის მაისის თვეში აღინიშნებოდა „მანანობა“<sup>1</sup> მას შემდეგ გავიდა 40 წელი და გულდასაწყვეტია, რომ აღარ გვახსოვს არც „მანანობა“ და არც მის სახალხო დღესასწაულად დამკვიდრებისთვის დადებული ფიცი. კარგი იქნება თუ აღდგება ეს ქართული პატრიოტული ზეიმი, რაც საგრძნობლად აამაღლებს მომავალ თაობებში ეროვნულ ცნობიერებას.

\* \* \*

„გიმზერ და მჯერა, რომ ქართველობა  
არასოდეს არ გადაშენდება;  
ვაგლახ, ხელახლა ბაგისჩვილობა,  
ქალიშვილობა რა დაგშვენდება!  
როცა ვიხილე, მამა-პაპათა  
განმეორება გულს ჩამეწვეთა,  
შენ უნდა გეცვას კაბა „ხაბარდა“  
უნდა დაქროდე რუსთაველზედა.  
ეს ყაისნალი ან ეს ხავერდი  
ვინ გაგიჩინა, ვინ მოგაბარა.  
თავადის ქალო, იქნებ დაბერდი,  
სიბერის შუქი შემოგეპარა.  
შემოგეპარა და ბნელ დალალში  
გაიშრიალა თეთრი ზოლებით;  
ყველა წავიდა, ერთიღა დარჩი,  
მინაში წვანან შენი ტოლები!  
როცა გიხილე, ციხე-კოშკების  
განმეორება გულს ჩამეწვეთა,  
შენ უნდა გეცვას ოქროს ქოშები,  
დაგოგმანობდე რუსთაველზედა.  
მაშინ შემგვარი ენამწარენიც  
ვერ გაკილავდნენ ძველ სილამაზეს,  
როცა ჩამქრალი კელაპტარივით  
შემოხვდებოდი ვერის დაღმართზე.  
გიმზერ და მჯერა, რომ ქართველობა  
არასოდეს არ გადაშენდება,  
ვაგლახ, ხელახლა ბაგისჩვილობა,  
ქალიშვილობა რა დაგშვენდება!“

ლ. ასათიანი, 1940 წ.

### მანანას შთამომავლობა

1823 წელს ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი 15 წლის მანანა ცოლად დაჰყვა ივანე სარდლის შვილს, სოვეტნიკ დავით ჯამბაკურ-ორბელიანს. 1824 წელს, თვიინონაც ბავშვი დედა გახდა ივანე ორბელიანისა. მანანას და დავითს სულ

1 ანდლულაძე ლ. სულის ნათელით აღმეჭდილნი. თბ., 2009.

შეეძინათ ექვსი შვილი: 1. ივანე – იგივე „მანანიჩი“, 2. ანასტასია, მეუღლე ალ. გაგარინისა, 3. თამარი, გარდაიცვალა ერთი წლის ასაკში, 4. მიხეილი, გარდაიცვალა ჩვილი, 5. ალექსანდრე და 6. დავითი, გარდაიცვალა ერთი წლის 1830 წელს. ამ წელს ორბელიანების სახლში გარდაიცვალა ორი დავითი, უფროს-უმცროსი და ერთი მცირენლოვანი მიხეილი<sup>1</sup> მანანა თავის სამ შვილთან ერთად ცხოვრობდა გაუყრელად მაზლთან – ლუარსაბთან, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. დავითის სიკვდილის შემდეგ ლუარსაბს დაენიშნა პენსია, ვინაიდან ის ითვლებოდა ოჯახის მარჩენლად. სამწუხაროდ აღნიშნული პენსია მთავრობამ ორბელიანების ოჯახს მოუხსნა 1833 წელს, შეთქმულებაში მონაწილეობის გამო.

მიუხედავად პენსიის შეწყვეტისა და ერთხანობას მამულებიდან შემოსავლების შემცირებისა, მანანა შვილებისთვის ევროპული განათლების მისაცემად არაფერს იშურებდა. გრიგოლისადმი მანანას მინერილ წერილში ვკითხულობთ: „ჩემი შვილები პირს გკოცნიან, ივანე პანსიონში მყავს და სწავლობს, რაც შეეფერება. გიორგი ავალოვსა ვსთხოვე მოსკოვში თავისი თვალყურის გდება და მინდა იქ გავგზავნო და ჯერ პასუხი არ მომსვლია. ფრანციცულს კი ლაპარაკობს ცოტად და სწერს, კითხვითაც კითხულობს. ქალიც მადამ დანელოვიჩთან მყავს, წელიწადში 25 თუმანს მართმევს თეთრს ფულს, ისიც სწავლობს, მაგრამ ივანეს გონება კარგი აქვს, მინემ ტასოს. ალექსანდრე კი ჯერ ყმაწვილი არის და ელენე აკითხებს“.

ახალგაზრდა ქვრივისთვის შემოსავლების შემცირების მიზეზი, როგორც ირკვევა გამხდარა გარდაცვლილი მაზლის ცოლთან – ანასთან უთანხმოება. ეს უკანასკნელი მანანას სთხოვდა ნაწილობრივ გადაეხადა ოთხი ათასი თუმანი თეთრი ფული, რომლის ვალად ალების თამასუებზე ხელმოწერა არც მანანასა და არც მის უკვე გარდაცვლილ მეუღლეს არ ჰქონდათ.

### **ივანე დავითის ძე ორბელიანი – „მანანიჩი“**

#### **გენერალ-მაიორი (1824-1893)**

მანანა ორბელიანის უფროს ვაჟს ივანეს, რომელიც რუსეთის არმიის მოსამსახურე იყო ცოლად ჰყავდა ერეკლე მეფის ქალიშვილის ანასტასიას შვილიშვილი – სოფიო შალვას ასული ერისთავი. სოფიოს ლვიძელი და ქეთევანი ცოლად ესვა 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ ხელმძღვანელს ელიზბარ შანშეს ძე ერისთავს. ადრე სოფიოს და ელიზბარის ძმას – დიმიტრის ჰყვარებიათ ერთმანეთი. მოგვიანებით ელიზბარის ასული იგონებს: „დიმიტრის და დეიდაჩემს სიყმანვილით უყვარდათ ერთმანეთი და უნდოდათ ჯვარი დაეწერათ, მაგრამ ნება არ მისცა ეგზარხმა. ბევრისგან ბევრი ეცადნენ ნათესავები, მამაჩემი ეგზარხოს ევსევისთან მივიდა მაგრამ ნება არ მისცა: ორ ძმისთვის ორი დის შერთვა არ შეიძლებათ.“

ბიძაჩემი (დიმიტრი ვ. ქ.) ძალიან ლამაზი ყოფილა და ძალიან განვითარე-

1 1830 წელს თბილისში მდვინვარებდა ხოლერა: ორბელიანებისა და სხვა მრავალ ხალხთან ერთად ეპიდემიაში შეიწირა გიორგი ერისთავის მამა დავით როსტომის ძე.

ბული. მისი საყვარელი მწერალი იყო ბაირონი. სულ მაგიდაზე ედო. მამაჩემს ძალიან უყვარდა დიმიტრი. განუყრელად ცხოვრობდნენ და დიდი მწუხარე იყო, როდესაც ნება არ მისცეს დეიდაჩემზე ჯვრის წერისა და ავთ გახდა და მალე მოესწრაფა სიცოცხლე.

მერე დეიდაჩემი გათხოვდა მანანას შვილზე, მამიჩემის ბიძაშვილზე. მე მგონია, რომ მანანამ ეს არ მიუტევა და თავისი რძალი არ შეიყვარა, თორებ სხვა მიზეზი არა იყო რა, მე ვკონებ დეიდაჩემი იმისთანა სულით მაღალი და მშვენიერი ადამიანი იყო, რომ მიზეზი არა იყო რა. დედიდაჩემიც ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, რომ გარდაიცვალა სიჭლექით. ჩემთვის და ჩემი ბიძაშვილები-სათვის პირველი დიდი მწუხარება იყო მისი გარდაცვალება“.<sup>1</sup>

ცოლ-ქმარს შვილი არ დარჩენიათ. მათ ოჯახურ ურთიერთობაზე საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის ლამისყანაში მცხოვრები მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელიც თავის ქმართან, ლევან მელიქიშვილის ადიუტანტი, ალექსანდრე ივანეს ძე ორბელიანთან ერთად 1872 წელს დროებით იმყოფებოდა დალესტანში:

„ჩვენ შურაში ცოტა ხანს დავრჩით. აქ ჩვენთვის ყველაზე მახლობლები იყვნენ ივანე ორბელიანი და მისი მეუღლე – ერისთავის ქალი, რომელიც მე მთელი ჩემი ახალგაზრდული გრძნობით შევიყვარე. მას ქართული კაბა ეცვა, მოხდენილად ატრებდა ტანსაცმელს, ღრმა, ხავერდოვანი თვალები, მომხიბლავი ღიმილი და დამატყვევებელი საუბარი სიმშვენიერეს ჰმატებდნენ და თანდათანობით ხდებოდა ჩემი იდეალი. ხოლო ის მელანქოლია, რომელიც გამოკრთოდა მასში, კიდევ უფრო მეტად მხიბლავდა მე. მას თავდავინწყებით უყვარდა თავისი ქმარი, – დარდიმანდი მუდამ გარშემორტყმული მხიარული მოქეიფე ახალგაზრდებით, სმა-ჭამისა და უფრო კი ომის მოყვარული. იგი ყოველთვის უდრიობ დროს ბრუნდებოდა შინ და სულ შეზარხოშებული იყო. მიუხედავად ამისა, ის კარგი კაცი იყო, მაგრამ თავის ცოლთან არაფერი ჰქონდა საერთო. ცოლს კი უყვარდა იგი, როგორც ქმარი<sup>2</sup> და ძალიან ხშირად ტიროდა, ვინაიდან ივანე ორბელიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე მუდმი საფრთხის წინაშე იდგა. სოფიოს მეც ვუყვარდი და ამით მე ძალიან ვამაყობდი“<sup>3</sup>

## ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი (1829-1869)

ალექსანდრე მანანა ორბელიანის უმცროსი ვაჟი იყო. ცოლად ჰყავდა რუსი ეროვნების ქალი ევდოკია სომოვა. მათ გაუჩნდათ ერთადერთი შვილი მანია, იგივე მანანა, რომელიც გრიგოლ ორბელიანის ძმის ილია ორბელიანის ვაჟს გიორგის გაჰყვა ცოლად. მხილველთა გადმოცემით ბებიის მოსახელე უმცროსი

1 გ. ლეონიძის სახ. თბილისის სახელნიფო ლიტერატურის მუზეუმი; ფ. 13338-ბ.

2 ზემოთმოტანილ ტექსტიდან შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ი. ორბელიანის უშვილობის მიზეზი გახლდა მისი არასრულფასოვანი მამაკაცობა.

3 მ. ჯამბაკურ ორბელიანის მოგონებები. XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი. ზ. აბზიანიძის რედაქტორიბით. თბ., 2009.

მანანა ძალიან ლამაზი ყოფიალა და მთელი იმდროინდელი საზოგადოების ურადღება დაუპყრია. სწორედ ეს ერთადერთი შვილიშვილი ჰყოლია მანანა ორბელიანს. ალექსანდრე ორმოცი წლის ასაკში გარდაიცვალა იალტაში. შვილზე მწუხარებამ ფიზიკურად მოსპო და გაანადგურა მუდამ ოპტიმისტი და სიამაყით აღვსილი დედა.

მანანა ორბელიანის მულის – ელენე ივანე სარდლის ასულის შვილიშვილი ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავი (1864-1949) საინტერესო ცნობებს გვაწვდის მანანაზე: „მანანა ორბელიანი მამიჩემის ორმხრივი ნათესავი იყო. ესე იგი, როგორც კონა ერისთავისა და მერე ძალუა, – ანუ ბიძის ცოლი მამის ჩემისა.

მე ვერ მოვესწარი მის ნახვას, მაგრამ, გამიგონია, რომ მთელი ორბელიანთ აული<sup>1</sup> დიდი პატივისცემით იხსენიებდნენ, როგორც მშვენიერს, დიდკაცურს და ყოვლის კეთილით სავსეს აღტაცებით იგონებდნენ.

მისი შვილიშვილი მანია ძალიან გვანდა სახით თავის ბებიას და თავის მამას ალექსანდრეს. მანანას არ უყვარდა თავისი რძალი. მე ვგონებ, რომ მიზეზი თუ ეს იყო, რომ მანანას ძალიან უყვარდა თავისი მაზლის წულები რომლებთანაც ერთად შეთქმულებაში ერია“.

როგორც გრიგოლ ორბელიანის მიერ ეკატერინე ჭავჭავაძისადმი გაგზავნილი წერილით ირკვევა მანანა იქვე, იმ სამებაში მიასვენეს, სადაც ორი დღის წინ ალექსანდრე დაკრძალეს. აქ მკითხველი შეიძლება გაუგებრობაში აღმოჩნდეს და იფიქროს, რომ ალექსანდრე და მანანა თითქმის ერთკვირაში დაღუპულანო, რაც არარეალურია.

ალექსანდრე 1869 წელს დაიღუპა იალტაში, ხოლო მანანა შვილის საქართველოში ჩამოსვენებისა და კუმისში დაკრძალვის შემდეგ ორ დღეში მიუსვენებიათ იმავე სამებაში. ეს მომხდარა მომდევნო 1870 წლის 3 ივნისს. რა დრო დასჭირდა იალტიდან საქართველოში ცხედრის ჩამოსვენებას უცნობია.

ერისთავების რუსი ეროვნების რძალი – ევდოკია, ქმრის გარდაცვალებიდან წელიწად ნახევარში ცოლად გაჟყვა საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ I-ის დისშვილს ლუი ნაპოლეონ მიურატს, აშილ მიურატის ძმას. ეს აშილი იყო ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის ქალიშვილის – სალომეს ქმარი.<sup>2</sup>

## ანასტასია (ტასო) დავითის ასული ორბელიანი-გაგარინა (1825-1907)

მეუღლის სიკვდილით ფრთხებშეკვეცილი მანანა ორბელიანი არც ვაჟების ბედით იყო კმაყოფილი და არც ერთადერთი ქალიშვილის ყოფითი მდგომარეობით.

მანანას თავისი შეუხედავი ქალიშვილის გათხოვება ადრეული ასაკიდანვე

1 ორბელიანთ აული – ენოდებოდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირს, დღევანდელ გიორგი ათონელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას. ვახუშტის განმარტებით – “ზღუდეს გარეთ უხმობენ ან გარეთუბანს, სადაც არს ასპარეზი” (ასპარეზი შემდგომში ყაბახი, დღევანდელი გ. ლეონიძის სახელობის ბალი).

2 ლუი და აშილ მიურატებზე იხ.: „დადიანები“. თბ., 2011.

უნდოდა. სასიძოდ ამოირჩია რუსი სამხედრო მოხელე ბარონ ნიკოლაი, რომელიც თბილისში მეფისნაცვლის არმიის შტაბს ხელმძღვანელობდა, მაგრამ რატომდაც ბარონმა არჩევანი ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროს ქალიშვილზე – სოფიოზე გააკეთა.

საქართველოში სილამაზით ცნობილ მანანას ყველგან თან დაჰყავდა ულამაზო ტასო<sup>1</sup> რაზეც ზოგიერთები ოხუნჯობდნენ კიდეც, – თავის ქალიშვილს ვერასოდეს გაათხოვებსო. ზედ არავინ უყურებდა ეშხიანი დედის გვერდით გავლილ არასასიამოვნო შეხედულების ქალიშვილს. დედასთან ერთად ახალგორში სტუმრობისას ეკატერინე მელიტონის ასულ ბარათაშვილის ქორწილშიც არავის მიუქცევია მისთვის ყურადღება, სადაც სამი დღე ქეიფში გაუტარებიათ. იქიდან გორში, ელიზბარ ერისთავის იჯახში გამართულ ნათლობის სუფრაზე გადასულან უზრუნველ ცხოვრებას ჩვეული თავადები.

მანანას სურვილისა და მიხეილ ვორონცოვის დიდი მცდელობით 26 წლის ფრეილინა<sup>2</sup> – ანასტასია 1851 წელს ცოლად შეირთო ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინმა. რომლის ძმა გრიგოლ გაგარინი ცნობილი მხატვარი თბილისში ცხოვრობდა.

ტასოს ნიშნობისა და მომავალი ქორწილის ამბავი სოფიო ჭავჭავაძისთვის და მის მეუღლე ნიკოლაისთვის წერილით შეუტყობინებია ივანე ორბელიანს. მათი ქორწინება უიბტლო გამოდგა. ექვსწლიანი თანაცხოვრებით ტასოს და ალექსანდრეს მემკვიდრე არ დარჩენიათ. 1856 წელს გაგარინი დაინიშნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად. ამ დროს სვანეთის უკანასკნელი მთავარი კონსტანტინე (მურზაყან) დადეშქელიანი იბრძოდა კუთვნილი სამთავროს შენარჩუნებისთვის, რის გამოც მწვავედ დაუპირისპირდა გენერალ-გუბერნატორს. ეს უკანასკნელი 1857 წლის 22 ოქტომბერს კონფლიქტის დროს ხანჯლით მოკლა დადეშქელიანმა.<sup>3</sup> მანანა თავისი ვაჟით ივანეთი მაშინვე გაემგზავრა ქუთაისს. მეფის მოხელის მკვლელობისათვის დადეშქელიანი მოძებნეს და ადგილზე მოკლეს. მოგვიანებით ახალი გუბერნატორის – კოლუბიაკინის თანხმობით იჯახმა იგი ქუთაისის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადასვენა.

კ. დადეშქელიანი ძალზე ახოვნი, ფიზიურად ძლიერი და გასაშტერებლად ლამაზი პიროვნება ყოფილა. მას აკაკი წერეთელმა 1886 წელს მიუძღვნა ქების ლექსი „მურზაყან შავ-სევდიანო“, სადაც სვანეთის მთავარს მითიურ ამირანს ადარქებს. დიდი კონსტანტინე გამსახურდია კი ამბობს: „კონსტანტინე დადეშქელიანი გოლიათური აღნაგობის ვაჟკაცი ყოფილა. ორი დადიანი სკამზე შესდგებოდა თურმე და მის ჩოხაში ორივენი ეტეოდნენ.... მე მინახავს მისი სვანური სატევარი, მეტრანახევრიანი სიგრძისა“.

სამართლიანობისა და პატივისცემის გრძნობით გამსჭვალული სვანი ხალხი ლექსით გამოეხმაურა უკანასკნელ მთავარს:

1 ანასტასია (ტასო) ორბელიანს სახელი მშობლებმა ბებიის იოანე ორბელიანის მეუღლის ანასტასია ჩოლოყაშვილის (1774-1819) პატივისაცემად დაარქვეს.

2 მეფის კარზე დედოფლის ან პრინცესას მხლებელი გაუთხოვარი ქალი თავადაზნაურთა წრიდან.

3 თემურაზ მიბრუანმა 2003 წელს გამოსცა წიგნი „კონსტანტინე დადეშქელიანი“, სადაც კ. დადეშქელიანი წარმოჩენილია როგორც სახალხო-ეროვნული გმირი. იქვეა ხალხური ლექსი კონსტანტინე დადეშქელიანზე.

## კონსტანტინე დადეშქელიანი

(ხალხური)

კონსტანტინე დადეშქელიანის ქება განთქმულია ქვეყანაზეო, სვანეთიდან წამოსულა გაჯავრებული გულზეო, გაგარინმა დაიბარა რაღაც სწრაფი საქმეზეო.  
– რუსეთში უნდა წახვიდე, ნახმობი ხარ რაცხაზეო, ხელმწიფისი ბრძანებაა, ვერ გადაუხვევთ განზეო, სამი ცხენი და ტროიკა მზათ არის ეხლავ კარზეო.  
– სვანეთიდან ჩამევედი, მოველ პირდაპირ შენთანაო, შვილები მყავს სასწავლებლათ, არ ვყოფილვარ არც ერთთანო, წავალ და მათ ვინახულებ, მალე მოვალ თქვენთანაო.  
– მე აქეთგან ვერ გაგიშობ, ნუ მენდური მაგაზეო, შენ სვანი ხარ, არ გეძრახვის, გაიპარები გზაზეო!  
ეს რომ კონსტანტინს მოესმა, ხელი გაისვა ხმალზეო:  
„მე სვანი ვარ, არ მეკადრის, უნდა გავიდე გვარზეო!“  
გაგარინს შემოუქნია, თავი მოსთალა მხარზეო, სამი კაცი რომ მოუკლა, ხმალი გაუტყდაშვაზეო,  
მივა და გულზე მიიკრავს და გადაკოცნის ტარზეო:  
„შენ რომ მთელი დამრჩენოდი შევასრულებდი ცხრაზეო“. ყველა გაფანტ-გამოფანტა, ერთი სტოლ-ქვეშ შეუძვრესო, კონსტანტინე გამევიდა, უნდა რიონში ჩავარდესო:  
„მე რომ წყალში ჩავვარდე, სირცხვილია ჩემს თავსაო“. მივა და ძალით შესტეხავს ვიღაც ბაქრაძის სახლსაო.  
ქალები აკივლდებიან: – ვინ შემოვარდა ესაო?  
ვაი, რა ბედი გვეწვია ჩვენ უბედურებს დღესაო!  
– თქვენ, დებო, ნუ გეშინიათ, მე არ გიშავებთ არაფერს, მტრისაგან გამოვქცეულ ვარ, თორემ გაიგებთ ყველაფერს. წყალში ქუდი გადააგდო: „ეგებ ვეგონო დამხრჩვალიო“, მაგრამ იმ ურჯულოებმა იქ მიაყენეს მთალ ჯარიო.  
მაშინა თქვა კონსტანტინემ: „ნეტავი სვანეთის მთაზე ჯარი ისე დამახვია, როგორც ბალანი თავსაო“. ასი კაცი ხელს უკრავდა: „ვერ გაგვექცევა ვერსადო, გაგარინის თავის მოცლა შენ დაგიჯდება ფასადო!“ ხელმწიფისა ბრძანებაა: „კონსტანტინე დახვრიტეთო, ქალი, კაცი გაიყვანეთ, სუყველად დაანახვეთო“, გაუყვანეს კონსტანტინე, ზე მოაკრეს ხეზედაო თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა ძველებურის ფერზედაო, ხუთი ტყვია შუბლში დაჰკერეს, ათჯერ მეტი ფერდზედაო, პირისახე უცინოდა: თხილის კაკალი ეგონაო.

დაქვრივებული, უშვილო ანასტასია საზოგადოებრივ საქმიანობაში და ქველმოქმედებაში დედის მიმბაძველი, ანჩისხატის ეკლესიაში აგებს მოზაიკურ იატაკს, რაზეც იუწყება პლატონ იოსელიანის „ტფილისის სიძველეთა აღნერილობა“. „ტაძრის იატაკი 1846 წლიდან კლდის ქვისა იყო დღემდე (1902 წ.) ამ ერთი წლის განმავლობაში დაგებული იქნა მშვენიერი, უცხოური ფერადი აგურისა და მარმარილოს ფერადი კენჭისა, კნეინა ანასტასია დავითის ასულ გაგარინისა და კნეინა კონას (იაკობის ვ. ქ.) ასულ თარხნიშვილის საკუთარი ხარჯით.“

ანასტასია დროს მეტწილად ყირიმში ატარებდა. ხანში შესული მანანა თრბელიანიც გარკვეულ დროს ქალიშვილის გვერდით იმყოფებოდა. მიუხედავად მეუღლის დაკარგვისა ტასოს არასდროს უჭირდა, მაგრამ რატომ იყო, რომ იგი ანგარიშმიუცემლად ყიდდა საგვარეულო თუ საოჯახო ნივთებს?, რაც მისი მხრიდან უპატივისმცემლობას და ზერელე – ქარაფშუტულ დამოკუდებულებას გამოხატავდა თავად ორბელიანებისადმი. მის ამგვარ შეუწყნარებელ მოქმედებაზე გრიგოლ ორბელიანი წერდა:



„ტასო გაგარინა ისევ იალტაშია. ჩემთვის გაუგებარია ის ჯადოქრობა, რომლის ძალითაც უფულოდ შეუძლია გადაცუროს ზღვები და იქ იცხოვროს, სადაც სურს. ამასობაში კი მისი ნივთები აქ საჯაროდ იყიდება. სად არის საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობა?“

რაც შეეხება ტასოს ფინანსურ მხარეს, ჩანს, რომ იგი სულ ფულზე წუწუნებდა. ამიტომაცაა გაკვირვებული პოეტი, უფულოდ როგორ ახერხებდა ორბელიანთ ასული ზღვისიქით ყირიმში მოგზაურობას. ისე კი უნდა ითქვას, რომ „ამ დროს სოლიდური პენსიები ეძლეოდათ გარდაცვლილი რუსი სამხედრო მოხელეების ცოლებს, მათზე გადმოდიოდა მამულები, რომლებიც ხშირად ოდესასა და ყირიმის სხვა ადგილებში მდებარებდა. ქართველი ქალები, რომელთა დიდი ნაწილი რუს სამხედროებზე იყვნენ დაქორწინებულები მეორედ აღარ თხოვდებოდნენ, რადგან არ სურდათ ამ პრივილეგიებისა და მამულების დაკარგვა.“<sup>1</sup>


ასაკოვანმა ანასტასიამ 1905 წელს ქმრის მამულში – ყირიმში, კერძოდ ქუჩუქ-ლამბათში ააგო თანამედროვე საცხოვრებელი სახლი. უშვილობის გამო ადრევე იშვილა მანანა ორბელიანის ძმის იაკობის (კონა) ასული ელენე, რომელიც შემდეგ გათხოვდა გოგი თარხნიშვილზე. ანასტასია 1907 წელს თბილისში გარდაიცვალა. ის ყირიმში გადასვენეს და გაგარინის მამულში დაკრძალეს. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, მოგვიანებით შვილობილი ელენეც ყირიმში გადავიდა. ანასტასიას საფლავზე ააშენა პატარა ეკლესია და უცლიდა საფლავს.

1 ქუმბურიძე დ. ისტორიული პორტრეტები წერილები. თბ., 2012.

## მანანა მირმანოზის ასული ერისთავი-ორბელინის გენეალოგია



## მანანა და დავით ორბელიანების შთამომავლები – გენეალოგია



## ეკატერინე მელითონის ასული პარათაშვილი-ერისთავისა

(1821-1853)

ჩვენს დღევანდელ საზოგადოებაში, XIX საუკუნის ქართველი თავადისშვილის – ეკატერინე (კატო) ბარათაშვილის მიმართ მომეტებული ყურადღებისა და ინტერესის მიზნია მისი, როგორც ქსნის სახელოვანი ერისთავების რძლობა, ასევე მისი ოჯახური წრე და მამისშვილობა. მელითონის ასული ეკატერინე გახლავთ ყველასათვის პატივსაცემი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლვიძლი და. სწორედ ამ და-ძმობიდან გამომდინარე თავს უფლებას მივცემთ შედარებით ვრცლად განვიხილოთ ეკატერინესთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დეტალი, რაც კი საბეჭნიეროდ არ წარუხოცია დრო-ჟამს.

გავიხსენოთ ეკატერინეს პაპა-ბებია: ერეკლე II-ის კარზე მოღვაწეობდა სახელოვანი სარდალი დავით ორბელიანი, რომელსაც მეფემ მწარედ დაატირა „ჩემო მარჯვენა მხარევ, ჩემო სიძე დავით სარდალო, შენ აღარ მყუანდი და საქართველოც იმიტომ დაგვიქციეს მტრებმა. . .“<sup>1</sup> დავითის შვილი ივანე (მანანა ორბელიანის მამათილი) ალ. ორბელიანის თქმით „რაღაც უბრალო ლეში იყო“.<sup>2</sup> ამ ივანეს ბიძაშვილი – „გიორგი ცარიელი ლაპარაკი იყო“, მისი ძმა ზურაბი – „იყო მყვირალა კაცი, თუ არა ყვირილით არას იტყოდა და ძალიან ქალალდის მოთამაშე“. ამ ორის ძმაა ასლანი – „გულფიცხი კაცი. . . გული კი წრფელი ჰქონდა“. გიორგის, ზურაბს და ასლანს ჰყავდათ კიდევ 4 ძმა: იოსები, სოლომონი, სამარალდი და იაკობი.

„მყვირალა და ქალალდის მოთამაშე კაცი“ – ზურაბი გახლდათ ეკატერინე და ნიკოლოზ ბარათაშვილების პაპა – დედის ეფემიას მამა. ამავდროულად ზურაბი ჩვენი სახელოვანი პოეტის გრიგოლ ორბელიანის მამაა.


მრავალი თაობის ქართველ მკითხველთა მექსიერებაში დალექილია პოზიტიური ინფორმაცია ორბელიანების გვარზე. ამ მხრივ გამონაკლისს – „ნეგატივს“ ეს სტრიქონები წარმოადგენს<sup>3</sup>

1 კავაბაძე ს. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. წიგნ. 1. თბ., 1914. გვ. 35.

2 იქვე... გვ. 35.

3 ორბელიანების საგვარეულოზე ინფორმაცია იხ.: ალ. ორბელიანის „მოგონებები“).

## ორბელიანების გენეალოგია



ეკატერინე ბარათაშვილის პაპა ზურაბი, იგივე დიმიტრი „წარსულის საუკუნის კაცი იყო, მეფე ერეკლეს სასახლეში ნამყოფი და ცოტა ნამსახურიც“. <sup>1</sup> მეფემ ზურაბს ცოლად თავისი უდროოდ გარდაცვლილი ასულის – ელენეს ქალიშვილი, 1784 წელს დაბადებული ხორეშან ზაქარიას ასული ანდრონიკაშვილი შერთო. ხორეშანის შვილია ეკატერინე და ნიკოლოზ ბარათაშვილების დედა ეფემია, ასევე გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანები.

ერეკლე II-ის შვილთაშვილმა 15 წლის ეფემია ზურაბის ასულმა და 18 წლის მელიტონ ნიკოლოზის ძემ ჯვარი 1815 წელს დაინერეს. ცნობილ თავადთა წყვილს შეეძინა 15 შვილი, მათგან უფროსი ჩვენი სასიქადულო პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილია.

შვილების გარდაცვალებით მიღებული დიდი ტკივილის მიუხედავად, მაინც მრავალშვილიან, გმირ დედად აღიქვამს ეფემიას მკვლევარი იონა მეუნარგია და გულწრფელად აქებს: „ეფემიამ დაუვინყარ-ჰყო თავისი სახელი იმით, რომ შეიქმნა დედა ჩვენის სასიქადულო პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა. იშვიათს ქართველს ქალს გაუზრდია ამდენი წარჩინებული ქართველები. ნეტარიყვნენ ძუძუნი, რომელთა სწოვდიან ესეოდენნი სახელოვანი შვილი!“<sup>2</sup>

## ეკატერინე ბარათაშვილის და-ძმები

1. ნიკოლოზი: ბარათაშვილებს შეეძინათ პირველი შვილი 1816 წლის 22 ნოემბერს (ძვ. ს.), რომელსაც მელიტონის მამის სახელი – ნიკოლოზი დაარქვეს. შინაურობაში ტატო. ბავშვს დედასთან ერთად ზრდიდა ძიძა, მაია ნონიას ასული ზავრიშვილი. პოეტს ოჯახი არ შეუქმნია, 1845 წლის 9(21) ოქტომბერს, 29 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა ნახჭევანში.
2. დავითი I. დაიბადა 1818 წლის . . . 21 რიცხვში. ნათლია – ვანელი გეურე არწურნი. დაიღუპა ქუნთრუშით 8 თვის ასაკში, 1819 წელს 4 ივნისს.
3. ალექსანდრე: დაიბადა 1820 წლის 5 აპრილს. ნათლია ნიკოლოზ არლუთოვი. გარდაიცვალა ცხელებით 1821 წლის 10 ნოემბერს.
4. ეკატერინე ერისთავისა: დაიბადა 1821 წლის 21 სექტემბერს. ნათლია იყო გუბერნატორ სვიმონიჩის მეულლე ბარბარე. 1844 წლის 6 აპრილს დაიწინდა ახალგორელ მემამულეზე, „პრაპორშჩიკ“ რევაზ ლუარსაბის ძე ქსნის ერისთავზე. იქორწინეს 1844 წლის 29 ივნისს. ეკატერინეს ჰყავდა ოთხი შვილი: სამი ქალი და ერთადერთი ვაჟი ნიკოლოზი. ეკატერინე გარდაიცვალა გორის მაზრის სოფ. ოძისში, 1853 წლის 20 მარტს. დასაფლავებულია ოძისის ეკლესიაში. (იხ. სურ. 28-32)
5. დარია: დაიბადა 1823 წლის 2 ივნისს. ნათლია – ისაკ სულგუნოვი, გარდაიცვალა 3 წლისა და ერთი დღის. სიკვდილის მიზეზი – წითელა.
6. გიორგი: დაიბადა 1824 წლის 30 ივნისს. ნათლია კნეინა მარიამ თუმანოვისა. იცოცხლა 2 თვე.
7. ბარბარე I: დაიბადა 1825 წლის 28 აპრილს. ნათლია შამირაბეგ ალარბეგოვი

<sup>1</sup> მეუნარგია ი., ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა. ტფ., 1905.

<sup>2</sup> ორბელიანი გრ., ჩემი რჩეული. თბ., 2013. გვ.136-37.

- (ამ დროს მელიტონის ჩინია კაპიტანი). ბავშვმა 6 თვე იცოცხლა. გარდა-იცვალა ყვავილით 1825 წლის 16 ოქტომბერს.
8. ნინო ბარათაშვილისა: დაიბადა 1829 წლის 18 ივნისს. ნათლია არქიმანდრიტი ეპიფანე. იაკობ ბალახაშვილის თქმით იგი მეტად ჰეგვანებია თავის ძმას, პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილს. ნინო 1854 წლის ივლისში ჭავჭავაძის სახლობასთან ერთად ტყვედ ჩაიგდეს შამილის ნაიბებმა. ნინო ცოლად ჰყავდა კარის მრჩეველს, მწერალსა და მთარგმნელ ლეონიდ (ლევან) ბარათაშვილს (1826-1875 წნ.).<sup>1</sup> ჰყავდა ერთი შვილი – ნატალია. ნინო გარდაიცვალა 1906 წელს.
  9. ბარბარე II ვეზირიშვილისა: დაიბადა 1826 წელს. ადრე დაობლებულ ბავშვზე ზრუნავდა გრ. ორბელიანი და მანვე გაათხოვა. 1849 წლის 3 ივნისს გრ. ორბელიანი წერილით სთხოვს ქეთევან იმარტინს „ძალუაჯან! გე-თაყვანე, ერთი იფიქრე კარგად და უშოვნე შესაფერისი ქმარი ჩემს დის-წულს ბაბალეს, ესე იგი ეფემიას ქალს. ჩემის მხრივ შემიძლია მიგსცე ასი თუმანი თეთრი სიქა მანათი მზითვად, – ამაზე დაელაპარაკე იმის დას კატოსაც“.<sup>2</sup> 1852 წელს ბარბარე ცოლად გაჰყვა თსიაურის შეძლებულ მემამულეს, პოლკოვნიკ დიმიტრი ვეზირიშვილს. 80-იან წლებში ბარბარე რამდენიმე ხანს ქმართან ერთად ბათუმში ცხოვრობდა. დიმიტრის განკარგულებაში მყოფ სამხედრო ნაწილში მსახურობდა მწერალი დავით კლდიამვილი, რომელმაც თავის მემუარებში სრულად გადმოგვცა ვეზირიშვილის ახირებული ხასიათი. ბარბარე გარდაიცვალა ღრმად მოხუცი 1926 წლის 1 აგვისტოს. ანდერძი აუგო დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი). დაკრძალულია ვერის იოვანე ლვისმეტყველის ეკლესიის გალავანში. საფლავი ამჟამად დაკარგულია.
  10. ელენე I: დაიბადა 1831 წლის 14 თებერვალს. „მონათლა დუშეთის უეზდის“ პორუჩიკის მიხაილ გაბრიელის ძე ყაზიბეგოვის მეუღლე ქეთევან დიმიტრის ასულმა, სტეფანნმინდას მცხოვრები“. ელენე გარდაიცვალა იმავე წლის 16 ოქტომბერს ყვავილისგან.
  11. სოფიო I: დაიბადა 1832 წლის 3 სექტემბერს (მელიტონი ამ დროს მაიორი იყო). მონათლა გადამდგარმა შტაბს-კაპიტანმა პავლე იოსების ძე თუმანოვმა, სოფიომ ორი წელი იცოცხლა. დაკრძალა მთაწმინდის მონასტერში.
  12. დავით II: დაიბადა 1834 წელს, ნათლია „სილნალის უეზდის კარდანახს მცხოვრები თავადი შტაბ-კაპიტანი დავით აფხაზი“. მელიტონი ძლიერ გახარებული ყოფილა ვაჟის შეძენით, თუმც დავითმა წელიწადნახევარი იცოცხლა, იგი ჭლექით დაიღუპა. დაკრძალა ჩუღურეთის ეკლესიაში.
  13. ელენე II: დაიბადა 1836 წლის 11 მარტს. ნათლია მიხეილ ყაზიბეგოვის ცოლი ქეთევანი. ელენე რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.

1 ბარათაშვილი ლეონიდე გერმანოზის ძე ზოგიერთი მონაცემით ცხოვრობდა 1825-1873 წლებში. იგი იყო ისტორიკოს სულხან ბარათაშვილის ძმა. 1856 წლის „კავკასიის კალენდრის“ ცნობით არის ქ. გორის „გოროდნიჩის“.

2 ბალახაშვილი ი. ბარათაშვილის ცხოვრება. თბ., 1967. გვ. 81.

14. გრიგოლი: დაიბადა 1840 წლის 6 დეკემბერს. ნათლიები „ტფილისში მცხოვრები: ელისაბედ პეტრეს ქალი, იოანე ელიავას ქვრივი და მარიამ ივანეს ქალი ნაზუქაძისა. ბავშვმა 8 დღე იცოცხლა. გარდაიცვალა დღენა-კლულობით.

15. სოფიო II სუმბათაშვილისა: დაიბადა 1841 წლის 13 დეკემბერს. ნათლია: „სალომე დიმიტრი თარხანოვისა“. იყო იყო უკანასკნელი შვილი მელიტონი-სა და ეფემიასი.1 უსაყვარლესი და ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომელსაც მოფერებით ლილიპუტას მნიშვნელობით „აპლიპუტილას“ ეძახდა. თუ ნინო საკმაოდ ჰგავდა პოეტ ძმას, ეს სოფიო პირდაპირ განსახიერება ყოფილა ნიკოლოზისა. ის 1878 წელს ცოლად გაჰყვა ვასილ სუმბათაშვილს. მათ ქორნილზე გრიგოლ ორბელიანი თბილისიდან წერილით ატყობინებს ტასო აგლობუის „სოფო გავათხოვეთ, იყო ჩუმი ქორნილი, კარგი ყმანვილი კა-ცია, – დათიკო სუმბათოვის ძმა, – და უფრო ეს მომწონს, რომ არ აქვს ვალი. ამ დროში ეს დიდი ქება არის საქართველოში“.2

სუმბათაშვილები ენათესავებოდნენ ქსნის ერისთავებს. ამ სიახლოვიდან გამომდინარე ალექსანდრე სუმბათაშვილი მეჯვარე ბრძანდებოდა რევაზ ლუ-არსაბის ძისა, ალექსანდრეს ვაჟი ვასილი დაუქვისლდა რევაზს. ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძის – ვასილის და დის სოფიოს დახასიათებას იძლევა დავით ერისთავის მოყვარე ივ. ციცილვილი: „ჩემსობას (1897 წ.) კნეინა სოფიო ორ-მოცდათექვსმეტი წლისა იქნებოდა, მარა ძალიან ახალგაზრდად გამოიყურებოდა. დილიდანვე ფერ-უმარილ წასმული კორსეტმოჭერილი, ფარჩის კაბაში გამოწყობილი, ტახტზე უძრავად მჯდომარე ბრძანებლობდა ან საუბრობდა. თუმცა ლამაზი არ იყო, მარა იერი დიდკაცური ჰქონდა. სახის ტიპი ჩინურ-მონგოლური. თვალები ვიწრო და ირიბად ზევით განეული. პოეტის პორტრეტი (ნ. ბარათაშვილის. ვ. ქ.) ქართულ კაბაში ამ სოფიოს მიხედვით არის დახატული. თუმცა ბოროტი არ ყოფილა, მაგრამ კაპასი ძრიელ, ასე რომ მისი ყველას ერიდებოდა. თვით ვასო გულეკეთილი კაცი იყო. ამასთან ჰოროზონტ შეზღუდული და დიდკაცურად გოროზი. თავის მეზობელ აზნაურებს: ყიფიანებს, ციმაკურიძეებს, ნემსაძეებს დაცინვით უყურებდა. მხრებზე ყურთ-მაჯებ შეკრული ესეც მთელი დღე აივანზე იჯდა და ვერბა, ცერის სისხო პაპიროსს აბოლებდა, ან ნარდს თამაშობდა, ან დურბინდით არემარეს და მის მოაგარაკეთ გასცეროდა.“

სოფიოს ჰყავდა ორი შვილი: ეკატერინე და გიორგი. სოფიო ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა გარდაიცვალა 1916 წელს.

ქსნის ერისთავების რძალი ეკატერინე ბარათაშვილი იყო გაღარიბებული თავადის მესამე შვილი. მელიტონის ხელგაშლილობამ და ღონებზე გადამეტებულად მოწყობილმა წვეულებებმა თანდათან გამოაცალა ოჯახს ბარაქა და ვალებში ჩააგდო. ოჯახის ფინანსური სისუსტე შვილებზეც აისახა. 23 წლის ეკატერინე როგორც ვიცით დანიშნა ახალგორელმა თავადმა რევაზ ლუარსაბის ძემ, მაგრამ სათანადო მზითვის უქონლობის გამო ქორნილი დროებით

1 მათ შვილებზე ბიოგრაფიული ინფორმაცია ნაწილობრივ მოძიებულია ანჩისხატის ეკლესიის მატრიკული წიგნიდან.

2 მეუნარგია ი. ქართველი მწერლები. ტ. I. თბ., 1954. გვ. 483.

გადაიდო. მზითვის გასაწყობად ბარათაშვილებმა დახმარება სთხოვეს ზაქარია ორბელიანს. მელიტონ ბარათაშვილი 1844 წლის 15 აპრილს კერძო ბარათში წერდა თავის მოყვარეს ზაქარია ორბელიანს:

„კატუა გავათხოვეთ და ჯვარსაც საამაღლებლოდ ვწერთ, რევაზს, ლევანის ძმას ერისთავს მივეცით. აბა ხომ ჰპირდებოდი, დროც ეს არის თუ მოგვაშველებ რასმეს. ხომ იცი ჩემი მდგომარეობა როგორც არის, შენმა გაზრდამ დიდად გაჭირვებაში ვარ. . . თუ დროზე მომეშველები კატუას მზითვისთვის შენ იცი, თუ არ და გაჭირდება საქმე და მარტო ჩემთვის არ იქნება – თქვენთვისაც სირცხვილია, რომ ასე დავრჩინე“.<sup>1</sup>

კატოზე დარდით შეწუხებულმა ეფემიამ იმავე რიცხვით დათარიღებული წერილი აფრინა ზაქარიასთან:

„ჩემი ქალი კატო გავათხოვე, შენი დისწული მივეცი რევაზ ერისთავის შვილს, აპრილის ექვსს დავწინდე როგორც რიგი არის, თუმცა ქორწილიც უნდოდათ, მაგრამ მე მზად არ ვიყავ და ამისათვის დარჩა, რომელიც უნდა მივცე ასი თუმანი ფულად და ასი თუმნის მზითევი. საამაღლებოდ მაშურებენ ჯვრის წერას.

ხომ იცი, ძმაო, ჩვენი მდგომარეობა და ახლა შენც იფიქრე ჩემთვის. . . ჩემი დაბრკოლება მოუმზადებლობა არის, რასა დროს მზათ ვიქნები ჯვარს დაინერს. ახლა შენ იცი, ძმაო, რაღა ჩემი მონერა გინდა, უნდა შემენიო. ეგების გრიგოლს მანდედამ შენ შეატყობინო ეს ამბავი“.<sup>2</sup>

ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი, აი, რას წერდა ამის გამო გრიგოლ ორბელიანს: „ვიცი გიამება, კატო დავწინეთ რ. ერისთავზედ, რუსულად არის ნათქამი (იქნება ქართულადაც იყოს და მე კი არ ვიცი) სუჟენის კონე არ ინდევშ (საბედოს გვერდს ცხენითაც ვერ აუვლი. ვ. ქ.). ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნება. იქნება არც კი იცოდე, როდის არის ეს დღე. ექვს კვირას უკან, ე. ი. 29 ივნისს“<sup>3</sup>.

შემდგომ როგორც ირკვევა ბარათაშვილებმა გაჭირვებით მოახერხეს ფულის გარკვეული რაოდენობის შოვნა. ასი თუმანი თამასუქით ისესხეს. ზაქარიასგან მოკრძალებული თანხა 200 მანეთი მიიღეს, როგორც საქორწილო საჩუქარი ბიძისაგან.

მელიტონის ოჯახს კატოს გამზითვებასა და ქორწილის გადახდაში დახმარება ზაქარიას გარდა კატოს მამიდაშვილს გიორგი საგინაშვილსაც გაუწევია. ბიძის გრიგოლ ორბელიანის მხრიდან კი დახმარება იგვიანებს. არადა დღედღეზე ელოდებიან ბარათაშვილები, თითქოს აქეზებს კიდეც პოეტი დისშვილი ბიძას, – ჯიბეზე ხელი გაიკრას და ბლუჯეულობით შეენიოს: „ზაქარიას და გიორგის კარგი საქორწილო გამოეგზავნათ, ზაქარია ინერება, რომ გრიგოლმა სულ ბლუჯეულად იცისო. კატომ შემოგითვალა, ახლა შენ იციო, ეგეც დიდკაცობა, ესეც შემთხვევა გამოდგომისათ. თუმცა კი სულ ერთია თუნდ შენსა ჯიბეში და თუნდ ჩემს ჯიბეშიო. მე კი ეს ვიცი, რომ ერისთავიანთ რძალთან არა-დაგეკარგება-რა, კარგს ქიზგას გვაჩუქებენ. მაინც საჭიროა. ორმოცს

1 გრიძაშვილი ი. ლიტერატურული ნარკვევები. თბ., 1947. გვ. 492.

2 გრიძაშვილი ი. . . იქვე. გვ. 491.

3 ნიკოლოზ ბარათაშვილი., პოეზია, წერილები. თბ., 2012 გვ. 87.

წელიწადს იქით ცოლი აღარ ვარგა. . .”<sup>1</sup>

დისა და დისშვილების მიმართ გრიგოლ ორბელიანის დახმარებაზე არანაირი ინფორმაცია არ არსებობს, რაც ამყარებს საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს, რომ თითქოს პოეტი – გენერალი გრიგოლი თავისი ძმებისაგან განსხვავებით არ ეხმარებოდა გაჭირვებულ მრავალშვილიან ეფემიას. ასევე საზოგადოებაში მუსიკებს აზრი, რომ გრ. ორბელიანი არ წყალობდა პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილს, რადგანაც გრძნობდა მისი კალმისა და ნიჭის ძლიერებას, რის გამოც ბიძა ანტაგონისტურად იყო განწყობილი მის მიმართ.

დედაქალაქში მცხოვრებ ძირძველ ბარათაშვილების არისტოკრატიული ოჯახის პარალელურად საინტერესოდ მოჩანს ქსნის ზეალმატებულ ერისთავიანთ ოჯახური პლატფორმა. ერისთავების საგვარეულო შტოებიდან მამა-პაპეულ ძველ ადგილზე – ახალგორში (ცხოვრობდა ლუარსაბ გიორგის ძე ერისთავი ოჯახით მარიამ ფარნაოზის (ფარნას) ასულ წულუკიძესთან და ხუთ შვილთან ერთად: ლევანთან, რევაზისთან, დავითთან და ორ ქალიშვილთან ანასტასიასთან და მარიამთან ერთად. მათი უფროსი ვაჟი ლევანი შემდგომ საცხოვრებლად სოფ. ტყვიავში გადადის, სადაც წილში ნარგები დიდი მამულების მფლობელი ხდება. ორი მომდევნო ვაჟი რევაზი და დავითი რჩებიან ფაქტიური მემკვიდრენი ახალგორის ძევლი ტრადიციული ოჯახისა რომელიც 1777 წლამდე ითვლებოდა ერისთავების რეზიდენციად და ქსნის საერისთავოს ადმინისტრაციულ ცენტრად.<sup>2</sup>

ლუარსაბ ერისთავის ქალიშვილებიდან უფროსი ანასტასია (1809-1860 წწ.) ცოლად გაპყვა ჯერ დავით თუმანიშვილს, შემდეგ გივი ბარძიმის ძე ამილახვარს. უმცროსი მარიამი (დაიბ. 1816 წ.) კი დავით ივანეს ძე ჯორჯაძეს.

ახალგორის სასახლეში მცხოვრებმა, თავმდაბალმა და უწყინარმა ლუარსაბ ერისთავმა თავის უფროს ვაჟიშვილს ლევანს მუხრანბატონის ასული ქეთევან ბაგრატიონი შერთო ცოლად, მომდევნო ვაჟს – რევაზს კი როგორც ცნობილია პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის უმცროსი და ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილი. ქორწილი ნიშნობიდან (აპრილის დასაწყისში) ორთვენახევრის შემდეგ გამართულა. თბილსში კარგი ქორწილი გადაუხდიათ და მზითვიც კარგი გაუტანებიათ კატოსთვის. მექორწილები მეორე დღეს აშლილან და ახალგორს წასულან. გზად მიმავლები ლუარსაბის მძახლებს ქახოსრო მუხრანბატონს სადილად მიუწვევია და კარგადაც გამასპინძლებია. რევაზისა და ეკატერინეს ქორწილის ერთ-ერთი მონაწილე რათქმაუნდა 6. ბარათაშვილიც იქნებოდა. სწორედ ზაქარიასადმი მის მიერ მიწერილ წერილიდან ვერებულობთ ბევრ საინტერესო დეტალს ახალგორის სასახლეში გამართულ ქორწილზე, ამის გამო ჩვენ საჭიროდ მივიჩნევთ მცირე შემოკლებით მოვახდინოთ მისი ციტირება: „..... იქიდგან (მუხრანიდან. ვ. ქ.) ახალგორს წავედით. ოძისს რომ მივუახლოდით, სადაც ბიძინა ერისთავი დგას, ლევან ერისთავი (კატოს მაზლი. ვ. ქ.) თავადებით, აზნაურებით, და იმერეთის მგალობლებით მოგვეგება; ჩვენთან იყვნენ თავისი ქალით, მაიკო, ყაფლან, მიხაკო, ალექსანდრეს სუმბათოვი –

1 ნიკოლოზ ბარათაშვილი. პოეზია, წერილები. თბ., 2012. გვ.87.

2 როგორც ირკვევა მოგვიანებით, ახალგორს ტოვებს რევაზ ერისთავი, საცხოვრებლად გადადის სოფ. ოძისში და ახალგორის ერთპიროვნული მფლობელი ხდება დავითი.

მეჯვარე რა დაბინდდა – შევედით ახალგორს. სასახლე ჭრაქებით იყო გაჩახ-ჩახებული, მეიდანი მაშალებით. ამ დროს ახალი არქიელი, წულუკიძე. კატოს დედამთილის ძმა, აქ იყო და მგალობლები მისნი იყვნენ. დეკანოზი შემოსილი ჯვარით მოვეგება გალავნის კარებში, დაჰკრეს ზურნას სათარას სიმღერა, თანა გვყვანდა (ცნობილი ირანელი მომღერალი – ტენორი. ვ. ქ.) – თოფის სროლა და ხალხის ჭედვა და ყვირილი საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა; ამასთან მთვარიანი ღამე და მშვენიერი მდებარეობა! სასახლეში რომ შევედით და ყაფლანმა ქუდი მოიხადა და შეხედა ზალას, ერთი გულით წამოიძახა: ფუ... ეს სასახლეა! ბევრი გვიცინია.

რასაკვირველია, მეორე დღეს პატარძლის ჩვეულებისამებრ, კატო ქვეშ-აგებში იწვა. მესამე დღეს ადგა. მზითვი გაშინჯეს..... მეოთხე დღეს ნიშნები მოართვეს დედამთილმა, მაზლებმა, მულებმა და რძალმა. არქიელი ეზოში იდგა კარავში ჭადრებს ქვეშ. – იმ დღეს ამობრძანდა კატოს სანახავად, დალოცა და ერთი ოქროთ მოჭედილი ღვთის მშობლის ხატი აჩუქა. ხუთი დღე და ღამე სულ შექცევაში ვიყავით.....“

ახალგორიდან მექორწილები და მათი შორის 6. ბარათაშვილიც კარა-ლეთში წასულან ნათლობის სუფრაზე შემდეგ კარალეთიდან ატენში, – სადაც პოეტის თქმით გიორგი „დიდი კნიაზი“ – „ძალიან კარგად დაგვიხვდა; სულ შუშურები გვასვა, ერთის ლექსით კარგად გავატარეთ დროება, მრთელი ორი კვირა.....“

როგორც ცნობილია, აღნიშნული ქორწილი ახალგორში 1844 წლის 29 ივნის (ძვ. ს.) გამართულა. ამ დროისთვის ერისთავების სასახლე უეჭველად თავმოსა-წონი სანახავი უნდა ყოფილიყო. ყმა-მამულებიდანაც შემოსავალი არ იქნებოდა მცირე, რასაც ზემოთ აღნიშნულ წერილში პატარძლის ძმაც აღნიშნავს: „ზაქა-რიავ სწორედ გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში, სანატრელს ოჯახშია. – ძმების უმაგალითო თანხმობა, სიმდიდრე სასახლისა და უვალობა. ამასთან რევაზ ზედ აკვდება, ლევანისა ხომ სულია კატო, და დავითი ხომ იმის ნებივრობაშია. მე ეს მიამა, რომ მტერი ვერ გაიხარებს.“

ნიკოლოზ ბარათაშვილის დის ეკატერინეს ქორწილის „გამგებელი და ავან-ჩავანი“ თბილისში ყაფლან ორბელიანი ყოფილა. ახალგორში ის იმყოფებოდა როგორც პატარძლის ახლო ნათესავი და არანაირი ორგანიზება მას არ ევალე-ბოდა. მელიტონის ბინაზე, ქორწილის ერთ-ერთი მონაწილის თქმით „ყაფლანს სადღეგრძელოების თქმით ენა დაეღალა, სიმღერით ბაგები დაუცვდა და თარზე დაკვრით თითებზე ტყავი გადასძრა“.

ეპისტოლარული მასალებიდან ირკვევა, რომ ქსნის ერისთავებთან დამო-ყვრების ინიციატივა ბარათაშვილებს ეკუთვნოდათ. მათი მიგზავნილი მაჭა-ნებალი ზაქარია ორბელიანი უნდა ყოფილიყო. აღნიშნულს ადასტურებს 6. ბარათაშვილის ერთი წერილი ზაქარიასადმი, სადაც პოეტი უპირატესობას საქართველოს, ქართველ სიძეს და ძველ მამა-პაპურ ოჯახთან დანათესავებას ამჯობინებს. ამავე 15 აპრილით დათარიღებულ წერილში ის ახსენებს „სამაჭა-ნებალოს“ გადახდის საჭიროებას სიძის ძმის დავით ერისთავის სასარგებლოდ.

„კატო დავნიშნეთ გასულს კვირას რევაზ ერისთავზედ და ქორწილსაც საა-მაღლებლოდ ვაპირებთ. დიდად მიხარიან. ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი

აქვს. ათასი რომ ვიჩანჩალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავაბოლოოთ ჩვენი ცხოვრება, და ამისთვის, ჩემი აზრი ეს არის, რომ, რაც უნდა ვიფრანცუცოთ, მაინც ძველი ოჯახი და კარგი დამოკიდებულება რაც უნდა წახდეს, ახალთან კიდევ მოვა! დავით ერისთავმა სამაჭანკლოში ქორი გთხოვა და იმედი მაქვს, რომ ახალს მოყვრობას პატივსა სცემ. . .<sup>1</sup>

ქორწილიდან დაახლოებით თვენახევარის შემდეგ, ახალგორთან ახლოს ლომის-ალევის მთაზე გამართულ დიდ სამებობის დღესასწაულზე, რომელიც იმართება აგვისტოს თვის შუა რიცხვებში, მონაწილეობა მიუღიათ მელიტონს, ნიკოლოზსა და მათ სანათესაოს: „მე და მამა ალევობას, რომ ამ თვის თხუთმეტს იყო, ვეწვივენით კატოს. მანანა და ელენეც გარდმოვიდნენ სალოცავად. საუცხოვო ჯვარობა იყო. ახალგორიდან თორმეტი ვერსტია, მაღალს მთაზედ. ქალები ცხენებით, საწვიმრებით, ქოლგებით, დიდის ამალით ოსურის სიმღერით ავედით სალოცავად. ის ღამეც და მეორე დღეც იყო მშვენიერი. ძალიან მხიარულება იყო. ცოტა წამოსვლის დროს მანანა ავად გახდა და იმან ცოტა დაგვიშალა მხიარულობა. . .<sup>2</sup> სწერდა ნ. ბარათაშვილი თავის ნათესავს ზაქარია ორბელიანს.

ლომის – ალევის მთაზე „სამებობის“ დღესასწაულზე ღამისთევის შთაბეჭდილებებით მოხიბლული ახალგაზრდა პოეტი დიდი ხალისით სწერს იმედიან წერილს ბიძას – ზაქარია ორბელიანს და სთავაზობს შემოდგომაზე სამეგობროსთან ერთად ეწვიონ ქსნის ხეობას: „თუ ღმერთი გვალირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა უნდა ვეწვივნეთ ამ შემოდგომაზედ, რომ ღაზათი გავწიოთ..... მართალია სანადირო არ არის ყოვლის გვარი-სა“.<sup>3</sup>

სამწუხაროდ, ჩვენს სასიქადულო პოეტს ღმერთმა აღარ აღირსა ერისთავებთან „ლაზათის გაწევა“, ახალგორის სანახებში ნადირობა და ალევის მთაზე სამებობის დღესასწაულზე მოლხენა, სადაც 1844 წლის 15 აგვისტო თავის ახლობლებთან ერთად ღამე გაატარა.

დიდხანს არ გაგრძელებულა ეკატერინეს და რევაზის მიერ შექმნილი ოჯახური იდილია. სრულიად ახალგაზრდა, 34 წლის ეკატერინე მოულოდნელად გარდაიცვალა სოფ. ოძისში 1855 წლის 20 მარტს. დაკრძალეს იქვე ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში. ვიცით რომ მათ ოთხი შვილი: ელენე, ნადეჟდა, ეფემია და ნიკოლოზი შეეძინათ. ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ რევაზი 1856 წლის 18 თებერვალს ირთავს მეორე ცოლს – მართა ნიკოლოზის ასულ მუხრანბატონს. 25 წლიანი თანაცხოვრებით მათ შეეძინათ ხუთი შვილი: თამარი, არჩილი, ანასტასია, სოფიო და ივანე.

ბარათაშვილის ყოფილი სიძე რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავი გარდაიცვალა 1881 წელს.

1 ნიკოლოზ ბარათაშვილი. პოეზია, წერილები. თბ., 2012. გვ.84.

2 ნიკოლოზ ბარათაშვილი. პოეზია, წერილები. თბ., 2012. გვ.90.

3 ნიკოლოზ ბარათაშვილი. იქვე. გვ.90.

## მარიამ (მართა) იორქამის ასული სოლოლაშვილი-ერისთავისა

(1821-1856)

XIX საუკუნის საქართველოს არისტოკრატთა წრის ულამაზეს ქალთა გალერეას ამშვენებს ქსნის ერისთავების რძალი მართა სოლოლაშვილი. მისი მშობლების საკუთრებას წარმოადგენდა სოფელი ბორბალო (ამჟამად თეთრი-წყაროს რ-ნი), სადაც ზაფხულობით ისვენებდა თბილისის სიცხეს გარიდებული სოლოლაანთ სახლობა.

მართას დედა კონია გახლდათ ომან ხერხეულიძის ასული, ხოლო მამა – იორამ სოლოლაშვილი<sup>1</sup> მესხეთიდან ქვემო ქართლში გადმოსახლებული, სათა-ვადო სახლის უფროსისა და კათოლიკოსის მოლარეთ უხუცესის შვილიშვილია. მათი წარმომადგენელი სიმონი რუსეთის არმიის გენერალი და სენატის წევრი გახლდათ.

ომან ხერხეულიძის ერთი ასული ბარბარე (კონიას და) იყო მეუღლე ოთარ ქობულაშვილისა. ამ ბარბარეს პლატონ იოსელიანისთვის გიორგი XIII-ზე მნიშვნელოვანი მასალები მიუწვდია წიგნზე მუშაობისას. (პ. იოსელიანმა ნაშრომი დაასრულა და წიგნად გამოსცა 1867 წელს).

XIX საუკუნის სილამაზით ცნობილ ქართველი არისტოკრატი ქალების მა-გიური სილამაზის საგნად სახელდებოდა მათი თვალები, ლოყები, ტანი, შავი კაბა, თმები და ასე შემდეგ. მართა მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა მთელს საქართველოში ცნობილი იყო თავის გრძელი და უიშვიათესი თმებით. სწორედ თმები და მათი სილამაზე იყო მთავარი ატრიბუტი მისი მომხიბვლელობისა, იგი იყო სავიზიტო ბარათი მრავალი კარგი თვისებით შემკული თავადის ქალისათვის.

მართას სილამაზით მოხიბლული პოეტები: ბარათაშვილი, გრიშაშვილი, ლეონიძე, სოლოგუბი შედევრებს ქმნიდნენ ქართულ და რუსულ ენებზე. ასევე ქართული ხელოვნების მუზეუმის საკუთრებაა 1842 წელს რუსი მხატვრის გრიგოლ გაგარინის<sup>2</sup> ხელით შესრულებული მართას პორტრეტი.<sup>3</sup>

1 ქველი თბილისის მეცნიერებაში იაკობ ბალახაშვილი მართას მამის სახელად ხან ალექსანდრეს ასახელებს, ხან ივანეს. ცნობით კი მაშინდელი თბილისის საზოგადოება იცნობდა იორამის სახელით. რუსებს ეხამუშებოდათ იორამის თქმა და გასაოპლებლად ივანე უწოდეს, ისე როგორც მაგალითად მართას მამამთილს – შანბეს – პავლე უწოდეს.

2 გრიგოლ გაგარინი საქართველოში მოღვაწეობდა XIX ს-ის 40-იან წლებში. იგი იყო რუსეთის სამშენებლო სამსახურის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

3 სსმ /რ. გრ-247.. პორტრეტი არის მშვენიერი. ახალგაზრდა ქალი თეთრი ფერის ქართულ კა-

ქართველმა და არაქართველმა საზოგადოებამ მართას სილამაზეს მისი ყმანვილქალობიდანვე მიაქცია ყურადღება. სრულიად ახალგაზრდა ულამაზესი ქალიშვილი 1837 წლის 10 ოქტომბერს, ზუბალაშვილების იმჟამინდელ „პალას ოტელში“ (დღევანდელი ხელოვნების ეროვნული მუზეუმის შენობა). ლ. გუდი-აშვილის ქ. № 1) რუსეთის იმპერატორის საპატივცემულოდ გამართულ ბალზე მასთან ერთად ცეკვავს პირველ პოლონეზს. ამ ფაქტს აღნერს ნიკოლოზ I-ის სამხედრო ისტორიკოსი – პოტტო<sup>1</sup> რომელიც მაშინ თან ახლდა იმპერატორს. „იმპერატორი მეტად მხიარული იყო.... მან პირველი პოლონეზი<sup>2</sup> იცეკვა სილამაზით გამოჩენილ მართა სოლოლაშვილის ქალთან, ..... ხოლო მეორე – ქალაქის თავის სარაჯიშვილის ცოლთან“.

ასევე 1842 წელს თბილისში ჩამოსული რუსეთის სამხედრო მინისტრი, თავადი ალექსანდრე ჩერნიშევი დიდი გატაცებით ცეკვავდა მართასთან ლეკურს. XIX საუკუნის ქართულ ყოფაში შემოჭრილ ოსურ სიმღერასა და ცეკვას წინ უსწრებდა, „ლეკიანობის“ ზეგავლენით, ლეკური ცეკვის დამკვიდრება. სწორედ ამ „ლეკურის“ უბადლო შემსრულებელი იყო თმის დალალებით სახელგანთქმული მართა სოლოლაშვილი.

ალექსანდრე ფადეევის სიტყვით: „1842 წელს ტფილისში ჩამოსული სამხედრო მინისტრი ალექსანდრე ჩერნიშევი, ჭავჭავაძეებთან საღამოებზე ახალგაზრდული გატაცებითა და დიდის ხელოვნებით ცეკვავდა ლეკურს, სილამაზითა და გრძელი ნაწნავებით განთქმულ მართა სოლოლაშვილთან“<sup>3</sup>

აი რას წერს ერთი „განსწავლულ“ რუსი მოხელე – კორნელი ბორობდინი თავისნაირ განსწავლულ, თავხედ, დაუნდობელ და უცოდინარ სამხედრო მინისტრზე, რომელიც საქართველოში ყოფნისას თავისი ასაკის მიუხედავად ელაზლანდარებოდა და ეღლაბუცებოდა ქართველ არისტოკრატ ქალბატონებს:

„მიუხედავად მოხუცებულობისა ჩერნიშევი საშინელი არშიყი და თაყვანისმცემელი იყო ქალებისა...., მაჰმადის სამოთხის ქალები, რომ დაინახა, ჩერნიშევი არამც თუ გაყმანვილდა, მათმა ნახვამ ტყვედ ქმნა მოხუცის გული, ვერ გაუძლო მათს მოჯადოებლს სახეს. ვისაც მაშინდელი დრო ახსოვს, მოგვითხოვენ, რომ ფელდეგერები<sup>4</sup> ტფილისიდან პეტერბურგში დაპქრობნენ განგებ მარაობისა, სურნელებისა და სხვა ნივთებისათვის, რომლებიც საჭირო იყო ქალებისათვის. ეს ნივთები ტყვედ-ქმნილ თავადს აქაურ ლამაზ ქალების საჩუქრად უნდოდა. თავადი პნეტარობდა ტფილისში, ბედნიერებისა-გან ცათაფრენა ჰქონდა შემდგარი“.<sup>5</sup>

ცნობისათვის ვიტყვით, რომ ამ პერიოდში თბილისში ლეკურის საუკეთესო

ბაში, ჰაეროვანი საბურველით მხრებზე, მკერდზე დაყრილი გრძელი ნაწნავებით.

1 იხილეთ: პოტტო ვ. ქრისტეფორე კონსტანტინეს ძე მამაცაშვილის 60 წლის სამსახურის იუბილის გამო., მოამბე. 1897 წ. № 11.

2 ნელი ტემპის სამეჯლისო ცეკვა, რომელიც ნარმოიშვა ძველი პოლონური ხალხური ცეკვისა-გან.

3 გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2013. №5-6. გვ.53.

4 ფელდეგერი – სამხედრო უნივერსიტეტის შიკრიკი. უპირატესად საიდუმლო ქალალდების დამტარებელი.

5 ციტირებულია: მერი ფოფხაძე., XIX ს. ცნობილი ქართველი ქალები. მართა სოლოლაშვილი. „მუშაკი სულიერისა ვენახისაა“. თბ., 2012. გვ. 201.

მოცეკვავედ ითვლებოდა ეკატერინე ჭავჭავაძე. თბილისში მათ ცნობილ სა-ლონში კაშკაშა ვარსკვლავად ითვლებოდა სოლოლაშვილის ქალიშვილი. მომავალი მეუღლე ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი, რომელიც ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეების დეიდაშვილი იყო სწორედ აქ გაიცნო. ალექსანდრე ერისთავს და მართა ორამის ასულს დაახლოებით 1844 წელს უნდა დაეწერათ ჯვარი. ამ პერიოდისთვის იგი არჩეული იყო გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღვანლად, მინიჭებული ჰქონდა პოლკოვნიკის ჩინი და ფლიგელ-ადიუტანტობა.

ალექსანდრეს ძმის შვილი ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავი თავის მოგონებებში წერს: „.... ძია ალექსანდრეს ძალიან პატივს სცემდნენ ყველანი გორში. თვითონ იყო ლეიბ კაზაკი, მარშლად იყო 33 წელი“.<sup>1</sup>

მართას მაზრი – ელიზბარ ერისთავი გახლდათ 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი და შემდგომ ქართველი ერისგან ეროვნულ გმირად აღიარებული.

თბილისის საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი მართა ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომელმაც მისდამი დიდი მოწინებით და სიყვარულით მიძღვნილი ლექსი „ვლოცავ დღეს“ ქორწილის საჩუქარზე – ვერცხლის თასზე წააწერინა:

„ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის,  
ბედნიერი ვარ მე, თასი:  
სამღერალი ვარ ტურფა ხელთ  
და მოსალხინო მართასი!  
მოვედით, სევდით მაშვრალნო,  
გასვათ სასმელი ღმერთასი,  
და მყის გიქარვოთ გულისა,  
ვით ერთი ჭიქა ათასი“.<sup>2</sup>

გათხოვების შემდეგ მართა მეუღლესთან ერთად გორში ცხოვრობდა და „იქაურ ქალთა მარაქის თვალისჩინი იყო.“ სწორედ გორის საზოგადოების მონახულება და მასთან შეხვედრა განიზრახა 1845 წლის აპრილში საქართველოში ჩამოსულმა გერმანელმა მწერალმა და მეცნიერმა ფრიდრიხ ბოდენ-შტედტმა. ეს შეხვედრები მან თავის მოგზაურობის წიგნში, „ათას ერთი ლამე აღმოსავლეთში“ ასახა.<sup>3</sup>

„პოლკოვნიკმა კაპიოვმა, გორში მდგარი პოლკის მეთაურმა დიდი თავაზიანობით მიმიღო; თავაზიანმა პოლკოვნიკმა ბატონიშვილების სახლებში მიმიყვანა. მიგვიღო მხოლოდ მართა ერისთავმა, რომლის მომხიბლავი ტანი და დიდებული თმა მთელს საქართველოში იყო ცნობილი.

პოლკოვნიკმა წინასწარ თადარიგი დაიჭირა, ვიდრე თავადის ქალთან წავიდოდით, ერთი საათის წინ შეატყობინა. მოვალთო, «რადგანო, ამიხსნა ღი-

1 საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია. ფ. 13257-б.

2 ბალახაშვილი ი. ბარათაშვილის ცხოვრება. თბ., 1967. გვ. 302.

3 ფრიდრიხ ბოდენშტედტი იყო გამოჩენილი გერმანელი პოეტი. შექსპირისა და პუშკინის შესანიშნავი მთარგმნელი, პროფესორ-ორიენტალისტი. ამდენად, მისი დაინტერესება მართა სოლო-დაშვილის პიროვნებით არ შეიძლება შემთხვევითი ყოფილიყო.

მილით, მშვენიერი ქართველი ქალი არასოდეს ეჩვენება უცხო სტუმარს, თუ წინასწარ თავისი ტუალეტი არ მოაწესრიგაო»<sup>1</sup>

უცხოეთიდან თბილისში სტუმრად ჩამოსულები, რომელთაც ქართველები უკვე თავისიანებად თვლიდნენ და არა უცხოელებად, აღტაცებას ვერ მაღავდნენ ქართველი ქალების მშვენიერებაზე და მალევე მათი სილამაზის ზემოქმედების ქვეშ ექცეოდნენ. ამგვარი ზემოქმედების გამო იყო, რომ 1850 წელს საქართველოში ჩამოსულმა ცნობილმა რუსმა მწერალმა, გრაფმა ვ. ა. სოლოგუბმა (1814-1882) ორი ლექსი მიუძღვნა ქსნის ერისთავების რძალს მართა სოლოლაშვილს. მოგვიანებით ეს ლექსები თარგმნა მწერალმა და დრამატურგმა გიორგი დავითის ძე ერისთავმა.

\* \* \*

„ნუ გეშინიათ, ყმანვილნო  
კავკასიის მთისა მაღლისა,  
ნუ გეშინიათ ნურც ლეკთა  
ნურცა ჩაჩანთა ხმალისა,  
თქვენცა გაქვთ პასუხსაგებლად  
ვაჟკაცობა და მხნეობა,  
ვერ შეგაშინებთ თქვენ კლდენი,  
ვერცა ტყე, ვერცა ხეობა,  
მხოლოდ ეცადეთ, რომ ქართლში  
მყარად დაიცვათ თქვენ გული,  
რომ არ შეიქნათ მონებად,  
როს ნახოთ მართა მორთული“.

\* \* \*

„გიყვარდეს, ეტრფე ვიდრემდის  
დრო გაქვს შენ ყვავილებული,  
გიყვარდეს, ტრფობა არს ციდგან  
კაცთათვის მოვლინებული.

ტრფობა არს იმა სოფლისა  
სიტკბო და ბედნიერება,  
გიყვარდეს გულით და სულით,  
ვიდრე გაქვს მშვენიერება.  
მაშ, ეცადე, რომ ტრფობა  
გულსა შინა დაიმყაროს, მაგრამ ამას გევედრები  
პირველ კი მე შემიყვარო“.<sup>2</sup>

ასორმოცდაათი წლის წინანდელი თბილისის ამ მოკაშკაშე ვარსკვლავზე მე-20 საუკუნის ქართველი პოეტები თავდავიწყებით საუბრობდნენ ლიტერ-

1 ბალახაშვილი, ი. ბარათაშვილის ცხოვრება. თბ., 1967.

2 ბალახაშვილი, ი. ცხოვრება ბარათაშვილისათბ., 1967. გვ. 305.

ატურულ საღამოებსა და კერძო შეხვედრებზე. იოსებ გრიშაშვილმა მანანა ორ-ბელიანთან ერთად მართა სოლოლაშვილიც გაიხსენა და გამოიტირა ლექსში „აბანოს ცრემლები“.

„ვეღარ ვიხილავ იმ დროს, იმ ხანას,  
გული მიკვნესის, გული ვალალებს,  
ვერ ჭვრეტ მანანას გაწყვეპილ ტანსა  
სოლოლაშვილის გაშლილ დალალებს“.<sup>1</sup>

გიორგი ლეონიძე XIX საუკუნის თბილისის არისტოკრატ ლამაზ ქალებს უძლვნის მათსავით ლამაზ, ზეალმატებულ ლექსს, რომელიც ქართული პოეზიის საგანძურის კუთვნილებად იქცა. იმდროინდელი თბილისის მნათობნი მაია და მანანა ორბელიანები, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, მართა სოლოლაშვილი და მათთან ნაგულისხმევი სილამაზით ცნობილი სხვა მანდილოსნები „აბრეშუ-მის ზვირთში გახვეულ“ და გრძნობამორეულ პოეტს დახრჩობას უქადის:

„მითხარ მაია,  
მითხარ, მანანა,  
დღეს სადღა არი  
თქვენი მშვენება?  
ან უთქვენობით რა გვეშველება?  
მითხარი, ნინა,  
ეკატერინა,  
შვიდი ნაწნავი რომ გერტყა,  
მართა, –  
ნუთუ ალარ ხართ  
ამქვეყნად მართლა?  
და ან უთქვენოდ  
რაღა ფასი აქვს  
თბილისის დილას,  
ქართლის ალიონს?  
ვინ ამოსწიოს ხმალი კვლავ თქვენთვის,  
ან ყანნი თქვენთვის ვიღამ დალიოს?  
სტუმრები-ლა ხართ ჩემი სარკმელის –  
როცა მოსკედება მთვარის ნამქერი...  
მე თვითეული ზოლი მთვარისა  
თქვენი დალალის ჩქერი მგონია...  
და მეხარბება მე მათი ბედი,  
ვისიც იყავით შარავანდედი,  
ვისაც თქვენი ხმა გაუგონია...  
თქვენი საყურის ჩრდილის ქვეშ ტუჩი  
ვინც ერთხელ ჩუმად, გინდაც ფარულად  
ციურ სიტყბოთი ჩაიტკბარუნა.  
მე მას მოვკლავდი! მაგრამ რა ვუყო,

1 ი. გრიშაშვილი. „100 ლექსი.თბ., 2003. გვ. 109.

უკვე ამ კოცნით ქცეულა მტვრადა...  
 ახლა ვის გინდათ გული გაუყოთ,  
 მე რათ მიღიმით, მითხარით, რათა?  
 თქვენს აბრეშუმთა ზვირთში ვიხრჩვები,  
 ვაჲ, თქვენი ზღვიდან ვერ გამოველი!  
 არ ვიცი, როგორ გადაგირჩებით,  
 და დაღუპვასაც თქვენგან მოველი!  
 მანანა, ნინა, ეკატერინა,  
 შვიდი ნაწნავი რომ გერტყა მართა,  
 ნუთუ აღარ ხართ ამ ქვეყნად მართლა“.<sup>1</sup>

სილამაზის დედოფალს – მართა სოლოლაშვილს ჯერ კიდევ პატარძალს, პირველი შეილის მარიამზე ფეხმძიმობისას მონაწილეობა მიუღია შინაურ სპექტაკლებში. 1950 წლის გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ № 21 აქვეყნებს მასალებს ზემოაღნიშვნულ სპექტაკლებთან დაკავშირებით. „1845 წლის 1 და 8 მაისს, 11 ივლისსა და 7 აგვისტოს ქ. გორში მას მონაწილეობა მიუღია დიმიტრი მელვინეთუხუცესაშვილის (1815-1878) პიესის – „გამოუცდელობა ანუ დროებითი განმორება საყვარელთა“ ინსცენირებაში. ხსენებული პიესა ერთ-მოქმედებიანია, ოთხი გამოსვლით, განკუთვნილი შინაური წარმოდგენისთვის. მწერლის როლი ავტორს შეუსრულებია. თხზულების მასალად ალებულია ერთი ეპიზოდი გორის მაზრის მაშინედელი მარშლის – ალექსანდრე შანშეს ძე ერი-სთავის ოჯახის ცხოვრებიდან. მოქმედი პირები არიან თვით მარშალი, მისი სახლობა და მახლობელნი. ეს მახლობელნი და სცენის მონაწილენი ყოფილან – ივანე სოლოლაშვილის ასული მართა, დიმიტრი ერისთავის ასული დარიკო, ოთარ ქობულაშვილის ცოლი ბარბარე, ავტორი და სხვანი.

პიესის ქარგა ასეთია:

„ორონცოვის განკარგულებით, ერისთავი კრებს ჯარს შამილის წინააღმდეგ საპრძოლველად. ახლად შერთულ ცოლს უნდა მასთან ერთად ბრძოლაში წასვლა. ქმარი გაემგზავრება, ცოლი ძლიერ სწუხს დაშორებას. ფრონტიდან სამწუხარო ამბები მოდის, ცოლი მეტად აღელვებულია ამით. ამასობაში იგი მომშობიარებს, შეეძინება ასული. მამა ვაჲის დაბადებას ელოდა თურმე, გიორგი უნდა დაერქმია. დაჯილდოებული ალექსანდრე ბრუნდება ჯარიდან, შინაურები გახარებულნი არიან მისი დაბრუნებით და აღტაცებულნი მისი სამხედრო წარმატებებითა და ჯილდოებით.“

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია XIX საუკუნის უცნობი ავტორის ხელნაწერი წერილი ლექსად (H ფონდი. 1953), რომლის ადრესატია მართა სოლოლაშვილი.

„მათს ბრნივალებას კნეინას სოლალოვისას მართას, მოწყალეს ხელმწიფეს, სიმდაბლით მიეღოს ტფილისით ბორბალს“. მშვენიერია ლექსის პირველივე სტრიქონი: „წადი, უსტარო, მიერთვი, ვინ არის მნათობთ დარად“...

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის იკონოგრაფიის

<sup>1</sup> გიორგი ლეონიძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1თბ., 1962. გვ. 416. „მაია, მანანა, ნინა, ეკატერინა.

ფონდში დაცულია მართა სოლოლაშვილის ფოტოსურათი, სადაც ორ გოგონას-თან ერთად არის გადაღებული. ფოტოსურათს უკან უცნობი ავტორის ხელით გაკეთებული აქვს მინანერი, რომ ეს არის მართა სოლოლაშვილი თავის ქალ-იშვილებთან ერთად.

XIX საუკუნის შუახანებისთვის ქართლში, კერძოდ გორში, დიდი გავლენით სარგებლობდა ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავისა და მართა სოლოლაშვილის არისტოკრატიული ოჯახი. მათ ტკბილსახსოვრად ჰქონდათ დარჩენილი მოგონება რუსეთის ტახტის მემკვიდრის სტუმრობისა. რის შემდეგაც მათი სახლის ფასადს ამშვერებდა მარმარილოს დაფა წარწერით: „ეს სახლი გააძენიერა თავისი სტუმრობით ტახტის მემკვიდრემ ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ 1850 წლის 17 სექტემბერს“.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე საქართველოს მეორედ ენვია 1871 წლის სექტემბერში, ამჯერად რუსეთის იმპერატორის ხარისხში. თბილისიდან ბორჯომში მიმავალი გორში კვლავ თავად ალექსანდრე ერისთავის ოჯახში შეჩერდა. რომელიც უკვე გახლდათ სიმამრი ცნობილი ქართველი გენერლისა ივანე გივის ძე ამილახვრისა.<sup>1</sup>

**მართას გარდაცვალება.** ჩვენამდე მოღწეული მასალები მართა სოლოლაშვილის ბიოგრაფიაზე მნირია. რაც მოგვეპოვება დამსახურებაა იმ ქვისმთლელისა ვინც მარმარილოს დაფაზე გააკეთა საფლავის ეპიტაფია (მართას საფლავი მდებარეობს გორის რაიონში, სოფელ იკორთაში, ქსნის ერისთავების საგვარეულო საძვალეში). ქვის მაღლა კუთხეში ორი ანგელოზი ახატია. შემდეგ თალისებურ არეში კიდევ ორ დაჩოქილ ანგელოზს ხელში მეფის გვირგვინი უჭირავს. წარწერა იუნიკება:

„აქა დაფლული მართა, მეუღლე თავადის ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავისა და ასული თავადის სოლალოვისა, მყოფი ჯერეთცა ყუავილოვანსა ოცდაათსა წელსა შ“ ა, ველოდი რა დატკბობასა სატრფოს-მეუღლესა და მცირენლოვანთა შვილთა თანა, მაშინ შეძრწუნებელი იგი ხმა საღმრთოსა, მსჯავრისა, ძველთა მშობელთა ჩვენთა ცდომისა გამო განსაზღურებული, მოიწია ჩემზედა და მიმაქცია მინავ მინადვე 7-ს მარტს 1856-სა წელსა და დაუტევენ დედა მოუწყვედილ ცრემლ მდინარე, შვილი ობლადა. მეუღლე ღრმად მგლოვიარე, რომელმანცა სახსოვრად სიყვარულისათვისა დასდვა ლოდი ესე მტვერსა ჩემსა ზედა. ან თქვენ, წამყითხველნო, მხედავთ რა თქვენთანა ყოფისაგან მოკლებულსა, შენდობა ჰყავთ ჩემთვის“<sup>2</sup>.

საფლავის ქვის ეპიტაფია ზუსტად გვამცნობს მართას გარდაცვალების წელს და რიცხვს – 1856 წლის 7 მარტი, მაგრამ უცნობია მისი დაბადების თარიღი. ეპიტაფის ცნობა, რომ მყოფი ჯერ კიდევ ყვავილოვანი ოცდაათი წლისა გარდაიცვალა, სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს. ცნობილია, რომ

1 ამ ივანეს 8 წლის ასაკში კარგად ახსოვდა ჯერ კიდევ 1837 წელს იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლის პატივსაცემად თბილისში გამართული მეჯლისი, სადაც მეფეს თავისი დროის ულამაზესი ქალი – მართა სოლოლაშვილი ახლდა, რომლის ქალიშვილი ანასტასია ერისთავი შემდგომ მისი მეუღლე გახდა.

2 მეგრელიდე იოსებ. წარწერები და სხვა სიძველეები იკორთაში. საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III. თბ., 1963.

1837 წლის მარტში მართამ პოლონეზი იცეკვა იმპერატორ ნიკოლოზ I-თან თუ 1856 წ. 30 წლისა იყო მართა, გამოდის, რომ დაბადებული ყოფილა 1826 წელს. იმპერატორი ბაზზე, რომელიც გაიმართა ზუბალაშვილების კუთვნილ სასახლეში, არ ეცეკვებოდა 11 წლის გოგონას, რაც იმდროინდელი რეგლამენტითაც მიუღებელი იქნებოდა.

სავსებით დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ 16-17 წლის ყმაწვილი ქალი მართა სოლოლაშვილი ასაკის მიუხედავად ყოველგვარი უხერხულობისა და დაბრკოლების გარეშე შეძლებდა იმპერატორთან ცეკვას. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ მართა დაბადებული უნდა იყოს 1819-20 წლებში.<sup>1</sup>

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს რჩეულ არისტოკრატ მანდილოსნებში დიდი პატივით და ღირსებით მიღებული ამ ქალის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო იმდროინდელი თბილისისა და გორის საზოგადოებებისათვის. მართას გარდაცვალებიდან 26 წლის შემდეგ გრიგოლ ორბელიანი თავის ერთ წერილში ატყობინებდა ნატალია აგლობუიოს: „კნეინა ეკატერინა მენოვრელისა გარდაცვალა გორდსა 13 აგვისტოს. ესეცა, ნარსულის დროისა საქართველოს მშვენიერება, დედუფლად დაბადებული! ვინცა შეხედავდა მაშინვე უნდა მდაბლად თავი დაეკრა, ესეთნი იყვნენ: ანნა, მანანა, მაია, ჩვენი ეკატერინა, ყაფლანის და, ნინო გრიბოედოვისა, მისი და სოფიო, ჩვენი მაიკო, ყაფლანის ელენე, მართა ერისთავისა და მრავალნი სხუანიცა! აბა ეხლა თუალი გადაავლე ჩუენს საზოგადოებას, ვინ არის ამათი მაგიერი! ჩემო ტასო, ბნელდება საქართველო!“<sup>2</sup>

ქსნის ერისთავების ძირძველ საგვარეულოს სოლოლაშვილის ქალმა 6 შვილი: 3 ვაჟი და 3 ქალი გაუჩინა. სამწუხაროდ ყველამ ვერ მიაღწია ზრდასრულ ასაკამდე. მართას გარდაცვალების შემდეგ ელისთავის თქმით ობლები ბებიამ – კონამ გაზარდა. ბებია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო როდესაც მართას ვაჟი გიორგი გაუგებარი მიზეზის გამო პარიზში გარდაიცვალა 1878 წლის 12 სექტემბერს. მამას ის სამშობლოში ჩამოუსვენებია და იმავე წლის 26 ოქტომბერს დედის გვერდით იკორთის მონასტერში დაუკრძალავს.

ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულია ბიოგრაფიული მასალები ალექსანდრე ერისთავისა და მართა სოლოლაშვილის ქალზე – ანასტასია ერისთავზე, რომელიც გახდა მეუღლე ქართლის თავადთა ერთ-ერთი უძველესი სახლის ნარმომადგენლისა – ივანე ამილახვრისა.

ანასტასია დაბადებული უნდა იყოს 1848 წელს. ის 8 წლის ასაკში დაობლდა და და-ძმებთან ერთად ბებიამ გაზარდა. ელ. ერისთავი იგონებს: „როცა იმისმა ქალმა ანეტამ (ალექსანდრეს ქალმა. ვ. ქ.) გაათავა ინსტიტუტი, მალე გაათხოვეს ივანე გივის ძე ამილახვარზე“.

ანასტასიას ფოტოები, რომლებიც ინახება როგორც გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმის იკონოგრაფიის ფონდში, ისე მათ შთამომავალ ნინო (ნუციკო) ერისთავ-კუხიანიძეთან, ადასტურებენ ერისთავიანთ ამ ქალის

1 იხ.: მერი ფოფხაძე, XIX ს. ცნობილი ქართველი ქალები. მართა სოლოლაშვილი..., მუშავი სულიერისა ვენახისაა. თბ., 2012.-გვ. 198.

2 გრ. ორბელიანი. ლექსებისა და წერილების სრული კრებული. თბ., 1928.

3. ი.ბალახაშვილი ი. ცხოვრება ბარათაშვილისა. თბ., 1967. გვ. 305.

სილამაზეს და მოხდენილობას. ანა ყოფილა კარგად აღზრდილი და განათლებული ახალგაზრდა ქალი. მართას დედა კონია, 1866 წლით დათარიღებულ წერილში შვილიშვილს – ანას წერდა: „ამას გთხოვ, ისეთი სახელი მოიპოვო, როგორც დედაშენი იყო, რომ გვიან დაავიწყდებათ ხალხსაც და ნათესაობასაც“.<sup>20</sup>

ანა ერისთავისა და ივანე ამილახვარის ჯვრისწერა 1866 წლის 30 იანვარს, მეფისნაცვლის ეკლესიაში შემდგარა. ჯვრისწერისას ამილახვრის მამობილი ყოფილა გრიგოლ ორბელიანი, ანას დედობილი კი ანასტასია (ტასო) ორბელიანი-გაგარინისა. ივანე თავის მეუღლეზე 19 წლით უფროსი იყო და სიდედრზე 8 წლით უმცროსი. ამიტომაც ახსოვდა მას მართას პოლონეზის ცეკვა იმპერატორთან 1837 წელს, სწორედ იმ იმპერატორისთვის მაიკო ორბელიანის შენირვით თავი რომ შეირცხვინა მთელმა მაშინდელმა ქართველმა თავადაზნაურობამ (ან კი ვინ იყო დარჩენილი ნამდვილი ქართული ბუნების და სალი აზროვნების მქონე, ყველა ვინც ერის და ქვეყნის მოჭირნახულე იყო, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე გახლდათ და ყველა გადასახლებაში ან ციხეში იმყოფებოდა).

ერისთავების სიძეზე ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „ჩვენ დროში, ასეთი საგმირო ტანის და შესახედაობის კაცი, როგორც გახლდათ ივანე გივის ძე, ძლიერ ცოტანი იყვნენ. იგი იყო მამა თავისი გლეხვაცობისა, იგი იყო მათი მარჯვენა მკლავი, მათი წინამდლვარი, ქომაგი, მორჩილი და პატრონი“.

1871 წელს ალექსანდრე II-ემ როგორც ვიცით გორში მოინახულა ალექსანდრე ერისთავი და მისი ოჯახი, ღირსეული მასპინძლობის შემდეგ იმპერატორმა უკვე ხანდაზმულ ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავს პოლკოვნიკობა უბოძა და თავის ფლიგელ-ადიუტანტად დანიშნა. ასევე ფლიგელ-ადიუტანტობა უბოძა ოჯახის სიძეს ივანე ამილახვარს. მეფის საპატიო ყარაულის თავადთა რიგში კიბეზე ხანდაზმული გივი ამილახვარიც იდგა.


ალექსანდრე ერისთავი გარდაიცვალა 1883 წლის 20 აპრილს დაკრძალულია იკორთაში, მეუღლისა და შვილის გვერდით.

1873 წ. პოლკოვნიკი ივანე გენერალ-მაიორი გახდა და იმპერატორის ამალაში ჩარიცხეს. 1883 წელს ამილახვარმა გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიიღო. ივანე გახლდათ აქტიური წევრი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. წერდა მოგონებებს, რომელიც გამოქვეყნებულია „კავკაზიკი სბორნიკის“-ის 26-29 ტომებში.

1905 წლის 27 აგვისტოს ქ. გორში, 76 წლის ასაკში გარდაიცვალა გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი ივანე გივის ძე ამილახვარი. დაკრძალულია თბილისში, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

ანა ერისთავი-ამილახვრისა გარდაიცვალა 1934 წელს 86 წლის ასაკში. მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილი უცნობია.

## ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავის გენეალოგია



## ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანი-ერისთავისა „ცაკალო“

(1815-1858)

**საგვარეულო სახლი.** ორბელიანების, იგივე ყაფლანიშვილების ერთ-ერთ მთავარ სამოსახლოს წარმოადგენდა თბილისში დღევანდელი გ. ათონელის ქუჩა, გ. ლეონიძის სახელობის ბაღი (ყოფილი ალექსანდრეს ბაღის ქვედა ტერასა) და მასთან მიმდებარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო. დედაქალაქის ამ ადგილებს ძველი თბილისის მოქალაქენი „ორბელიანთ სამოსახლოს“, ხანაც „ორბელიანთ უბანს“ და „ორბელიანთ აულს“ უწოდებდნენ. იგი ერთ-ერთი უბანი იყო ე. წ. „გარეუბნისა“.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ზემოთ აღნიშნული ადგილები XVIII საუკუნის შუახანებამდე სამეფო საკუთრებას წარმოადგენდა. სამეფო კარისადმი დამსახურებისთვის თეიმურაზ მეორეს სარდალ რევაზ ორბელიანისთვის უჩიუქებია.<sup>1</sup>

ორბელიანების საკუთრება ყოფილა მშრალ ხიდსა და ვორონცოვის მოედანს შორის მდებარე კუნძული, რომელსაც ვახუშტი იხსენიებს „ახალი ბაღი მეიდანის“ სახელით. მეიდნის ახალ ბაღს ორივე მხრიდან ჩაუდიოდა მტკვრის გაორებული დინება. ერეკლე მეორის სიძემ, სარდალმა დავით ორბელიანმა მიწის ფართობის გასაზრდელად და წყლის ტალღებისგან დაცვის მიზნით მდინარის კალაპოტი გააღრმავა. გარკვეული დროის შემდეგ მტკვრის ყველაზე დიდი კუნძული ორბელიანებმა გენერალ ვალერიან მადათოვს მიჰყიდეს, რის გამოც დღემდე თბილისის ხანდაზმული თაობა ორბელიანების ყოფილ კუნძულს მადათოვის კუნძულად მოიხსენიებს.

გასული საუკუნის 30-იან წლებში ლავრენტი ბერიას მითითებით მტკვრის სანაპირო ზოლის მშენებლობისას გაორებული დინების მარჯვენა კალაპოტის გაუქმებით კუნძული გაქრა. დღეს იქ ჩოგბურთის კორტები, „დედა ენის“ ძე-გლი – პარკით და იუსტიციის სახლია განთავსებული.

ელენე ორბელიანის (თიკუნი სახელი „ცაკალო“) მამა ლუარსაბი (1791-1835) იყო ვაჟი ივანე სარდალ ორბელიანისა. 1832 წლის შეთქმულების საგამოძიებო კომისიისადმი მიცემული ჩვენების მიხედვით დაბადებული 1791 წელს.

სარდალ ივანე ორბელიანს ორი ვაჟი ჰყავდა: ლუარსაბი (იოელ) და დავითი. ელენეს მამა – ლუარსაბი სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავ-

1 ორბელიანებზე იხ.: მაია ცერცვაძე – „ორბელიანთ უბანი“. ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 2010. № 5.

ლებელში. ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ის დის, ბატონიშვილ ანას და დემეტრე ორბელიანის შვილიშვილის თამაზ ორბელიანის ასული, სილამაზით განთქმული ანა. ქეთევან ერისთავის (სენატორის ას) მული. თეკლა ბატონიშვილის ვაჟი ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანი თავის მემუარებში ანაზე ამბობს: „მე იმისი მსგავსი მშვენიერი ქალი არ მინახავს“.

ლუარსაბს მალე ტორმასოვის წარდგენით სახელმწიფოსგან ენიშნება პენსია 990 მანეთი, რაც ნაკარნახევი იყო ძმის დავითის სიკედილით. მისი ოჯახი (მეუღლე – მანანა, შვილები ივანე, ანასტასია და ალექსანდრე) ლუარსაბის კმაყოფაზე იყვნენ. აღნიშნული პენსია მოხსნათ 1832 წლის შეთქმულების შემდეგ, რადგანაც ლუარსაბ ორბელიანი მონაწილეობას იღებდა ამ შეთქმულებაში. საგამოძიებო კომისიამ ის III კატეგორიის დამაშავედ ცნო, თუმცა მალე სასამართლომ მას პატიმრობის ნაცვლად ადგილზე დარჩენა და მკაცრი მეთვალყურეობა გადაუწყვიტა.

1835 წელს ლუარსაბის გარდაცვალების შემდეგ მანანა და ანა ცალცალკე ოჯახებად გავიდნენ.

ლუარსაბ და ანა ორბელიანებს ჰყავდათ ორი ლამაზი ასული ელენე – ზაქარია ერისთავის მეუღლე და მარიამი – თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ნიკო ფალავანდიშვილის<sup>1</sup> – მეუღლე.

ელენე ორბელიანი ძალზე ჰაეროვანი, ფაქიზი ბუნების, თავაზიანი, მოყვარული გულის და სილამაზით გამორჩეული ქალი იყო, (იხ.სურ.) უფრო ევროპული გარეგნობის ვიდრე ქართული ან აღმოსავლური – იგონებენ მისი თანამედროვენი. ერისთავების რძალს ელენეს მარჯვენა ლოყაზე ხალი ჰქონია, რაც საქართველოში, აზიური ტრადიციების მიხედვით და ევროპისგან განსხვავებით, სილამაზის ერთ-ერთი კომპონენტი ყოფილა. ხალი რომ ევროპელებისთვის უცხო ფასეულობა ყოფილა ჩანს გრ. ორბელიანის მიერ პოლონეთიდან ძმისადმი გამოგზავნილ წერილში: „არის ტამციობა და არშიყობა, რაღა თქმა უნდა, ხომ იცი, პოლშის ქალები რა რომანტიკები არიან. ერთი ქალი საკვირველად ჰგავს ელენეს, მარჯვენა ლოყაზედაც ხალი აქვს, ავიტსკის ვკუს მე პირველმა შემოვიტანე ამათში ხალის ქება, რომელსაც დავარქვი პრესტოლ ლიონი, მაგრამ ისეთი ბაიყუში ქმარი ჰყავს, რომ რაღა გითხრა“<sup>2</sup>

ელენე ორბელიანს ქართველ არისტოკრატთა შვილების შესაფერისი სწავლა-განათლება მიუღია. ოჯახში დაწყებითი განათლების შეძენის შემდეგ სწავლა ახლად დაარსებულ ერთ-ერთ პირველ ქალთა პანსიონში გაუგრძელებია, რომელსაც ფრანგი მენარმის მეუღლე მატილდა ხელმძღვანელობდა.

იმდროინდელი თბილისის მონინავე განათლებული საზოგადოების წრეში ტრიალებს მანანა ორბელიანისა და ჭავჭავაძეების სალონის ხშირი სტუმარი ელენე იორბელიანი. მანანას თხოვნით დიმიტრი ყიფიანის მიერ შესრულებულ „რომეო და ჯულიეტას“ თარგმანის განხილვისას მიღებულ შთაბეჭდილებებზე ნიკოლოზ ბარათაშვილი 1841 წლის 21 მაისს თბილისიდან სწერს თავის ბიძას: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა. ყიფიანმა გადმოთარგმნა

1 ეს ნიკო ფალავანდიშვილი დიდი წინააღმდეგი იყო 1832 წლის შეთქმულების. სწორედ მისი დაუინებული მოთხოვნით მისმა ძმამ იასე ფალავანდიშვილმა გასცა ქართველთა შეთქმულება.

2 გრიგოლ ორბელიანი, წერილი, წიგნ. I. თბ., 1936.

„რომეო და ჯულიეტა“ შექსპირის ტრალედია და მე ვთარგმნე „იულიოს ტარენტელი“ ტრალედია ლეიზევიცისა; თუ წაგიკითხავს „ბიბლიოთეკაში“ იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მომენონა და ჩენმა განათლებულმა ქალებმა, ასე გასინჯეთ იტირეს“.<sup>1</sup>

ხელნაწერთა ცენტრის დამფუძნებელი გიორგი ლეონიძე 6. ბარათაშვილის ამ წერილის განხილვისას წერს: განათლებულ ქალებში უნდა იგულისხმებოდნენ: ნინო ჭავჭავაძე, ეკატერინე ჭავჭავაძე, მაიკო ორბელიანი, ელენე ერისთავი, მაიკო ფალავანდიშვილი, მანანა ორბელიანი, მართა ერისთავი, სოფიო ერისთავი და სხვები<sup>2</sup>. გიორგი ლეონიძე ხაზს უსვამს ელენეს ერისთავის პიროვნებას: „ელენე – ლუარსაბ ორბელიანის ასული (მაზლის შვილი მანანა ორბელიანისა), ზაქარია ერისთავის მეუღლე, ევროპულად განათლებული პიროვნება, დარბასისელი ქართველი ქალი, განთქმული თავაზიანობით და ზრდილობით“<sup>2</sup>

„XIX საუკუნის რუსული წყაროები, ამავე პერიოდის რუსი და და უცხოელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები თავიანთ ჩანაწერებში ყოველთვის მოიხსენიებენ ელენე ერისთავს, როგორც გამორჩეულ არის ტოკიატ ქალბატონს“ – აღნიშნავს მკვლევარი მერი ფოფხაძე.

ცხადია ყველა ვერ შეაქებს როგორცგინდა კარგ პიროვნებას. ასეა ელენეს შემთხვევაშიც. ვორონცოვის დივიზიის ექიმი და ორბელიანების ნათესავი<sup>3</sup> ერასტი სტეფანეს ძე ანდრეევსკი ელენეს გვიხატავს – „არცთუ შორსმხედველ, ცოტა თავქარიან, მაგრამ ძალიან კეთილ და საყვარელ ქართველ ქალად“.

საინტერესოა მ. ი. ოლშევსკის ესული შეფასება ელენე ორბელიანისა „ელენა ერისთავი, ქვრივი, იმდენად სილამაზით კი არ იყო გამორჩეული რამდენადაც თავაზიანობითა და მოყვარულობით...“.<sup>4</sup>

პოეტმა სოლომონ რაზმაძემ თავისი დროის თორმეტ ყველაზე ლამაზ ქალბატონს შესანიშნავი ოდა „დიანას ქეიფი“ მიუძღვნა. ეს ქალბატონები იყვნენ: ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, მაიკო, მანანა და სოფიო ორბელიანები, ვარვარა თუმანიშვილი, მელანია და დარია ერისთავები და სხვა. ამ ულამაზეს ქალბატონებს შორის იყვნენ ანა ორბელიანი და მისი ორი მშვენიერი ქალიშვილი ელენე და მარიამ ორბელიანები<sup>5</sup>

„ელენე იორბელიანი ხომ ის ქალი იყო, ვინც მომავალი თავისუფალი საქართველოს დროშას კერავდა ბიცოლა – მანანა ორბელიანთან ერთად. მისი მკვიდრი და იყო ცოლი იმ კაცისა, ვინც შეთქმულება გასცა (ნიკო ფალავანდიშვილი)“.<sup>6</sup>

თანამედროვეთა გადმოცემით ელენე საუცხოოდ ქარგავდა. მისთვის ეს ხელსაქმე ბიცოლა მანანას უსწავლებია. გრიგოლ ორბელიანის წერილები პირდაპირ მორგებული გასაღებია აღნიშნული ინფორმაციის საცავისა. „ელენე

1 6. ბარათაშვილი. თბ., 1939. გვ. 80.

2 ფოფხაძე მ., ელენე ორბელიანი ერისთავისა. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. 2007, № 10. გვ. 40.

3 ანდრეევსკი იყო ელენეს დეიდაშვილის, ბარბარე გიორგის ასულ თუმანიშვილის მეუღლე. ემსახურებოდა ვორონცოვს როგორც პირადი ექიმი.

4 „რუსებია სტარინა“ 1894 წ. № 81.

5 ფოფხაძე მ. – ელენე ორბელიანი ერისთავისა. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. 2007. № 10. გვ. 30.

6 ქუმბურიძე დ. ისტორიული პორტრეტები, წერილები. თბ., 2012. გვ. 246.

ჯერ კარგად მომიკითხე და მასუკან უთხარ, რომ ქისა არ მომსვლიათქო“.

„ახლა მოვედით ჩემს საყვარელ ტასიკოსთან, რატომ არ მიგზავნის ქისას ან რათ დაავიწყდათ მაგას, ელენეს და მარიამს საბნის პირი, რომლის მოქარგვაც აღმითქვეს?“<sup>1</sup>

**ელენეს გათხოვება.** ქართველი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალები ნინო, ეკატერინე და სოფიო. ერთ-ერთი მიზეზ-თაგანი ცნობადობისა სილამაზე, ზრდილობა და განათლებაა. ეს ასულები და ელენე ორბელიანი ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან. ეს უკანასკნელი როგორც მათი ნათესავი ხშირად მღეროდა ჭავჭავაძეების სალონში. სადაც დაიარებოდა სამეგრელოს თავადი დავით ლევანის ძე დადიანი, რომელიც ყმანვილობიდან დანიშნიული ყოფილა სვანეთის მთავრის ციოყ (მიხეილ) დადეშქელიანის დაზე – დარეჯანზე, ელენეს ეშხით მოხიბლულმა დავითმა უხეშად გადააბიჯა ამ ტრადიციულ ადათს და გადაწყვიტა ორბელიანების ასულის ცოლად შერთვა, რითაც ძლიერ გაამწვავა ურთიერთობა სამეგრელოსა და სვანეთის სამთავ-როთა შორის. ამ შეურაცხმყოფელი მოქმედების აღსაკვეთად საქმეში ჩაერთო კავკასიის იმდროინდელი მმართველი ბარონი როზენი. ამ უკანასკნელმა კატე-გორიულად მოსთხოვა ლუარსაბ იორბელიანს სოფელში წაეყვანა თავისი ოჯახი ქალიშვილთან ერთად. ბოლოს დიდი ძალისხმევის შედეგად დავითი ჩამოაშორეს ელენეს, მაგრამ დანიშნული დარეჯანისაკენ მას პირი აღარ უბრუნებია. ელენე ორბელიანის გათხოვებიდან სამი წლის შემდეგ, 1839 წლის 18 მაისს დავით დადიანმა ქაშვეთის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა ეკატერინე ჭავჭავაძეზე. „დედუფლად დაბადებულ“ ეკატერინეს ფერიული სიმშვენიერით საქართველო-დან პეტერბურგამდის და „პეტერბურლიდგან ისპაანამდის გაგიუებულნი იყვნენ ხალხინ“<sup>2</sup> თავდაპირველად ეკატერინე ქართლის ცნობილ თავადისშვილზე ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონზე დანიშნულა, იმხანად პეტერბურგში მყოფ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ჩასულ ივანე მუხრანბატონისთვის ჯვრისწერის ნება არ მიუცია, რის შემდეგაც გაპრაზებული მუხრანბატონი ცოლად ირთავს დავით დადიანის დას – ნინოს.

ელენე ორბელიანების ასული რძალი ხდება ქსნის ერისთავებისა. 1836 წლის 10 ივლის ზაქარია გიორგის ძე ერისთავმა და ელენემ ჯვარი დაიწერეს. მათ ჯვრისწერაზე ზაქარია ორბელიანი თბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს: „ელენე, ჩვენი ლუარსაბის ქალი, ამ თვის 10-ს, საღამოზედ 10 საათზედ, ზაქარია, გიორგი ერისთავის შვილმან შეირთო; კარგი ყმანვილი და ძალიან ნასწავლი კაცი არის; მაგრამ გამოუცდელი არის ჯერ...“.

აღნიშნული ქორნინების დიდი მონიანალმდეგე და ხელის შემშლელი დავით დადიანი 1836 წლის 20 აგვისტოს თბილისიდან წერდა თავის ძმას გრიგოლ დადი-ანს (კოლხიდელს): „კნიაზ იაგორ ევსეიჩმა, ერისთავმა, თავის შვილს ელენე მი-ტაცებით შერთო, არქიერი ჯავრობს და ამვებინებს მახლობელი ნათესაობით“.<sup>3</sup>

ზაქარია ერისთავის მამა გიორგი ერისთავი, „დიდ კნიაზად“ წოდებული, იყო

1 გრ. ორბელიანი. წერილები. თბ., 1936. ტ. I).

2 გრიგოლ ორბელიანი, წერილები. 1936 წ. ტ. I. გვ. 25.

3 ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. თბ., 1957 წ. ტ. II. გვ. 300.

რუსეთის არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო გენერალი, იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა იმპერატორის კარზე. არჩეული იყო სენატორად, მინიჭებული ჰქონდა გენერალ-ინფანტერის უმაღლესი სამხედრო წოდება. ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ქალიშვილი გაიანე. მათი შვილი ზაქარია თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული პიროვნება ყოფილა, დიდხანს ცხოვრობდა პეტერ-ბურგში, დაუმთავრებული ჰქონდა ვაჟთა კორპუსი.

ელენეს და ზაქარიას ქორნინებით კიდევ უფრო დაახლოვდნენ ისედაც ნა-თესაურ კავშირში მყოფი ორბელანები და ერისთავები. ახალგორში 6. ბარა-თაშვილის დის ეკატერინეს ქორნილის ერთ-ერთი მონანილეა ელენეც. ასევე იმავე 1844 წლის აგვისტოში ალევის სამებობის დღესასწაულშიც იღებს მონან-ილეობას ერისთავების რძალი. ამის შესახებ ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ერთ წერილში წერს: „მერე მე და მამუკა გორს გადავედით (ახალგორიდან. ვ. ქ.), იქ დაგვხვდნენ ელენე, მანანა, რომელიც ჩვენზედ ორის დღის წინათ წავ-იდა, მელანია და ბევრი სხვანი. ნათლობა ჰქონდათ ელიზბარის სახლებში... ერთის ლექსით კარგად გავატარეთ დროება, მთელი ორი კვირა...“

მე და მამა ალევობისას, რომ ამ თვის თხუთმეტს იყო, ვენევივენით კატოს. მანანა და ელენაც გარდმოვიდნენ სალოცავად. საუცხოო ჯვარობა იყო. ახალ-გორიდან თორმეტი ვერსტია...“.

ელენე ერისთავი აქტიურად მონანილეობდა გიორგი ერისთავის პიესის „გაყრის“ დადგმასთან დაკავშირებულ საკითხთა მოგვარებაში. გაზეთ „კვალის“ ინფორმაციით „რეპეტიციები იმართებოდა სენატორის, გიორგი ერისთავის შვილის სახლში (კუკიის ხიდთან)<sup>1</sup> მისი რძალი ელენე მასპინძელი იყო თეატრის მოყვარულთა, მისი ქალი ქეთევანი (მამუკა ორბელიანის მეუღლე) გამძლოლი რიგის მიმცემი, ავანჩავანი იყო მთელის ამ საქმისა“.<sup>2</sup>

ელენე ორბელიანსა და ზაქარია ერისთავს შთამომავლობა არ დარჩენი-ათ, მათ შვილიანობაზე არაფერია ცნობილი. მკვლევარი დოდო ჭუმბურიძე ამ თემას ზედაპირულად ეხება და აღნიშნავს: „მისი შვილების შესახებ ვერაფერს ვიტყვი, ეს კია, რომ ელენე ორბელიან-ერისთავს შვილები უნდა ჰყოლოდა. 1836 წლის 26 ნოემბერს გრიგოლ ორბელიანი ძმას ილია ორბელიანს ატყო-ბინებდა, რომ ელენე გათხოვდა და ორსულადაც იყო...“<sup>3</sup>

**ზაქარიას გარდაცვალება.** ელენე ორბელიანის მეუღლე ზაქარია ქსნის ერი-სთავი სახელოვანი მამის მსგავსად სამხედრო პირი იყო, ჩინით პოლკოვნიკი, რომელიც თავდადებით იბრძოდა კავკასიის მთებში დაღესტნელთა დასამორ-ჩილებლად. 1850 წელს ზაქარია ასრულებდა ჭარ-ბელქნის მაზრის უფროსის თანამდებობას. ლეკეთ-კახეთის ხაზის მაშინდელმა უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა გენერალმა ბეგლარდაც ათვალწუნებ-

1 დაქვრივებამდე და მას მერეც ელენე ირბელიანი ერისთავისა ცხოვრობდა ორბელიანების უბანში, ატლანტებიან სახლში, სასტუმრო „გრანდ ოტელის გვერდით“. ამჟამინდელი ათონელის ქ. № 31. მისი სახლის აივანი მტკვარს გადაჰყურებდა, კუკიის ხიდის ყურთან. დღევანდელი მშ-რალი ხიდის მარჯვენა ყური. სადაც 1936 წლამდე მოედინებოდა მტკვრის ერთი ტოტი.

2 მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მოგონებები. XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი, ზაზა აპ-ზიანიძის რედაქტორობით. თბ., 2003.

3 ჭუმბურიძე დ. ისტორიული პორტრეტები, წერილები. თბ., 2012. გვ. 240.

ული ზაქარია უმიზეზოდ მოხსნა მაზრის უფროსობიდან. უკმაყოფილო ზაქარია 8 აგვისტოს ვორონცოვთან შესახვედრად და სიმართლის გასარკვევად თბილისს გამოემგზავრა. ალაზნის პირთან სადგურ მუდანლოსთან მას თავს დაესხნენ ყაჩაღები და ერისთავი მოკლეს. მისი დასახიჩრებული გვამი თანამებრძოლებმა დაიბრუნეს და თბილისში გადმოასვენეს.

ამ მკვლელობამ დედაქალაქის საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა და ჭორების აგორება გამოიწვია. ეჭვობდნენ რომ ეს მკვლელობა წინასწარ დაგეგმილი სცენარით გათამაშდა. თუმც იმდროინდელი კავკასიის ისტორიის შემქმნელი ზესერმანი ირწმუნებოდა, რომ მკვლელობა შემთხვევითი ყაჩაღობის შედეგი იყო.

მაშინდელი საზოგადოების ნაწილი კი ფიქრობდა, რომ აღნიშნული საქმის ირგვლივ სიმართლე ბოლომდე გაუხსნელი დარჩა. ვორონცოვმა გენერალი ბეგლარდი იმით დასაჯა, რომ კავკასიიდან გაიწვია, ხოლო სასამართლო ორგანოებს ობიექტური გამოძიება დაავალა. იმ ხანად ფრონტზე მყოფი გრიგოლ ორბელინი დიდი გულისტკივილით ეხება ზაქარიას მკვლელობის მძიმე ფაქტს: „ზაქარია ერისთავის სიკუდილი ეხლა შევიტყე: აქამდის მიმალავდნენ. ოჟ, რა ძლიერ შემაწუხა ამ ამბავმა! საბრალო მოხუცი მამა მისი! აქამდის იმიტომ იცოცხლა, რომ უკანასკნელი იმედი თავისი დამარხოს თავისი ხელით. საბრალო ელენე! ამოიფხვრა ეგ ოჯახიცა!“.<sup>1</sup>

ზაქარიას სიკუდილით გულდათუთქულმა მამამ – გიორგიმ დაწერა ლექსი „გიორგი კნიაზისგან თქმული თავის შვილ ზაქარიაზედ“, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „დაკვარგე ფერითა მდიდრით შემკული, ვტირ, მიმეფარა. . .“<sup>2</sup> 37 წლის ზაქარია ერისთავი იკორთაში ქსნის ერისთავიანთ საგვარეულო საძვალეში დაკრძალეს. მას შემდეგ დაკვრივებულმა ელენემ კიდევ 38 წელი იცოცხლა.

XIX საუკუნის ულამაზეს ქართველ ქალთა პორტრეტები შექმნა და შემოუნახა მომავალ თაობებს გრიგოლ გაგარინმა. მათ შორისაა მანანა და მაიკო ორბელიანების, მარიამ ფალაგანდიშვილისა და მართა სოლოლაშვილის ფერწერული ტილოები. არის მოსაზრება, რომ არსებობდა ელენე ერისთავის გაგარინისეული სურათიც, თუმცა მას ჩვენ ჯერ ვერ მივაკვლიეთ. ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცულია რუსი სამხედრო მხატვრის პლატონ ჩელიშვილის მიერ ფანქრით შესრულებული ელენე ერისთავის პორტრეტი.

## ელენე ორბელიანის ურთიერთობა მიხეილ ვორონცოვთან

მთელს რუსეთში სახელგანთქმული ოჯახის წარმომადგენლის მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის მეფისინაცვლის რანგში კავკასიაში და კერძოდ საქართველოში მოღვაწეობა უნებლიერ გაღებულ წყალობად შეიძლება მივიჩნიოთ შოვინისტური რუსეთის საიმპერატორო კარისაგან. საქართველოში ვორონცოვის პოლიტიკურ-დიპლომატიური მოღვაწეობა არაერთგვაროვნად ფასდებოდა და ფასდება დღემდე. ვინც მის ღვაწლს ადიდებს და აფასებს ძალაუნებურად ენი-

1 გრ. ორბელიანი. წერილები. ტ. I. თბ., 1936 წ.

2 საქართველოს ხელნაწერთა სახელმწიფო ფონდი. ც-27. ფურც. 16.

ნააღმდეგება იმ ადამიანების ჯგუფს, რომლებიც თვლიან ვორონცოვს რუსეთის იმპერიული ინტერესების მოხერხებულ გამტარებლად. ამ აზრს ამყარებს მეფისნაცვლის მოღვაწეობის დასასრულს 1855 წელს იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი საქართველოდან გაგზავნილი მისი პატაკი:

„მე გულმოდგინედ შევასრულე ყველა თქვენი დავალება იმისათვის, რომ მომხდარიყო მრავალეროვნული კავკასიის შერწყმა და შესისლხორცება რუსეთანა:“<sup>1</sup>

XIX საუკუნის საქართველოს მონინავე საზოგადოების ერთი ნაწილის სახელით მეფე ერეკლე II-ის შვილიშვილმა ალექსანდრე ორბელიანმა (1801-1868) ერთგვარი ანალიზი გაუკეთა საქართველოში მ. ვორონცოვის მოღვაწეობას: „დრო ვორონცოვისა საქართველოში... სულ სხვაგვარი მოსატყუებელი დრო იყო ჩვენი ვარაცოვისაგან. ბევრის კაიკაცობის ალერსითა მითომ კაიკაცობას გვიჩვენებდა... ამასთან ხელგაშლილი ჩინებს და სხვა ჯილდოებს იძლეოდა, თან ბევრი შექცევა და განცხრობა ჰქონდა ხოლმე... ქართველებს ასე ეგონათ, საქართველოში ეს ამბავი ასე დარჩებოდა. ჯილდოები, განცხრომა-შექცევანი, თეატრ-ლიტერატურობა, თავისუფლებანი და ამიტომ ვორონცოვის სახელს ადიდებდნენ – ეს რა ღვთიური კაცი მოგვივიდა...“<sup>2</sup>

ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ ორბელიანისეული შეფასება არასრულფასოვანია იმ რეალური ცხოვრებისა, რომლისნაირი პირობები უკეთესი ცხოვრებისათვის არ შეუქმნია არავის, არც ვორონცოვამდე და არც მის შემდგომ.

ქართველ თავადაზნაურთა ოჯახები, რომლებიც ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდნენ და მომავალშიც უზრუნველ ყოფაზე ფიქრობდნენ, გამოხატავდნენ სურვილს, რომ თავიანთი ქალიშვილები მიეთხოვებინათ რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოხელეებისათვის, რაშიც ხელს უწყობდა სალონური ცხოვრება. იმ დროებისთვის სალონებში – „ინასკვებოდა სასიყვარულო ურთიერთობები და იქმნებოდა ქართულ-რუსული ოჯახები, ქართველი ქალები ლამაზები და კარგი ცხოვრების მოყვარულნი, ბედის გახსნად მიიჩნევდნენ რუსი ოფიცირების სიმპატიებს და იმ რუსულ პენსია-აგარაკებს, რაც ამრავალფეროვნებდა და მატერიალურად აძლიერებდა ახალშექმნილ შერეულ ოჯახებს“<sup>3</sup>.

მონინავე ქართველთა ზოგიერთ წრეებში მუსირებდა აზრი, რომ მეფის-ნაცვალ ვორონცოვის ლიბერალიზმის ხანა საქართველოში იყო შავგბნელი პერიოდი, რომ სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა ჩვენი ეროვნული სულის სრული მოდრეკა და დაჩრიქება. პოლიტიკურად ქართველი ხალხის მონინავე ნაწილი გატყდა წელში, ქედი მოიხარა და ამბორი დაუწყო იმ ხელს, რომელიც მას რუსული „ენუტით“ (მათრახით) უჭრელებდა ზურგს.

ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ ქართული ეროვნული სულის მოდრეკა და დაჩრიქება ვორონცოვის ათწლიანი მმართველობისას კი არ მოხდა არამედ მანამდე, წინა 45 წლის მანძილზე. რიგი ანტირუსული, ეროვნული გამოსვლების, შეთქმულებების, აჯანყებების, ამბოხებების სისხლში ჩახმობით. ქართული სულის მოდრეკის სანიმუშო მაგალითი აჩვენა თავმოყვარეობადაკარგულმა

1 კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, X. 1885-369.

2 XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი. ზ. აბზიანიძის რედაქტორობით. თბ., 2009. გვ.49.

3 თ., გვ.10. ჭუმბურიძე დ. ისტორიული პორტრეტები, წერილები. თბ., 2012. გვ.239.

ქართველმა თავადაზნაურობამ, 1837 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩამობრძანებულ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის პატივსაცემად მოწყობილი ბალის ღამესა, იმპერატორს რამდენიმე საათიანი ტკბობისთვის, როგორც მხეცს სუსტი არსება ისე მიუგდეს ულამაზესი მაიკო ორბელიანი.

მიხეილ ვორონცოვმა საქართველოში თავისი მოღვაწეობის პერიოდში არტახებში მოაქცია აზიური კარჩაკეტილობა, ჩამორჩენილობა, გაუნათლებლობა. ხოლო საქართველოდან მისი წასვლით კვლავ შეეხსნა არტახები არაკულტურულ, დაბეჩავებულ ყოფა-ცხოვრებას. სხვათაშორის მიხეილის მამა – სიმონი და ბიძა, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი და დაპლომატები ენინააღმდეგებოდნენ რუსეთის იმპერიასთან საქართველოს შეერთების იდეას.

ორი ლამაზი, მომხიბვლელი ქართველი არისტოკრატი ქალი, რომელთა ტყვეობაშიც ნებით თუ უნებლიერ ამყოფებდა თავის თავს მიხეილ ვორონცოვი იყვნენ ბიცოლა-მაზლიმვილი. პირველი ორბელიანების რძალი მანანა ერისთავი და მეორე ერისთავების რძალი ელენე ორბელიანი. მათ შორის ასაკობრივი სხვაობა 7 წელზე მეტი არ იყო. ეს ორი ულამაზესი ქალი იყო მეფისნაცვლის ყველაზე ახლოს მდგომნი. ჩვენ მეტ-ნაკლებად გავაძუქეთ მანანასა და ვორონცოვის ურთიერთობანი, ანალოგიური ინტერესი იჩენს თავს ელენესა და ვორონცოვს შორის.

საქართველოში მოღვაწე რუსი მოხელეების მოგონებებიდან (ვორონცოვის პირადი ექიმის ე. ანდრეევსკის, მ. ვოლშევსკის, ა. ხარიტონოვის, ბ. ტორნაუს და სხვა) ირკვევა, რომ კავკასიის მეფისნაცვალისათვის – მიხეილ ვორონცოვისათვის მხოლოდ ელენე ყოფილა ნამდვილი გატაცების საგანი და უკანასკნელი სასიყვარულო ისტორიის გმირი, „თუმცა ეს სიყვარული უფრო რომანტიკული ოცნების სამყაროში დარჩა და მისი რეალური განხორციელება რომანის გმირებს ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, არ უცდიათ. ამის მიზეზი მარტო ასაკოვანი და უკვე ჯანმრთელობაშერყეული რუსი მოხელის მდგომარეობა კი არა, ელენე ორბელიანის ქართული ბუნება და უჩვეულო კდემამოსილება იყო...“<sup>1</sup>

ყველა ქართველ ქალს ეამაყებოდა რუსი მეფისნაცვლის გამორჩეული ყურადღება და ალბათ სამაგირო ფლირტსაც არ ერიდებოდნენ. ვორონცოვის თავმოყვარებასაც ასეთი დამოკიდებულება თვითკმაყოფილებასა და ბედნიერების განცდას ანიჭებდა. ელენე ორბელიანისა და ვორონცოვის ახლო, არა ფიზიკურ, ურთიერთობაზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ექიმი ერასტი სტეფანეს ძე ანდრეევსკი. რითაც მკითხველი შეძლებს გაერკვას ამ ორი პიროვნების ურთიერთობაში.

1865 წლის 25 მარტს ქართველმა თავადაზნაურობამ თავიანთი სახსრებით ძეგლი დაუდგა მიხეილ ვორონცოვს.<sup>2</sup>

ეს მოვლენა აღნერა ორბელიანების სიძემ ერასტი სტეფანეს ძე ანდრეევს-

1 ჭუმბურიძე დ. ისტორიული პორტრეტები, წერილები. თბ., 2012. გვ.241.

2 კავკასიის მეფისნაცვალისადმი ქართველი ხალხის მაღლიერება ლექსის მიძღვნით გამოხატასოფ. ქვეში მცხოვრებმა ივანე ერისთავის (ფილოსოფოსი) ქალშევილმა – ეკატერინემ. ლექსში – „ვორონცოვის ძეგლსა“ პოეტი ქალი მოხიბლულია იმ პიროვნებით, „ვინც სასარგებლოდ ჩვენის ქვეყნის იყო მშრომელი“, და ქება-დიდებას უძღვნის განსვენებულს. „კაცსა ჩინებულს თვისებითა სწორუპოვარსა, / მშვიდსა, მდაბალსა, მართლმსაჯულსა, უხვს – ლმობიერსა, / დაჩაგრულო მფარველს, მოწყვალესა და სახიერსა“.

კიმ. ამ ამბების აღწერისას ის საუბრობს ზაქარია ერისთავის ქვრივზე – ელენეზე: „ელენე დაპატიჟებულ სტუმრებს შორის იყო. ზეიმი სადილითა და მუშტაიდის ბალში გამართული საღამოთი დასრულდა. წარმომიდგენია ამ ზეიმმა რა მოგონებები გააღვიძია არცთუ შორსმხედველი, ცოტა თავქარიანი მაგრამ ძალიან კეთილი და საყვარელი ქართველი ქალის სულში. ვორონცოვს უყვარდა ელენე. მაგრამ უყვარდა თავისებურად, და ეს თავისებური სიყვარული ძალზე უმანკო იყო. ასეც ხდებოდა: მეფისნაცვალი მოვიდოდა ხოლმე მასთან სადილობამდე ცოტა ადრე ცხენით, ცხენებს სახლში გააგზავნიდა და ელენესთან საათობით იჯდა, მერე სახლში ფეხით ბრუნდებოდა....<sup>1</sup>

ელენე ლუარსაბის ასულ ერისთავის პორტრეტისათვის ასევე საინტერესო შტრიხებად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოში მოღვაწე რუსი მოხელის მ. ი. ოლშევსკის ჩანაწერები: „ერთი მოხუცი არის სტოკრატი ისეთი გატაცებით ეთაყვანებოდა მას, (ელენეს. ვ. ქ.) რომ საათობით მის გვერდით მყოფს, საკუთარი ღირსებაც ავიწყდებოდა და მხარის საქმეებიც. მაგრამ ქალის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას გულთამპყობელის სიყვარულითა და ნდობით ბოროტად არასდროს უსარგებლია....<sup>2</sup>

ერთობ გულწრფელ და სანდო ინფორმაციას იძლევა მეფისნაცვლის პირადი ექიმი ანდრეევსკი ჩვენთვის საინტერესო არის სტოკრატების ურთიერთდამოკიდებულების დეტალებზე. „დილიდან გზავნიდა თაიგულებსა და ტკბილეულს, ხანდახან რაიმე მცირე, უფრო ძვირადღირებულ საჩუქარს. როდესაც ჯდებოდა მასთან სათამაშოდ და კნიაგინა ელენეს არ უმართლებდა საკუთარ ცოლსა და თავის თავს მოპარავდა ფიქას და ჩუმად შეაპარებდა ელენეს და ა. შ.... სხვათაშორის ეს ღირსეული, მისი სქესისათვის დამახასიათებელი ანგარების გარეშე ხდებოდა. ის არაფერს ითხოვდა ქალისაგან. დიდი, დიდი, თავადს საკუთარი თავისთვის კნიაგინა ელენას ხელზე კოცნის უფლება მიეცა. ალდგომა დღეს კი, უჩუმრად, რუსული ჩვეულებისამებრ სამჯერ ეამბორებოდა ხოლმე. სხვა ყველაფერში მათი ურთიერთობა უმნიკვლო იყო, ყოველ შემთხვევაში სრულიად უცოდველი. ის არც ახალგაზრდობაში ყოფილა დიდი მექალთანე, <sup>3</sup> ასაკში შესვლის შემდეგ კი, მითუმეტეს....<sup>4</sup>

XIX საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული ყველა რუსი სახელმწიფო თუ სამხედრო მოხელე ვისაც კი თბილისში უმსახურია, მეტნაკლებად შეეხო და თავის მემუარებში აღწერა მიხეილ ვორონცოვის ურთიერთობები მისი პერიოდის სილამაზით ცნობილ არის სტოკრატ ქალებთან. ჩვენი თანამემამულეთაგან ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავის მოგონება ეხება უკვე ხანდაზმულ ელენე

1 კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები. X. 1885.

2 თ., გვ. 13. რუსკაია სტარინა, ივნისი, 1894. №81.

3 ვორონცოვმა 1819 წ. იქორნინა ელიზავეტა ბრანიცკაიაზე. საფრანგეთში ოთხნლიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ მიხეილი იმპერატორმა გამოიძახა და ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენ. გუბერნატორობა ჩააბარა. აგრეთვე კიშინოვიდან ოდესაში გადავიდა პოეტი ალ. პუშკინი და მაღლ მთელი იქაური საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მისი დიდი გატაცება ვორონცოვის ცოლით. მოწონება არცთუ ცალმხრივი იყო. გენერალ-გუბერნატორსა და პოეტს შორის მეგობრობა მტრობით შეიცვალა. იმპერატორისადმი ვორონცოვის მრავალგზის თხოვნის შემდეგ პუშკინი მშობლიურ მიხაილოვსკოეში გაამწესეს, რის შემდეგაც ოჯახური უთანხმოება ვორონცოვებში მოგვარდა.

4 ჭუმბურიძე დ. ისტორიული პორტრეტები, წერილები. თბ., 2012. გვ. 249.

ერისთავის ცხოვრებას რომელსაც ელისაბედი მოხსენიებს როგორც ვორონულის პასიას. საინტერესოა რა დატვირთვით იხმარა ელისაბედმა სიტყვა „პასია“?!.. თუმც როგორც ანდრევსის მიერ დატოვებული ჩანაწერებიდან ვიცით „თავადმა მიხეილ სიმონის ძემ თავისი ანდერძით ელენეს არაფერი დაუტოვა“. ანდერძით რაიმეს დატოვებას და გასაჯაროვებას, ცხადია მოერიდებოდა ვორონული. სავარაუდოდ ის თავის სათავეანებელ ქართველ ქალბატონს სოლი-დურ თანხას ან სხვა რაიმე ძვირფასეულობას დაუტოვებდა. და ეს თუ ასე იყო დიდი ალბათობით ეცოდინებოდა ლამისყანელ მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს, მითუმეტეს ელენე მისი დედამთილის ნათესავი და დიდი მეგობარი ყოფილა. სავარაუდოდ ამ ინფორმაციის საფუძველზე ნახევარი საუკუნის შემდეგ უნდა გაეკეთებინა ჩანაწერი „პასიას“ თაობაზე.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი თავის „მოგონებებში“ იხსენებს თავისი ქმრის ალექსანდრე თორნიკეს ძე ორბელიანის ოჯახის წევრთა მოგზაურობიდან დაბრუნების შემდგომ პერიოდს და აღნიშნავს: „ჩვენს დაბრუნებისთანავე ჩემმა დედამთილმა მოიკითხა თავისი ნათესავები... ინახულა აგრეთვე თავისი საყვარელი მეგობარი ელენე ერისთავისა, რომელიც მეც ძლიან მიყვარდა. იგი ჩვენი დიდი ხნის მეგობარი იყო და ხშირად დავდიოდით მათ სახლში. ძალიან მიყვარდა ყოფნა ამ საუცხოვო მოხუცთან. ჩემს დედამთილს ევროპულად ეცვა, ხოლო მისი მეგობარი ქართული გემოვნებით შეკერილ კაბას ატარებდა. ისინი სულ ალერსიანნი იყვნენ, სულიერი სილამაზის პატრონნი, რაც ნათლად ეტყობოდათ მათ ტკბილ სახეებზე. ელენე ერისთავს, როგორც ამბობდნენ, ვორონული დაჩრიელი უნახავს მის ფეხებთან, მაგრამ იმდენად სათნო ყოფილა, რომ არავის სმენია, რომ მისი სახელი ოდნავადაც შებდალულიყო. დარბაზში ერთერთ მაგიდაზე თავისი თაყვანისმცემელი ვორონცოვის სურათი ედგა, ფერადი წამლებით დახატული“.<sup>1</sup>


საქართველოს არისტოკრატ, ლამაზ ქალებზე შემონახული მასალები, რომებიც კი ოდესამე დაუწერიათ რუს მოღვაწეებს სხვა დანარჩენ წყაროებზე უფრო მეტად სანდოს და შეულამაზებელ ინფორმაციას უნდა წარმოადგენდეს მკვლევარებისათვის, გამომდინარე ქართველებისადმი მათი მოურიდებელი, უპატივცემულო და შოვინისტური დამოკიდებულებიდან.

ელენე ერისთავი, ისევე როგორც სხვა არისტოკრატი ქალბატონები, აქტიურად იყო ჩართული კავკასიის ყველაზე ცივილური ქალაქის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. იგი იყო ქართული კულტურისა და ტრადიციების დიდი მოყვარული და მოამაგე ქალბატონი. ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავის, დიმიტრი ყიფიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, მანანა ორბელიანისა და ქართული კულტურის სხვა მოამაგე ცნობილ ადამიანთა თანამდგომი და მეგობარი. 1879 წელს „კავკასიის კალენდრის“ ცნობით ის საქველმოქმედო საქმიანობით ყოფილა დაკავებული, ხოლო მისი ფავორიტი მეფის საცვალი – ვორონცოვი, რომლის პოლიტიკის საყრდენი გახდა ქართული არისტოკრატია, უბრალო რუსი გენერალი კი არა, ევროპული მაშტაბის მოაზროვნე იყო, უგანათლებულესი და უბრნყინვალესი რაფინირებული ინტელი-


<sup>1</sup> მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მოგონებები. XIX ს. ქართველი მოღვაწენი. თბ., 2009. ზ. აბზიანიძის რედაქტორობით.

გენტი – თავადი.


შეიძლება თამამად ითქვას, რომ მ. ვორონცოვი იყო რუსული დამპყრობლური პოლიტიკის გამტარებელი, ყველაზე ჭკვიანი სახელმწიფო მოღვაწე კავკასიაში. მისმა ასეთმა სტრატეგიამ შეაძლებინა რუსეთს სრულიად დაეპყრო თავისუფლების მოყვარე კავკასია კავკასიელების დახმარებით.



## ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანის გენეალოგია



## ზაქარია გიორგის ძე ერისთავის გენეალოგია



## ანა გრიგოლის ასული პეჩუთოვა-ერისთავისა

(1839-1918)

XIX საუკუნეში საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილს სომხები წარმოადგენდნენ, რომელთაც ხელთ ეპყრათ სავაჭრო სადაცები. ცხადია ქვეყნის კაპიტალსაც მათი მოქნილი და განაფული ხელი გააკონტროლებდა. ამის პარალელურად ქეიფსა და დროსტარებაში გართული ქართველი არისტოკრატია ნელ-ნელა თმობდა ფინანსურ პოზიციებს, რის დაფარვასაც ისინი არაქართველ ქალებზე ქორწინებით ცდილობდნენ. თანადროულად სომებმა ვაჭრებმა საამაყოდ გაიხადეს ქართველ არისტოკრატიულ ოჯახებთან დამოყვრება. აღნიშნულ პროცესს ხელს უწყობდა ერთის მხრივ დიდგვაროვან ქართველთა გალარიბება, მეორეს მხრივ დაბალი წრის სომეხთა გამდიდრება.

სოციალურ ფენებს შორის შექმნილი ვითარებით ნაკარნახევი ჩანს თბილისელი სომები დიდვაჭრის ასულის ანა ბებუთოვასა და ქსნისხეობელი თავადის დავით ერისთავის შეუღლება. გულწრფელ, სამოყვრო-სანათესაო ხასიათის ქორწინების უკან იმაღება ანგარება, რომლის დასანახად კარგი იქნება თუ გადავხედავთ მათ საოჯახო ისტორიას.

ახლაგორში მცხოვრებ ლუარსაბ გიორგის (ყულარალასის) ძე ერისთავის უმცროსი ვაჟი დავითი ფიცხი და ზვიადი ბუნების ბავშვი ყოფილა. ძმების დიდი მოსიყვარულე და შემდგომ როგორც ჩვენი დიდი პოეტი ნიკ. ბარათაშვილი ამბობდა ძმის რევაზის ცოლის ეკატერინე მელიტონის ასულის „ნებივრობაზე მოფიქრალი“.

დავითი 31-32 წლის ასაკში დაქორწინდა თავისავე ბიძაშვილზე გიორგის (გლუხხარიში) მამის ძმის შალვას ქალიშვილ სალომეზე. მათი პირველი შვილი პაპის მოსახელე – შალვა ორი წლის ასაკში გარდაცვალა, მომდევნო ქალიშვილი მარიამი (მაშო) 1851 წელს შეეძინათ. მესამე ბავშვის მშობიარობას გადაჰყება სალომე. ოთხი წლის შემდეგ 1858 წ. დავითმა მეორედ იქორწინა ანა გრიგოლის ასულ ბებუთოვაზე მათ შეუღლებაზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ტასო ციციშვილის უმცროსი ძმა ივანე, რომლის მოგონებები მომანოდა ქალბატონმა თამარ აშხაცავამ (ივ. ციციშვილის მოგონებები ინახება საქ. სახელმწიფო ლიტ. მუზეუმში 7473/4).

„ჩემი სიძის (ნიკოლოზ დავითის ძე. ვ. ქ.) დედა ანა გრიგოლ ბებუთაშვილის ასული დავითის მეორე ცოლი იყო. დავითს პირველ ცოლად ისევე ერისთავის

ქალი ჰყავდა. ლამაზი და მზითვიანი. ამასთან ქალ-ვაჟი, რომლებიც ჩემს დროს ცოცხლები აღარ იყვნენ. რომ დაქვრივდა ურჩიეს გრიგოლ ბებუთაშვილის ქალის ანას შერთვა. დათანხმდა, მხოლოდ მაჩვენეოთ. აჩვენეს თეატრში. არ მოეწონა და სოფლად გაიპარა. რადგან ეს ამბავი გახმიანდა გრიგოლს ძან ეწყინა და ნიკო ამილახვრის (შემდეგ გენერალ-ადიუტანტის) დედა (დავითის და) ანასტასია დაიბარა. ამას გრიგოლისა კარგა დიდი ფული ემართა და უთხრა: „თქვენმა ძმამ ქვეყანაში თავი მომჭრაო და მეც არ დაგზოგავთო“. ესეც აიჭრა ახალგორს და იქვე აივანზე შეუტია ძმას: „როგორ! ახალგაზრდას, განათლებულს, მუსიკოსს და შენ ბებერი სწუნობო!“ დაითანხმა და კიდეც შერთო – დავითი ანაზე 25 წლით უფროსი ყოფილა.

ცნობილია რომ ახალგორის სასახლე XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხანძარმა სერიოზულად დააზიანა. მას შემდეგ მისი საფუძვლიანი შეკეთება ვერავინ მოახერხა და აი, ერისთავების რძალს ანა გრიგოლის ასულს, როგორც ელისაბედ ერისთავი იგონებს თამარის ნათქვამს „მამა ჩემმა დავითმა, რომ შეირთო დედაჩემი, ანა ბებუთოვისა პატარძალს დიდი მზითვი მოჰყვა როგორც ნივთიერად ისე ფულათ და ეს უკანასკნელი მოანდომა სახლის შეკეთებას....“<sup>1</sup> სასახლის საფუძვლიანი შეკეთება და ევროპული სტილით მეორე სართულის დაშენება XIX საუკუნის 60-იან წლებში უნდა მომხდარიყო.

დავითსა და ანას რვა შვილი შეეძინათ. სამი ვაჟი: გრიგოლი, ნიკოლოზი (კოლა, იგივე (ცუნცულა), გიორგი (შინაურობაში უორჟიკა) და ხუთი ქალი: ნინო, მარიამი, დარია სოფიო, ელისაბედი და მისი გარდაცვალების შემდეგ 1870 წელს კვლავ ელისაბედი დაიბადა. რვა შვილიდან ზრდასრულობამდე ხუთმა მიაღწია, მათ შორის ვაჟებიდან ნიკოლოზმა და უმცროსმა უორჟიკამ. რომელთაც შექმნეს თავ-თავიანთი ოჯახები და დაზარდეს შვილები.

დავით ლუარსაბის ძე ერისთავი გადმოცემის თანახმად ყოფილა ამაყი, მკაცრი და შეუბრალებელი ბატონი. მასზე ზეპირი გადმოცემები თუ შეიძლება, რომ ვინმემ გაზვიადებულად მიიჩნიოს ივ. ციციშვილის მიერ რეალურად აღნერილ დავითის ახირებულ ხასიათსა და სიმკაცრეში ეჭვს ვერავინ შეიტანს. კოლას (ცუნცულას) მოყვარე ივანე იგონებს: „თვით დავითი საშინელი დესპოტი ხასიათისა იყო. მისი გალავნის გასწვრივ ქსნის პირის გზა არის ახალგორიდან ტფილის მიმავალი. ქვეითი მგზავრი ამ გზაზე არ ჩანს, რადგან გალავნის კედელი ფარავს მას, ხოლო ცხენოსნის მხრები და თავი გალავანს აცილებული მაღლა აივნიდან ჩანს. დავითს ახალგორელი ვაჭრები საშინლად სძაგდა და უბრძანა: „ჩემი ხილნის წინ დაკუზულები იარეთო, რომ არ დაგინახოთ“. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიჭებს გზავნიდა და აცემინებდა. ვაჭრებმა ამაზე გუბერნატორთან იჩივლეს. მგონი ორლოვთან თუ ორლოვსკისთან.

ერთ ბნელ ლამეს გუბერნატორი მოადგა დავითის კარებს. გუბერნატორი

1 ახალგორის სასახლის ხანძარზე თითქმის არაფერია ცნობილი, თუ როდის და რა ვითარებაში გაჩნდა. ელისაბედ ერისთავის თქმით, სასახლე დავითის მამის ლუარსაბის სიცოცხლეში დამტკიცა. ინფორმატორს ელისაბედისათვის უთქვამს: „მე მახსოვე თუ როგორ ცხოვრობდა კვამლით შემჭვარტლულ დაბალ სართულზე მოხუცი ლუარსაბი-ო“. მიუთითებენ რომ გიორგი ყულარალასის ვაჟი – ლუარსაბი გარდაიცვალა 1817 წელს. გამოდის, რომ გადამწვარი სასახლე ახალგორში არანაკლებ 52 წელი იდგა და შიგ 59 წლამდე მიღწეული „მოხუცი“ ლუარსაბი ცხოვრობდა.

ციხეს რომ მოადგა ატყუდა ძალლების ყეფა. როცა გაიგეს რაშია საქმე დავითმა ბიჭები ჩაგზავნა. მათ ალაყაფის კარები გააღეს და გუბერნატორი მაღალ კიბებზე მაშელებით ამოაცილეს. იმ ღამეს საუკეთესო ვაშშით გაუმასპინძლდნენ. გუბერნატორი ოჯახის ნიჭიერებამ და გულუხვობამ მთლად მოხიბლა.

მეორე დღეს, ჩაის შემდეგ აივანზე რომ გავიდნენ, გუბერნატორს მოახსენეს, რომ ახალგორის ვაჭართა დეპუტაცია გეახლათო. მართლაც კარი გაიღო და ერთი ხუთი კაცი შემოვიდა. ამათ თავისი საჩივარი კვლავ გაიმეორეს, რომ გაათავეს გუბერნატორმა მიმართა მათ: „დაბრუნდით ოჯახებში და ბატონ დავითს მე თვითონ მოველაპარაკებიო“, ხოლო ესენი რომ გავიდნენ სიცილით მიუბრუნდა დავითს და უთხრა: „მართლაც, ვინც ამ აივანზე ზის მას არ შეუძლიან არ ბრძანებლობდესო“. ასე გადაჭრა სამართალი ხელმწიფის დიდმა მოხელემ. „შემდეგ განაგრძობს ივანე: „დავითი საშინელი ეჭვიანი ყოფილა. ამბობდნენ სხვაგან რომ მიდიოდა ციხეს (ციტადელს) კეტავდაო და გარშემონაცარს აყრევინებდაო, რათა ცოლი უმისოდ გარეთ არ გასულიყო.“

დავითის უფროსი ვაჟი ნიკოლოზი – კოლა (დაიბ. 1865 წ. სოფ. ახალგორში). თავის მოგონებაში აღნიშნავს მამის – დავით ლუარსაბის ძის უარყოფით მხარეს და მას „ძველი დროის კაცს უწოდებს“.


„მე დავიბადე მდიდრულ ფეოდალურ ოჯახში. დედა მყავდა სომეხი ბებუთაანთ ქალი. ჯერ კიდევ 8 წლისა ვიყავი როდესაც ქალაქს ჩამომიყვანეს და სწავლა დამაწყებინეს“... დაახლოებით 1875 წელს დავითი და ანა მთელი თავისი ოჯახით გადმოდიან თბილისში, 1879-80 წლებში კოლა ერისთავი თამაშობს ქართული თეატრის დაში, რომელთან ერთად ის გადადის სომეხი ვაჭრის არწრუნის მიერ აშენებულ კერძო თეატრში. იქ დადგმულ თითქმის ყველა სპექტაკლში იღებს მონაწილეობას. სწორედ ამ პერიოდის ქართულ თეატრთან დავითის დამოკიდებულებას იხსენებს ხანში შესული ყოფილი თეატრალი – კოლა ერისთავი.

„..... მამაჩემს როგორც ძველი დროის კაცს და სულ სხვანაირად აღზრდილს არ მოსწონდა თეატრი. არ დადიოდა, რადგან თეატრი გარყვნილობის ბუდედ მიაჩნდა. არ იცოდა რომ მისი შვილი ამ ბუდეში იღებდა მონაწილეობას. იმ დროს გლეხის როლებს სოფრომ მგალობლიშვილი ასრულებდა და კარგადაც ასრულებდა. ერთხელ ერთ საღამოს, როდესაც მამა ჩემი კარგ გუნებაზე იყო უთხარი წამობრძანდით ქართულ თეატრში მეთქი. შემომიტია: იქ რა მინდა. გადაიყრიან ფეხილს თავზე და ვინ იცის რაებს არა სჩადიანო. მე კიდე გავპედე და უთხარი: აბა ნახეთ სოფრომ მგალობლიშვილი რა საუცხოვოთ თამაშობს გლეხების როლს მეთქი. ამაზე მიპასუხა: არა მამა უცხონდა პრინცებს ითამაშებსო. მე ვისარგებლე მისი კარგი გუნებით და უთხარი: მამა ხვალ ლოჟა მაქვს აღებული თეატრში, კარგი წარმოდგენაა ვასო აბაშიძე თამაშობს და თუ გიყვარდე წამოდი მეთქი. ჩემდა გასაკვირველად მიპასუხა: კარგით, მხოლოდ ლოჟა დახურული იყოსო – ღია ლოჟაში არ დავჯდებიო“.

თეატრში მართლაც წაბრძანებულა კოლას მამა – დავითი, სპექტაკლს წარმატებით ჩაუვლია და სახლში მისულ მამა-შვილს შორის შემდეგი დიალოგი გამართულა: „მამა ჩემო როგორ მოგეწონათ წარმოდგენა? – მეთქი . არ შემომხედა, მხოლოდ მიპასუხა: იფ, იფ, ძალიან კარგი იყო. მამას გიხსენებდნენ

და მეც იქ ვიდექი და მთელი ხალხი მე შემომცეკეროდა. მაგისთვის წამიყვანეო. ასე გათავდა მამაჩემის პირველი დებიუტი ქართულ თეატრში. არ განვლო ხან-მა და თვითონ შემეკითხა: კოლა, ლოჟა აღარ გაქვს თეატრშიო?. მაქვს – მეთქი და მიუტანე ლოჟა. წამოვიდა. მამაჩემი მერე ხშირი სტუმარი გახდა ქართული თეატრისა....“

დავით ერისთავის გარდაცვალების შემდეგ მასზე 25 წლით უმცროსმა ანა ბებუთოვამ კიდევ 28 წელი იცოცხლა და გარდაიცვალა 1918 წელს. იგი ახალ-გორში ერისთავების სასახლის კარის ეკლესიაში, მეუღლის გვერდით არ უნდა იყოს დაკრძალული. სავარაუდოდ ანა თბილისის ერთ-ერთ სასაფლაოზე განის-ვენებს თავის ვაჟთან კოლასთან ერთად, რომელიც დედის სიკვდილის შემდეგ რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.



პიპა ქვენიფნეველი. გიგორგი ბრწყინვალეს დიპლომატი  
მხატვარი ნიკო ხერკელაძე

## დავითი ლუარსაბის ძე ერისთავის გენეალოგია

გიორგი რევაზის ძე (ყულარალასი)

- I. თამარ დიმიტრის ას ამილახვარი
- II. მარიამ (მაია) ზაზას ას თარხან-მოურავი (1851-1810)

**ლუარსაბი (1754-1817)**

მარიამ ფარნაოზის ას წულუკიძე

**ლევანი (1805-1856)**  
I. ქეთევან ბაგრატიონი  
მუხრანბატონის ას (1807-?)  
II. თამარ გრიგოლის ას  
ჩოლოყაშვილი (1818-?)

**რევაზი (1813-1865)**  
I. ეკატ. ბარათაშვილი (1812-1881)  
II. მართა მუხრან-ბატონი

**მარიამი (1816-?)**  
დავით ივანეს ძე ჯორჯაძე

**ანასტასია (1811-1886)**  
I. დავით თუმანიშვილი  
II. გივი ბარძიმის ძე ამილახვარი (1810-1877)

**დავითი (1814-1890)**  
I. სალომე შალვას ას ერისთავი (1826-?)  
II. ანა გრიგოლის ას ბებუთოვა (1839-1918)

**შალვა**  
(1847-1849)  
მარიამი (მაშო)  
(1851-1888)  
ამირინდო  
ამილახვარი

ეკატერინე

(დ. 1854)

ნინო

(დ. 1859)

ელისაბედი

(1862-1868)

ნიკოლოზი  
(ცუნცულა)  
(1865-1919)

ანასტასია  
გიორგის  
ას ციციშვილი

ელისაბედი  
(დ. 1870)  
ნიკოლოზ  
ნიკოლაევი

სოფიო

(1861-1918)  
ნიკოლოზ  
ფურცელაძე

გრიგოლი

(დ. 1864)

გიორგი (შორშიკა)  
(1869-1929)  
ნინო ჯავახიშვილი

დარია  
(1873-1962)  
ქაიხოსრო  
ჯავახიშვილი

გიგუშა თამარი ნინო შალვა  
იუნკერი  
1898-1921

დავითი  
(ქორეოგრაფი  
(1901-1942)  
ლუბა ინალიფა  
ლეილა სოხაძისა  
დაიბ. 1928

ილია (1904-1984)  
ელიზავეტა  
ზიგანიდი-ნემიკინა  
გიორგი დაიბ. 1942  
დაუოჯახებელი

## დავით როსტომის პერისთავის რძლები

„დიდი“ – ეს სატიტულო ქარგა ქსნის ერისთავებიდან წილად ხვდა ლარგვისის პომპეზური ტაძრის ამგებს ერეკლე II-ის ნათესავსა და სახლოუბუცესს დავით იქსეს ძეს და მის ვაჟს – როსტომს. სოფელ ახალგორის და არამარტო იქ მცხოვრები აზნაურნი და უაზნონი „დიდი დავითის“ ვაჟს „დიდი როსტომის“ სახელით მოიხსენიებდნენ. სწორედ როსტომისათვის წილში ნარგები სოფელ ოძისის დიდი მამულების მემკვიდრეა მისი უფროსი ვაჟი – დავითი, რომლის შვილების: როსტომის, ივანეს და გიორგის (გლუხარიშის) მეუღლეები არიან: ბარბარე ამილახვარი, თაფლო ამილახვარი, ელისაბედ ალიხანოვა და მარიამ თარხან-მოურავი.

დავით ერისთავის პიროვნების გასაცნობად:

XIX საუკუნის დასაწყისში სოფელ კორინთიდან ოძისში ჩასახლებულ დავით როსტომის ძე ერისთავს, სადაც ცხოვრობდნენ მისი სახლიკაცები, მდინარე ქსნის სიახლოვეს, სოფლიდან მოშორებით აუშენებია პატარა ორსართულიანი სახლი.

მეუღლე დავითისა – მარიამ (მართა) ივანე მდივნის ასული ქობულაშვილი (1786-1848) იყო ღვთისმოყვარე, წყნარი და კეთილი ადამიანი. ამასთანავე ქართული ენის და მწიგნობრობის ზედმინევნით მცოდნე, ხელსაქმე – ქარგვა და ქსოვაც კარგად სცოდნია: „მინახავს მისი ხელით ნაქსოვი ფირუზისფერი დიდი ხალიჩაც, რომელზედაც ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე „ესღა დამხვდა ჩემი დედამთილისაო“ – იგონებდა მხცოვანი ელისაბედ დავითის ასული ერისთავი.

ოძისში დასახლებულ დავითს და მარიამს შეეძინათ ვაჟები: როსტომი 1811 წ., გიორგი 1813 წ.<sup>1</sup> და ივანე (ოქრო) 1818 წ.

შვილებისათვის წერა-კითხვა დედას უსწავლებია. ქსნის მებატონის ოჯახი ერთ დროს შეძლებულ ოჯახს წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ, ისე როგორც მრავალი სხვა ქართველი თავადი, ისიც გაღარიბებულა.

დავით როსტომის ძე ახალგაზრდობაშივე გამხდარა იმ კომისიის წევრი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ოსების გაქრისტიანებისათვის ხელის შენყობა. დავით ერისთავი, როგორც სამხედრო პირი, მონაწილეობდა სხვადასხვა ომებში: „1803 წელს იბრძოდა ერევნის განთავისუფლებისათვის, 1810 და 1826

1 როგორც ცნობილია გიორგი დავითის ძე ერისთავი ს. ოძისში 1813 წ. მამამისის აშენებულ სახლში დაიბადა, თუმც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ შესაძლებელია დაბადებული იყოს ს. კორინთაში, პაპის დადი როსტომის მიერ აშენებულ სახლში. ამ მოსაზრებას იზიარებს პროფ. სოლომონ ხუციშვილიც

წლებში მონაწილეობდა საქართველოს სამხედრო საზღვრებთან თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. 1827 წელს იბრძოდა სპარსელთა წინააღმდეგ. . . დავით ბრძოლაში მამაცობისთვის მიღებული ჰქონდა სხვადასხვა ჯილდო, მათ შორის ორდენიც.

ბოლოს იგი გადასულა სამოქალაქო სამსახურში, მიუციათ მისთვის „კოლე-უსკი სეკრეტარის“ ჩინი და ქართულ თავადაზნაურობას აურჩევია სახაზინო ექსპედიციის მრჩევლის თანამდებობაზე, რომელზედაც იგი მუშაობდა სიკვ-დილამდე. 1830 წლის აგვისტოს დავით ერისთავი ხოლერით გარდაიცვალა თბილისში<sup>1</sup>.

## ბარბარე (ბაბალე) თეიმურაზის ასული ამილახვარი

დავითისა და მარიამის უფროსი ვაჟი როსტომი იყო სამხედრო პირი, წოდებით პრაპორშჩიკი. ცოლად ჰყავდა თეიმურაზ ამილახვრის ასული ბარბარე, რომელსაც მასნავლებლად უმუშავია გორის ქალთა გიმნაზიაში. დავითის გარდაცვალების შემდეგ სამი ძმა გაყრილა. უფროს – როსტომს რგებია კორინთა, გლუხარის თბილისის სახლი,<sup>2</sup> ხოლო ივანეს ძმისი.

როსტომ დავითის ძე ერისთავზე ბევრი არაფერია ცნობილი. ვიცით რომ დაიღუპა 36 წლის ასაკი, 1847 წელს. დაკრძალულია სოფ. ძმისის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში. ან დაკარგულ მისი საფლავის მარმარილოს ქვაზე, როგორც ელისაბედ დავითის ასული ერისთავი იგონებს გაკეთებული ყოფილა ეპიტაფია: „აქ განისვენებს მტკვერი თავადის როსტომ დავითის ძე ერისთავისა გარდაიცვალა 1847 წ. ოქტომბრის 8-ს, 36 წლისა“<sup>3</sup> ეს საფლავი ეკლესიის მარჯვენა მხარეს თაღის ქვეშ მდებარეობს.

როსტომს და ბარბარეს დარჩათ ერთი მცირეწლოვანი ვაჟი. მამის სიკვდილის შემდეგ შვილიც გარდაცვლილა. უშვილძიროდ დარჩენილ, დამწუხრებულ „ამილახვრის ქალს ქმრის სახლში აღარ მოუსურვებია დარჩენა და მაზლები-სთვის – გიორგისა და ივანესათვის მოუთხოვია სამკვიდრო – 4000 მანეთი.<sup>5</sup> როგორც არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, გაღარიბებულ ერისთავთა ოჯახს ამ თანხის გადახდის საშუალება არ ჰქონიათ. ბარბარეს საჩივარი აღუძრავს, ბოლოს შეთანხმებულან გარკვეულ თანხაზე და იგი ძმასთან გადასულა

1 გაჩეჩილაძე ა. ნარკვევები XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1952 წ.

2 ს. კორინთა დავით როსტომის ძის გარდაცვალებამდეც (1830 წ.) დავითს და მის ოჯახს ეკუთვნოდათ, რადგან იქ მცხოვრებ დავითის ძმას შალვას მეგვიდრე – ვაჟი არ დარჩენია.

3 დავით როსტომის ძეს 1830 წელს ქ. თბილისში გაბაშვილებისაგან უყიდია მიწა პირველ კვარტალში (მაშინ თბილისი დაყოფილი იყო კვარტლებად) და აუგია ორსართულიანი სახლი. საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცულია ამ სახლის გეგმა. ფონდი 16. საქმე 4 / 44.

4 ელისაბედ ერისთავი მიიჩნევს, რომ 1811 წელს დაიბადა როსტომი და არა გიორგი. ამიტომაცაა, რომ 1847 წელს გარდაცვლილი 36 წლის იქნებოდა. შესაბამისად მისივე დასკვნით გლუხარიში დაბადებულა 1813 წელს.

5 ელისაბედ ერისთავი თავის მოგონებებში ასახლებს 15•000 მანეთს, რომ მაზლებმა პირნათლად გადაუხადეს აღნიშნული თანხა, რაც ყოვლად დაუჯერებელია. ცხადია ბარბარე სამემკვიდრეოდ გვარის თანხას მიღებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებდა საზღვარგარეთის 4 ქვეყანაში დიდი ხნით ცხოვრებას და თავისი კაპოზების შესრულებას.

საცხოვრებლად კასპში.<sup>1</sup>

გარკვეული დროის შემდეგ ბარბარეს მამის წინააღმდეგობის მიუხედავად ძმის სახლიც მიუტოვებია და თავის გაზრდილ მოახლესთან ერთად ქ. პეტერბურგში წასულა, გაჩერებულა პოპოვების სახლში, შეუსწავლია რუსული და დაახლოებია იმ დროის რუსეთის ელიტარულ ოჯახებს. მოგვიანებით ბარბარე პეტერბურგიდან საფრანგეთში გამგზავრებულა და იქ 14 წელიწადი ქ. წიცაში გაუტარებია, იქიდან იტალიაში გადასულა საიდანაც საქართველოში დაავადებული დაბრუნებულა. ცოტახანში ამილახვრის ამაყი ქალი კასპიდან იერუსალიმში მიემგზავრება – ამჯერად კი უკვე ფსიქიკურად მოშლილი და დაავადებული ბრუნდება სამშობლოში: „არავის არ ვნებდა, მხოლოდ ჩუმად იჯდა თავის ოთახში და სულ ფრანგულ წიგნებს კითხულობდაო, გარდაიცვალა ჩვენ სახლში სოფ. კასპში“, იგონებს ბარბარეს ძმისშვილის მონათხრობს ელისაბედ ერისთავი.<sup>2</sup>

## თაფლო ივანეს ასული ამილახვარი

ძმის მსგავსად ივანეც სამხედრო პირი იყო „პრაპორშიკის“ წოდებით. წერა-კითხვა დედამ და 5 წლით უფროსმა ძმამ გიორგიმ შესანავლეს. გიორგისავე ზეგავლენით ივანეს მწერლობისთვის მოუკიდია ხელი. დაამთავრა თბილისის გიმნაზია. იცოდა რუსული და ფრანგული ენები. თანამშრომლობდა ახალდაარსებულ უურნალ „ცისკართან“, სადაც დაიბეჭდა მისი ორიგინალური ლექსი „იამბოკი“<sup>3</sup>

ივანემ (ოქრომ) მონაწილეობა მიიღო 1850 წელს გ. ერისთავის ხელმძღვანელობით გამართულ პირველ წარმოდგენებში. კომედია „გაყრაში“ ასრულებდა პავლე დიდებულიძის როლს, ხოლო კომედია „დავაში“ ამირინდოს როლს.

ივანე ძმის – როსტომის მსგავსად ამილახვრებს დაუსიძევდა. ცოლად მიიყვანა ივანე ამილახვრის ასული თაფლო. სიტყბოებაში ცხოვრობდა ახალშექნილი ოჯახი. შეეძინათ ორი ვაჟი, მაგრამ მათი ბედის ბორბალი მალე უკულმა დატრიალდა.

ამბავი გრძელია, რომლის ციტირება მოუხდენია ელ. ერისთავს მამამისის – დავითის ხელზე მოსამსახურე ბიჭის ილიკო სუხიშვილის ჩანაწერებიდან.

„1853 წ. 15 აგვისტოს (სამებობა დღეს) ფოსტას პეტერბურგიდან თბილისში დიდაბალი ფული მოპერნებია. შეუტყობინებია სიძისთვის სიმამრს ივანე ამილახვარს და თავიანთი კაცები დაუხვედრებიათ წილკის ბოლოს საფოსტო გზაზე. მოუკლავთ ფურგონის შუა ცხენი. დაუწყიათ სროლა და ყვირილი. რუსი გამცილებლები და ჩინოვნიკები დამფრთხალან და მიმალულან. რაკი მძარცველებს ფული ხელთ უგდიათ დაუწყიათ ერთი-მეორის ძებნა. ყველა მოგროვილა

1 გაჩერებადე ა. ნარკვევები XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1952.

2 ელ. ერისთავი, მასალები გ. ერისთავის ბიოგრაფიისათვის; ლიტერატურის მატიანე, წ. 5. წაწ. 1. გვ. 117-18

3 „იამბოკის“ უურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებისას 1861 წ. ივანე გადასახლებაშია, ჩანს აღნიშნული ლექსი გიორგიმ გამოაქვეყნა

მაგრამ მათში კლებიათ გაბრიელ მორბედაძე. მათ თავიანთი გულუბრყვილობით ხმამაღლა უკითხავთ: „კაცო, გაბრიელ მორბედაძე სადღა არისო?!“. იქვე მახლობლად ბუჩქებში დამალულ რუს ჩინოვნიკს გაუგია გვარი და სახელი. თბილისში ჩასულს პოლიციისთვის უთქვამს, მდარცველებში ვინმე მორბედაძე ურევიაო.“<sup>1</sup>

გამოძიებამ მალე გამოარკვია თუ სად ცხოვრობდნენ მორბედაძეები და ვისი ყმები იყვნენ. მიაგნეს სოფ. წირქოლში მცხოვრებ ოქრო ერისთავის კუთვნილ მორბედაძეებს. მალე გაბრიელიც დაიჭირეს, ძალიან ტანჯეს, ბევრი აწვალეს, მაგრამ ვერ ათქმევინეს ვინ იყო მათი მოთავე. ბოლოს დაპირდნენ: თუ გინდა რომ შენ და შენი შთამომავლობა სამუდამო ბედნიერებას ეწიოს და გაგანთავისუფლოთ ყოველი ბეგარა-გადასახადისაგან, თუ გინდა შენს კარზე მზე-მთავრისა და წვიმა – ქარის გარდა არა მოვიდეს რა და არცარავინ შეგაწუხოს, გვითხარი ვინ იყვნენ მოთავენიო. აი ამ დაპირების შემდეგ გაბრიელს ყველა საიდუმლო ათქმევინეს. რასაკვირველია ყველანი შეიპყრეს, ფულიც წაიღეს და დიამბეგი ოქრო და მისი სიმარი ივანე ამილახვარი გააციმბირეს. განაჩენის გამოტანისას იმ დროის კავკასიის მთავარმართებელმა ვორონცოვმა ცრემლები გადმოყარა: „ვინ ქართველი და ვინ ამისთანა უცნაური, უმაგალითო მათში საქმე“. ქართველ თავადთა მხრიდან ასეთი სამარცხვინო საქმის ჩადენისთვის XIX ს-ის 50-იანი წლების ქართველ არისტოკრატ მანდილოსნებს შავები ჩაუცვამთ, მათ შორის მანანა ორბელიანს. როგორც იაკობ ბალახაშვილი აღნიშნავს<sup>2</sup> ვორონცოვმა ჰკიოთხა შავოსან ქართველ ქალებს „ნუთუ მაგრე დაგენანათ რამდენიმე კაცის ციმბირში გაგზავნაო“ და კნეინა მანანა ორბელიანისამ ეს პასუხი მისცა ქართველი ქალების მაგივრად საზოგადოდ: – ისინი რომ სულაც არ გაეჩინა ღმერთს ჩვენს შესარცხვენად, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ის გვაწუხებს, რომ იმ შეჩვენებულებმა ქართველებს სახელი გაგვიტეხეს და სხვების სჯულზე და კვალზე წავიდნენ.

შემდგომ ვორონცოვმა ხელზე აკოცა მანანას და ღიმილით უთხრა: კნეინავ ნუ შეწუხდებით, თითო-ოროლა ცუდი ყველგან ურევია, თვით იესომაც ვერ ამოირჩია თორმეტი ერთგული მოციქული და იუდას ღალატის გამო ქრისტეს ჩირქი არ მოსცხებიაო“.

ოქროს, მთავრობამ მთელი ქონება გაუყიდა. ოძისში უსახსროდ დარჩენილი თაფლო გორში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მალევე ორივე მცირენ-ლოვანი ბავშვი გარდაეცვალა. ქმარ-შვილის გარეშე დარჩენილი ქალი ცოტა ხანში თავისივე ბიძაშვილს კონსტანტინე ამილახვარს მისთხოვდა სოფ. ოთა-რაშენში.

თორმეტწლიანი გადასახლების შემდეგ 1865 წლის ზაფხულში ოძისში მობრუნებულ ოქროს ოჯახი განადგურებული დახვდა, საყვარელი ძმა – გიორგი გარდაცვლილი. სამშობლოში დაბრუნებულს ცოლი აღარ შეურთავს. ჯავრით და ბოლმით გულგასიებულს დიდხანს აღარ უცოცხლია და ჩვენთვის დაუდგენელ ნელს, გაურკვეველ ასაკში გარდაცვლილა. დაკრძალულია ოძისში ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის დასავლეთ კარის წინ „რა წამს ერთ ფეხს

1 ელ ერისთავის მოგონებები. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი: 19799/30

2 მანანა ორბელიანი. თბ., 1941. გვ.40

ჩადგამთ ძირს იქვეა.“ სამწუხაროდ დღეისთვის დაუდგენელია მისი საფლა-ვის მდებარეობა, რომლის შუა ნაწილში ჩასმულ მარმარილოს პატარა ფილაზე დაბადება-გარდაცვალების თარილთან ერთად გაკეთებული ყოფილა ჩვენთვის უცნობი წარწერა.

სოფელ ძირის ივანეს (ოქროს) დარჩა უკანონო შვილი – სალომე, „რო-მელიც ლამაზი და ნაზი ქალი იყო, სოფელში ყველასაგან ირჩეოდა თავისი მიხ-ვრა-მოხვრით. მამას ეძახდა ოქროს (ცხადია სიცოცხლეში ვერ გაუბედავდა!). მის საფლავზეც ხშირად მიდიოდა და სანთელს უნთებდა. დედამისიც ძალზე ლამაზი და მოხდენილი ქალი იყო“ იგონებდა ილიკო სუხიშვილი. სალომე გარ-დაიცვალა 1943 წ.

## ელისაბედ იაგორის ასული ალიხანოვა

(გიორგის პირველი მეუღლე)

ჩვენი სახელოვანი მამულიშვილის გიორგი დავითის ძე ერისთავის მეუღლე, პირველ ქორწინებაში, გახლდათ გორელი სომები ვაჭრის იაგორ ალიხანოვის ქალიშვილი ელისაბედი, რომელმაც ერისთავების რძლობას 10 წელზე მეტი ვერ შეაწია. თუმც მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ერისთავიანთ და სრულიად საქართველოს გაუზარდა კარგი ქართველი მამულიშვილი, დრამატურგი, „სამ-შობლოს“ ავტორი დავით გიორგის ძე ერისთავი (1847-1890).

ჩვენს საზოგადოებაში ამ ქალისადმი ინტერესს გიორგის ცოლობა და და-ვითის დედობა აძლიერებს.

საყოველთაოდ ცნობილია გ. ერისთავის მონანილეობა 1832 წლის შეთქმულე-ბაში. სამწუხაროდ მისი გაცემის შემდეგ ერისთავი ვერ გადაურჩა სასჯელს. იგი გადასახლებული იქნა ბალტისპირეთში. განთავისუფლებიდან – 1841 წლიდან 1844 წლამდე ცხოვრობდა თბილისში, თავის საკუთარ სახლში. ცოლის შერთ-ვამდე მწერლის გულს არაერთხელ დაუფლებია სიყვარული და მანაც საკმა-რისი ხარკი გადაუხადა ამ გრძნობას. სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობია თუ ვინ იყო გიორგი ერისთავის „მშვერების ღმერთი“. 1834 წელს გადასახლებაში მყოფი პოეტი ლექსში „ყაბახისადმი“ ლაპარაკობს ვიღაც ლეილაზე, რომელსაც თურმე ყაბახის მოედანზე სეირნობის დროს ხედავდა. აქვე შევნიშნავთ, რომ გრ. ორ-ბელიანისადმი გაგზავნილ წერილებში გიორგი ლაპარაკობს ვიღაც კატინკაზე, რომლის შერთვაზეც ოცნებობს. წერილში ვკითხულობთ: „ივანე მუხრანსკის დადიანის ქალი შეურთავს, იმაზედაც ჯავრობებს ნათესავიაო, ღმერთო იქნება კატინკა მე მერგოს, მესამე და მეოთხეები ვართ, რო წახვალ შენ აგებ მომიხ-ერხო.“

საკითხთავია ვინ არის ეს კატინკა?, ამ დროს რამდენიმე თავადის ასული კატო – ეკატერინე იყო: ორბელიანის, ჭავჭავაძის, ბარათაშვილის, ერისთავის. დაკვირვების საფუძველზე გ. ერისთავის სიტყვები გვაფიქრებინებს რომ მწ-ერლის სატრიფო ეკატერინე ერისთავი, თავისი ბიძაშვილი უნდა ყოფილიყო, რომ ეკატერინე და გიორგი ერთი წინაპრის მესამე და მეოთხე თაობები არიან. სამწუხაროდ შეყვარებულმა მგოსანმა ეკატერინესაგან თანაგრძნობა ვერ მი-

იღო. სწორედ მისადმია მიძღვნილი ლექსები – „გაქსუებული“, „ე ....“, „ე. წ.“, და სხვა.

გიორგი ერისთავმა ბოლოს თავი დააღწია უიმედო სიყვარულს და გადაწყვიტა ცოლად შეერთო ბაბალე (ბარბარე) ორბელიანი, რომელიც განათლებული და ლიტერატურის მოყვარული ქალი იყო. მოღწეული ცნობით გიორგი მასზე დანიშნულიც ყოფილა, მაგრამ მშობელთა მიზეზით მათი დაქორწინება არ მომხდარა, ამის გამო გ. ერისთავს დაუწერია „შეშლილი“.

ბაბალე 1839 წელს ცოლად გაჰყოლია ალ. საგინაშვილს. გიორგის იმავე წელს დაუწერია ლექსი „კ. ბაბ. ორბე...“

გადასახლებიდან განთავისუფლებული გიორგი ერისთავი ძირითადად თბილისშია, ამავდროულად არ წყვეტს კავშირს სოფ. ოძისთან და ძველ მამაპაპეულ კორინთასთან. ის არამარტო ცხელ ზაფხულს, არამედ ქსნის ხეობისთვის დამახასიათებელ უიშვიათესი ფერებით მორთულ შემოდგომის თვეებსაც იქ ატარებს. უიმედო ტრფობით სევდამორეული ერისთავი კორინთაში ქმნის თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს „მე შენ არ გეტრფი“.

„მე შენ არ გეტრფი, არ ძალუძს ტრფობა,  
ვინც ფიქრთა ზღვაში დალუპა გრძნობა,  
ვინცა უდროოდ შესვა ყოველი,  
რაც არს ჭაბუკის დამაჭკნობელი!  
.....  
.....  
.....  
.....

მთელ ქვეყანაში ვხედავ შენს სახეს,  
შენ არ მშორდები, როგორც ჩრდილი ხეს!  
სად არის, ვკვირობ, ცივი გონება,  
თვალებში თუ გაქვს მიზიდვის გრძნობა,  
გული იძახის: ტრფობა არა მსურს,  
მაშ შენი ნახვა სულსა რადა ჰსნეურს?“

## 26 ოქტომბერი, 1842 წელსა. ს. კორინთა

მწერალს დასვენებისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის ყველაზე ხელსაყრელ დროდ სწორედ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ქორწინებამდე 1842-1844 წლები გამოუყენებია.

სამი წლის მანძილზე ზაფხულს და შემოდგომას ატარებს ოძისსა და კორინთაში. აქ მას მრავალი ღამე თეთრად გაუთენებია. რითმა აწყობილ ლექსთა თხზისა და დრამატურგის გარდა იგი მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. ცნობილია, რომ გ. ერისთავს თარგმნილი აქვს ადამ მიცეკვიჩის 6 ლექსი რომლებიც პირველად თავისავე დაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა 1852 წელს.

1 ერისთავი გ. თხზულებანი. გვ.91.

გიორგი დავითის ძემ ბოლოს, ყოველგვარი სიყვარულის გარეშე ცოლად შეირთო გორელი ვაჭრის – ალიხანოვის ქალი ელისაბედი. ალიხანოვებს გარდა გორისა, ხიდისთავშიაც ჰქონდათ ადგილი-მამული. ისინი გ. ერისთავს მატერი-ალურ დახმარებას უწევდნენ.

ნანილი მკვლევარებისა მიუთითებს, რომ სოფ. ხიდისთავში ერისთავებს მამულები არ ჰქონიათ. სახლი, რომელშიც 10 წელი ცხოვრობდა გ. ერისთავი თავის ცოლ-შვილთან ერთად აუგია მზითვად მიღებულ მამულში (ელ. ერისთავი ამ ცნობას არ ადასტურებს). გადმოცემის თანახმად ალიხანოვისგან მიცემული მამული ჭაობანი ყოფილა, რაც შემდგომ გახდა მიზეზი გიორგის დაქვრივებისა. ხიდისთავში მცხოვრებ პაპა-ბებიაზე ამ მხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ელ. ერისთავი:

„1847 წლის 28 აგვისტოს ბებიაჩემს ელისაბედს ეყოლა ტყუპი ვაჟი, რომელთაც თურმე „სანთლის ბავშვებს“ ეძახდნენ. ერთი ბავშვი მალე მოკვდა, მეორე კი მამაჩემი დავითი იყო. ბებია ელისაბედს თავის ყმაწვილობაში სოფიო გურნიშვილი ემსახურებოდა. სოფიოს გადმოცემით, გ. ერისთავს სოფ. ხიდისთავში მეტად ნოტიო სახლი ჰქონია. ელისაბედი ქარებით დაავადმყოფებულა და ლოგინად ჩავარდნილა. მუხლების ტკივილებს ძალიან შეუწუხებია. გარდაიცვალა 1854 წელს. მამაჩემი 7 წლისა ყოფილა..... ბებია დამარხეს ქ. გორში სომხების სასაფლაოზე. ბატონი წაპრძნდა თუ არა, (გ. ერისთავი. ვ. ქ.) მოვიდა მისი სიდედრი ხამფერ ალიხანოვი, დაუარა მთელ ოთახებს და თან გვეუბნებოდა: << აი ეს ნივთიც ჩვენია, ესეცაო! >> ჩაალაგებინა ყველაფერი თავის მსახურებს და წააღებინა თვის სახლში-ო.“<sup>1</sup>

ბევრს შეიძლება დააინტერესოს თუ რით იყო გამოწვეული მომაკვდინებელი ჭაობი და სინოტივე ხიდისთავში – ქართლის ამ მადლიან მიწა-წყალზე რომელიც გლეხებმა „პატარა კახეთად“ მონათლეს.

1886 წელს ხიდისთავზე სწრდა ილია ჭავჭავაძის გაზეთი: „ქართლში ამ სოფელს (ხიდისთავი. ვ. ქ.) ბევრი სოფელი არ შეედრება ამას თითქმის, თუ პირველი არა, მეორე ადგილი მაინც უჭირავს გორის მაზრაში. ხიდისთავი შემკულია ჰერიტ, წყლით და მდებარეობითაც კარგი ადგილია. მინდორი და ტყე ახლო აქვს, ჩამოუდის მშვენიერი მდინარე ტანა. ამ მდინარით ირნყვის ის მშვენიერი ვენახები, რომლის ღვინო, შემდეგ მუხრანის, განთქმულია მრთელ ქართლში და ყოველთვის კარგ ფასშიც ისყიდება. სხვა სოფლებში კოკა ტკბილი ოთხს-ხუთ მანეთად იყოს – აქ შვიდი-რვა მანეთადაა ხოლმე..... მცხოვრებთა რიცხვი აქ ორას და ორასზედ მეტის მოსახლისაგან შესდგება. ზაფხულობით აქ დიდი ხალხი მოდის.....“<sup>2</sup>

ცხადია გაზეთი ხიდისთავის ძველ დიდებასა და ღირსებას აქვეყნებს სანამ იქ თბილისი-ფოთის დამაკავშირებელი რკინიგზის ხაზი გაივლიდა. უდავოა ხიდისთაველების უბედურება აღნიშნულ რკინიგზას გამოუწევია. დაბლობი ადგილების შემაღლებამ მთელ სიგრძეზე ჭაობის დიდი კერები გააჩინა. სწორედ ერთ-ერთ დაბლობ ადგილზე იდგა გ. ერისთავის სასახლე, რომელსაც უფრო

1 ელ. ერისთავი, მასალეი გ. ერისთავის ბიოგრაფიისათვის; ლიტერატურის მატიანე წიგნ. 5. ნაწ. 1

2 გაზ. ივერია, 1886 წ. № 39.

უვარგის და გამოუყენებელს გახდიდა XIX საუკუნის 70-იან წლებში დაწყებული რკინიგზის მშენებლობა, თუმცა ამ დროისთვის ალიხანოვების ქალი თითქმის ორი ათეული წლის გარდაცვლილია.

გ. ერისთავი სოფ. ხიდისთავში (გიორგიანში, ასეც ეძახდნენ ერისთავები ხიდისთავს) ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. დროდადრო თბილისშიც ჩნდება და მანანა ორბელიანის სალონს სტუმრობს, სადაც მოსიარულე ახალგაზრდებისათვის ცნობილი ხდება მისი ყოველი ახალი ნაწარმოები, რაც შემდგომ დიდი წარმატების მომტანიც გახდა.

ახალგაზრდა თავადის ნიჭისა და შრომისმოყვარეობის შედეგად 1850 წლის 2 იანვარს (ძვ. სტ.) თბილისის გიმნაზიის შენობაში წარმოდგენილი იქნა კომედია „გაყრა“, რითაც საფუძველი ჩაეყარა პროფესიულ თეატრს. ვაჭართა წრეებთან ურთიერთობამ და ნათესაურმა კავშირმა მწერალი ღრმად ჩაახედა სომხურ ბუნებასა და ხასიათში. აღფრთოვანებულმა ვორონცოვმა გ. ერისთავი ქართული თეატრის დირექტორად დანიშნა.

მეორელისა და დრამატურგის ნაყოფიერი მოღვაწეობა შეაჩერა ორმა გარე-მოებამ ერთი, რომ 1854 წელს გარდაეცვალა მეუღლე, დარჩა მცირენლოვანი ბავშვი – დავითი<sup>1</sup> და ხიდისთავის სახლი გაუძარცვა სიდედრმა ხამფერ ალიხანოვმა. მეორე გარემოება კი გახლდათ ის, რომ აღმშენებლობითი საქმიანობით დაინტერესებული მთავარმართებელი ვორონცოვი გაწვეული იქნა საქართველოდან.

მეუღლის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ 1856 წელს გიორგი ერისთავმა იქორწინა მარიამ (მართა) თარხან-მოურავზე.



გ. ერისთავის სახლი ხიდისთავში

<sup>1</sup> დრამატურგი დავით ერისთავი დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## მარიამ (მართა) დავითის ასული თარხან-მოურავი

(1824-1908)

(გიორგის მეორე მეუღლე)

დიდი ქართველი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის შთამომავალი მარიამი გახლდათ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის გიორგი ერისთავის მეუღლე მეორე ქორწინებით. 1854 წელს 3 წლიანი დამბლის შემდეგ გარდაიცვალა გ. ერისთავის პირველი მეუღლე, გორელი ვაჭრის იოსებ ალიხანოვის ასული ელისაბედი. ობლად დარჩენილი 7 წლის დავითის შესაფერისი მოვლა გიორგის გაუძნელდა. ორწლიანი გლოვის შემდეგ ქსნისხეობელმა თავადმა გადაწყვიტა ცოლად შეერთო თავის ბედში მყოფი მართა დავით თარხან-მოურავის ასული, დავით ბარათაშვილის ქვრივი, რომელთანაც შეძენილი ვაჟი – დავითი ათი წლის გარდაცვლილი ჰყავდა.

დავით გიორგის ძე ერისთავის ოჯახის შინამოსამსახურის, ოძისში დაბადებულ ივანე სუხიშვილის მოგონების მიხედვით.<sup>1</sup>

„მართას „კლასიკური ცოდნა არ ჰქონდა, გარდა ქართულისა სხვა ენა არ იცოდა, თუ სახეში არ მივიღებთ მის უგრამატიკა, დამტვრეულ, დამახინჯებულ რუსულს, რომლითაც ის გაჭირვების დროს რუსის მსახურებს მიმართავდა. მაგრამ ქართული ენა და წიგნი როგორც მხედრული, ისე ხუცურიც ზედმინევნით იცოდა. სახარებას და „ვეფხვის ტყაოსნის“ შესანიშნავ სტრიქონებს ზეპირად ამბობდა. თითონ მოხუცი იყო სამოც წელს გადასული,<sup>2</sup> მაგრამ ბეჯითი და მხნე, მეხსიერებით სავსე და მოძრავი, ამასთან გულკეთილი, ლმობიერი, ქველ-მოქმედი, მაგრამ ზოგჯერ მრისხანე და შეუბრალებელი. . .“

მართას სიფიცხე, სიამაყე და გნებავთ „ვეფხისტყაოსნისადმი“ თაყვანის-ცემა წინაპრებიდანვე მოსდევდა. მისი ბებია დედის მხრიდან მზეხათუნი იყო იმერეთის მეფის დავითის ასული. დედა – მაკრინე კი ზურაბ წერეთლის ასული.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში დაცულია მარიამ თარხან-მოურავის ხელნაწერი – „სიყრმიდან ბედის მოჩივარი“, რომელიც ივანე სუხიშვილს გაუგზავნია ელისაბედ ერისთავისათვის მინანერით: – „ეს თქვენი ძვირფასი ბაბულიას ხელით დაწერილი „სიყრმიდან ბედის მოჩივარი“ ჩემს ქალალდებში ვიპოვე. . . ერთხელ კიდევ თვალცრემლიანმა გადავიკითხე, თვალ-ნინ წარმოვიდგინე მისი სპეტაკი და გამჭრიახი სახე. . .“<sup>3</sup>

1 სოფ. ოძისში მცხოვრებ ამ ერისთავების ოჯახზე, ჩვენდა სასიხარულოდ მოღწეულია მდიდარი და საინტერესო მასალები, რომლებიც ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში. ცნობილია გ. ერისთავის მეორე მეუღლის მარიამ თარხან-მოურავის ორი ავტოგრაფიული მოგონება: „სიყრმიდან ბედის მოჩივარი“, და „მინაური ცხოვრება ჩვენი ოჯახისა“. ასევე ერისთავების ცხოვრებისა და ყოფის ამსახველია მათი შინამოსამსახურის ივანე სუხიშვილის მოგონების „ჩენი თავგადასაგალის“ გარკვეული ნაწილი. ასევე საუკეთესო მოგვონებები დაგვიტოვა „გლუხარისის“ ერთადერთმა შვილიშვილმა ელისაბედ დავითის ასულმა. მათგან თვალშისაცემია – „ჩემი ბაბულია“.

2 ერისთავებთან სუხიშვილის მისვლისას 1887 წელს მართა 63 წლის უნდა ყოფილიყო. ივანე ზუსტად 3 წლის მანძილზე, 1887 წლის 17 სექტემბრიდან 1890 წლის სექტემბრის ბოლომდე ემსახურა ერისთავებს.

3 აღნიშნული ხელნაწერი თავის დროზე მარიამ თარხან-მოურავს გადაუცია თავის მეგობრის-

ზემოთხსენებულ ავტობიოგრაფიულ ხელნაწერში მარიამი (მართა) იძლევა ინფორმაციას თავის ნარმომავლობაზე, პირველ და მეორე ქორწინებაზე.

„ჩვენ ვიყავით ერთი კარმოსახლეობა დედაჩვენი, ხუთი ძმა და ოთხი დანი ტკბილად ვცხოვრობდით. დედა დიდი კაცის ქალი იყო და მამისა თუ დედის ნათესაობაც მეფებისა და მთავრების ჩამომავლობისა იყვნენ და ჩვენ ყოველი მხრით დიდად გვეხმარებოდნენ. ჩვენი ხუთი ყმაწვილი ხელმწიფეს ემსახურებოდა... ჩემი დებიც გათხოვილი იყვნენ... უმცროსი და მე ვიყავი, თანაც გასათხოვარი. სხვა გვარში ბევრი მთხოვნელიც მყავდა, მაგრამ ჩემ დებს ასე ვეტყოფი ხოლმე: არას დროს იმისთანა კაცს არ შევირთავ, რომელიც შინ გაზრდილი იქნება. მე მინდა ისეთი ქმარი, რომ იგი სამსახურში იყოს, ახალუხების კერვა არ უნდოდეს და ჩოხა ეცვას – მეთქი. მართლაც გამოჩნდა ჩემი მთხოვნელი დავით ბარათაშვილი, რომელიც სამხედროში მსახურობდა, ჩვენ ვიქორწინეთ, მაგრამ ამ ბედნიერებამ 20 სექტემბრამდე გასტანა. სექტემბერში მომივიდა წიგნი, ჩემი ქმარი უეცრად მომკვდარიყო. . . გავიდა ხუთი თვე და მეყოლა ვაჟი...“

ვაჟის დაბადებით მიღებული ბედნიერება სამწუხაროდ წელიწადნახევრის შემდეგ მისი სიკვდილით მიღებულმა მწუხარებამ შეცვალა. ექვსი წლის შემდეგ მართას დედაც გარდაცვალა<sup>1</sup>. მაკრინეს გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ გათხოვებაზე უარის თქმის მიუხედავად მართა ცნობილი მწერლისა და დრამატურგის გიორგი ერისთავის მეუღლე ხდება. ის იკავებს საპატიო ადგილს ქსნის ერისთავების სახელოვან რძლებს შორის თავისი პატიოსნებით, შრომის-მოყვარეობით, გამჭრიახობითა და სათხოებით, რაც მან გიორგი ერისთავის 52 წლიანი მეუღლეობით მოიპოვა.

„დედის სიკვდილის მერე დავრჩი ძმებთან... ძმები და დები მირჩევდნენ გავთხოვილიყავი, მაგრამ უარს ვამბობდი: ჩემს საწყალ ქმარს ვერ ვუდალატებ – მეთქი. ბოლოს მეც თანახმა გავხდი გათხოვებისა, მაგრამ იმას ვიტყოფი ხოლმე: რაკი ქმარს შევირთავ, შვილიანი უნდა იყოს. ჩემს სიყვარულს გვერდზე გადავიტან და მასაც ისევე მოუკვლი, როგორც ჩემს პირველ შვილს... როდესაც გიორგი ერისთავს ცოლი მოუკვდა, ყველამ ასე მითხრა, მაინც ამბობდი, შვილიანი ქმარი უნდა შევირთო, და ეგეც შვილიანი ქვრივი, შეირთე უარს ნუდარ ეტყვიო, მე კი უიმედოდ ვპასუხობდი. რად შეირთავს ცოლს? ერთი შვილი ჰყავს, წავა ოდესაში, შვილსაც იქ გაზრდის და თითონაც იქ იცხოვრებს მეთქი. გავიდა წელიწადი და გ. ერისთავმა მაჭანკალი გამომიგზავნა თავისი ბიძაშვილის ცოლი, ხოლო ჩემი კარგი ნაცნობი ქალი და შემომითვალა: ნება მომეცი ცოლად შეგირთო...“

და-ძმის თხოვნით მართას თანხმობა განუცხადებია გათხოვებაზე, მაგრამ როგორც მასალებიდან ირკვევა გიორგის მართას შერთვაზე შემდგომ ორჭო-

თვის ანასთვის, ცნობილი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის მეუღლისთვის. ამ უკანასკნელმა პლატონის გარდაცვალების შემდეგ და მარიამის გარდაცვალებიდან (მარიამი გარდაიცვალა. 1908 წ.) 5 წლის შემდეგ 1913 წელს გაუგზავნა იმყმინდელი სიძველეებით დაინტერესებულ სასულიერო პირს, ერისთავების ყოფილ მოსამსახურეს ი. სუხიშვილს, რომელმაც როგორც უკვე ავლინშეთ 1922 წელს გადასცა ელ. დავითის ასულ ერისთავს.

1 ჩემი ვარაუდით მარიამის დედას მაკრინე ზურაბ წერეთლის ასულს უნდა ეცხოვრა 1786-1852 წლებში.

ფობა დაუწყია „.... იქნებ საცოლეს გერი არ უყვარდეს და ჩემი შვილის საცოდ-აობაში გავერიეო?“. თუმც გიორგი კეთილმოსურნებს მართას კეთილბუნებაში და სათხოებაში მალე დაურწმუნებიათ და ჯვრისნერა და ქორნილი თარხან-მოურავთან 1856 წლის თებერვალში ოთხი დღე გაგრძელებულა. შემდეგ ნეფე-დედოფალი ჩამოსულან თბილისში, სადაც მართას საჯინიბო და თონე მოუ-წყვია. ცხოვრობდნენ შუა სართულზე. სახლის ზემო სართული დამატებითი შემოსავლის მიზნით გიორგის ადრევე გაუქირავებია. ორი თვის შემდეგ, 27 მაისს ცხელი ამინდების გამო თბილისიდან ოძისში წასულან.

მეორე ქორნინებაში მყოფ ნეფე-დედოფლის პირველი ჩამოსულა თბილისში და მართას შეხვედრა გერთან – დავითთან, რომელსაც გერს არასდროს ეძახდა და გერი კი მართას – დედინაცვალს, კარგად აქვს აღნერილი თვით თარხან-მოურავის ქალს. „სახლის კარებთან მოსამსახურები გამოვიდნენ, პერედნიაში რომ შევედი, ჩემი გერი გამოვიდა, ჯერ მე შემომეხვია და მაკოცა მერე კი მამას; ბოლოს კი პურ-მარილით შეგვეგება ერთი გერმანელი ქალი, რომელიც ცხოვრობდა იქ თავის ქალით და პატარა დავითს გერმანულს ასწავლიდა... მეორე დღეს ქალაქში ჩვენი ჩასულა, რომ შეიტყო ჩემი ქმრის უწინდელი ცო-ლის ძმამ, მაშინვე ვიზიტზე მოვიდა და გაბედნიერება მოგვილოცა. მას წას-ვლისას ჩემი ქმრისათვის ეთქვა: კნეინა ჩვენსა მოიყვანეო. მართლაც, ერთი კვირის შემდეგ წავედით იმათთან. ჩემი ქმრის პირველი ცოლის ნათესავებმა კარგად მიგვიღეს და კარგი პატივიც გვცეს, მაგრამ სანცალი დედა მისი ჩუმად იცრემლებოდა და ამბობდა: დამიდგა თავალები, ვის მაგიერ ვისა ვხედავო...“<sup>1</sup>

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში ეროვნული ჩაგვრის ფონზე რუსიფიკატორული, მძარცველური პოლიტიკა დაუნდობლად ანადგურებდა და სილარიბისკენ მიაქანებდა თითქმის ყველა თავადაზნაურულ აგრარულ მეურ-ნეობას. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც გ. ერისთავის მამულია. მისი მეორე ქორნინებისას, 1856 წ. სოფლად თითქმის გაჩანაგებულია თავადური სამეურ-ნეო ინფრასტრუქტურა. გიორგის უფროსი ძმა მკვდარია, რძლისთვის მიცე-მული საქვრივოს ვალები ოჯახს ძვირად დაუჯდა. ივანე (ოქრო) გადასახლება-შია, მთავრობამ ზარალის ანაზღაურებისთვის მისი ქონება გაყიდა და ზოგიც „პრიკაზში დაიჭირა“.

დიასახლისის – აღიხანოვის ქალის – ავადმყოფობამ და შემდგომ მისმა სიკვდილმა საქვეყნო საქმეებს გადაყოლილი გიორგის თავადური სახლ-კარი და მეურნეობა სრული გაპარტახების პირას მიიყვანა. ამიტომაცაა რომ დაუ-ფარავად აღვინერს თავის მოგონებებში თარხან-მოურავის ქალი ერისთავი-ანთ კარ-მიდამოს და მისი ნახვით მიღებულ პირველსავე შთაბეჭდილებას.

„27 მაისს სოფ. ოძისში მივედით. ჩვენ სახლს შევხედე, ძალიან მეუცხოვა: შესავალთან დანგრეულ კიბეზე ძლიერ ავიარე, ზალაში ჭერი ჩამოქცეულიყო, სულ მთლად ლასტებით ყოფილიყო მიკრული, ხოლო მეორე ოთახს კარიც და ფანჯარაც ჰქონდა, მაგრამ თანდათან იქცეოდა და გაჯიც ჩამოდიოდა. სახურავი და ბანი ფიცრით იყო (ყავარით. ვ. ქ.) დახურული და შეუღებავი დამპალიყო წვიმისაგან, კარებიც სულ დამტვრეულიყო. სამზარეულოც მოუვ-ლელი იყო. მიწის მეტი არა ეხურა რა და იქაც წვიმა ჩამოდიოდა. ეს რომ დავი-

1 გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი 19800-პ

ნახე ჩემს ქმარს ვუთხარი: განა შეიძლება თავადისშვილს და მერე შენისთანას სოფელში სახლი არ ჰქონდეს?! მან მიპასუხა: - ჰე, გული არ არის, ამოდენა ვალების მაყურებელს ძილი არ მეკარება!... ამ ძეველ სახლში დავრჩით ერთი კვირა და მერე მითხრა: მეორე სოფელშიაც (კორინთაში) მაქვს სახლი, საზაფხულო სახლი არისო. მართლაც ავიყარენით და წავედით. ორი საათის სავალი გზა იყო. ავედით ერთ მაღალ გორაზე, სადაც ვნახე პატარა გალავანი და შიგ სასახლე, რომელიც დასავლეთით და სამხრეთით მდინარე ქსანს გადაჰყურებდა. სასახლის ქვედა სართულში პატარა და ბერები ითახი იყო მოთავსებული, ზედამი კი ექვსი ითახი, ერთი კარგი ზალა. ამ სასახლესაც ფიცარი ჰერებია (ყავარი. ვ. ქ.) და ქარს სულ აუგლეჯია, რის გამოც შიგ წვიმა ჩამოდიოდა. გალავანს გარეთ იყო ერთი პატარა ეკლესია, საკუთარი მღვდლით. ამ ეკლესის ნლის კაკლის და ცაცხვის ხეები იდგა, ხოლო გალავანში ერთი კომლი ნაყმევი გლეხი ცხოვრობდა.

ამ სასახლეში დავბინავდით და თითქმის მთელი ზაფხული იქ გავატარეთ. ძალიან მაწუხებდა უსახლობა, ბევრიც ვიტირე ჩუმად, რომ ჩემს ქმარს არ შეეტყო. იგი ხშირად მეკითხებოდა: რაღაც გაწუხებს: ან შენი სამშობლოს სიშორე, ან კიდევ ის, რომ შენი ძმებივით კარგი ბინა არ გვაქვსო? მეც გულახდილად ვუთხარი: – ლმერთმა ნუ მომიშალოს შენი სიცოცხლე და უსახლობას ვერ ავიტან, შენი ჭირიმე!

15 აგვისტოს ჩვენთან მოვიდნენ ბევრი სტუმრები – ჩვენი ნათესავები. სად იყო ან სახლი, ან ბინა?! ვიყავი ძალიან შეწუხებული. ამაზე მითხრა ჩემმა ქმარმა: – გავაკეთოთ, როცა გავმდიდრდებითო. – არა, სიმდიდრეს ნუ მოვუცდით, ოღონდ ექვსი-შვიდი ითახი ისე გავაკეთოთ, წვიმა არ ჩამოდიოდეს – მეტქი. მალე ავად გავხდი ამ ნოტიო სახლისაგან და მიზეზიც მქონდა იმისთანა, რომ შვიდი თვის შემდეგ უნდა ნამდვილი შვილის დედა ვყოფილიყავი.

26 აგვისტოს ისევ ოძისში მოვედით. დიდი ავადმყოფი ვიყავი. ორი თვე, როგორც იყო, იქ გავატარეთ და ისე ავადმყოფი წამიყვანეს ქ. გორს ქირით ხეირიანი სახლი იქაც ვერ ვიშოვეთ. იქვე ახლო სოფელში (ხიდისთავში) იყო ჩვენი საკუთარი მამული, კარგი ზვარი და იქ წავედით... საიდანაც დაბინავებისთანავე შევატყობინე ჩვენებს. ერთ კვირაში ჩემიანები ყველანი მოვიდნენ და მნახეს ავადმყოფი, დიდად გაუკეირდათ ჩემი ასეთი გახდომა, დამიწყეს ამბის კითხვა: რად ხარ აგრე შეწუხებულიო და მეც ყველაფერს უსახლობას ვაპრალებდი..."

ორსული მარიამი საზამთროდ გორიდან ხიდისთავში გადაჰყავს გიორგის, სადაც 1857 წლის თებერვალში იმშობიარა კიდეც, შეეძინათ ქალიშვილი, რომელსაც მარიამი დაარქვეს. სამწუხაროდ ბავშვს დიდხანს არ უცოცხლია. მისი სიკვდილის მიზეზი, მსაგავსად მარიამის პირველი შვილისა, წითელა შეიქმნა და სამწლინახევრისა 1860 წლის ზაფხულში გარდაიცვალა.

მართა თარხან-მოურავის გერგილიანობისა და შრომისმოყვარეობის წყალობით ვალებში ჩავარდნილი ერისთავების ოჯახი და მათი მოშლილი მეურნეობა თანდათან ეკონომიკურად მომჯვობინდა. მართალია, ივანეს გამოისხით მამულის მთელი შემოსავალი „პრიკაზს“ და პირად ვალებს უნდებოდა, მაგრამ 1859 წ. გ. ერისთავისაგან ქ. გორის რკინიგზის სადგურის იჯარით აღებას

კარგი შემოსავალი მიუცია და ოჯახი ფაქტობრივად მხოლოდ იმით ირჩენდა თავს. ამაზე მართა იგნებს: „მამულის შემოსავალი უნდებოდა „პრიკაზს“ და კერძო ვალებს, ხოლო ჩვენ ვცხოვრობდით სადგურის შემოსავლით.“

თავად მართაზე კი სხვათა მოგონებათა დღიურებიდან ვგებულობთ, რომ: „თამარა ყოჩალი, ალლოიანი და გერგილიანი ქალი ყოფილა. მან წამოაყენა გ. ერისთავის გაპარტახებული სახლ-კარი და მამულები ფეხზე. ოქროს დაიბრუნა, გადასახადები გადაიხადა და ოჯახი წინ წამოსწია. თავის იორღა ცხენს კაცივით მოახტებოდა, ძვლისტარიან წკეპლას შემოარტყავდა იორღას და ჩაფრებთან ერთად დადიოდა თავის მამულებში თუ მთაში“. ერისთავების შინამოსამსახურის ივ. სუხიშვილის თქმით: „მას მეურნეობის და ოჯახის მოვლაში ტოლი არ ჰყავდა. დილით ჩვენზე ადრე დგებოდა, დაუგლიდა მეხრებს, ხაბაზს, მებალეს, და ყველას საქმეზე დააყენებდა. მერე მზარეულს ეტყოდა, თუ დღეს თუ რამდენი მუშა-კაციც იყო საჭირო, რამდენი სულისთვის უნდა გაეკეთებინა სადილი, ან რომელი საკლავი დაეკლა და სხვა. აქედან სახლში დაბრუნდებოდა და ჩაის მიირთმევდა, მერე შინ მოსამსახურებს დაგვაყენებდა ჩვენ-ჩვენ საქმეზე...“<sup>1</sup>

„ფურჩინის დროს, ლობიოს მოგლეჯაზე ბებია თვითონ მუშაობდა და სხვებსაც აგლეჯინებდა, ხოლო როცა გახმებოდა, ცეცხლს წაუკიდებდა. სისუფთავეს მისდევდა... ზვარში, გზის ნაპირებზე პატარა რუს პირას წნელის ბუჩქები დაარგვევინა, რომ ვაზის შესაკრავი წნელი იქვე ახლოს ჰქონდა... თვითონ აყენებდა საუკეთესო ღვინოსა და ძმარს. ყოველთვის ჰქონდა საჭმლის შესაზავებლად სხვადასხვა სუნელი: მიხაკ-დარიჩინი, ყვითელი კონი, ზაფრანი და ათასი სხვა სურნელოვანი მწვანილი...“<sup>2</sup>

მართა ერისთავის უკეთ შეფასებისათვის დავესესხები მის ერთადერთ შვილშვილ ელისაბედს, რომელიც ერისთავებზე დიდად მოამაგე თარხან-მოურავების ამ ენერგიულ ქალს – „საყვარელ ბაბულიას“ ეძახდა. „თვალწინ მიდგას ჩემი საყვარელი ბაბულია, ცოცხალი თვალებით, ტანდაბალი და ენერგიით სავსე. მთელი თავისი სიცოცხლე მან თავისი ქმრის ოჯახს შესწირა. ბებიამ ჩვენი დაცუმული ოჯახი ფეხზე დააყენა და პაპაჩემთან ტკბილად ცხოვრება გაატარა. მან მთავარი ყურადღება ოძისის სასახლეს მიაქცია, რადგან ეს იყო გიორგი ერისთავის ოჯახის აკვანი. მან შეაკეთა ექვს ოთახიანი სახლი, მამა მას მხოლოდ მატერიალურად ეხმარებოდა და რჩევას აძლევდა, სხვა მხრივ კი ყველაფერი ბებიას კისერზე იყო“.

ჯერ კიდევ დავით როსტომის ძე ერისთავის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში სოფელ ოძისის განაპირას, მდინარე ქსნის სიახლოვეს აშენებული, პატარა სახლის ექვსი ოთახის რემონტი და გაფართოვება დაქვრივებულ მარიამს შვილის – დავითის ქორწინების შემდეგ 1875 წელს განუხორციელებია. ათი წლის შემდეგ 1885 წელს კი სასახლის მეორე სართულს დააშენა ოთხი ოთახი. გაალამაზა და გააფართოვა ზვრის მხარეს ეზო, გააშენა ახალი ბაღ-ვენახი, ააგო წისქვილი, კალო და აგურხანა, სადაც მუშებს აგურსა და კრამიტს აკეთე-

1 ივ. სუხიშვილის მოგონებები. გ. ლეონიძის სახ. სახელმწ. ლიტ. მუზეუმი, 19799/300

2 ელ. ერისთავი. მასალები გიორგი ერისთავის ბიოგრაფიისათვის. ჟ. „ლიტერატურის მატიანე“, ტ. V. წან. 1. თბ., 1949 წ. გვ. 196

ბინებდა და ჰყიდდა. მუშისა და მოსამსახურისათვის საქმე გამოულეველ, დამ-ლელ გაზაფხულს, ზაფხულსა და შემოდგომას წელინადში ერთხელ შვების მომტანი ზამთარიც მოსდევდა. ივანე იგონებს: „.... სულ სხვა იყო ზამთრობით, მით უმეტეს ღამეობით, ბუხარში გაუქრობელი ცეცხლი ენთო. მოგვიწოდებდა ჩვენ და ნებას მოგვცემდა დავმსხდარიყავით ბუხრის მახლობლად, თითონ ერთ ალაგას რბილი „კუშეტკა“ და მწვანე შარიანი ლამფა ედგა. გვიკითხავდა ხან გაზეთ „ივერიას“, რომელსაც ცხენით სოფ. კასპიდან კვირაში ორჯელ ზიდავ-და განსაკუთრებით ამაზე მიჩნეული კურიერი, ხან ილიას, აკაკისა და სხვათა მოთხრობებს. ან თითონ ჰკერავდა ჩვენთვის და მოჯამაგირებისათვის საცვ-ლებს, ტანისამოსს, საზამთრო ფარაჯებს და სხვა... ჩვენ კი მატყლს ვწენდით, ვარჩევდით ბუმბულს... სძულდა თავქარიანი კნეინები, რომლებიც მთელი დღე პრანჭვა გრეხასა და ჭორიკანობაში ატერებდნენ დროს... მაგრამ ყველაზე ძა-ლიან სძულდა მოურავები და ჩაფრები: ესენი ჩვენი სახელით ანუხებენ ხალხს, ახდევინებენ ზედმეტს და გლეხობას აძულებენ ჩვენ თავსო...“<sup>1</sup>

ივ. სუხიშვილს აღნერილი აქვს სოფ. ოძისში ერისთავების მამულში მართას ორგანიზებით 1888 წელს განეული საშემოდგომო სამუშაოები, ჭირნახულის დაბინავება და ქალაქში საახალწლოდ გასაგზავნი სანოვაგის გამზადება, რაც პირდაპირ მიანიშნებს მართას გერგილიანობაზე, მის შრომისმოყვარეობასა და მზრუნველ ხასიათზე.

„ხორბლეული ბელლებში შეინახა, ხოლო თივა, ბზე და სიმინდი თავთავის ადგილზე. დაიწყო ღორებისა და ინდაურების დასუქებაც: ამასობაში რთველ-იც მოახლოვდა. მოჯამაგირებმა დაკრიფტეს ყურძნის ზვრები და ხილის ბალი, გააკეთეს ჩირები, დაავლეს ჩურჩხელები, დააყენეს ლვინოები, დაფქვეს საზა-მთროდ საფქვავი და მოიმარაგეს შეშა... ამასობაში დეკემბრის თვეც მოვიდა. დასუქებული ღორები დააკვლევინა, სალორე ხორცი გადაარჩევინა და მარილ-სა და გვარჯილაში ჩააწყობინა, რომ ვიჩინა კარგი გამოსულიყო, საზამთრო ხილი ზოგი საქალაქოდ, ზოგიც ოჯახში სახმარებლად ყუთებში ჩაალაგებინა. ნუში და კაკალი დავამტვრიეთ. თაფლი, ერბო და წნილები საქალაქოდ ქილე-ბით დაამზადებინა და 15 დეკემბრისათვის კნეინა მართა უკვე მზად იყო ქა-ლაქში გასამგზავრებლად. ლვინო-არაყიც ამოიღეს და ყველაფერი ურმებზე დატვირთეს. მოურავი ახალგორში წავიდა ბოქაულთან ნებართვის ასაღებად, რომ გზაში საბაჟოში არ დაეკავებინათ...“

მართა ერისთავს სიკვდილამდე – 84 წლის ასაკამდე შენარჩუნებული ჰქონდა ახალგაზრდული შემართება და შრომის უნარი. ბოლოდროს თარხან-მოურავის ქალი ქ. გორში სადგურის ქუჩაზე თავიანთ პატარა სახლში მოურავთან ერთად ცხოვრობდა. სიკვდილი სწრაფად ეწვია, წნევამ დაარტყა, ენა ჩაუვარდა, შემდ-გომ დამბლა დაეცა და ორ კვირაში გარდაიცვალა. განუხორციელებელი დარჩა ის დიდი სურვილი „დიდ კნეინას“ რომელსაც ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ხშირად გამოთქვამდა, ემოგზაურა იერუსალიმში თავის მეგობარ ქალთან პლა-ტონ იოსელიანის მეუღლესთან ანასთან ერთად.

მარიამ თარხან-მოურავი-ერისთავისა დაკრძალულია ქსნის ერისთავების საგვარეულო სასაფლაოზე იკორთაში. წირვა და ანდერძი ქ. გორში ოქონის

1 ივ. სუხიშვილს მოგონებები, გ. ლეონიძის სახ. სახელმწ, ლიტ. მუზეუმი, 19799/300

ეკლესიაში აუგეს.

ოჯახმა წლისთავზე მართას საფლავზე დადო მარმარილოს დაფა წარწერით:

„აქა მდებარეობს თ ~ დ  
დავილ თარხნიშვილის ასული  
კწეინა  
მართა, თავად გიორგი  
ერისთავის მეუღლე.  
დაიბადა 1824 წელსა,  
გარდ. 16 აპრილს 1908 წელსა.“



## მარიამ (მარა) შალვას ასული ერისთავი-ჟავახაძისა

(1816-1869)

ქსნის ხეობის სილრმეში, სოფ. კორინთაში მცხოვრებ „დიდ როსტომად“ წოდებული ერისთავის (1762-1808) შვილიშვილი მარიამ (მარა) შალვას ასული ერისთავი ერთი ჩვეულებრივი თავადის ქალი: თავმდაბალი, ცნობისმოყვარე, სხვებისაგან არაფრით გამორჩეული, XIX საუკუნის ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში არასდროს მოხვედრილა. ის ალბათ ქსნის ერისთავიანთ უილბლო ქალების სიაში მოხვედრილა თავის დასთან ერთად, თუ კი ასეთ სიას ვინმე გააკეთებდა. მარიამი ჯერ კიდევ ახალგაზრდა 53 წლის ასაკში თბილისში გარდაიცვალა.

მარიამის დედას, იმერეთის თავადის ქალს თამარ პაატას ასულ აბაშიძეს სამი ქალი შეეძინა, შუათანა სალომე მარიამზე უფრო უილბლო აღმოჩნდა. ის მეტად ახალგაზრდა, 26 წლის ასაკში მესამე შვილზე მშობიარობისას გარდა-იცვალა. იგი იყო ახალგორის სასახლეში მცხოვრები, ფიცხი მებატონის დავით ლუარსაბის ძე ერისთავის მეუღლე. მას ცხრაწლიანი თანაცხოვრებით სამი შვილი გაუჩინა, (პირველი შვილი ორი წლისა გარდაეცვალათ) მესამე შვილზე მშობიარობისას, 1854 წელს სალომე დაიღუპა.

შალვას და თამარის შვილებიდან მხოლოდ უმცროსს – მანანას ერგო მრავალშვილიანი დედის მანტია. მარიამს და სალომეს თუ თითო შვილი ჰყავდათ მანანას – შვიდი. თუმცა ისიც შუახნის 48 წლის ასაკში გარდაიცვალა. მანანამ და მისმა მეუღლემ ალექსანდრე იგივე ბაბახან ზურაბის ძე ერისთავმა, მამულების სხვა გვარებზე არიგება-ჩარიგების შიშით გამოწვეული მახინჯი, დაუწერელი კანონით იქორწინეს, რაც საქართველოში ფეოდალიზმის დაკინებითა და ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ დამკვიდრდა. ქართველთა მენტალობისთვის უცხო ჩვეულებამ, ბიძაშვილობაში დარღვეულმა ეგზოგამიამ, საბჭოთა ხელისუფლების მოსვლისთანავე შეწყვიტა არსებობა.

მარიამ შალვას ასულმა თავისი ბედი დაუკავშირა კახელ თავადს იასონ იოანეს ძე ჭავჭავაძეს. მათი ქორწილი დღევანდელი გადასახედიდან არატრადიციულ დროს, გათვალისწილ თვესა და რიცხვში 13 მაისს გაიმართა. რვა წლის თავზე 1849 წ. შეეძინათ ერთადერთი შვილი ნინო.

ქსნის ერისთავების სიძე, წინანდალელი თავადი იასონი სამხედრო პირი გახლდათ. იგი კიდევ ერთი ქართველი გენერალი ვინც მთელი თავისი ნიჭი და ენერგია თავისუფლების მოყვარე კავკასიაში რუსეთის იმპერიის გაძლიერებასა

და გაბატონებას მოახმარა. მან სამხედრო სამსახური 1819 წელს დაიწყო შირვანის, შემდგომში პასკევიჩის პოლკში. იბრძოდა რუსეთ-ირანისა (1826-1828) და რუსეთ-ოსმალეთის (1828-1829) ომებში. მონაწილეობდა აგრეთვე რუსეთის არმიის სამხედრო ოპერაციებში კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ. ყირიმის ომის დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. თავი ისახელა ბაშკადიკულარის და ქურუქ-დარის ბრძოლებში. 1852 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. მიუხედავად ფრონტზე მიღებული მძიმე ჭრილობებისა ის მაინც ხელმძღვანელობდა საქართველოში კარგად ცნობილ ნიუეგოროდის პოლკს. 1876 წლიდან ავადმყოფობის გამო დატოვა სამხედრო სამსახური, 1857 წელს 53 წლისა გარდაიცვალა.

ქსნის ერისთავების ამ უპრეტენზიო ქალბატონისადმი ჩვენი ყურადღება გამოიწვია მისმა მოგზაურობამ ევროპაში თავის უახლოეს ბიძაშვილთან – მწერალთან და დრამატურგთან გიორგი დავითის ძე ერისთავთან ერთად. ასევე იმ დიდმა როლმა რამაც მარიამ თარხან-მოურავისა და გიორგის შეუღლებაში ითამაშა.

ძმათა შვილები მარიამი და გიორგი ერთმანეთში კარგ და მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. გიორგის დაქვრივების პირველ დღიდანვე მარიამი დიდად უთანაგრძნობდა მას და მის ობლად დარჩენილ შვიდი წლის დავითს. ელისაბედ ალიხანოვას გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ 1856 წლის თებერვალში ქორწილით დააგვირგვინა თავისი ორწლიანი სამაჭანკლო შუამავლობა თარხან-მოურავის ქალთან.

რაც შეეხება ევროპაში მოგზაურობას მარიამმა ამაშიც დადებითი როლი ითამაშა. რომ არა მისი დიდი მხარდაჭერა გიორგისადმი, სავსებით შესაძლებელია არ შემდგარიყო ის საინტერესო მოგზაურობა, რომელიც ასევე საინტერესოდ აღწერა ჩვენმა სახელოვანმა მამულიშვილმა – „ქართველმა მოლიერმა“ – გიორგი ერისთავმა.

როგორც ვიცით 1859 წელს გ. ერისთავმა გორში სადგურის იჯარა აიღო, რის წყალობითაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და საშუალება მიეცა აეხდინა თავისი დიდი ხნის სურვილი – ემოგზაურა ევროპაში. ამის შესახებ მოგვითხრობს ხანდაზმული მართა თარხან-მოურავი, მეორე მეუღლე გ. ერისთავისა.

„... ჩემმა ქმარმა ქ. გორში სადგურის იჯარა აიღო, თუმცა ბევრი გვეხარჯებოდა, მაგრამ შემოსავალიც კარგი გვექნდა. მამულის შემოსავალი უნდებოდა „პრიკაზსა“ და კერძო ვალებს, ხოლო ჩვენ ვცხოვრობდით სადგურის შემოსავლით...“

1862 წელს ისე გაუმჯობესდა ჩვენი ოჯახის მდგომარეობა, რომ ჩემი ქმარი და ჩვენი ნათესავი ქალი მარიამ ჭავჭავაძე საზღვარგარეთ ნავიდნენ. ერთად იმგზავრეს 4 თვე. იქიდან მშვიდობით დაბრუნდნენ და უცხო ქვეყნის ნახვით კმაყოფილნი იყვნენ...“<sup>1</sup>

აღნიშნული მოგზაურობა სუფთა ტურისტულ ხასიათს ატარებდა. მარიამსა და გიორგის სურდათ საკუთარი თვალით ენახათ ევროპა, დაეთვალიერებინათ

1 ელ. ერისთავი. მასალები გ. ერისთავის ბიოგრაფიისათვის. ჟ. „ლიტერატურის მატიანე“ წიგნ. 5. ნაკვ. I. თბ., 1949. გვ. 126.

უცხოეთის დიდი და ლამაზი ქალაქები. გამგზავრება მოხდა ფოთიდან თურქეთის მიმართულებით 1862 წლის 13 ივნისს. როგორც გიორგიმ ასევე სავარაუდოდ მარიამაც პირველად იმგზავრა გემით და მატარებლით. ამასთან დაკავშირებით ამბობს გიორგი – „პირველი ჯდომა იყო ჩემი პარახოდში“.

მარიამა ამხანაგად – „კამპანიონკა“-დ თან გაიყოლა ვინმე „მადამ ბაბაევი“, რომელსაც შესაძლოა მზრუნველისა და დამხმარის ფუნქციაც ევალებოდა. რამდენიმე თვითი მოგზაურობის შემდეგ, კერძოდ დეკემბერში ერისთავები უკვე სამშობლოში არიან. ამას მონშობს გიორგისადმი მარიამის მიწერილი წერილი, დათარილებული 1862 წლის 30 დეკემბრით: – „გიორგი, შენი ვენეციან-სკი სალამურიანი ჯორი მოგართვი, ნეტა იმ დროს, როცა ეს იყიდე“<sup>1</sup>.

უცხო ქვეყნების გასაცნობად წასულმა თავადიშვილებმა ბევრი კარგი და საინტერესო სიახლე ნახეს საზღვარგარეთ. გარკვეული ნივთები შეიძინეს და სამშობლოში ჩამოიტანეს, მაგალითად მოდერნიზებული საკერავი მანქანები. ამაზე შემდგომ გიორგის მეუღლემ მოგონებაშიც კი ჩაწერა – „... თან ბევრი რამ ძვირფასი ნივთეული ჩამოიტანეს“-ო.


დიდ ემოციურ განცდებში ჩავარდნილან მარიამი და გიორგი როდესაც სტამბულში მიმავალთ გემზე უნახავთ სამშობლოდან გაყიდული თანამემამულე, რომელსაც დახმარება უთხოვია და სამნუხაროდ ვერაფრით უშველეს. ამ ამბავს იხსენებს გიორგი თავის ნაწარმოებში: „... ერთი მეგრელის ყმანვილქალს, მარიამისათვის ეამბნა: მე ჩემებმა გამყიდესო და ვარ ამ უწმინდურების ხელშიაო. ღვთის გულისათვის, აგება მიშველოთ რამეო. რა უნდა გვექნა!... ისე არ დაინახავდა მარიამს, რომ არ ანიშნებდა შველას. ცრემლები მოგვდიოდა თვალში, მაგრამ რას უშველიდით“<sup>2</sup> ამ შემთხვევიდან გადის რამდენიმე დღე და მარიამს თურქეთში თორმეტი ოქრო მოპარეს.

ევროპით დაინტერესებულმა ერისთავებმა დაათვალიერეს: თურქეთი, ბულგარეთი, ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, საფრანგეთი, ინგლისი და იტალია. აქ წყდება მწერლის დლიურიც და უბის წიგნაკის ჩანაწერებიც. მომავალ 1863 წელს მწერალმა დაიწყო ნაწარმოების დაწერა, რაც სამნუხაროდ ბოლომდე დასრულებული სახით არ მოგვეპოვება. მიუხედავად ამის დიდია გ. ერისთავის ნაწარმოების „ჩემი მოგზაურობა ევროპაში“ მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისათვის. იგი წარმოადგენს სამოგზაური ჟანრის შესანიშნავ ნიმუშს. პირველად აცნობს ქართველ მკითხველს საფრანგეთის, ინგლისისა და შვეიცარიის ღირშესანიშნაობებს. ამ ნაწარმოებით ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი ავლენს თავის ჩვეულ, დამახასიათებელ ეროვნულ ცნობიერებას. ყოველივე ამის ხელისშემწყობად, სახელოვანი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გვერდით, გვევლინება მარიამ შალვას ასული ერისთავი, შვილიშვილი „დიდი როსტომისა“.

1 გ. ერისთავი, თხზულებანი. თბ., 1966. გვ.409

2 გ. ერისთავი. თხზულებანი. თბ., 1966. გვ. 379

## მარიამ (მაია) შალვას ასული ერისთავი-ჭავჭავაძის გენეალოგია



## ქათევან გიორგის (სენატორის) ასული

### ერისთავი–ჯავახაკურ–ორბელიანისა

(1808–1897)

ერისთავიანთ გენის მატარებელ თავადთა პევრი ლამაზი ქალი გაზრდილა ქსნის ხეობაზე. მათგან ბუნებრივია ყველა ცნობილი ვერ შეიქმნებოდა და ვერ დატოვებდა საზოგადოებაში შთამბეჭდავ კვალს. ერთ-ერთი ვინც თავი დაამახსოვრა XIX საუკუნის ქართველ საზოგადოებას იყო ბაგრატიონთა სამეფო გვარის სისხლს ნაზიარები, უგანათლებულესი და უბრნყინვალესი თავადიშვილი ქეთევან ერისთავი.

ქეთევანი დაიბადა 1808 წელს და ხანდაზმული, 89 წლის ასაკში, 1897 წელს გარდაიცვალა. მისი მშობლები მამა გიორგი იესეს ძე პირდაპირი შთამომავალი იყო ახალგორელი წმინდანების შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისა, დედა გაიანე კი გიორგი XII-ის ქალიშვილი.

ისტორიამ შემოგვინახა გიორგი ერისთავის მეტსახელები დაკავშირებული მის ცხოვრებისეულ მომენტებთან: გიორგის მამა იესე იესეს ძე ცნობილია ასევე აღაბაძას სახელით, ამიტომ გ. ერისთავი ზოგჯერ მოხსენიებულია „აღაბაძაშვილად“. რუსეთის არმიაში ჯარისკაცები „ბატუშკას“ ეძახდნენ. ქართულ საზოგადოებაში მისი მაღალი თავადური ღირსების გამო „დიდ კნიაზად“ მოიხსენიებდნენ. 1827 წელს რუსეთ-ირანის ომის დროს მთავარსარდალ პასკევიჩთან შეუთანხმებლად, მცირე რაზმით თავრიზის აღების შემდეგ დაერქვა „თავრიზელი, რუსები „Таврический“-ს ეძახდნენ. თავრიზის აღების შემდეგ გ. ერისთავის მისცეს სენატორობა საქართველოში ცხოვრების უფლებით, რის გამოც ხშირად „სენატორის“ სახელით მიმართავდნენ. ღრმა მოხუცებულობაში შესულმა (იცოცხლა 103 წელი) ხშირად იცოდა თქმა „ჰერი-ჰა“ როდესაც ეკითხებოდნენ წლოვანებას. ასევე მას სიბერეში უდარდელი ცხოვრების გამო დაუმსახურებია ეს სახელი.

გ. ერისთავი თავისი პიროვნული თვისებებით, შემოქმედებითი ნიჭით და განვლილი ცხოვრებით<sup>1</sup> მძიმეწონიანი ფიგურაა ქსნის ერისთავების გვარში. იგი

1 ერეკლე მეფის შვილიშვილს თეკლა ბატონიშვილის ვაჟს – ალ. ორბელიანს თუ დავუჯერებთ აღამაშმადხანისგან თბილისის აოხრებაში წვლილი გიორგი ერისთავსაც მიუძღვის. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ – „გიორგი ერისთავი და ელიზბარ ერისთავი მეფის ირაკლის ჯარის გამოყვანას შლიდნენ“. აღნიშნული ფაქტის პარადოქსია: კრწანისის ომიდან 32 წლის შემდეგ 1827

თავისი დროისათვის რიგიანი პოეტიც ყოფილა, მისი ერთი თხზულება ს. დო-დაშვილმა გამოაქვეყნა. ასევე „სენატორის“ ნაწარმოებები უურნალ „ცისკარში“ იბეჭდებოდა.

XIX საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის თქმით იგი იყო: „საქართველოში დასაბამიდან დამკვიდრებული განათლებით აღზრდილი, როგორც უკანასკნელი წარმომადგენელი ფილოსოფიური სკოლისა შეიძლება დარჩეს აუხსნელი შთამომავლობისათვის... მისი სახით თითქოს გარდაიცვალა და მასთან ერთად დაიმარხა ის რითაც ცხოვრობდნენ ძველი თანამემამულე დიდი მოაზროვნები....“

გიორგი ერისთავი იყო მრავალ ომში გამარჯვებული გენერალი, მისი დროის რუსეთში არ დარჩენილა არც ერთი სამხედრო ორდენი რომელიც მას არ დაემსახურებინოს. მრავლად ჰქონდა I და II ხარის ორდენები ბრილიანტებისა და ალმასების ნიშნებით. მის პენსიაში გასვლის მომენტში, როგორც ე. თაყაიშვილის ნაამბობიდანაა ცნობილი ყირგიზეთი იყო აჯანყებული. ვერ ჩააქრეს, გააგზავნეს გ. ერისთავი, მან იქაც მალე გაიმარჯვა და დააჯილდოვეს რუსეთში მანამდე არარსებული ორდენით „Атаман казаческих войск“

ქსნელ თავადს მინიჭებული ჰქონდა შემდეგი წოდებები: გენერალ-მაიორი (1813 წ.); გენერალ-ლეიტენანტი (1826 წ.); ინფანტერიის გენერალი (1846 წ.).

1808 წელს „სენატორმა“ ცოლად შეირთო ერეკლე II-ის შვილიშვილი – გაიანე (გიორგი XII-ის ასული ბატონიშვილი, 1780-1820), რომელსაც სახელმწიფო საბჭომ მზითვად გამოუყო 12•000 მანეთი. გ. ერისთავსა და გაიანეს ჰყავდათ ოთხი შვილი:

1. ქეთევანი 1808-1897 წწ. მამუკა (მაკარ) ორბელიანის (1800-1871 წწ.) მეუღლე. იკოთის მამულის მფლობელი.<sup>1</sup>
2. ანა (თუთა) 1811-1846 წწ. ზაზა ციციშვილის (1791-1840 წწ.) მეუღლე.
3. ზაქარია 1814-1850 წწ. პოლკოვნიკი, დაილუპა ლეკებთან ბრძოლაში. მისი მეუღლე იყო ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანი (1815-1888 წწ.).
4. მარიამი 1818-1882 წწ. გრიგოლ ივანეს ძე ერისთავის (ქსნისა) 1821-1876 წწ. მეუღლე, ატენის მამულის მფლობელი.

გიორგისა და გაიანეს ერთადერთი ვაჟის ზაქარიას ზაქათალაში დაღუპვის შემდეგ<sup>2</sup> უმეტესიდროდ დარჩენილი მათი ოჯახის ქონება ორ ქალიშვლზე გადანაწილდა. უფროსი შვილი ქეთევანი 1827 წ. ცოლად გაჰყვა მამუკა თამაზის ძე ჯამბაკურ-ორბელიანს. ერისთავების ასულის მდიდრულ მზითვს ამშვენებდა ახალგორის სიახლოეს მდებარე იკოთის მომცრო, მაგრამ მოხდენილი სახლი.

წელს ირანის მემკვიდრის რეზიდენციის – თავრიზის აღებისას ერისთავმა სრულიად ამონყვიტა დიდი და პატარა, არ დაინდო ქალი და ბავშვი. როგორც ამბობენ ეს მან ჩაიდინა სამაგიეროს გადასახდელად აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის გადაწვის გამო.

1 მამუკა (მაკარ) თამაზის ძეს რუსები მოიხსენიებდნენ მაკარ ფომიჩად. თეკლა ბატონიშვილის უფროსი ვაჟის ად. ორბელიანის თქმით მამუკა იყო – „აჩქარებული ხასიათისა და ლვონოში ხომ კარგა ჭირვეული იყო, რომელსაც ყოველი კაცი ერიდებოდა და რომელსაც იმისი ხასიათის გამო მომატებულს სახელს ბულოს (რუს. კამბერი) ეძახდნენ“. მამუკა იყო ცნობილი მოჯირითე და სახელგანთქმული ვაჟები. მის ვაჟებაცობაზე ლეგენდები ითხვებოდა. 1830-იან წლებში მუშაობდა ელიზავეტის (ნახტევანის) მაზრის უფროსად

2 ზაქარიაზე ეპიტაფია დაწერა მარიამ ივანეს ასულმა ერისთავმა, რომელიც არსად არ გამოქვეყნებულა

1840 წლიდან ორბელიანების სიმდიდრის პრეცინვალება გახდა სწორედ ამ შესანიშნავ ადგილზე აგებულ სახლზე დაშენებული იკოთის პომპეზური დღევანდელი სასახლე. თვით ახალშემნილი ოჯახიც ამაყ, შეძლებულ და ბედნიერ ოჯახად ითვლებოდა ქართველ თავადთა ელიტურ წრეში. ქეთევანსა და მამუკას 15 შვილი გაუჩნდათ. შვილების კარიერაზე დიდად იმოქმედა ოჯახის სიმდიდრემ, ნიჭიერებამ და სრულფასოვანმა განათლებამ. მათი ერთი ქალიშვილი – ალექსანდრა (სამა) ცოლად გაპყვა ლევან მელიქიშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილის უპირველეს მეგობარს, რომელმაც ნ. ბარათაშვილისა და ილია ორბელიანს შორის გამართულ დუელში დიდი როლი შეასრულა ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად. შემდგომ სამა გახდა სიდედრი ოძისის სამეურნეო სკოლისა და ბანკის დამაარსებლის ზაქარია გიორგის ძე ერისთავისა. ხოლო ქეთევანის ერთი ვაჟი ვანო ორბელიანი გახლდათ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი.

გიორგი იესეს ძე ერისთავსა და გაიანეს იკოთისა და კარალეთის გარდა სახლები ჰქონდათ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. დღევანდელი მშრალი ხიდის მარჯვენა კუთხის ბურჯთან (გიორგი ლეონიძის ძეგლიდან) სადაც მათი ბავშვები დიდ დროს ატარებდნენ. ბუნებრივია ოჯახს ახლო ურთიერთობა ექნებოდა როგორც იქ, ე. წ. „ორბელიანთ აულში“, მცხოვრებ ნათესავებთან, ასევე მაშინდელი, ჯერ კიდევ პატარა თბილისის სხვადასხვა უბნებში მცხოვრებ სახლობლოსთან.

მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი (ლამისყანელი) თავის მოგონებებში აგვინერს ქეთევანის ბავშვობისდროინდელ ეპიზოდს თეკლა ბატონიშვილთან ურთიერთობაში. მოგეხსენებათ თეკლა და გიორგი მეფე (გიორგი XII) იყვნენ და-ძმანი. გიორგი კი ქეთევანის პაპა – დედის მამა გახლდათ.

„ქეთევანი 90 წლის იყო, რომ ეს ამბავი მომიყვა, – იგონებს მარიამი.

– ერთხელ სოლოლაკის ბაღში მწვანეზე გაშლილ ხალებსა და დორებზე წამონალიყვნენ უფროსები და ჩუმად ბაასობდნენ. ამ დროს მოირბინეს ყმანვილმა ქალებმა, შემოერტყნენ ბატონიშვილ თეკლეს. ქეთევან ერისთავმა (ზამუკა ორბელიანის მეულლე), მაშინ ცელქმა და სხვებზე უფრო გამჭედავმა გოგონამ, დაუჩრქა პაპიდას (ბატონიშვილ თეკლეს) და ყველას სახელით შეეცვენა, ეჩვენებინა თუ როგორ ისროდა თოფს. ბატონიშვილი თეკლე ჯერ ძალიან უარზე იყო, მაგრამ რომ ველარ მოიშორა ყმანვილები, უბრძანა ქეთევანს: „მაშ კარგი, წადი და ჩემ ოთახში მომიძებნე თოფი და ჩამომიტანეო“. ქეთევანმა სწრაფად ჩამოურბენინა იარაღი. ბატონიშვილმა თეკლემ მაშინვე გატენა, უმიზნა მომფრინავ ჩიტს და ჩამოაგდო. ვაშას ძახილისა და ყმანვილების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა“.<sup>1</sup>

ქეთევან ერისთავი-ორბელიანისა პირველი სცენისმოყვარე ქალია, რომელმაც მონანილეობა მიიღო გიორგი ერისთავის მიერ შექმნილ ქართული თეატრის პირველ ნარმოდგენებში. 1850 წლის 2 იანვარს (ძვ. სტ.) ქეთევანმა კომედია „გაყრაში“ შეასრულა მიკირტუმ გასპარიჩის ცოლის თათელას როლი, ხოლო 3 მაისს „დავაში“ ითამაშა გამდელის –ლომისეულის როლი. უურნალ „აკაკის კრებულში“ (1897 წ. № 4) ა. წერეთელი „სამძიმარში“ წერს: „განსვენებულმა ქეთე-

1 მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი. მოგონებები. ლიტერატურის მატიანე, თბ., 1949. წიგნ. 5, ნაკვ. I. გვ. 66.

ვანმა რომ თეატრი არ დაივიწყა და ის მცირე წვლილი დაუტოვა, კარგი ქმნა და აქაც გონივრულად მოიქცა. ადრე ისე სასირცხვილოდ მიაჩნდათ ჩვენში თეატრში სცენაზე გამოსვლა, რომ თავის მოჭრა ეგონათ. ვორონცოვის დროს, რომ „გაყრა“ ითამაშეს, პირველი მაგალითი კნეინა ქეთევანმა უჩვენა ყველას; ითამაშა და მით აგრძნობინა სხვებსაც, რომ აქ სასირცხო არა არის რაო.“

ახალგორის უკანასკნელი ერისთავის ნიკოლოზ (კოლა) დავითის ძის ჩანაწერების მიხედვით ქეთევან ერისთავი ბოლო დროს სიღარიბეში ცხოვრობდა და აღარაფერი აღარ გააჩნდა. მოვალეები წარამარა აწუხებდნენ და საქმე სასამართლომდე მისულა. მართლმსაჯულებას ერთ დროს მდიდარი კნეინა შეუძლებელ მოვალედ უცვნია და ოპერა დაუნიშნავს. მანამდე კი რუსეთის ხელმწიფემ ალექსანდრე II-მ მისდამი დიდი პატივისცემის გამოხატვით უბოძა ხარისხი „კავალერსტვეინნაია დამა“. საქართველოში სულ ორი ქალბატონი იყო ამ საპატიო ხარისხის მატარებელი. ერთი იკოთის სასახლეში მჯდომი კნეინა ქეთევანი და მეორე მისივე ასული ალექსანდრა (საშა) ლევან მელიქიშვილის მეუღლე.

„ხელმწიფე ალექსანდრე II რომ ჩამოვიდა საქართველოში, (იგონებს კოლა ერისთავი. ვ. ქ.) თავადაზნაურობამ რა თქმა უნდა გაუმართა ნადიმი (ბალი), ამ ნადიმზე პირველი ცეკვა უნდა დაეწყო ხელმწიფეს (ეს ცეკვა იყო პოლონური) რომელიც იმაში გამოიხატებოდა რომ ქალს და კაცს ხელჩაკიდებულებს რამდენჯერმე უნდა შემოევლოთ დარბაზში, რასაკვირველია მუსიკით... როდესაც ნადიმზე პოლონეზი დაუკრა მუსიკამ – ხელმწიფე მივიდა ჯერ ორბელიანთან და სთხოვა მასთან ეცეკვა პოლონეზი – ქეთევანი მაშინ იქნებოდა თითქმის 73 წლისა, ბრძანდებოდა დეკოლტეთი და გულზე ქონდა გადაკიდებული დიდი ლენტი – ნიშანი მისი ხარისხისა. ერთხელ შემოუარეს დარბაზს სიჩუმით, მეორეთ ქეთევანმა მიმართა ხელმწიფეს და უთხრა: „თქვენო საიმპერატორო აღმატებულებავ თქვენ ცეკვავთ შეუძლებელ მოვალესთან“.

ხელმწიფემ ყური თურმე მოიყრუა, მაგრამ როდესაც რამდენჯერმე გაიმეორა უპასუხა: „თქვენ არ შეიძლება იყოთ შეუძლებელი მოვალე, თქვენ 10 დესეტინა ნავთობიანი მიწა გაქვთ ბაქოში“.

ქეთევანი მიხედა რასაც ეუბნებოდა და რა თქმა უნდა მადლობა გადაუხადა საჩუქრისთვის.“<sup>1</sup>

როგორც ირკვევა თავადის ასულს ძლევამოსილი რუსეთის იმპერატორის დახმარებით დაუძლევია სიღარიბე და არამცთუ გაუსტუმრებია ვალები, არამედ საქვეყნო საქმისთვისაც შეუწირავს გარკვეული თანხა. „განსვენებულს დიდაღი შეძლება დარჩა და გონივრულადაც გაუნაწილა მემკვიდრეებს. არც საზოგადო საქმე დავიწყებია და ასი თუმანი უანდერძებია „ქართული დრამატული საზოგადოებისათვის“. ეს შესანირი მის ქონებასთან იგივეა, რაც ზღვაში ერთი წვეთი, მაგრამ ეს ერთი წვეთიც – კი დღევანდელ დღეს დიდმიშვნელოვანია ჩვენი საზოგადო ცხოვრებისათვის“.<sup>2</sup>

„დიდი კნიაზის“ ასული 1897 წლის 16 ნოემბერს გარდაიცვალა, დაკრძალულია სიონის ტაძარში მეუღლის გვერდით. სახელოვანი თავადის ქალის გარ-

1 საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – 1000.

2 „აკაკის კრებული, 1897. № 4. განკ. I. გვ. 49.

დაცვალებას დიდმა მგოსანმა აკ. წერეთელმა თავის კრებულში „სამძიმრის წერილი მიუძღვნა, სადაც გაიხსენა მისი პიროვნული ღირსება და ავტორიტეტი იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში:

„ოც ნოემბერს დაასაფლავეს სიონის ტაძარში კნეინა ქეთევან გიორგის ასული ორბელიანისა, დიდი ოჯახის შვილი და არა ნაკლებ ოჯახისავე რძალი. ეს შესანიშნავი მოხუცი მონამე იყო ყოველგვარ იმ ცვლილებისა, რომელიც კი შემოუღიათ ჩვენში ამ საუკუნის განმავლობაში და შეგნებულადაც ჰქონდა გათვალისწინებული, როგორც ჩვენი წარსული, ისე ანტყო და, შეიძლება, მომავალიც. ის ეკუთვნოდა იმ ქართველების გუნდს, რომელთაც თავის მცნებათა აქვთ აღსარებული რუსეთთან საქართველოსი სიყვარულით შეკავშირება და ოქროს ჯაჭვითა და არა ჩინოვნიკური გრეხილით გადაბმა. მთავრობისაგან პატივცემული, ხალხის საყვარელიც იყო და ის სიყვარული იხატებოდა იმის უბრალო, უტიტულოთ სახელწოდებაშივე: „კნეინა ქეთევანო“ რომ ახსენებდნენ, მთელმა აღმოსავლეთის ქართველობამ იცოდა, თუ ვინ იყო ის „ქეთევანი“. განსვენებული განკერძოებითს მოვლენას არ წარმოადგენდა საზოგადოთ ქართველ ქალებში. ეს იყო მხოლოთ უკანასკნელი ნაშთთაგანი იმ ძველი დედებისა, რომელთაც დღეს ვეღარა ვხედავთ და რომელთა თვისებას შეადგენდა მახვილი და გამჭრიახი გრძნობა-გონება, ხასიათის სიმტკიცით დაგვირგვინებული. გარდა სხეულის დაჩაგვრისა, სიბერემ ვერა დააკლო რა და, იმ თავიდან ამ ბოლომდე განსვენებულს არ უმტყუნია თავის ზნე-ჩვეულებისათვის. გულ-წრფელი და სიმართლის დროს შეუპოვარი, კარგათ არჩევდა ავსა და კარგს და თავის საკუთარ მსჯავრსაც უშიშრათ სდებდა: მოსაწონს აქებდა და დაასაწუნს – აძაგებდა. ერთხელ, წირვის დროს, ეკელესიაში მივიდნენ მასთან და უთხრეს: „ჩამოდექით, მანდ თქვენი ალაგი არ არის! შეხედა მშვიდობიანათ და წყნარათ უპასუხა: „აქ არის შესაკრებელი უფლისა, რომლის წინაშეც ყველა თანასწორია. მე ვადგავარ თავზე ჩემი თანა-მემცხედრის საფლავს და ღმერთს ვავედრებო!“ ერთხელ კიდევ ჰკითხეს: ქეთევან, რას იტყვი ახლანდელ ქალებზე, როგორ მოგწონს? გაიცინა და თქვა: „რა უნდა მოგახსენოთ? ძველი ქალი ვარ და ახალი რომ აღარა მომწოდეს რა, განა გაგიკვირდებათ? ჩვენ სულ სხვებ ვიყავით გაზრდილი და ესენი-კი სულ სხვა ნაირათ იზრდებიან. ჩვენ დორში უსაქმურათ შინიდან ფეხის გადგმა და აქეთ-იქით ხეტიალი დიდი სირცხვილი იყო!.... ამბობენ, სიცოცხლეში ხშირად ინატრებდა ხოლმე განსვენებული, რომ ნეტავი იკორთაში დამმარხავდნენ! ეს ნატვრა უსაფუძვლო არ არის და კიდეც შეეფერებოდა განსვენებულს. „იკორთა“ ერთი იმ ძველ ტაძრებ-მონასტერთა-განის ნაშთია, სადაც არა თუ მარტო ერისთავებთა გვარეულობის ისტორია, თვით მთელი საქართველოსიც-კი დიდებულათ დაკრძალულია. აქ არის გმირთა სავანე და მათში ურევია წმინდა ნაწილები შალვა და ელიზბარ ქსნის ერი-სთავებისა, ბიძინა ჩოლოყაშვილთან ერთად რომ ენამნენ შაპ-აბაზისაგან და მონამეთათაც შეირაცხენ. ესენი ყველა განსვენებული ქეთევანის წინაპრები იყვნენ და მათთან ერთად განსვენება და გვერდით დასაფლავება დიახ სანატრელი იქნებოდა ქართველ-ქალისათვის. მაგრამ ჩვენ დღეს აღარც-კი ვიცით რა არის „იკორთა“ და მისთანაები და ან სად რა საუნჯე-სამკაულია ჩვენი?! მაგიერათ შესწავლილი გვაქვს ტროტუარის პირზე, გაღმა-გამოლმა, მაღაზ-


იები, ვიცით რა აწყვია ჩარახჩიანის მაღაზიაში და რა მოუტანია ბერლემონს!... ღმერთმა საუკუნო განსვენება ნუ მოუშალოს ერთად იმ ჩვენ საქებ დედებთან კნეინა ქეთევანს!“.


ქეთევანის შვილებმა, ჯამბაკურ-ორბელანებმა, მზითვში მიყოლილი იკო-თის სასახლე და 7 ჰექტარი ბაღ-ვენახი 1906-1907 წლებში მიჰყიდეს თავის ნა-თესავს მიხეილ ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონს, რომლის მეუღლე გახლდათ 1832 წლის შეთქმულების მეთაურის ელიზბარ შანშეს ძე ერისთავის შვილიშვილი – დარია გენოს ასული ქობულაშვილი. ალექსანდრე მიხეილის ძე (დარიას მამთილი) იყო ძმისშვილი დიდი ივანე მუხრან-ბატონისა.

იკოთის ახალი მფლობელი, სავარაუდოდ, 1902-1903 წლებიდან იყო გროდ-ნოს პუსართა პოლკის პოლკოვნიკი, რომელიც 1921 წლის რევოლუციის შემდეგ ცხოვრობდა ქართლში თავის მამულში, სოფ. იკოთში. იგი ხალხში დიდი პოპუ-ლარობით და სიყვარულით სარგებლობდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა ის დუშეთის მაზრის სამხედრო კომისრად დანიშნეს. თუმცა კომუნისტებმა უნდობლობის გამო დაახლოებით 1925 წელს აღნიშნული თანამ-დებობიდან გაანთავისუფლეს და ჩააბარეს ახალგორის ბანკი სადაც ორი წლის თავზე მიუგზავნეს მასთან კარგ ურთიერთობაში მყოფი ვინმე ყიფიანი (ერთი ვერსიით თბილისში მცხოვრები კონია ერისთავი) და კრედიტის სახით ბანკი-დან 3000 მანეთი გამოატანინეს. შემდგომ კრედიტორმა შეგნებულად ვალი არ დაფარა, რაც გახდა მიზეზი ბანკის მმართველის დაპატიმრებისა. საოლქო სა-სამართლოს მოთხოვნით ქ. ცხინვალში ბადრაგის თანხლებით გადაყვანისას მიხეილ ბაგრატიონი – „მუხრანსკი“, ყანჩავეთის დასავლეთით სოფ. არმაზთან მოკლეს, რაც თავის დროზე მიღიციელებმა გაქცევის მცდელობის აღკვეთით ახსნეს.

ქსნის ხეობაში მომხდარ ამ სამწუხარო ფაქტთან დაკავშირებით გავრცელე-ბულია მცდარი ინფორმაცია, თითქოს გაქცევის ინსცენირებით საბჭოთა მი-ლიციის ხელით მოკლული იქნა ახალგორში მცხოვრები ქსნის უკანასკნელი ერისთავი ბანკის მმართველი ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი.

ქეთევან და მამუკა ორბელიანების შთამომავალთა გენეალოგია





ქსნის ერისთავების გერბი



ქოვსოითი. დიდებულ-აზნაურის სასახლის ნანგრევები, სადაც სავარაუდოდ დაიბადა მნათობი

ქოვსოითი. ხევისთავის საგვარეულო სალოცავი. არაგვიდან ქსანზე გადასულ მიდელაურების (მიდელაშვილების) ამჟამინდელი ქაშვეთის სახელობის სამლოცველო



ქოვსოითი. ხევისთავის ციხე – კოშკი „ძაბურთ“ ხევში



სოლომონ ლიონიძე



გიორგი რევაზის ძე ერისთავი.  
კავალერიის გენერალი



ანასტასია ბატონიშვილი.  
რევაზ ერისთავის მეუღლე



ალექსანდრე (საშა) ორბელიანი.  
ნინო ერისთავის ვაჟი. მარიამ  
ჯამბაკურ-ორბელიანის მეუღლე



მარიამ ივანეს ას. ერისთავის  
საფლავის ქვის გადასაფარე-  
ბელი იკორთიდან



ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი.  
1832 წლის შეთქმულების ერთ-  
ერთი ორგანიზატორი, ქეთევან  
შალვას ას. ერისთავის მეუღლე



ივანე და ზაქარია ერისთავები (ქეთევან და ელიზბარის ვაჟები)

მანანა მირმანოზ-  
ის ას. ერისთავი-  
ორბელიანისა



ალექსანდრე დავითის ძე ორბე-  
ლიანი. მანანას უმცროსი ვაჟი



ანასტასია დავითის ას. ორბელიანი-  
გაგარინისა, მანანას ქალიშვილი



გრიგოლ ზურაბის ძე ორბელიანი



კონსტანტინე დადეშქელიანი .  
სვანეთის უკანასკნელი მთავარი




მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი.  
მეფისნაცვალი ამიერკავკასიაში



ელიზავეტა ქსავერის ას.  
ბრანიცკაია-ვორონცოვა. მიხეილ  
ვორონცოვის მეუღლე



მანანა ორბელიანი



გიორგი ერისთავი



ანანური



დაფარნა (კრეტ-საბმელი). 1773 წ.  
ოქრომკედი, ვერ-ცხლი.  
იესე ქსნის ერ-  
ისთავის მეუღლის  
ქეთევან ჩოლოყაშ-  
ვილის მოქარგული



ნინო თორნიკეს ას.  
ერისთავი—ორბელიანისა



თორნიკე იესეს ძე ერისთავი  
(1779–1860)



ერისთავების სასახლე კარალეთში. სადაც ცხოვრობდა  
ანასტასია ბატონიშვილი




სოფ. ლამისყანა. ნინო თორნიკეეს ას ერისთავ-ჯამბაკურ-ორბელიანის  
მზითვში გადაცემული ციხე-სასახლე



მანანა ორბელიანის სალონი თბილისში. მხატვარი რ. სტურუა



ივანე დავითის ძე ორბელიანი.  
გენერალ-მაიორი. (მანანიჩი),  
მანანას უფროსი ვაჟი



მართას ქალიშვილი – ანეტა  
ალექსანდრეს ას. ერისთავი



სოფ. კუმისი. ორბელიანების  
კოშკი



მართა სოლოლაშვილის  
ქალიშვილი ანეტა და სიძე  
ივანე გივის ძე ამლახვარი



ქნ. ელენე ერისთავი «ქართველი ქალის როლში». პიესა «გაყრის» ილუსტრაცია, შესრულებული მხატვარ გრ. კორადინის მიერ



თავადი ოქრო ერისთავი «პავლე დიდებულიძის» როლში. პიესა «გაყრის» ილუსტრაცია. შესრულებული მხატვარ გრ. კორადინის მიერ



ოძისი. ღვთისმშობლის მიძინების სახ. ეკლესია, სადაც დაკრძალული არიან 6. ბარათაშვილს და ეკატერინე, როსტომ და ივანე ერისთავები



იკოთის სასახლე



წეროვანიდანაც მოჩანს სამება




ოძისი. მამა-შვილი გიორგი და დავით ერისთავების  
სახლ-მუზეუმი



მართას დედამთილის მოქსოვილი ფარდაგი



ნიკოლოზ ბარათაშვილის დები



ნიკოლოზ ბარათაშვილი.  
მხატვარი ლევან ჭოლოშვილი



სათარა. ორანელი აშული. ნ.  
ბარათაშვილის მეგობარი და  
მისი დის ეკატერინეს ქორწილის  
მონაწილე ახალგორში



ახალგორი. ქსნის ერისთავების სასახლე



ეკატერინე ბარათაშვილის ვაჟი კოლა ერისთავი მეუღლესთან ერთად ეგვიპტეში



ელისაბედ გრიგოლის ას.  
ალიხანოვა გ. ერისთავის  
პირველი მეუღლე



მარიამ (მართა) დავითის ას  
თარხან-მოურავი. გ. ერისთავის  
მეორე მეუღლე



იკორთის ტაძარი ან გამქრალი გალავანითა და სამრეკლოთი



დავით გიორგის ძე ერისთავი  
ცოლშვილთან და დედინაცვალთან  
– მართა თარხან-მოურავთან



პლატონ იოსელიანი. ისტორიკოსი



ქსნის ერისთავები. შუაში ზის მართა თარხან-მოურავი



გიორგი  
იესეს ძე ერისთავი.  
(სენატორი)



ეკატერინე ბარათაშვილის ვაჟი  
კოლა ერისთავი (მარცხნივ), მარიამ  
თარხან-მოურავი და დავით გიორგის  
ძე ერისთავი



მარჯვნიდან: დავით ლუარსაბის ძე, მეუღლე ანეტა ბებუთაშვილი.  
სხედან: ანეტას მამა გრიგოლი და ანეტას დედა.  
დგანან: ანეტას ძმა და დები




ელენე ლუარსაბის ას. ორბელიანი-ერისთავისა



მარიამ შალვას ას. ერისთავი-ჭავჭავაძისა



მამუკა (მაკარ) ორბელიანი, «სენატორის» სიძე. ქეთევან გიორგის ას. ერისთავის მეუღლე. იკოთის სასახლის მფლობელი მუხრანელ ბაგრატიონებამდე



შანშე ერისთავი. ქეთევან ჩოლოყაშვილის მაზლი. მხატვარი ნიკო ხერკელაძე

## სარჩევი

წინათქმა .....	3
მნათობი. იოანე ერისთავთერისთავის მეუღლე ქარჩოხიდან .....	12
ქეთევან ჩოლოყაშვილი იესე ყულარაძასის მეუღლე .....	18
სოფიო ერისთავი-ლიონიძისა .....	23
ანასტასია ერეკლე მეფის ასული ბატონიშვილი .....	30
ნინო თორნიკეს ასული ერისთავი-ჯამბაკურ-ორბელიანისა .....	35
მარიამ და ეკატერინე ივანე ქსნის ერისთავის ასულები.....	40
ქეთევან შალვას ასული ერისთავი.....	51
მანანა მირმანოზის ასული ერისთავი-ორბელიანისა.....	62
ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილი-ერისთავისა .....	98
მარიამ (მართა) იორამის ასული სოლოდაშვილი-ერისთავისა .....	107
ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანი-ერისთავისა.....	117
ანა გრიგოლის ასული ბებუთოვა-ერისთავისა.....	129
დავით როსტომის ძე ერისთავის რძლები.....	134
ა) ბარბარე (ბაბალე) თეიმურაზის ასული ამილახვარი-ერისთავისა .	135
ბ) თაფლო ივანეს ასული ამილახვარი-ერისთავისა .....	136
გ) ელისაბედ იაგორის ასული ალიხანოვა-ერისთავისა .....	138
დ) მარიამ (მართა) დავითის ასული თარხან-მოურავი-ერისთავისა... ..	142
მარიამ (მაია) შალვას ასული ერისთავი-ჭავჭავაძისა .....	149
ქეთევან გიორგის (სენატორის) ასული	
ერისთავი-ჯამბაკურ-ორბელიანისა .....	153

**გარეკანის პირველ გვერძე  
ნინო თორნიკეს ასული ერისთავი (ქსნის)**

(უცნობი მხატვარი)

წიგნზე მუშაობისას გაწული დახმარებისათვის მადლობას ვუხდი:  
ნიკო ქერქელაძეს  
მარინა ყიფიანს  
ნუცა იშხნელს  
დავით ბუაჩიძეს  
სოფიკო ცუცუნაშვილ-ფავლენიშვილს  
ტარიელ მიდელაშვილს  
ელმირა ჭუმბურიძეს  
ნანა ფარნიშვილს


გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47  
 239-15-22  
E-mail: meridiani777@gmail.com

## XXI საუკუნის მანდილოსნები



### დეა ფურცელაძე

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის  
I კურსის სტუდენტი.



### მარიამ ჩიტიშვილი

დაამთავრა თბილისის მე-14 საჯარო  
სკოლა ოქროს მედალზე. სწავლობს ივ.  
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ-  
ელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და  
ბიზნესის ფაკულტეტის | კურსზე



იკორთა. XII ს.  
ქსნის ერისთავების საძვალე